# კვირის პალიტრა

№ 44 (453) ◆ 3 – 9 ნოემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




გვ.4

## არჩევნები!

მიუხედავად მრავალი დარღვევისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულად გამოაცხადა.

### როგორი იყო 2003 წლის 2 ნოემბერი საქართველოში

ცესკოს წინასწარი მონაცემებით არჩევნებში მონაწილეობა საქართველოს მოსახლეობის 60%-მა მიიღო.

### არჩევნების წინასწარი მონაცემები ასეთია:

ნაციონალური მოძრაობა, სახელისუფლებო ბლოკი, ლეიბორისტული პარტია, ბურჯანაძე-დემოკრატები, აღორძინება, ახალი მემარჯვენეები, მრეწველები.

**საარჩევნო ბიულეტენების დათვლა გრძელდება**

ცესკოს ინფორმაციით საბოლოო ოფიციალური მონაცემები 2 კვირაში გამოქვეყნდება



გვ.2,4



გვ.3

## ვინ რას გეგმავდა და ვინ რაში შეცდა...

რას გვპირდებოდნენ და როგორ გვაწონებდნენ თავს ჩვენი „რჩეულნი“

**ქართველი პოლიტიკოსების ფსიქოლოგიური პორტრეტები**

## არჩევნების დღეს 4.691 საერთაშორისო დამკვირვებელი გვაკვირდებოდა(!)

გვ.7

## „რუსები თავიანთ დაგებულ ხაფანგში თვითონ გაებმებიან“

**„არ დავუშვებთ მოღალატეების პარპაშს საქართველოში“**

გვ.5



— ოპოზიციაში აბსურდამდეა მისული სიტუაცია. სააკაშვილი ყოველდღე აცხადებს, თუ პირველ ადგილზე არ გავედი, რევოლუციას დავიწყებო. იმავეს იძახიან ბურჯანაძე-დემოკრატები, — პირველები ვართო. ლეიბორისტებსაც პირველობა უნდათ. კარგი იქნებოდა თუ ეს პარტიები დასხდებოდნენ და ერთმანეთში გაარკვევდნენ, ვინ არის მათ შორის პირველი.

## რა ღირს პირადი უსაფრთხოების ერთი დღე საქართველოში...



გვ.6,13

— ჟურნალისტის დაცვა რთული საქმეა, ძმაო. ძალიან ბევრი მტერი გყავთ. ამ შემთხვევაში მაინტერესებს, რომელი ორგანიზაცია გაამწარა იმ ჟურნალისტმა, რომელიც უნდა დავიცვა. თუ კერძო კომერციული დაწესებულებაა, მაშინ ფასი სხვა იქნება, თუ სახელმწიფო სტრუქტურაა ან სახელმწიფო ჩინოვნიკს დაუწერა რაღაც, მაშინ სხვა ტარიფით უნდა ვიანგარიშოთ. ისიც მნიშვნელოვანია, უკვე დაწერა მამხილებელი სტატია თუ ახლა აპირებს მის გამოქვეყნებას. მოკლედ, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმეში.

**„სახელმწიფო სტრუქტურებისგან დაცვა დღეში 200$ დაგიჯდებათ“**

### ჰყავს თუ არა შევარდნაძეს ორეული

**შემაშფოთებელი ინტერვიუ...**

## თუ დამჭირდა, ტერორისტ-კამიკაძედაც ვიქცევი!



**— თუ ამის დაწერა არ შეგიძლიათ, სხვებს მოვძებნი...**

იმათ გვარებს არ ვასახელებ, ვისი უნამუსობაც ყელზე მადგას, ბევრი მიხვდება კიდეც, ვინა ვარ და არც ის გამიკვირდება, თუ ჩემი ლიკვიდაციის ბრძანებას გასცემენ. თუ არაფერი შეიცვლება, 2004 წლის იანვრიდან, მეგობრებთან ერთად დავიწყებ ტერაქტების სერიას. მოკვდება ყველა, ვინაც მოატყუა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა...

გვ.12

**.. ჩვენ შევძელით ამის დაბეჭდვა.**

## „პოლიტიკა ცოტა „რაღაცნაირი“, სპეციფიკური საქმეა...“

გვ.5

**„ასლან აბაშიძეს ჩემი გულმოწყალებაც არ უშველის“**



— 10-მდე ფრაქცია მაინც ჩამოყალიბდება. შევარდნაძის მომხრეები ოპოზიციაში აღმოჩნდებიან და თავ-ბედს დაიწყევლიან, რომ პარლამენტში შევიდნენ. რადგან დაინახავენ, რას ნიშნავს, იყო პარლამენტში და არავინ არაფერს გეკითხებოდეს.

## რას წერენ ჩვენზე:

გვ.14

ჩუბაისი კი არ მივიდა საქართველოში, ამერიკელები გაიქცნენ იქიდან...

***

...საქართველოს პრობლემები მოგვარდება მაშინ, როცა რუსეთი და ამერიკა შეიგნებენ, რომ ერთ ნავში სხედან...

***

...თუ ამერიკა ერაყიდან წავა, კატასტროფის პირველი მსხვერპლნი რუსეთი და საქართველო გახდებიან.

***

...ვურჩევდი შევარდნაძეს, მიებაძა უფროსი ალიევისთვის... აზერბაიჯანი ხომ არ გადაიქცა საჯიჯგნად?

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები შედგა

დიდი ვნებათაღელვისა და სკანდალური მოვლენების თანხლებით 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საბოლოო ჯამში ჩატარებულად გამოაცხადა. არჩევნების დღეს კონფლიქტისა და სისხლისღვრის პროგნოზი არ გამართლდა. არჩევნების გასრულების შემდეგ კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი უამრავი პრობლემის, საარჩევნო უბნების დარბევის, საარჩევნო ურნების დამტვრევის და ცემა-ტყეპის ფაქტების მიუხედავად, კმაყოფილებას გამოხატავს და არჩევნების დამკვირვებლების ხუმრობანარევ კითხვაზე, — შენ ახლა მთელი საქართველო გიყურებს, არ გეშინია? — ღიმილითვე პასუხობს: — არა!.. (ვრცლად იხ. გვ. 4).

## არჩევნებიდან გზა პირდაპირ ნატოში მიდის

საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულფასოვან წევრად მიღებას მნიშვნელოვანწილად 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები განაპირობებს. 2004 წელს, სტამბოლში, ნატოს სამიტზე, გზა საქართველოს იმის მიხედვით გაეხსნება, თუ რამდენად სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდება არჩევნები, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია „გარდამავალი დემოკრატიის პროექტის" პრეზიდენტმა ბრუს ჯექსონმა, — საქართველოს ყველა პირობა აქვს, რომ ის ბალტიისა და ბალკანეთის ქვეყნების მსგავსად, ევროპული თანამეგობრობის წევრი გახდეს. თუმცა, საამისოდ საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნება და იმ დემოკრატიული ნორმების ანუ სიტყვისა და არჩევნების თავისუფლების დაცვაა საჭირო, რაც დასავლური ცხოვრების მთავარ პრიორიტეტად არის აღიარებული. ბრუს ჯექსონი, რომელიც მესამედ იმყოფებოდა საქართველოში, იმ იმედით გაემგზავრა, რომ მეოთხედ ბევრად უკეთეს ქვეყანაში ჩამოვა.

## არჩევნებზე ეუთოს დამკვირვებელთა ლაშქარი იმყოფებოდა

საქართველოში, ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის ჯულიან პილ იეტსის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით ეუთოს ასამბლეისა და პარლამენტის 40 ეროვნების 650 წარმომადგენელი დაესწრო. არჩევნების ჩატარებაში გამოცდილმა თითოეულმა დამკვირვებელმა კარგად იცის, რა მნიშვნელობა აქვს არჩევნების პროცესში საარჩევნო უბნებსა და ოლქებში დამკვირვებელთა მოულოდნელ გამოჩენას. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პირველი შეფასებების შემდეგ საბოლოო დასკვნას დამკვირვებელთა მისია ეუთოს ასამბლეას ერთ თვეში წარუდგენს. საქართველოს, როგორც ეუთოს წევრი ქვეყნის ხელისუფლება, ვალდებულია გაითვალისწინოს ეუთოს მიერ შემუშავებული საარჩევნო რეკომენდაციები, — განაცხადა არჩევნების წინ იეტსმა. მანამდე კი, 30 ოქტომბერს, ეუთოს ლონდონელი დამკვირვებელი ემილი ერვინი გაძარცვეს. თავდამსხმელებმა მას ხელჩანთა, ფული და ფოტოაპარატი წაართვეს. ბოროტმოქმედები — ზურაბ კუჭავა და შავლეგ ლომაია პოლიციამ იმ საღამოსვე დააკავა და ამოღებული ნივთები პატრონს დაუბრუნა. ამ ფაქტის გამო მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო ნაწილში საქმე აღძრულია.

## მარტივი ლოგიკა თუ ბრმა წინასწარმეტყველება?

სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ავისმომასწავებელი წინასწარმეტყველება დაიწყო. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არსებობს „ნაციონალური მოძრაობის" საპროტესტო გამოსვლების საფრთხე. რჩეულიშვილის ვარაუდით, ოპოზიციას თბილისში აქტიური პოზიციები აქვს და არჩევნების პირველი მონაცემები მათი გამარჯვების მაუწყებელი იქნება, თუმცა, მოგვიანებით, რეგიონებიდან ჩამოსული მაჩვენებლებით, სახელისუფლებო ბლოკის პროცენტები გაიზრდება, ოპოზიცია კი 7%-ზე ჩამოვა. ოპოზიცია ქუჩაში იმ მოტივით გამოვა, თითქოს ხელისუფლება მას გამარჯვებას ართმევს. რჩეულიშვილი ოპოზიციის მოსალოდნელ წარუმატებლობას იმითაც ხსნის, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულმა პარტიებმა საერთო ენა ვერ გამონახეს და მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის რეიტინგი საერთო ჯამში 70-75%-ია, ხმებს ყველა ცალ-ცალკე მიიღებს. სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი მიიჩნევს, რომ ბურჯანაძე-დემოკრატებმა სააკაშვილს ხმები წაართვეს, ამიტომაც, მათი ფარული დაპირისპირება, შესაძლოა, შეხლა-შემოხლაში გადაიზარდოს(?!).

## ბურჯანაძის სასამართლო არჩევნების შემდეგ გაიმართება

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე ქუთაისში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დოდო შელიამ მისი მეტოქე „ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკიდან ნინო ბურჯანაძე საქართველოს საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის დარღვევაში დაადანაშაულა. შელიას ბრალდებით, ბურჯანაძე „ბოროტად" იყენებდა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობრივ უფლებებს და საარჩევნო კამპანიის დროს იმ ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობდა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. არჩევნების წინა დღეს შელიამ სასამართლოში ბურჯანაძის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი უკანვე გამოიტანა და განაცხადა, რომ ასეთი ჟესტით მან ქუთაისს სისხლის ღვრა(?!) ააცილა. შელიას ვერსიით: „ცნობილ გამყალბებელ ხათუნა გოგორიშვილს 2.000-კაციანი ლაშქარი მოჰყავდა ქუთაისში ბურჯანაძის დასაცავად". სახელისუფლებო ბლოკი არ აპირებს ერთი მანდატის გულისთვის ქალაქის გახლეჩას და ამიტომაც შანსს ვაძლევთ ბურჯანაძეს, კენჭი იყაროს, თუმცა მას მაინც მოუწევს იმავე სარჩელით პასუხისგება არჩევნების შემდეგო, — განაცხადა დოდო შელიამ. ბრალდებულმა კი სახელისუფლებო ბლოკის „მოწყალება" ასე შეაფასა — საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ტყუილში გაება, როცა იძულებული გახდა, ჩემ წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი უკანვე გაეთხოვაო. ბურჯანაძემ ცილისმწამებლური უწოდა იმ განცხადებასაც, თითქოსდა იგი ქუთაისში 2.000 კაცით დესტაბილიზაციის შესაქმნელად ჩადიოდა. თუმცა, დაადასტურა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სამართლიანობის მისაღწევად ქუჩაში გამოსვლას მართლაც გეგმავდა.

## ალიევი-შევარდნაძის მეგობრული მიმოწერა გრძელდება

ბაქოში ილჰამ ალიევის ინაუგურაციიდან დაბრუნებულ ედუარდ შევარდნაძეს ფეხდაფეხ მოჰყვა მეგობრის ვაჟის სამადლობელი წერილი. „ძალ-ღონეს არ დავიშურებთ დღეს, სტრატეგიული მოკავშირეების დონეზე ამაღლებული აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობების კიდევ უფრო განსავითარებლად", — წერს ილჰამი საქართველოს პრეზიდენტს და კმაყოფილებას გამოთქვამს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტისა და ედუარდ შევარდნაძის მტკიცე და გულწრფელი მეგობრობის გამო, რომელიც დადებით გავლენას იქონიებს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

## ჯორჯ ბუში ინერება, რომ...

„— საქართველოს მრავალი მეგობარი, აშშ-სა და მთელ ტრანსატლანტიკურ თანამეგობრობაში, გულთბილად მიესალმება იმ ვალდებულებებს, რომლებიც საქართველოს მთავრობამ, თქვენი ხელმძღვანელობით და ოპოზიციურმა პარტიებმა ყოფილ სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან 5 ივლისს გამართული შეხვედრის დროს იკისრეს", — ნათქვამია ბუშის წერილში, რომელიც საპარლამენტო არჩევნების წინ მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა. ბუში საქართველოში ყველას მოუწოდებს, თავი შეიკავონ ძალადობისაგან. — მართალია, ერთი არჩევნების შედეგად საქართველოს ყველა პრობლემა ვერ გადაწყდება, მაგრამ მშვიდობიან, სამართლიან არჩევნებს შეუძლია ქვეყანა დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრებისკენ მიმავალ სწორ გზაზე დააყენოს, — აიმედებს ქართველ პოლიტიკოსებს აშშ-ის პრეზიდენტი და დასძენს, რომ აშშ-ს სურს საქართველოს სახით ჰყავდეს ძლიერი პარტნიორი, რათა ერთად განახორციელონ ანტიტერორისტული ოპერაციები და იმუშაონ აფხაზეთსა და სხვა რეგიონებში კონფლიქტების მოსაგვარებლად.

## დავით სალარიძე ოთხწლიან შვებულებაში გავიდა

„ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკის სიით მეთორმეტე წევრმა დავით სალარიძემ სამი დღით ადრე უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. ვაკის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან ჩრდილელის მხარდაჭერაში „ბრალდებულმა" სალარიძემ მეგობრების ავტორიტეტი საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენა და ამგვარი „თავგანწირვით" შესაძლო სკანდალი ააცილა ბლოკს. დავით სალარიძე კლიპთან დაკავშირებულ სკანდალს გაუგებრობას უწოდებს და მტყუან-მართლის გარკვევას არჩევნების შემდეგ აპირებს. მანამდე კი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება ბლოკის ერთ-ერთ ლიდერთან ნინო ბურჯანაძესთან შეთანხმებით მიიღო და კვლავაც ამ ბლოკის ერთგული რჩება. სალარიძის ნაბიჯს სპორტის სასახლეში გამართულ ბლოკის შეკრებაზე თანაგუნდელები ოვაციებით შეხვდნენ. ნინო ბურჯანაძემ იმ დღეს სპორტის სასახლეში ოპოზიციას ერთხელ კიდევ მოუწოდა გაერთიანებისაკენ. თუმცა ამაოდ...

## არჩევნები-2003

**„არჩევნები — 2003"-ის გათამაშებაში, სადაც თქვენ არჩევნების შედეგების პროგნოზი უნდა გაგეკეთებინათ, 5000-ზე მეტი ბარათი მონაწილეობს. 31 ოქტომბერს ბარათები რედაქციაში დაილუქა და გამარჯვებული არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ გამოვლინდება.**

**რედაქცია**

## ნანა დევდარიანი გაყალბებას გამორიცხავს

საუბნო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა სიების გამოკვრა გასულ პარასკევს დასრულდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის განცხადებით ამომრჩეველთა სიები გადამოწმების შემდგომ გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე თავდაპირველად. ამომრჩეველთა სიები რეალურს მიუახლოვდა, — განაცხადა მან და თავი შეიკავა ამომრჩეველთა სრული რაოდენობის დასახელებისაგან. მისი თქმით, ამომრჩეველთა საერთო რიცხვი დაახლოებით 2 მლნ 700 ათასამდეა. საპარლამენტო არჩევნებისთვის სულ 9 მლნ ბიულეტენი დაიბეჭდა. ასევე დაიბეჭდა სარეზერვო ბიულეტენები, რომელთა გაყალბების შანსსაც ნანა დევდარიანი გამორიცხავს. 2 ნოემბერს კი, არჩევნების დაწყების წინ, საქართველოს საინფორმაციო საშუალებებს გადაეცათ ცესკოს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის მიმართვა, რომლის მიხედვითაც მან საქართველოს ორგანული კანონის — საარჩევნო კოდექსის შესრულება მოითხოვა. საქმე ეხება არჩევნების დროს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ე.წ. ეგზიტპოლების ჩატარების წესს და მისი გამოქვეყნების ვადებს. კანონის თანახმად, ეგზიტპოლების გამოქვეყნების უფლება ღამის 24 სთ-მდე არც ერთ საინფორმაციო საშუალებას არ ჰქონდა.

## რას ერჩიან?

გასულ კვირაში „აღორძინების" მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატზე თემურ გოგსაძეზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. „აღორძინება" მომხდარს თემურ გოგსაძის საქმიანობასა და ჭიათურაში მანგანუმის მრეწველობის განვითარების შესახებ მის მიერ შექმნილ პროექტს უკავშირებს. შავი სამყაროს წარმომადგენლებმა თითქოსდა გააფრთხილეს გოგსაძე, ხელი აეღო არჩევნებში მონაწილეობაზე. როგორც ირკვევა, გოგსაძე აქამდეც ყოფილა გატაცებული. 29 აგვისტოს ტერაქტში ბრალდებული გურამ პაპუკაშვილისა და ნიკა კვეზერელის ადვოკატობის დროს მას ბრალდებულთა დაცვა აუკრძალეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საჩხერის პროკურატურა დუმს, იმერეთის სამხარეო პოლიცია კი აცხადებს, რომ საქმეში ბევრი საეჭვო დეტალი აღმოჩნდა, რომელსაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ არ ახმაურებენ. გავრცელებული ხმებით, თემურ გოგსაძეს, შესაძლოა, ვიღაცამ პირადი ანგარიშები გაუსწორა. ჯერჯერობით, უცნობია „ვიღაცის" და პირადი ანგარიშების მოტივებიც.

## კრიმინალური გარჩევის მსხვერპლი...

„აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის ცოტნე ბაკურიას განცხადებით, ბათუმში მოკლეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო პროკურორი ჯემალ ვერულიძე. იგი ქალაქის ცენტრში ჩაცხრილეს. ცოტნე ბაკურია ამ მკვლელობას არჩევნებს არ უკავშირებს. არსებული ინფორმაციით, ვერულიძე კრიმინალურ გარჩევებს შეეწირა. შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელმა პაატა გომელაურმა „კვირის პალიტრას" მკვლელობის ფაქტი დაუდასტურა, თუმცა მკვლელობის ვერსიებზე კომენტარისგან თავი შეიკავა.

## რას ნიშნავს პრეზიდენტის ჯილდო?

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტთან არსებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ენერგეტიკული დერეფნის განვითარების ხელშეწყობის კომისიის სხდომაზე, სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიის ხელმძღვანელობამ და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მოწოდების შესახებ, რომლის თანახმადაც, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ამოქმედებისთანავე საქართველო სატრანზიტო გადასახადის სანაცვლოდ წელიწადში უფასოდ 1,5 მლრდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, ამასთან, 20 წლის მანძილზე 500 ათას მლნ კუბურ მეტრ აირს შეღავათიან ფასად (90.000 კუბურ მეტრს — 55 დოლარად) შეიძენს. ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ამოქმედება 2006 წლისთვისაა დაგეგმილი. „გიორგი ჭანტურიას „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის" პროექტების განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, მის გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. 1,5 წელიწადში, ჩემი პრეზიდენტობის ბოლოს, ჭანტურიას მაღალი ჯილდო ელის", — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო კანცელარიაში, თავად გიორგი ჭანტურია ვერ მალავდა კმაყოფილებას მისი საქმიანობის ესოდენ მაღალი შეფასების გამო. თუმცა, კულუარებში ეჭვობენ, რომ გიორგი ჭანტურია, შესაძლოა, სწორედ ის მემკვიდრე აღმოჩნდეს, რომელსაც პრეზიდენტი შევარდნაძე საკუთარ „ტახტსა" და „სკიპტრას" გადაულოცავს, რასაც თავად ჭანტურია კატეგორიულად უარყოფს.

## წვიმით მიყენებული ზარალი 5 მლნ ლარს აჭარბებს

24-28 ოქტომბრის კოკისპირულმა წვიმებმა რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სამეგრელოს რეგიონებს 5 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ზარალი მიაყენა. სახელმწიფო კანცელარიაში სტიქიური უბედურებების შედეგებისა და მათი ლიკვიდაციის საკითხების განსახილველად ერთმანეთს შეხვდნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულები. რწმუნებულების განცხადებით, წვიმების შედეგად რეგიონებში დაინგრა გზები, ხიდები. რამდენიმე სოფელი რაიონულ ცენტრს მოწყდა, ზოგიერთ რაიონში არის დამეწყვრის საშიშროება. გაწყვეტილი ელექტროგადამცემი ხაზების გამო სოფლები ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

## როლანდ ჩანგელია კვლავ აფხაზთა ტყვეა

ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კატეგორიულად დააყენა 24 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათიდან გატაცებული როლანდ ჩანგელიას გათავისუფლების საკითხი, რომელიც ცნობილი აფხაზი „ბოევიკის", ვალმერ ბუთბას დავალებით გაიტაცეს და კვლავაც მისი ტყვეა. ზუგდიდის საოლქო პროკურორის მოადგილის, მებრძოლი ჭკადუას განცხადებით, გალის აფხაზური ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით მზად არის ქართულ მხარესთან ითანამშრომლოს, მაგრამ ისინი გავლენას ვერ ახდენენ ვალმერ ბუთბაზე და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა სწორედ ამიტომ ჭიანურდება. ქართული მხარე კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ ჩანგელიას რამე დაუშავდება, პასუხისმგებლობა გაეროსა და რუსეთის სამშვიდობო ძალებს დაეკისრებათ. 2 თვის წინ აფხაზებმა ჭუბურხინჯელი გატაცებული ქართველები, ლაფსაია და ქირია ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ დახვრიტეს და ჭაში ჩაყარეს. ქართული მხარე კატეგორიულად აპროტესტებს აფხაზი კრიმინალების ქმედებებს. მაგრამ აფხაზური მხარე, გაეროს წარმომადგენლობა და რუსეთის სამშვიდობო ძალები არ გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ და ქართული მოსახლეობა აფხაზი კრიმინალების აგრესიისგან დაიცვან(?!).

## ვეღარ „ვიკაიფებთ"?!

15 ნოემბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ხაშხაშის (ყაყაჩოს) თესლის იმპორტი და რეალიზაცია აღიკვეთება — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. საკონდიტრო ნაწარმისათვის გამოსაყენებელი ხაშხაშის თესლი ნარკოტიკული ნივთიერების — ოპიუმის ალკალოიდს შეიცავს, რის გამოც მას მყიდველი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ძალზე ეტანება (რაზეც „კვირის პალიტრა" წერდა კიდეც). ხაშხაშის თესლი დღეს თავისუფალ რეალიზაციაშია და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ნუსხაში არ არის შეტანილი, ამიტომ სამართალდამცავ ორგანოებს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების საშუალება არ აქვთ. შექმნილ მდგომარეობას დროებით პრეზიდენტის ბრძანებულება დაარეგულირებს. პარალელურად, ქვეყნის ძალოვან უწყებებს და ფინანსთა სამინისტროს დაევალათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სათანადო ღონისძიებათა განხორციელება, რათა ქვეყანაში ხაშხაშის „თარეში" კანონით დადგენილი წესით აღკვეთონ.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „სენსაციური აღმოჩენა ლენტეხის მთებში" — 174 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „კიდევ ერთხელ „მეგრელთა საქმის შესახებ" — 143
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 34
4. **დაჩი გრძელიშვილი, იზო რიკაძე** — „ხელისუფლებას ცინიზმსა და აბუჩად აგდებას არ აპატიებენ" — 32

მკითხველის სახელით პრემიას **ზვიად ჩაკვეტაძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 525-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# ვინ რას გეგმავდა და ვინ რაში შეცდა...

**რას გვპირდებოდნენ და როგორ გვაწონებდნენ თავს ჩვენი „რჩეულნი“**

## ქართველი პოლიტიკოსების ფსიქოლოგიური პორტრეტები



საქართველომ არჩევანი გააკეთა და პარლამენტისკენ გზა რჩეულთ დაულოცა (სხვა საკითხია, ვინ როგორ იბრძოლა და როგორ მოიპოვა „რჩეულის“ სტატუსი და არიან თუ არა არჩეულები მართლაც რჩეულნი!). მთავარი ისაა, რომ ამ ორასზე მეტ კაცს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ბედი ჩავაბარეთ და მათგან საქმის კეთებას ველით. მათ საკუთარი „შრომითა და გარჯით“ ახლა უნდა დაგვიმტკიცონ მამულიშვილობა და კიდევ ის, რომ მათი არჩევისას არ შევმცდარვართ. ერთს შევახსენებთ: ქვეყანას მაშინ ეშველება, თუ საკუთარ ჯიბეზე ფიქრს საერო და საზოგადო საქმეს არჩევენ. თუ არადა, ისევ ჭაობის სიმშვიდეში დავრჩებით. ალბათ ჭაობში დიდხანს ყოფნით ადამიანურ სახეს თანდათან დავკარგავთ და ამფიბიებად გარდავიქმნებით. გხიბლავთ ასეთი პერსპექტივა? ვფიქრობ, რომ არა, და ამიტომაც გვმართებს ხელის გამოღება. „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, თავქვეშ ყურთბალიშის ამოდება და მცონარობა დღეს უკვე აღარ გვარგია, უფრო მეტიც, ეს დანაშაული და იმ ხალხის მოტყუება იქნება, რომელსაც ჯერ ისევ სჯერა, სწამს რაღაცის და რწმენის გამო მოგცათ ხმა. უსაქმურობითა და გულგრილობით რომ შემოგვეფცქვნა და შემოგვეშალა ეს ქვეყანა, ხომ მივხვდით... აწი მაინც უნდა ვივარგოთ.

საპარლამენტო რინგზე 21 პოლიტიკური ძალა იბრძოდა. ახალგამარჯვებულები უკვე კარგად ნაცნობი ძველი სახეები არიან. ვინ ვინ არის და ვინ რას აკეთებდა, ვიცით, რას უნდა ველოდოთ მათგან? ამის გარკვევასა და ქართული პოლიტიკური სპექტრის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და არაერთი ცნობილი ფსიქოლოგის აღმზრდელი, ბატონი **შოთა ნადირაშვილი** დაგვეხმარა:

— ყველა ქვეყანაში არჩევნების წინ ეიფორიაა და ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად იგრძნობოდა საქართველოში, სადაც აქამდეც იყო ქაოსი. წინასაარჩევნოდ ჩვენი ხალხი არ იყო კონსოლიდირებული, იყო მეტისმეტად კონფლიქტური ვითარება, საზოგადოება კი — მეტისმეტად დაქსაქსული. კი გვქვია სახელმწიფო, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ერი არ არის შეკრული და ერთიანი. ასეთი ვითარების შექმნას თავისი ისტორია აქვს. რამდენიმე წლის წინ ჩვენი მიზანი იყო დამოუკიდებლობის მოპოვება. როდესაც ამ მიზანს მივაღწიეთ, ხელისუფლებამ აღარ დაგვისახა ახალი მიზანი, რომელიც ერს გაამთლიანებდა და ეს უმიზნოდ დარჩენილი საზოგადოება დაიშალა, — ადამიანებს წვრილ-წვრილი, პატარ-პატარა, საკუთარი მიზნები გაუჩნდათ და ამიტომ დათითოკაცდნენ.

და რადგან ხელისუფლებამ არ დაგვისახა ხალხის გამაერთიანებელი ნათელი, ეროვნული მიზანი, დასახა პატარ-პატარა ამოცანები და არად ჩააგდო, გაჰყვებოდა თუ არა ხალხი. დღეს ქვეყანაში, ფაქტობრივად, ე.წ. დესტაბილიზაციაა. ყოველივე ამის შედეგია მრავალპარტიულობაც.

**— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციამ, თუნდაც ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის მიზნით, რატომ ვერ შეძლო გაერთიანება?**

— ოპოზიციას კი უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, მაგრამ რადგან დაიყო, დაიშალა და თავისი მიზნები უკვე გამოცხადებული აქვს (როგორც ყველა ფიქრობს — ღირებული), ვერ თანხმდება. თავისი მიზანი აქვს ხელისუფლებას. გარკვეული გაორება საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს. ხალხს აქვს ფარული და გაცხადებული მიზნები. პოლიტიკოსები როდესაც ხედავენ, რომ ესა თუ ის მიზანი (ანუ საკითხი) ხალხში პოპულარულია, ცდილობენ თავიანთი უკვე დასახული მიზანი ფორმით მას მიამგვანონ, უფრო მისაღები გახადონ ხალხისთვის. ფსიქოლოგია იცნობს ასეთ კანონზომიერებასაც, როდესაც ადამიანი ცდილობს, მესამე პირს ანუ საზოგადოებას შეუქმნას დადებითი განწყობა საკუთარი პოზიციისადმი, მოწინააღმდეგის პოზიცია კი მიუღებლად მოაჩვენოს. როდესაც პოლიტიკოსები ერთმანეთზე აუგს ამბობენ, ამით ცდილობენ ადამიანის ქვეცნობიერებაზე იმოქმედონ, თუ ვიღაც უარყოფითია, ე.ი. მისი მოსაზრებაც ცუდი და მიუღებელი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

დღეს გაჩნდა პიარის ცნება, რაც საზოგადოების დამოკიდებულებას ნიშნავს. ეს არის მეთოდი, რომ ამა თუ იმ პირმა საზოგადოებას საკუთარი თავისადმი სასარგებლო დამოკიდებულება შეუქმნას, მოწინააღმდეგე კი მიუღებელ, უარყოფით პიროვნებად დაახასიათოს. განწყობისა და დამოკიდებულების კანონის თანახმად, ხალხიც ქვეცნობიერებაზე იჯერებს ასეთ ნათქვამს ისე, რომ არც ითვალისწინებს, ნათქვამი სიმართლეა თუ არა. ამიტომაც მივიღეთ პოზიციურად დაპირისპირებული საზოგადოება.

**— სარეკლამო კამპანია, თავისი ატრიბუტიკით, სარეკლამო რგოლებითა და პლაკატებით პიარის ტექნოლოგიას ემსახურება. რამდენად მოახერხეს პოლიტიკოსებმა საკუთარი თავის დადებითად წარმოჩენა?**

— განწყობის თეორიის თვალსაზრისით, შევარდნაძე სწორად მოიქცა. მთავრობას დღესდღეობით ცუდი რეიტინგი აქვს. ამიტომ სავსებით სამართლიანად და სწორად (პიარის კანონების თანახმად) გადაწყვიტეს, პირისპირ არ შეხვედროდნენ ხალხს. უარი თქვეს აქციებზე, სადაც შევარდნაძეს ხალხთან პირდაპირი კონტაქტი ექნებოდა. ამ შეხვედრას ალბათ უთუოდ მოჰყვებოდა ხალხის საყვედური, რაც კონფლიქტურ ვითარებას შექმნიდა, ეს კი ხელისუფლების რეიტინგს უფრო დაბლა დასწევდა. ეს იცოდა ხელისუფლებამ, შეგნებულად არ წავიდა ამაზე და ტყუილი თქვა, — ფული არ გვაქვს და საარჩევნო კამპანია ამიტომ ვერ ვაწარმოეთო. მილიონებს იშოვიდნენ საარჩევნო კამპანიისთვის, მაგრამ გითხარით, რატომაც არ ჩათვალეს საჭიროდ. თუმცა სახელისუფლებო ბლოკს უარი არ უთქვამს სპორტსმენებთან და ცალკეული დარგის სპეციალისტებთან შეხვედრაზე, პრეზენტაციებზე, სადაც მათ წარმატებებზე ილაპარაკებდნენ და შეხვედრის შედეგიც პოზიტიური იქნებოდა(!).

როგორც ჩანს, პრეზიდენტს სერიოზული სპეციალისტები ჰყავს მრჩევლებად. ამას წინათ, მოვიდა ამბავი, პრეზიდენტი მეცნიერებათა აკადემიაში მოდისო. 65 აკადემიკოსი ვართ საქართველოში და ჩვენ უნდა შეგვხვედროდა ვითომ. მე ვთქვი, ტყუილია, არ მოვა-მეთქი. წინათ კი ვიყავით მასთან კარგ ურთიერთობაში, მაგრამ ახლა ისეთ რამეს ვეტყოდით, პასუხს ვერ გაგვცემდა. ამის გამო წავიჩხუბებდით, ან რაღაც ასეთი მოხდებოდა... მაინც არ დამიჯერეს. შეხვედრის დრო დანიშნეს და პრეზიდენტის მოსვლამდე ერთი საათით ადრე დარეკეს, — ვერ მოვაო.

ხელისუფლება მაშინაც გონივრულად მოიქცა, როდესაც თავის სახედ ბავშვი აირჩია. ამ ბავშვის მიმართ ჩვენ ძალაუნებურად გვექნება კარგი დამოკიდებულება. გამოდის, რომ ამ ბავშვზე „მზრუნველი“ ხელისუფლებისადმიც კარგი დამოკიდებულება გვექნება. ამ ხერხით ფარულად, ხელისუფლება ჩვენს მომავალზე მზრუნველ ხალხად დაგვიხატეს. თან ეს ისე აშკარად არ გაუკეთებიათ, რომ გვეთქვა, — რად ტყუითო. ხელისუფლებამ ამ ხერხით ნამდვილად მიაღწია მიზანს. თან ისიც ხომ დავინახეთ, რომ მათ ერთმანეთში არ უკამათიათ, უფრო შეკრული ჩანდნენ, ვიდრე ოპოზიცია.

ხელისუფლებამ იმიჯის შენარჩუნებისთვის კიდევ ერთი მეთოდი გამოიყენა. რატომღაც დააკანონეს, რომ პარლამენტის სხდომებს ტელევიზიით გადმოსცემენ, მაშინ როდესაც მთავრობის სხდომების ტრანსლაცია არ ხდება. ტელევიზიით მხოლოდ მთავრობის სხდომის (ხელისუფლების სასარგებლო) ფრაგმენტების ნახვა შეგვიძლია. არადა, თავიდან ბოლომდე რომ ეჩვენებინთ ეს სხდომა, დავინახავდით, რამდენად საზარელია იქ ვითარება, ისევე როგორც პარლამენტში.

ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, რომ შევარდნაძემ დასაჯა ვიღაც (თუნდაც სიტყვიერად) და ვიღაცას რაღაც „დიდი“ საქმე დაავალა... დეპუტატები კი ფიქრობენ, რაკი ტელევიზიით ხშირად გვხედავს მოსახლეობა, უფრო პოპულარულები ვიქნებითო. არ არის ასე. ხელისუფლებისადმი კი აქვს ხალხს მტრული დამოკიდებულება, მაგრამ პარლამენტისადმი ეს დამოკიდებულება უფრო მეტად მტრულია. კარგი პოლიტიკოსი, მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე წინააღმდეგი უნდა იყოს სხდომების ტრანსლაციის და როცა ხალხისთვის სასიკეთოს გააკეთებს პარლამენტი, ის აჩვენოს. კამათი, დაპირისპირება და ჩხუბი არ უნდა ნახოს ხალხმა. ამას გაცილებით ადრე მიხვდნენ მთავრობაში.

ჩვენს საზოგადოებაში ვინმეს პოზიციის მიღება-მიუღებლობა გახდა მთავარი, და არა ლოგიკური აზროვნება. ამის შედეგია ის, რომ ტელევიზიაში დებატებისას ვხედავთ (ამ საკითხს საგანგებოდ ვიკვლევდით) პოლიტიკოსებს, რომლებიც თითქმის არ პასუხობენ დასმულ შეკითხვებს (ამ მხრივ რეკორდსმენი ლევან მამალაძეა, ის კითხვების 83%-ს არ პასუხობს, ასევეა ჯონდი ბაღათურია). მათი ტაქტიკა ასეთია, — სანამ მაგ კითხვაზე გიპასუხებთ, უნდა გითხრათ, რომ... დაიწყებენ იმაზე ლაპარაკს, რაც თვითონ უნდათ. ჩვენ 20 პოლიტიკოსი შევისწავლეთ და მათგან საშუალოდ 30% დასმულ კითხვაზე სხვა რამეს პასუხობს.

**— რატომ არ პასუხობენ პოლიტიკოსები შეკითხვებს?**

— ან არ არიან მომზადებულნი, ან კიდევ არ აძლევთ ხელს, პირდაპირ უპასუხონ შეკითხვას და საუბარი სხვა, მათთვის მომგებიან საკითხებზე გადააქვთ. უფრო ხშირად კი გადაცემაზე „თავიანთი თემებით“ მიდიან. მაგალითად, ჯონდი ბაღათურიას აქვს 5-6 თემა და აუცილებლად ახსენებს ჟვანია-სააკაშვილის წარსულს. ამით ისეთ საუბარში იტყუებს მათ, რომ ათას სიულელეს ათქმევინებს, წამგებიან პოზიციაში აყენებს ხოლმე. სააკაშვილი და ჟვანია რომ ამბობენ, კი ვიყავით მოქალაქეთა კავშირში, მაგრამ კორუმპირებულ და უწესო ხალხს მაშინაც ვებრძოდითო, არ შეიძლება, ხალხი არ დაგიჯერებს. შეცდომაა ასეთი რამის მტკიცება. სჯობს მათ აღიარონ, — იქ ყოფნით შეცდომა დავუშვითო, ამას უფრო მიიღებს ხალხი.

**— ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს — უწინ კი ვაკეთებდი ამა და ამ საქმეს, მაგრამ ახლა ის კაცი აღარ ვარ, შევიცვალეო. ეს არ უნდა დავიჯეროთ?**

— ადამიანი, შესაძლოა, მართლაც შეიცვალოს, თუ მიხვდება და აღიარებს, რასაც ვაკეთებდი, შეცდომა იყოო. მაგრამ...

**— რამდენად წარმატებული სარეკლამო კამპანია ჰქონდა ოპოზიციას, მათი წინასაარჩევნო კლიპებიდან რა დასკვნა გააკეთეთ?**

— მიხეილ სააკაშვილს პრეტენზია აქვს დიდ პოლიტიკოსობაზე და ამ დროს ის წვრილმანი პრობლემების გადამჭრელ საკრებულოს თავმჯდომარედ წარმოგვიდგა. მას პრეზიდენტობა უნდა და არ შეიძლება ასეთი პოლიტიკოსი წვრილმანი, კერძო საქმეების გადამჭრელად ასაღებდეს თავს. პრეზიდენტობის კანდიდატმა ზოგადი ეროვნული საქმეების მკეთებლობა უნდა დაუმტკიცოს ხალხს. ამიტომაც გვესმის დღეს — 3 ლარი რომ მოუმატა პენსიონერებს, ამით უნდა პრეზიდენტი გახდესო? მიშას კი აქვს ზოგადი იდეა — არსებული ხელისუფლების დამხობა, მაგრამ ეს ნეგატიური ზოგადია, ამით ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, მას პოზიტიური ზოგადი სჭირდება და არ აქვს. ამიტომ ამბობენ მასზე — კი აქვს ტემპერამენტი, ბრძოლის უნარი, მაგრამ პრეზიდენტობას შეძლებსო?

მთავრობისთვის დიდი ღირებულება ისაა, რომ ხელისუფლების სათავეშია, სხვა ქვეყნის ლიდერებთან და ცნობილ ადამიანებთან თანაბარი მდგომარეობა აქვს და ამით ქართველ ხალხს ეუბნება, — თუ გინდათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან გქონდეთ ურთიერთობა, ეს ჩემზე გავლით უნდა გააკეთოთ, იმიტომ, რომ ჩემი მეგობარია რეიგანიო და ა.შ. ამიტომ ჩანდა პრეზიდენტის და ნინო ბურჯანაძის სარეკლამო რგოლებში შეხვედრები უცხო ქვეყნების ლიდერებთან.

მიშა სააკაშვილმა ევროსაბჭოსთან, ევროკავშირთან გაცილებით მეტი და სერიოზული საქმეები აკეთა, ვიდრე ეს მის პროპაგანდაში ჩანდა. ხომ ვიცით, რომ ის საზღვარგარეთ მიღებული კაცია. მას უნდა ეჩვენებინა, თავისი კავშირებით როგორ გამოადგება საქართველოს.

ზურაბ ჟვანია უკეთ იცნობს განწყობის თეორიას და ამიტომაც გამოჩნდა „ბურჯანაძე-დემოკრატების“ კლიპებში ნინო კოლინ პაუელთან, ევროსაბჭოში, გაეროში... ჟვანიამ მაშინაც სწორად გათვალა, როდესაც ნინო ბურჯანაძე აქცია ბლოკის ლიდერად. ჯერ ერთი, ნინო ქალია, მერე ჭკვიანი, მისაღები პიროვნებაა ხალხისთვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟვანიამ ნინოს რეიტინგი ასწია, თვითონ მოაკლდა პოპულარობა, ეს კანონზომიერიც იყო, მაგრამ ჟვანია ამას შეეგუა. ოღონდ, როდესაც პრეზიდენტობის საკითხი დადგება, ჟვანია ეცდება, საკუთარი თავის წინ წამოწევას და იტყვის, — ნინომ და მე ეს საქმე ერთად გავაკეთეთ. ასე მოქმედება ნინოს მე ვურჩიეო და ა.შ. დღეს მართლია, ჟვანიას რეიტინგმა დაიწია, მაგრამ ამ დაღმასვლას ასეთი შეხედულებები აწონასწორებს — ეგ ხომ ცბიერი კაცია, მაგაზე უკეთ გაყალბება არავინ იცის, მისნაირი მართვა და ზემოქმედება არავის შეუძლიაო. ანუ ჟვანია კი არის „ბოროტი“ და „ცუდი“, მაგრამ რაკი ამ საქმეების კეთების ნიჭი აქვს, მაინც ყველაზე მაგარია, მერე რა, რომ პარტიაში პირველი არ არის, ის მაინც პირველიაო. ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, ჟვანია სწორად ითვლის ხოლმე, სხვები კი ვერა.

თითქოს გაუგებარია ნაციონალების, აღორძინებისა და ხელისუფლების, დაპირისპირებული სამკუთხედის არსებობა. თუ ნაციონალებიც და აღორძინებაც ხელისუფლებასთან არიან დაპირისპირებულნი, თავსებადობის კანონის თანახმად, ისინი ერთმანეთთან კარგად უნდა იყვნენ. ან — თუ ხელისუფლებასა და ნაციონალებს ერთნაირად არ მოსწონთ აღორძინება, მაშინ ისინი უნდა იყვნენ კარგად, მაგრამ არ არის ასე, ისინი დაპირისპირებულები არიან და ამიტომ არის, რომ ნაციონალები აღორძინებას ხელისუფლებასთან ალიანსს აბრალებენ, აღორძინება კი პირიქით სდებს ბრალს — ხელისუფლებამ განგებ, ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად დაგშალათო... ამ მხრივ, გააზრებულად და ლოგიკურად მოქმედებენ ახლები და ბურჯანაძე-დემოკრატები, ისინი ებრძვიან ხელისუფლებას და ნორმალური (თუ ბოლო დღეებს არ ჩავთვლით) დამოკიდებულებაც შეინარჩუნეს ერთმანეთთან.

**— ლეიბორისტულ პარტიას ალბათ ყველასაგან განსხვავებული პოზიცია აქვს.**

— ნათელაშვილი ცალკე გამოყოფილი ვარსკვლავის როლს თამაშობს. მან ასეთი პოზა აირჩია — დამჩაგრეს და გამომაგდეს პარლამენტიდან, თორემ მე ყველაზე მეტი ვარო, ამიტომ გამოეყო ყველას. ის მრავალკუთხედის წვერში დგას და ყველას დაუპირისპირდა, ამით ცდილობს გამორჩეულ პიროვნებად, მომავალ პრეზიდენტად წარმოგვიდგეს. ეს აზრი ჩანს მის ქმედებაში. ნათელაშვილი მოკავშირეს არ ეძებს, ყველა დანარჩენები კი ერთმანეთთან დააკავშირა — ერთად აკეთებენ ცუდ საქმეებსო.

**— ცალკე დგომა სწორი არჩევანი იყო?**

— ამ დროს წარმატება რომ მოიპოვო, მართლაც განსაკუთრებული და გამორჩეული უნდა იყო. ძნელია, ძალიან ძნელია გამორჩეულობა და ნათელაშვილმა აირჩია პრიმიტიული, მაგრამ ყველასაგან გამორჩეული მეთოდი. „მე თქვენ მატერიალურად უზრუნველგყოფთო“, — ეუბნება ხალხს. ამით დაბალი და საშუალო ფენისთვის, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ყველასაგან გამორჩეულ პოლიტიკოსად იქცა. ნათელაშვილის აზრით, მისი ძლიერება ის არის, რომ პოლიტიკაში მარტოა(!). ეს შეხედულება მასში იმდენად მძლავრადაა, რომ საკუთარ პარტიაშიც მარტოა, ანუ არის თვითონ და არიან დანარჩენები. მის გარდა ლეიბორისტულ პარტიაში მკვეთრ ფიგურას ვერ დაინახავთ. ზემოთ არის ნათელაშვილი, ქვემოთ კი — ყველანი, ერთ სიბრტყეზე.

**— ბოროტი ენები ამბობენ, შესაძლოა ნათელაშვილმა პარლამენტში მოსვლის შემდგომ ხელისუფლებასთან საერთო ენა გამონახოსო.**

— რაკი ნათელაშვილმა თავი ოპოზიციური პარტიებისგან განზე დააყენა, ცხადია, ისინიც უპირისპირდებიან. ცალკე მდგომი მათთვის აუტანელია და ამიტომ ცდილობენ, ის ყველაზე უარყოფითს (ამ შემთხვევაში ხელისუფლებას) დაუკავშირონ. თუ შალვა ყველაზე მეტ ხალხს შეიყვანს პარლამენტში და ყველაზე მძლავრ ფიგურად წარმოდგება, მაშინ შესაძლოა პოლიტიკური ძალები მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ამ ვითარებაში ნათელაშვილმა იქნებ იფიქროს კიდეც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე.

ამ ეტაპზე ის არ ენდობა ხელისუფლებას და ამიტომ არ დაუკავშირდება მას. თუმცა ხელისუფლება ისე მოიქცევა, რომ დაბადოს ეჭვი — თითქოს ნათელაშვილთან კავშირი აქვს.

**— როგორი უნდა იყოს მომავალი პრეზიდენტი და არის თუ არა ქართულ პოლიტიკაში ისეთი ფიგურა, რომელიც ამ მოვალეობას გაართმევს თავს?**

— პოლიტიკაში ინტრიგების ხლართვის დრო წავიდა, ახლა იქ ინტელექტუალები უნდა მოვიდნენ. საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა ყველა პარტიას უნდა უთხრას, — საერთო ეროვნულ ამოცანას ვსვამ და მომეხმარეთო. ისეთი მიზნები არ უნდა ჰქონდეს, როგორიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს. ჩვენი პრეზიდენტის საქმიანობა ნევროტული ფუსფუსია, ვითომ რაღაცას აკეთებს. მილსადენი გავიყვანეო, — გვეუბნება. მილსადენის გაყვანა როგორ არის ეროვნული მიზანი და ამოცანა?! სხვისი ნავთი გადის ჩვენს ტერიტორიაზე და სხვაგან მიდის, ცოტაოდენ ბაჟს გადაგვიხდიან და ეს არის სახელმწიფო მიზანი?! ასეთ ვითარებაში სახელმწიფო კი არა, გზა ხარ. ეს „აბრეშუმის გზაც“ გზაა, მეტი არაფერი... ქვეყანაში ნამდვილად არიან პატიოსანი, განათლებული ადამიანები, რომლებიც შევარდნაძეზე უკეთ შეძლებენ სახელმწიფოს მართვას. მომავალმა პრეზიდენტმა ინტელექტუალური გარემო უნდა შექმნას: ყველა სფეროდან 15-მდე ჭკვიანი პროფესიონალი უნდა შემოიკრიბოს (როგორც თავის დროზე კენედიმ გააკეთა), რომელთაც პოლიტიკოსობაზე არ ექნებათ ორიენტაცია. მომავალმა პრეზიდენტმა ხალხის დარაზმვაც უნდა შეძლოს ზოგადი ეროვნული მიზნის შესასრულებლად, რომელსაც საქართველოში მცხოვრები ყოველი ეროვნების მოქალაქე და ნებისმიერი ფენის წარმომადგენელი გაჰყვება. ხალხის გაერთიანება პასპორტში ჩაწერილმა „საქართველოს მოქალაქის“ ცნებამ ვერ შეძლო. ქართველმა ვერ მიიღო, არ დაიჯერა, რომ სომეხიც და აზერბაიჯანელიც მასავით საქართველოს მოქალაქეა. ამიტომ ქართველობის ნიშნით ხალხი ვერ გაერთიანდება. სიტყვა „ხალხმა“ ისეთი დატვირთვა უნდა მიიღოს, რომელშიც საქართველოს ყველა მოქალაქე ჩაეწერება. ჩემი აზრით, ასეთი რამ — ახალი საქართველოს მშენებლების ცნება იქნება. იმის შეგნება, რომ ჩვენ, საქართველოს ყველა მოქალაქე, ახალი ქვეყნის მშენებლები ვართ, გაგვაერთიანებდა, მაგრამ ეს მე და თქვენ კი არა, პრეზიდენტმა უნდა თქვას და ჩაგვრთოს ამ ქვეყნის მშენებლობაში. ეს მართლაც არის საერთო ეროვნული მიზანი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგვე უნდა დაესახა ჩვენთვის ხელისუფლებას.

*იზო რეკაძე*
*დაჩი გრძელიშვილი*

CMYK

# როგორი იყო 2003 წლის 2 ნოემბერი საქართველოში

ქაოსური პროცესების თანხლების მიუხედავად, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ცესკოს შეფასებით შედგა. თუმცა ზოგიერთ საარჩევნო უბანში ჩაშლილი პროცესების გამო საქართველოში „2 ნოემბერი“ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. მარკირების პროცესმა, უამრავი უცხოელი თუ ქართველი დამკვირვებლის საარჩევნო უბნებში ყოფნამ, ეგზიტპოლის მეთოდმა, ხმების პარალელურმა დათვლამ



და, რაც ყველაზე მთავარია, ამომრჩევლის აქტივობამ, აშკარად შექმნა დასკვნის საფუძველი: რომ 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, მიუხედავად უამრავი დარღვევისა, უკეთესია წინა არჩევნებთან შედარებით, ანუ ეს დრო მაინც სჯობს იმ დროს, როცა გაყალბების დონე ფანტასტიკურ მასშტაბებს სცილდებოდა და ამომრჩეველი თავის კონსტიტუციურ უფლებას ვერ გრძნობდა.

„კვირის პალიტრა“ არჩევნების მოვლენების მიმდინარეობის ქრონიკალურ კოლაჟს გთავაზობთ... ნანა დევდარიანმა არჩევნების დასრულების ბოლო ვადები თბილისში 21 სთ-მდე და ქუთაისში 24 სთ-მდე გადაიტანა, ამ ფაქტმა სრული აურზაური გამოიწვია საარჩევნო უბნებზე. ზოგიერთი კომისიის თავმჯდომარემ ვერ შეიტყო ახალი განკარგულების შესახებ და 20 სთ-ზე დახურეს ურნები, მერე ისევ გახსნეს(?!). თუმცა რიგ უბნებში დაგვიანებული ინფორმაციის გამო ამომრჩეველთა რიგები ამ დროისათვის თითქმის დაშლილი იყო და საარჩევნო ურნები 21 სთ-მდე ამაოდ ელოდა ბიულეტენებს.

მიმოხილვას აჭარის რეგიონით დავიწყებთ, სადაც აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ არჩევნები არასოდეს გაყალბებულა მის რეგიონში და ამჯერადაც მოვლენები სრულიად ნორმალურად წარიმართა(!). თუმცა დამკვირვებელთა აზრი აჭარის „ლომის“ საპირისპიროდ მეტყველებს და რეგიონში არჩევნების დროს სერიოზულ დარღვევებს აფიქსირებს.

სამეგრელოში საკუთარი რჩეულისათვის ხმის მისაცემად ამომრჩეველი მასობრივად მივიდა. თუმცა სიების გამო აქაც სერიოზული დაბრკოლება გაჩნდა. სამეგრელოს რეგიონის საარჩევნო უბნებში გამოჩენილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა საოლქო კომისიას კატეგორიულად მოსთხოვეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც პასპორტი თან ექნებოდა. ზუგდიდში, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მსგავსად, მობილიზებული იყო შეიარაღებული საჯარისო ნაწილები, რომლებიც საარჩევნო უბნებში არ შესულან, მაგრამ შორიახლოდან ადევნებდნენ თვალს. საბედნიეროდ, ექსცესები არ მომხდარა.

არჩევნებისას პოლიტიკურმა პარტიებმა პროტესტი გამოთქვეს ცესკოს თავმჯდომარის მიმართ, რომელმაც, მათი თქმით, 2 ნოემბერს, სწორედ არჩევნების მიმდინარეობის დროს, დაარღვია საარჩევნო კოდექსი და თითქოსდა დამატებითი სიების დაშვების ნება გასცა.

**ნანა დევდარიანმა** ეს ბრალდება უარყო: — ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს უფლება, თავისი პოზიცია დააფიქსიროს არჩევნებთან დაკავშირებით, მაგრამ რისი ნებაც მე დავრთე საარჩევნო უბნებს, არანაირად არ ნიშნავს დამატებითი სიების დაშვების შესახებ განკარგულების გაცემას. იმ ამომრჩეველს, რომელიც დაფიქსირებული იყო წინა სიებში და არჩევნების დღეს სიაში არ აღმოჩნდა, უფლება მიეცა, გამსაზღვრული პროცედურის გავლის შემდეგ არჩევნებში მონაწილეობა მიეღო, ამან ის გამოიწვია, რომ ვიღაცები ერთ-ერთ საარჩევნო უბანში 90 კაცის „შეტენვას“ ცდილობდნენ, რომლებიც იმ ოლქის მცხოვრებნი საერთოდ არ არიან; მეორეგან — ყალბი რეგისტრაცია ჩატარდა. ამგვარი მცდელობე-



ვალერი ხაბურძანია თავის რიგს ელოდება

ბის გამო, გადავწყვიტე, არ მიმეცა კარუსელის შექმნის საშუალება და შინაგან საქმეთა მინისტრს ვთხოვე, თითო ოლქისთვის სამ-სამი ადამიანი გამოეყო. თბილისის ათივე ოლქში ისინი ამოწმებდნენ საარჩევნო უბნებიდან მისულ იმ ადამიანებს, ვინც



სიებში ისევ ქაოსია

სიებში არ აღმოჩნდა და სათანადო გადამოწმების საფუძველზე აძლევდნენ საკუთარ უბანში ხმის მიცემის უფლებას.

ნანა დევდარიანის მიერ მინიჭებული „უფლებით“ ნაციონალების ლიდერმა მიშა სააკაშვილმაც ისარგებლა, რომელიც ამომრჩეველთა სიებში არ აღმოჩნდა. სააკაშვილმა ამის შესახებ განაცხადა, — არჩევნებში მონაწილეობის უფლება ბრძოლით მოვიპოვეო და არჩევნების დღეს სიების უზუსტობაში კვლავ ხელისუფლება დაადანაშაულა. იმავე ბრალდებით ხელისუფლების მიმართ გამოვიდნენ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წარმომადგენლებიც. ნაციონალების წარმომადგენელმა მაია ნადირაძემ მარკირების ხარისხიანობა გააპროტესტა და საქვეყნოდ განაცხადა — ნიშანს საპონი აცილებსო, რასაც ნანა დევდარიანმა სიცრუე უწოდა.

ქუთაისში არჩევნები სრული ქაოსით წარიმართა. ბევრგან არჩევნები დიდი დაგვიანებით დაიწყო. ზოგიერთი უბანი 17 საათისთვისაც არ იყო გახსნილი(?!), ზოგან კი არჩევნები საერთოდ ჩაიშალა, ზოგან ბეჭდის უქონლობა და ზოგან კიდევ სხვა გაურკვეველი მიზეზი სახელდებოდა. ბევრმა ამომრჩეველმა თბილისის მსგავსად, ვერც ქუთაისურ სიებში აღმოაჩინა თავისი სახელი და გვარი. ქუთაისის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში, რომელიც სამხედრო ლიცეუმში იყო განთავსებული, მძევლად აიყვანეს დამკვირვებლები და კომისიის თავმჯდომარე. ამომრჩევლები აცხადებდნენ, რომ ეს ხმის მიცემის უფლების დარღვევის გამო პროტესტის ნიშნად ჩაიდინეს(!). ზოგიერთ საარჩევნო უბანში, გავრცელებული ინფორმაციით, ამომრჩევლებს წინასწარ შევსებულ ბიულეტენებს აძლევდნენ(?!). ერთ-ერთ უბანში მოიპარეს ბეჭედი და მოგვიანებით დააბრუნეს, მაგრამ არჩევნები ამ უბანზე ჩაშლილად გამოცხადდა.

ის, რაც ქუთაისში მოხდა, ოპოზიციური პარტიებისა და დამკვირვებლების აზრით, წინასწარ იყო განზრახული.

არჩევნები შესაძლოა ჩაშლილად გამოცხადდეს კოდორის ხეობაში, რომლის სამი საარჩევნო უბანი ქუთაისის საოლქო კომისიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ უბნებში ზოგან მხოლოდ რეფერენდუმის ბიულეტენები დარიგდა, ზოგან კი მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატებისა. კოდორში არჩევნების ბათილად გამოცხადების მიზეზად ალბათ ამინდის გაუარესებაც დასახელდება.

საგარეჯოს 32-ე საარჩევნო უბანზე დაუდგენელმა პირებმა ჩალეწეს ფანჯრები და კინაღამ ჩაშალეს არჩევნები. ერთ-ერთი დამკვირვებელი სცემეს კიდეც. უწესრიგობა დაფიქსირდა სოფელ მაღრაანის მე-13 უბანში. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ უბნის თავმჯდომარე არის სოფლის გამგებლის მეუღლე და, შესაბამისად სახელისუფლებო ბლოკის აგიტაციას ეწევა.

ყვარელში მშვიდ ვითარებაში ჩაიარა არჩევნებმა. კახელების უმრავლესობამ არჩევნებზე მისვლა უფრო საღამოსთვის დაიწყო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ კახელი გლეხი დღისით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული.

ვითარება გამწვავდა პანკისში, სადაც სოფელ ხალაწნის საარჩევნო უბანში შეიჭრნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, დაარბიეს უბანი, გადააყირავეს ურნა და ეს ფაქტიც იმით გაამართლეს, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, რადგან მათი თქმით, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები საარჩევნო ურნასთან იდგნენ და იქ ეწეოდნენ აგიტაციას. ამ აურზაურში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელს, დამკვირვებელ თამარ ყეინიშვილს. ანალოგიური ექსცესი მოხდა სოფელ დუისში, სადაც ხმის მიცემის პროცესი დროებით შეწყდა, მაგრამ არჩევნები მაინც ჩატარდა.



შინაგანი ჯარი მზადყოფნაში იყო

განსაკუთრებული ხმაურით მიმდინარეობდა არჩევნები მცხეთაში. „სამართლიანი არჩევნების“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მცხეთაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, დავით ზეიკიძის ვაჟმა საარჩევნო ურნა დაამტვრია. ინციდენტის შემდეგ მცხეთაში სპეცდანიშნულების რაზმმა ურთიერთდაპირისპირებისა და კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით თბილისი-მცხეთის გზა გადაკეტა და კონტროლი გააძლიერა. ზეიკიძის კონკურენტი მცხეთაში — სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბადრი ხატიძე იყო. ზეიკიძემ ხელისუფლებას ბრალი დასდო არჩევნებში სერიოზული დარღვევების ინსპირირებაში.

არჩევნები დარღვევებით ჩატარდა ხაშურშიც, სადაც როგორც გაირკვა, დილის 10 სთ-მდე ჩაყრილი ბიულეტენები უბეჭდო იყო. ხაშურში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვალერი გელაშვილმა და კომისიის წევრებმა ამ ფაქტს შემთხვევითობა უწოდეს, რაც, რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია.

რუსთავში საპარლამენტო არჩევნები შეიარაღებული ხალხის გამოჩენით დაიწყო, ნიღბიანი სპეცრაზმელების ახლოს ტრიალებდა ქალაქის პოლიციის ყოფილი უფროსი ფრიდონ კენკებაშვილი, რომელიც მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს. მისი კონკურენტები არიან ნაციონალი გია ხევიაშვილი, ხელისუფლების წარმომადგენელი გიორგი სალაყაია და თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი სოსო ალავიძე. თვითმხილველთა გადმოცემით, ერთ-ერთ საარჩევნო უბანში გამოჩნდა ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი, რომელიც სოსო ალავიძის მხარდამჭერია. ეს ფაქტი დამკვირვებლებმა ამომრჩევლებზე ზეწოლად მიიჩნიეს.

გვიან ღამემდე ქალაქს აკონტროლებდა შინაგანი ჯარის ნაწილები...



— არ მეშინია...

2 ნოემბერს საგანგებო ბრიფინგზე უშიშროების მინისტრმა **ვალერი ხაბურძანიამ** სენსაციური ინფორმაციები გაავრცელა. როგორც გაირკვა, უშიშროების სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მიაგნეს იმ იარაღის სამალავს, რომლის გამოყენებითაც სერიოზული დესტაბილიზაცია იყო მოსალოდნელი არჩევნებზე. ხაბურძანიამ ბრიფინგი აღმოჩენილი არსენალის შემადგენელი იარაღის თითო-თითო ეგზემპლარის წარმოდგენით დაიწყო: „ეს იყო მთავარი ბაზა. გვაქვს ინფორმაცია, მეორე უფრო მსუბუქი აღჭურვილობის მქონე ბაზის შესახებ, ჩვენთვის ცნობილია ამ ბაზის „მეპატრონეთა“ და დესტაბილიზაციის მცდელობის მსურველთა დაახლოებითი ქსელი, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების გამო, იძულებული და ვალდებულიც ვიყავით, პირველ რიგში მოგვეხდინა ბაზის ნეიტრალიზება, რომ არ განვითარებულიყო ის პროცესები, რაც დაგეგმილი იყო. ჩვენ გვქონდა შემაშფოთებელი ინფორმაციები, რომ ამომრჩეველთა რიგებში შეიძლება ესროლათ ე.წ. „ლიმონკა“. ვფიქრობთ„ ეს სწორედ იმ ბაზიდან გამოტანილი იარაღი იქნებოდა. ბაზაზე აღმოჩენილი იყო ე.წ. აკაემის ტყვიების 26 ყუთი, რამდენიმე ათეული, უკვე გამზადებული ავტომატის მჭიდები, ხელყუმბარა — 72 ცალი, ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა — 9 ცალი, ე.წ. „პადსტვოლნიკი“ — 15 ყუთი, ქვეითთა ნაღმი — 48 ცალი, დაახლოებით 22 კილო ტროტილი, რომელიც ორისამი კორპუსის ასაფეთქებლად სავსებით საკმარისია. აქვე იყო ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები — 53 ცალი. 1 ცალი ნაღმმტყორცნი“, — განაცხადა ხაბურძანიამ და დასძინა, რომ ამ პროცესის პრევენცია არჩევნების შემდეგ მოხდება. ხაბურძანიას ვერსიით, ოპერატიული მონაცემების თანახმად, დესტაბილიზაციის ინიციატორები პრეზიდენტზე თავდასხმასაც გეგმავდნენ — განზრახული ჰქონდათ პრეზიდენტის ადგილსამყოფლის და მისი კორტეჟის სამოძრაო მონაკვეთის დანაღმვა(?!). მინისტრის თქმით, გარკვეულწილად ცნობილია „გადატრიალების სცენარის“ ავტორების ვინაობაც. ეჭვი აქვთ ერთ-ერთი სამხედრო დანაყოფის ყოფილ მებრძოლებზე, რომელთა ვინაობას, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებენ. ხაბურძანიას ვარაუდით, შესაძლოა ამ ჯგუფს კავშირი აქვს 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ხელისუფლებასთან (იარაღი აღმოჩენილია ჯვრის მონასტრის გზაზე, ყოფილი რუსული საჯარისო ნაწილის ბუნკერში). ხაბურძანიას აზრით, ეს იარაღი დღეს და გუშინ შეძენილი არ არის, იგი დიდხანს გროვდებოდა... მინისტრი, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე პროვოკაციას და აფეთქებებს ელოდა, საარჩევნო უბანში მცირეწლოვან შვილებთან ერთად გამოცხადდა ხმის მისაცემად.



2 ნოემბერი 2003 წელი

არჩევნები ყველაზე მშვიდ ვითარებაში ჩატარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც წინასწარ პატიმრობაში მყოფნი „სიამოვნებით“ აფიქსირებდნენ თავიანთ მონაწილეობას არჩევნებში, თუმცა მათ ისევე, როგორც ლტოლვილებს, უფლება არ მიეცათ მაჟორიტარი დეპუტატები აერჩიათ. პატიმართა უმრავლესობა ზოგიერთი თავისუფალი მოქალაქის მსგავსად უარს ამბობდა ეგზიტპოლში მონაწილეობაზე, თუმცა ყველა მათგანს ერთი აზრი ჰქონდა ამ არჩევნებთან დაკავშირებით. მათ სჯერათ, რომ 2003 წლის 2 ნოემბერს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს უკეთესი მომავლისაკენ.

## გთავაზობთ პოლიტიკოსების მოსაზრებებს არჩევნებთან დაკავშირებით:

**კოტა დავითაშვილი:** — ასეთ არჩევნებში გამარჯვებას პატიოსან არჩევნებში დამარცხება მირჩევნია.

**ნინო ბურჯანაძე:** — ისეთ განუკითხაობას, რაც ქუთაისში ვნახე, არ მოველოდი.

**გოგი თოფაძე:** — სიებში ბევრი ჩემი მხარდამჭერი და თანამშრომელი ვერ მოხვდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ნუ ვიტყვით, რომ ეს არჩევნები 1999 წლის არჩევნებზე მეტად გაყალბდა.

**ცოტნე ბაკურია:** — არჩევნებს ვაფასებ, როგორც არაორგანიზებულს, რომელიც თავისთავად იწვევს დამახინჯებას, არაობიექტურობას და გაყალბებას. რაც შეეხება ეგზიტპოლებს, ყალბი იყო და დაფინანსებული ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მიერ.

**შალვა ნათელაშვილი:** — დღეს დამთავრდა შევარდნაძის ეპოქა. ეს არის ეროვნული დღე. დღეს პირველად მოხდა, რომ შევარდნაძემ პარლამენტში თავისი უმრავლესობა ვერ გაიყვანა.

**მამუკა გიორგაძე**: — დიდუბის რაიონში სამთავრობო ბლოკი მუშაობდა გიორგი ბარამიძეზე.

*მოამზადა*
*ეკა ლომიძემ*

CMYK

# „პოლიტიკა ცოტა „რაღაცნაირი", სპეციფიკური საქმეა..."

## „ასლან აბაშიძეს ჩემი გულმოწყალებაც არ უშველის"



**— ეს არჩევნები გადაწყვეტს, ოპოზიციიდან იქნება თუ არა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი.**

*პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო ბაზარზე თავიანთი პროდუქცია გამოფინეს. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ეს პროდუქცია (ანუ ხილი) მრავალფეროვანია. ქართულ პოლიტიკაში არიან ზომიერები, რადიკალები, შემგუებლები, ამბიციურად შეუგუებლები და ა.შ. არჩევნების პოლიტიკურ ჭრილში უკეთ გასარკვევად ვესაუბრებით ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, პოლიტოლოგ* ***ლევან ბერძენიშვილს.***

— როდესაც ქირურგიული ჩარევაა საჭირო, მარტო ჰომეოპათიური მეთოდებით მკურნალობა შედეგს არ მოიტანს. მაგრამ როდესაც ავადმყოფს ხელი აქვს ჩაქნეული, ყველა მეთოდს მიმართავს ხოლმე. მე ქირურგიული ჩარევის მომხრე ვარ. ეს არ ნიშნავს ვინმესთვის თავის მოჭრას, რადიკალურ მოქმედებებს ვგულისხმობ. ჩემი აზრით, ზომიერება არაფრის გაკეთებას, ვითარების კოსმეტიკურ შელამაზებას ნიშნავს, რაც გამოიხატა ფორმულით — რევოლუციური ცვლილებები ევოლუციური გზით. ამ ფორმულამ შესაძლოა 50 წლის შემდგომ გაამართლოს. დღეს ევოლუცია არ გვარგია. რა ევოლუციური გზით უნდა ჩასვა ციხეში მამალაძე? დასაჭერია კაცი. საჭიროა ხელისუფლებისგან ბანდიტების ჩამოცილება. ამას ფიზიკური და ზნეობრივი ძალა ერთდროულად სჭირდება. საჭიროა მკვეთრი პოლიტიკა და ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც შევარდნაძეს ხელისუფლებას ჩამოაშორებს და ასლან აბაშიძესთან პოლიტიკურ ფლირტს არ გააბამს. პარლამენტში „დემოკრატებმა" რომ გამოუცხადეს ასლან აბაშიძეს სიყვარული (რომელიც გაუზიარებელი დარჩა) და ამ ცალმხრივი სიყვარულის მოწმენი ერთი წელიწადი რომ ვიყავით, ეს რა შედეგს მოიტანს მათთვის საბოლოოდ, არ ვიცი, მაგრამ ჭკვიანური ნაბიჯი რომ არ იყო, ცხადია. შეცდომა იყო და გოგიტიძემ და ასლან აბაშიძემ ბოლოს მაინც თქვეს, რასაც ჟვანიაზე და ბურჯანაძეზე ფიქრობდნენ, ანუ ფლირტმა არ გაამართლა. ზომიერი პოლიტიკის შედეგი იყო არჩევნებამდე 3 დღით ადრე სკანდალი „დემოკრატებში"?

დემოკრატები ამბობენ, ჭკვიანი ხალხი ვართო და არა მგონია ახლა დაენახათ, ვინ არის სალარიძე და რაზე მუშაობდა ის. არ ვამბობ, რომ სალარიძე პოლიტიკაში არ უნდა იყოს, მაგრამ, სადაც სიტყვა „დემოკრატია" ითქმება, ვიცი, რომ იქ პოლიციის გენერლის ადგილი არ არის. სალარიძეს დემოკრატებთან (პარტიასთან კი არა, ცალკეულ ოჯახებთან) ფინანსური ინტერესი აკავშირებდა, თორემ რა უნდოდა „ზომიერებაზე" ორიენტირებულ პარტიაში კაცს, რომელიც პირდაპირ ეთერში უზრდელობდა და მიუთითებდა ადგილს, სადაც ოპონენტებს მისთვის უნდა ეკბინათ. ქვეყნის გარდამქმნელ ძალებში (თუნდაც ევოლუციურად) სალარიძის ადგილი არ არის. და როდესაც ჭკვიანი კაცის სახელი გაქვს, არ უნდა გინდოდეს ფლირტი აბაშიძესთან, სალარიძესთან და სოსო ალავიძესთან. პოლიტიკა არ არის უზნეო საქმე და ის ზნეობრიობის სახელით უზნეობასთან გარიგებას ვერ ეგუება.

**— ამ ქვეყნის უმთავრეს პრობლემად რა მიგაჩნიათ?**

— ხელისუფლება. ჩვენს ქვეყანას ხელფასების და პენსიების სამყოფი ბიუჯეტი კი აქვს, მაგრამ ამ შევარდნაძის ხელში ეს ბიუჯეტი არ ჩანს. ერთ დროს ლიტვას და საქართველოს ერთნაირი ბიუჯეტი გვქონდა. დღეს მათ ჩვენზე 20-ჯერ მეტი ბიუჯეტი აქვთ. იქ ხალხი ხელფასზე ცხოვრობს და არ არის მოპარვის აუცილებლობა. მე პირადად არ ვიპარავ, მაგრამ ხელფასზეც ვერ ვცხოვრობ. ან რაა მოსაპარი ბიბლიოთეკაში, წიგნის ფულსაც არ გვაძლევენ? ამიტომ მიწევს სტატიების და წერილების წერა უცხოეთში, ზოგჯერ იმნაირ კონფერენციებში მიმიღია მონაწილეობა, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, არ მივიღებდი. ერთხელ ვმონაწილეობდი ისეთ კონფერენციაში, რომელზეც არკვევდნენ „ძალადობის საკითხებს ტელევიზიაში" — ანუ აჩვენონ თუ არა ტყვიის გასროლა ტელევიზიით. რა უნდა მექნა? მეთქვა — ჩემს ქვეყანაში ძალადობის ფაქტები რომ არ აჩვენონ, უარესს იზამენ-მეთქი? ხომ გაუკვირდებოდათ? არ უნდა ეჩვენებინათ ჩემი ძმის ამბავი? რაც მოხდა, ეს უბედურებაა ქვეყნისთვის, მაგრამ კარგი იყო, ეს რომ ანახეს ტელევიზიით. აბა, რომ არ ეჩვენებინათ, შევარდნაძე იტყოდა არაფერი მომხდარა, „პროსტო პადრალისო". როდესაც დეპუტატობის კანდიდატს (რომელსაც კანონი იცავს) არაკაცურად, არაქართულად — ხელითაც კი არ სცემენ (ამ ქვეყანაში ჩხუბიც კი სასწავლებელი გახდა), როგორ შეიძლება პრეზიდენტმა მშვიდად უყუროს და თქვას, — რა მოხდა მერეო.

> — 10-მდე ფრაქცია მაინც ჩამოყალიბდება. ამათგან შევარდნაძის აშკარა მხარდამჭერი იქნება ერთი, ოპოზიციური ფრაქცია. შევარდნაძის მომხრეები ოპოზიციაში აღმოჩნდებიან და თავბედს დაიწყევლიან, რომ პარლამენტში შევიდნენ. რადგან დაინახავენ, რას ნიშნავს, იყო პარლამენტში და არავინ არაფერს გეკითხებოდეს.

ასლან აბაშიძეს ბერძენიშვილების მიმართ პარანოიდული შიში აქვს. რამდენიმე წლის წინ ბათუმში ავადმყოფი მამის სანახავად ჩავედი. ჩემი ძმა, დათო იქ იყო. გავიარეთ კოსტავას ქუჩაზე, სადაც ასლან აბაშიძე მუშაობს. ამ დროს ის შენობიდან დაცვის თანხლებით გამოვიდა, დაგვინახა. ერთ კვირაში დაცვა მთლიანად გამოცვალა, — რას ჰქვია, ჩემი უსაფრთხოება ვერ უზრუნველყავითო. ამას წინათ თურმე გოგიტიძე ხვდებოდა ქალაქის სასახლეში ამომრჩეველს, ასლან აბაშიძეც იქ იყო. ჩემი ძმა შევიდა დარბაზში და ორივეს დაელაპარაკა. ასეთი რამ ბათუმისთვის ვაჟკაცობის ის დონეა, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენენ. დათო ქობულეთელ გოგიტიძეს არ ჰკითხავს, როდის ჩავიდეს თავის მშობლიურ ქალაქში, ის იქ სტუმარი არ არის და ნუ ეჩვენება აბაშიძეს, რომ ჩემს ძმას მთელი აჭარის უფროსობა უნდა (ისე, როგორც როინ მეტრეველს ეჩვენება, რომ უნივერსიტეტის რექტორობა მინდა, მაშინ როდესაც მეცნიერებათა დოქტორიც არ ვარ. რექტორობა რომ მნდომოდა, სადოქტოროს მაინც დავიცავდი).

ხელისუფლებამ თავის დროზე ჟვანიას დააბრალა, — ქალის კალთას ამოეფარაო, ე.ი. მედიკო მეზვრიშვილი ქალი არ ყოფილა და ნინო ბურჯანაძეა ქალი... ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება პოლიტიკაში... ხელისუფლებამ, რომელიც ამას ამბობდა, მთელ ქვეყანაში ეძება უმანკო, ულამაზესი ბავშვი და მის სახეს ამოეფარა. ინტელექტუალური ძალადობის, უსინდისობის ასეთი მაგალითი არ გაგონილა — ამ საყვარელ სახეს ამოეფარნენ როგორი სახეები?! აბა, ჩაუტარეთ ხელისუფლების წარმომადგენლებს ტესტი სულიერ წონასწორობაზე, ინტელექტსა და ნარკომანიაზე. აღმოაჩენთ, რომ მთავრობის გუნდს პრობლემები აქვს.

ჩვენ გვინდა, ხელისუფლებამ იმდენი ხმა აიღოს, რამდენიც ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ის ბარიერს გადალახავს, მაგრამ ნუ ეგონება ხელისუფლებას, რომ 25%-ს დაიწერს და ეს შერჩება; მილოშევიჩის ბედი გაუხდება სანატრელი იმიტომ, რომ ჩაუშესკუს ბედს გაიზიარებს; იმიტომ, რომ არც სააკაშვილია ისაკ ამბარი, არც „ნაციონალური მოძრაობაა" მუსავათი, არც „დემოკრატები" არიან მამედოვი და არც საქართველოა აზერბაიჯანი.

ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო, ასე არ მგონია, მაგრამ ცოტა „რაღაცნაირი" სპეციფიკური საქმე რომ არის, ვიცი და ამიტომ არ ვარ იქ. ამბობენ, მავანს ფსიქიკური შემოწმება სჭირდებაო და ამ დროს პოლიტიკაში არის ლევან პირველი, რომელსაც არ შეუძლია იმდენი მოითმინოს, რომ ბესო ჯუღელს არ დაარტყას. ის ხალხი, ვისთვისაც ინტელექტუალური პაექრობა ზედმეტი ფუფუნებაა და პირველსავე შემთხვევაში პრიმიტიული, პირველყოფილი ხელის გარტყმისაკენ იყურება, არ უნდა იყოს პოლიტიკაში.

პირველი ტერაქტიდან მეორე ტერაქტამდე შევარდნაძემ იპოვა საკუთარ თავში ძალა, ახალი ქვეყნის აღმშენებელი ყოფილიყო. ეს რომ ნორმალური ქვეყანა იყოს, შევარდნაძეს 1999 წელს უნდა დაემთავრებინა მოღვაწეობა და ახლაც დარდი გვექნებოდა, — დედა, რა კარგი პრეზიდენტი გვყავდაო, მაგრამ მეორე ტერაქტის შემდეგ, შევარდნაძემ შემოატრიალა საქართველო და უფსკრულისაკენ წაიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ მამალაძე ჩემი ნათესავია (შესაძლოა ამ ამბის გამჟღავნება მისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდეს და ამიტომ არ ამბობდა აქამდე), ვიცი, როგორ უნდა მოექცნენ მას და რას იმსახურებს. სომბრეროიანი, ძვირად ღირებულ არაბულ ცხენზე ამხედრებული მამალაძე ქართულ პოლიტიკაში უბრალოდ ვერ უნდა შემოჭრილიყო, თორემ არც მის და არც სხვა კორუმპირებულების დაპატიმრებას არ ვითხოვ (თავად ყოფილი პოლიტპატიმარი ციხისთვის მათაც ვერ ვიმეტებ), მაგრამ ასლან აბაშიძეს ჩემი გულმოწყალებაც ვერ უშველის, მას კანონით მოსთხოვენ პასუხს.

შევარდნაძის სტილია დააპირისპიროს ხალხი და ასე იბატონოს მათზე. ამიტომ, როდესაც ირინა სარიშვილმა აგენტობა დააბრალა ბურჯანაძეს, ცუდი სანახავი შეიქნა ვალერი ხაბურძანია. ქუთაისელი მინისტრის დაპირისპირება ქუთაისელ ნინო ბურჯანაძესთან — ეს შევარდნაძის სტილია. როგორ, პრეზიდენტს იმდენი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, რომ მე — ბიბლიოთეკის დირექტორი, ყოველ მეორე დღეს არ ვაკრიტიკებდე?! მაგრამ მას ჩემი მართვაც არ შეუძლია, იმიტომ, რომ მისი მოსატყუებელი კბილები მოიცვალა საზოგადოებამ. დღეს შევარდნაძის გვერდით პოლიტიკოსი არ არის, სარიშვილის გარდა. ეტყობა, ირინაც იმიტომ არის იქ, რომ სხვა შანსი აღარ დაუტოვეს. მინდა, მჯეროდეს, რომ ირინა სარიშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ისევ იქნება ზიგზაგი და ის იქ დაბრუნდება, სადაც უნდა იყოს.

**— ახალი პარლამენტი როგორი იქნება?**

— გაცილებით მრავალფეროვანი. იქ გასულები, როგორც წესი, ფრაგმენტაციას განიცდიან და გაცილებით მეტი, 10-მდე ფრაქცია მაინც ჩამოყალიბდება. ამათგან შევარდნაძის აშკარა მხარდამჭერი იქნება ერთი, ოპოზიციური ფრაქცია. შევარდნაძის მომხრეები ოპოზიციაში აღმოჩნდებიან და თავბედს დაიწყევლიან, რომ პარლამენტში შევიდნენ. რადგან დაინახავენ, რას ნიშნავს, იყო პარლამენტში და არავინ არაფერს გეკითხებოდეს.

მინდა ცივილიზებულად გავისტუმროთ ე. შევარდნაძე. შევარდნაძის საქმე მაშინ დამთავრდა, როდესაც აქ 9 აპრილი მოხდა და ის პოლიტბიუროს წევრობიდან არ გადადგა. საქართველოს საქმე 2003 წელს გადაწყდება და მოხუც შევარდნაძეს პრეზიდენტი ერქმევა თუ არა, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ეს არჩევნები გადაწყვეტს, ოპოზიციიდან იქნება თუ არა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. ოპოზიციას უნდა ჰყავდეს ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი, ის, რომელსაც იმ მომენტში გაპრეზიდენტების ყველაზე მეტი შანსი ექნება.

# „რუსები თავიანთ დაგებულ ხაფანგში თვითონ გაებმებიან"

## „არ დავუშვებთ მოღალატეების პარპაშს საქართველოში"

*არჩევნების შემდგომ დესტაბილიზაციაზე აქამდე თუ ჭორად გვესმოდა, მოსალოდნელ საფრთხეზე ახლა უკვე ქართველი ძალოვნებიც ალაპარაკდნენ. სახელისუფლებო გუნდიდან წამოსული ინფორმაციით, დესტაბილიზაცია პარლამენტს გარეთ დარჩენილ ოპოზიციურ ძალას უნდა გამოეწვია. ოპოზიცია კი პირიქით, ირწმუნება, ხელისუფლება საკუთარი ქმედებებით თავად გვიბიძგებს ქუჩის არეულობისაკენო...*

*როგორც ქართველი სპეცსამსახურები აცხადებენ, ცნობილი გახდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომ საქართველოში არეულობის მოწყობის სცენარი რუსეთის სპეცსამსახურებში დაიწერა. ეს ინფორმაცია რეალობასთან რომ ახლოს დგას (ანუ რუსები რომ აქ სიტუაციის აჭრას შეეცდებიან) ისიც გვაფიქრებინებს, რომ რუსებმა საქართველოს რეგიონებად დაშლის გეგმა უკვე დაწერეს და გაავრცელეს კიდეც.*

*მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს* ***ირაკლი ბათიაშვილს*** *ვკითხეთ.*



— სამწუხაროდ, რუსეთში არიან ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ და კვლავაც იქნებიან საქართველოში სიტუაციის არევით. ისინი ეწევიან ძირგამომთხრელ მუშაობას იმ რესურსების საშუალებით, რომელიც აქ, საქართველოში გააჩნიათ.

**— რომელ რესურსს გულისხმობთ?**

— იგი შეიძლება იყოს როგორც აგენტურული ქსელი, ისე სხვადასხვა ბერკეტებიც. ეს ძალები დაინტერესებულნი არიან, ხელიდან არ გაუშვან შესაძლებლობა, რომ საქართველოში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. მით უმეტეს მაშინ, როდესაც საამისოდ ქვეყანაში ნოყიერი ნიადაგი არსებობს. საარჩევნოდ გამძაფრებული პოლიტიკური ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ასეთი საშიშროება მართლაც რეალურად არსებობს.

> — ოპოზიციაში აბსურდამდეა მისული სიტუაცია. სააკაშვილი ყოველდღე აცხადებს, თუ პირველ ადგილზე არ გავედი, რევოლუციას დავიწყებო. იმავეს იძახიან ბურჯანაძე-დემოკრატები, — პირველები ვართო. ლეიბორისტებსაც პირველობა უნდათ. კარგი იქნებოდა თუ ეს პარტიები დასხდებოდნენ და ერთმანეთში გაარკვევდნენ, ვინ არის მათ შორის პირველი.

**— ხომ არ ეცდებიან ისინი, რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ მუშაობას?**

— ვერ გეტყვით კონკრეტულად რომელი ძალაა მათთვის სასურველი, მაგრამ პოლიტიკურ სპექტრში — ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც, მათ უხვად ჰყავთ თავიანთი აგენტები (ამას კომპეტენტურად გეუბნებით). საერთოდ, პოლიტიკური პარტიები მუდამ აინტერესებდათ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, მით უმეტეს, ჩვენი მეზობელი რუსეთისას. ისინი ყოველთვის მუშაობდნენ ამ მიმართულებით და დღესაც აგრძელებენ. ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის დროს, როცა პოლიტიკური ორგანიზაციები იქმნებოდა, მათში აქტიურად ხდებოდა აგენტურის ჩანერგვა. ისინი დღესაც ცდილობენ სერიოზული პოზიციები ჰქონდეთ პოლიტიკურ ძალებში, როგორც ინფორმაციის მოპოვების, ისე გარკვეული გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ამას ისინი იმ ადამიანების საშუალებით მოახერხებენ, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში ჰყავთ „მოსყიდული". მაგრამ ვფიქრობ და მჯერა, რომ ჩვენი შესაბამისი სამსახურები, რომლებსაც ამის თაობაზე მრავალი და უტყუარი ინფორმაციები გააჩნიათ, არ დაუშვებენ მოღალატეების პარპაშს საქართველოში. ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შეიძლება, მაგრამ მათ შესახებ საქართველოს მოსახლეობა აუცილებლად შეიტყობს.

**— ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება, ძალოვანი სტრუქტურები თუ ატარებენ პრევენციულ ღონისძიებებს, რაც მოსალოდნელ არეულობას თავიდან აგვაცილებდა?**

— ბუნებრივია, ამისათვის ჩვენი ძალოვანი უწყებები და ხელისუფლება მობილიზებულნი არიან, გარკვეული ზომებიც აქვთ შემუშავებული მოსალოდნელი დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად. თუმცა მინდა იმედი დავიტოვო, რომ არჩევნების შემდგომი პერიოდი მშვიდობიანი იქნება, ყველაფერი ჩაივლის ზედმეტი არევ-დარევის გარეშე.

**— ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ რუსეთში საქართველოს ფედერალური მოწყობის გეგმა შეიმუშავეს, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი ქვეყნის დაშლის სქემაა. რისთვის იყო გამიზნული წინასაარჩევნოდ ამ გეგმის გამოჩენა?**

— იგი მართლაც შეიმუშავა ერთ-ერთმა სტრატეგიულმა ინსტიტუტმა. ცხადია, ეს რუსეთის მორიგი პროვოკაციაა. იქაურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სჯობს თავიანთი ქვეყნის პრობლემებზე იფიქრონ და არა საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაზე. ვურჩევ მათ, თავი დაანებონ ამგვარ პროვოკაციებს და ვაფრთხილებ, თუ ასე გააგრძელებენ, თავიანთ დაგებულ ხაფანგში შეიძლება თავადვე გაებან.

**— არის საუბარი, რომ წინასაარჩევნოდ გაკეთებული ეგზიტპოლები და რეიტინგები დესტაბილიზაციის მუხტის მატარებლები იყო. ანუ ეგზიტპოლში გამარჯვებული პარტია თუ არჩევნებს საბოლოოდ ვერ მოიგებს, იტყვის — არჩევნები გააყალბესო...**

— ეგზიტპოლების გამო გაჩენილი ეჭვი და კითხვის ნიშნები უკვე იმის მანიშნებელია, რომ ოპოზიციაში აბსურდამდეა მისული სიტუაცია. სააკაშვილი ყოველდღე აცხადებს, თუ პირველ ადგილზე არ გავედი, რევოლუციას დავიწყებო. იმავეს იძახიან ბურჯანაძე-დემოკრატები, — პირველები ვართო. ლეიბორისტებსაც პირველობა და პარლამენტში ისეთი უმრავლესობით უნდათ მოსვლა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებაც თავად დააკომპლექტონ. კარგი იქნებოდა თუ ეს პარტიები დასხდებოდნენ და ერთმანეთში გაარკვევდნენ, ვინ არის მათ შორის პირველი. ვფიქრობ, ხალხმა დაინახა, რომ ოპოზიცია ჯერ არ არის მომწიფებული ქვეყნის მართვისთვის — მათ ვერ შეძლეს გაერთიანება, მათთან აკავშირებენ ცალკეულ ექსცესებს და ხალხს ეშინია, ამ გაჭირვებას არეულობაც არ დაემატოსო.

იმედი მაქვს, ხელისუფლება დესტაბილიზაციის ყოველგვარ საშიშროებას აღკვეთს. ქუჩებში არც ტანკები გამოჩნდება და არც იარაღი...

**გვერდი მოამზადა**
**იზო რიკაძემ**

რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო, პატიოსან გულში მაინც ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს — *ტალეირანი*

# რა ღირს პირადი უსაფრთხოების ერთი დღე...



## ჰყავს თუ არა შევარდნაძეს ორეული

## „სახელმწიფო სტრუქტურებისგან დაცვა დღეში 200$ დაგიჯდებათ“

გრანტებით, მითვისებული კრედიტებითა და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით უზომოდ გამდიდრებული სახელმწიფო ჩინოვნიკების ერთი ნაწილი, რომელსაც, თავის მხრივ, დაემატა უკანონო მეწარმეობით გამდიდრებული ბიზნესმენები და მათი ქონება, მიმზიდველი ლუკმა გახდა კრიმინალური სამყაროსათვის, რომლებმაც ამ უკანონო გზებით გამდიდრებული მოხელეების და ბიზნესმენების ქონებას არაერთგზის უყვეს ექსპროპრიაცია (თუმცა კრიმინალური სამყარო უკანონოდ გამდიდრებულებს ინდობს). სახელმწიფო რანგის კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა და ბიზნესმენებმა დასახმარებლად პოლიციად გადაკეთებულ მილიციას და სხვა სამართალდამცველ სტრუქტურებს მიმართეს, მაგრამ თავადაც კორუმპირებულმა სამართალდამცველებმა მათი თხოვნა ყურად არ იღეს. როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, მაღალი რანგის სამართალდამცველები აძლევდნენ საქმეს ქურდებს და წარმატებით დამთავრებული ოპერაციის შემდეგ სოლიდურ წილსაც იჯიბავდნენ(?!). სწორედ ამ მიზეზთა გამო, დადგა დღის წესრიგში კერძო პირებისა და მათი საკუთრების დაცვის კომერციული დეტექტიური სამსახურების შექმნა. პირველი ასეთი სამსახური, რომელიც კერძო პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის გარანტი უნდა გამხდარიყო, საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, ოთხი წლის წინ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) სახით. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მდიდართა რიცხვმაც და ქონებამაც ერთიორად იმატა (*სახელმწიფო ბიუჯეტში დღესაც ბევრი აფათურებს ხელს. — ზ.ჩ.*). პარალელურად გაიზარდა კერძო დეტექტივებისა და კერძო პირების დამცველ ფირმათა რაოდენობაც. ამ ფირმებს კლიენტი არასოდეს აკლია და ეს ბიზნესი საქართველოში დღეს ერთ-ერთ მომგებიან საქმიანობად ითვლება. მით უფრო, რომ მათი კლიენტები გახდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები, პარლამენტარები და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. „კვირის პალიტრა“ შეეცადა მოეპოვებინა და მკითხველისთვის მიეწოდებინა ყველა ის ინფორმაცია, რაც კერძო დეტექტივებსა და კერძო პირთა დაცვის ბიზნესს შეეხება.

შემოსავლიანი ბიზნესიაო და... დღეს მარტო თბილისში დაახლოებით სამოცდაათი ფირმა არსებობს, სადაც თქვენ, სოლიდური გასამრჯელოს საფასურად, უსაფრთხოების გარანტიას მოგცემენ. ასეთი ფირმის გასახსნელად მხოლოდ სასამართლოში რეგისტრაციაა საჭირო. საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა აღნიშნული საქმიანობისათვის შესაბამის ლიცენზიას არ ითვალისწინებს, ანუ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია შექმნას პიროვნების დაცვის ფირმა — შესაბამის განათლებას თუ გამოცდილებას არავინ მოგთხოვთ(?!). ჩვენ დავუკავშირდით პიროვნებისა და საკუთრების დაცვის უსაფრთხოების ერთ-ერთ ფირმას, რომელსაც შს სამინისტროს პენსიონერი პოლკოვნიკი **რეზო პაიჭაძე** ხელმძღვანელობს. მისი განცხადებით: „ჩვენი ორგანიზაცია ახალი შექმნილია და ამიტომ ბევრს ვერაფერს გეტყვით. სათანადო გამოცდილება კერძო დაცვის სფეროში ნამდვილად არ გაგვაჩნია *(როგორც სხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, რეზო პაიჭაძის ფირმა ორი წელია, რაც მოქმედებს. — ზ.ჩ.)*.“

**— ახლა რომ კლიენტი მოგივიდეთ და დაცვა გთხოვოთ, უარს ეტყვით?**

— არა, უარს რატომ ვეტყვით. მუშაობა დაწყებული გვაქვს. შესაბამისი კადრებიც გვყავს, მაგრამ ახლები ვართ ჯერ ამ სფეროში და გასახსენებელიც ისეთი არაფერი გვაქვს, თქვენ რომ დაგაინტერესოთ.

აშკარად ჩანდა, რომ ბატონი რეზო პაიჭაძე თავის ფირმაზე ინფორმაციის მოწოდებისგან თავს იკავებდა და ჩვენს მოშორებას ცდილობდა, თუმცა რამდენიმე საინტერესო ინფორმაციის მოპოვება მაინც შევძელით. მისი განცხადებით: „პრობლემა ის გახლავთ, რომ კერძო დაცვის ფირმის თანამშრომლებს მხოლოდ საფანტის იარაღის ტარების და მოხმარების უფლება გვაქვს. საფანტიანი თოფით ძნელია კბილებამდე შეიარაღებულ კრიმინალებს დაუპირისპირდე, მაგრამ რა ვქნათ. პარლამენტმა კერძო დაცვის ფირმების თანამშრომლებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების თაობაზე კანონი არ მიიღო. თუმცა რაციები ყველას გვაქვს. თვითონ ფირმის ოფისში მუდამ მორიგეობს ოპერატიული ჯგუფი და თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევაა, ოპერატიული ჯგუფის წევრები შემთხვევის ადგილზე გადიან. მათ, ანუ ოპერატიული ჯგუფის წევრებს, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება აქვთ, რადგან რამდენიმე მათგანი შს სამინისტროს თანამშრომელია. ვცდილობთ, ჩვენს ფირმაში გამოცდილი მუშაკები მოვიწვიოთ, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაც იციან. სხვათა შორის, კერძო დაცვის ფირმების მომსახურებაზე უარს არც ქურდული ავტორიტეტები ამბობენ, მაგრამ ჩემთან მოსვლას ვერ ბედავენ, რადგან იციან, რომ პოლიციის ყოფილი პოლკოვნიკი ვარ და მათ უარს ვეტყვი. თუმცა, როგორც ვიცი, სხვები სიამოვნებით ემსახურებიან ქურდებს და 24 საათი იცავენ კიდეც. რადგან არ მეშვებით, გეტყვით, ერთი პირის დაცვა და მისი უსაფრთხოება დღეში 300 ლარი დაგიჯდებათ“.

კიდევ რამდენიმე კერძო დაცვის სამსახურს მივაკითხეთ, მაგრამ როგორც კი ჩვენი ვინაობა შეიტყვეს, ზრდილობიანად მიგვითითეს კარისკენ. სხვა გზა არ გვქონდა, თავი მათ პოტენციურ კლიენტად გავასაღეთ და ერთ-ერთ კომერციულ ფირმას ვეწვიეთ. როგორც კი პოტენციური კლიენტის მოსვლის შესახებ შეიტყვეს, კარი ფართოდ გაგვიღეს და შპს-ის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე სასწრაფოდ ჩვენთან შესახვედრად გამოიძახეს, თან ბოდიში მოგვიხადეს: „შპს-ის ხელმძღვანელს ვერ შეგახვედრებთ, თბილისში არ გახლავთ. რაიონშია წასული, მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს“(?). რამდენიმე წუთში ოფისში ერთი კაფანდარა ქალიშვილი შემოვიდა და პირდაპირ უფროსის მოადგილის კაბინეტში შევიდა. ჩვენც იმ კაბინეტში მიგვიწვიეს. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, იგი პიროვნებისა და საკუთრების დაცვის შპს-ის უფროსის მოადგილე აღმოჩნდა... რაღას ვიზამდით. მის წინ სავარძელში მოვკალათდი და ერთი თვით კერძო დაცვით უზრუნველყოფა ვთხოვე.

**ნატა გუჯაბიძე:** — რადგან თქვენ 24-საათიანი დაცვა გსურთ, ამის უზრუნველსაყოფად 4 კაცია საჭირო. თუ ისინი თავიანთი მანქანით მოგემსახურებიან, ერთი თვის მანძილზე 2 ათასი დოლარის გადახდა მოგიწევთ. თუ თქვენი მანქანით გადაადგილდებით და მასში დაცვის წევრებს ჩაისვამთ, 1.600 დოლარი დაგიჯდებათ. ეს ოთხი კაცი, რიგრიგობით იმორიგევებს თქვენი დაცვის ობიექტთან.

**— საფრთხე რეალურია, მაინტერესებს, რა იარაღით უზრუნველყოფთ დაცვას?**

— თქვენი შეშფოთება გასაგებია. არ დაგიმალავთ, ჩვენ მხოლოდ საფანტიანი იარაღის ტარების უფლება გვაქვს, მაგრამ რადგანაც თავდასხმის საფრთხე, თქვენივე მტკიცებით, ნამდვილად არსებობს, ჩვენ იმ თანამშრომლებს ჩავრთავთ დაცვაში, რომლებიც გაფორმებულები არიან, როგორც შს სამინისტროს თანამშრომლები და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების და გამოყენების უფლება აქვთ.

**— რა გარანტიაა იმისა, რომ თავდამსხმელმა თქვენი დაცვა არ მოისყიდოს?**

— ეს ჩვენთან გამორიცხულია. გარანტიას გაძლევთ, რომ მას თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოუვარდება. ჩვენი ფირმა საკმაოდ პრესტიჟულია. რამდენიმე წელია ჩვენი მომსახურებით სხვადასხვა პარტიის ლიდერები სარგებლობენ. ოღონდ მიახლოებით მაინც უნდა ვიცოდეთ, ვისგან ელოდება საფრთხეს, ვინ უნდა დავიცვათ, რა პროფესიისაა?

როგორც კი ვუთხარით, რომ ჟურნალისტები ვართ და ჩვენი დაცვის ობიექტი ჩვენივე კოლეგაა, მან კითხვებზე დაწვრილებითი პასუხების მოცემა აღარ ისურვა და მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაგვპირდა მომსახურების სრული პაკეტის გაცნობას. ამით არ დავკმაყოფილდით და საკუთრების და პიროვნების დაცვის შპს-ის დამფუძნებელს ვეწვიეთ.

— ჟურნალისტის დაცვა რთული საქმეა, ძმაო. ძალიან ბევრი მტერი გყავთ. ამ შემთხვევაში მაინტერესებს, რომელი ორგანიზაცია გაამწარა იმ ჟურნალისტმა, რომელიც უნდა დავიცვა. თუ კერძო კომერციული დაწესებულებაა, მაშინ ფასი სხვა იქნება, თუ სახელმწიფო სტრუქტურაა ან სახელმწიფო ჩინოვნიკს დაუწერა რაღაც, მაშინ სხვა ტარიფით უნდა ვიანგარიშოთ. ისიც მნიშვნელოვანია, უკვე დაწერა მამხილებელი სტატია თუ ახლა აპირებს მის გამოქვეყნებას. მოკლედ, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმეში, — გაგვანდო დამცველმა.

> — ჟურნალისტის დაცვა რთული საქმეა, ძმაო. ძალიან ბევრი მტერი გყავთ. ამ შემთხვევაში მაინტერესებს, რომელი ორგანიზაცია გაამწარა იმ ჟურნალისტმა, რომელიც უნდა დავიცვა. თუ კერძო კომერციული დაწესებულებაა, მაშინ ფასი სხვა იქნება, თუ სახელმწიფო სტრუქტურაა ან სახელმწიფო ჩინოვნიკს დაუწერა რაღაც, მაშინ სხვა ტარიფით უნდა ვიანგარიშოთ. ისიც მნიშვნელოვანია, უკვე დაწერა მამხილებელი სტატია თუ ახლა აპირებს მის გამოქვეყნებას. მოკლედ, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმეში.

**— კი, მაგრამ, თქვენ ხომ მისი უსაფრთხოება ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი პიროვნებისაგან უნდა დაიცვათ?**

— ეგრე არ არის, ძმაო! სად ის, როცა ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოს უპირისპირდები და სად — როცა საქმე ერთ „ძლინკიან“ ლიმონათის „ცეხთან“ გაქვს. მოკლედ, თუ სახელმწიფო სტრუქტურებიდან არის მოსალოდნელი საფრთხე, დღეში 200 დოლარი უნდა გადამიხადოთ, სხვა შემთხვევაში — 150 ლარადაც მოვილაპარაკებთ. ესეც იმიტომ, რომ ჟურნალისტები ხართ, თორემ სხვა შემთხვევაში ამ საქმეს მინიმუმ 250 ლარი მაინც უნდა. არ გაგიკვირდეთ, ერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა ორი თვით თავისი ქალიშვილის დასაცავად დაიქირავა დეტექტივები. ახლა არ იტყვი, იმ ანგელოზივით გოგოს რა სჭირდა? ცუდი არაფერი იფიქროთ. მის მოკვლას არავინ აპირებდა, პირიქით, ერთი კარგი ყმაწვილი მოტაცებას უპირებდა. ორი თვე ვდიეთ იმ გოგოს, ლექციებზეც კი შედიოდა ჩვენი აგენტი აუდიტორიაში. მამამისი ყოველდღე 300 ლარს გვიხდიდა. ორი თვის შემდეგ კი უცხოეთში გაუშვა სასწავლებლად. მერე გავიგეთ, ის გოგო ჩუმად ჩამოპარულა და იმ ბიჭს მაინც გაჰყოლია ცოლად. ტყუილად გადაყარა მამამისმა მის დაცვაში 18 ათასი ლარი. არ დაგიმალავთ და ჩემი ფირმა, ძირითადად, უცხოელების უსაფრთხოების დაცვაზე მუშაობს. მათთან მუშაობა იმ მხრივ არის ძნელი, რომ იშვიათია, დაცვის ისეთი თანამშრომლის პოვნა, უცხო ენა რომ ეცოდინება. ამიტომ იძულებული ვარ, დაცვის თანამშრომელს თან თარჯიმანიც გავაყოლო. თარჯიმნები კი, უმეტეს შემთხვევაში, ქალიშვილები არიან. მხოლოდ ორმა შეისწავლა იარაღის ხმარება და სამბოს რამდენიმე ილეთი. ამ გოგონებს თვალისჩინივით ვუფრთხილდები. თანაც კარგი მსროლელები არიან. ერთხელ ერთ, უცხოელებისგან შემდგარ ტურისტულ ჯგუფს სვანეთში გავაყოლე. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როცა დაბნელდა, ყაჩაღები თავს დაესხნენ. უნდა გენახათ ყაჩაღების გაკვირვებული სახეები, როდესაც მოულოდნელად ულამაზესმა გოგონებმა სამბოს ილეთების კორიანტელი დააყენეს და მერე მიწაზე გაკრულ ყაჩაღებს შუბლზე რევოლვერი დაადეს.

ბოლოს, კიდევ ერთ ინტერვიუს შემოგთავაზებთ კერძო დეტექტივთან. ამ პიროვნების კერძო გამოძიებით დღეს ბევრი დაზარალებული სარგებლობს და როგორც ამბობენ, გაუხსნელი საქმე თითქმის არ დარჩენია. სამწუხაროდ, კერძო დეტექტივმა თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა და ინკოგნიტოდ დარჩენა გვთხოვა: „თითქმის ოცი წელი ვმუშაობდი განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად. დაახლოებით ხუთი წლის წინ ყელში ამომივიდა ხელმძღვანელობის ზეწოლით და მათი უშუალო მითითებით გამოძიების ხელოვნურად ჩიხში შეყვანა, არადა, როცა საქმე გამოძიებული მქონდა და მკვლელისგან ან ქურდისგან აღიარებითი ჩვენებაც საქმეში იდო, გამომიძახებდა უფროსი და, უკეთეს შემთხვევაში, ყველაფერს ამარევინებდა ისე, რომ გამოძიების გაგრძელება არასოდეს მომხდარიყო, ან უდანაშაულოს ავკიდებდი დანაშაულის მთელ სიმძიმეს. დავწერე განცხადება და წამოვედი. ერთი წელი უმუშევარი ვიყავი, მერე კომერციულ დაცვის სამსახურში დავიწყე მუშაობა ოპერატიული განყოფილების უფროსად. ორი წელიწადი იქ ვიმუშავე, მაგრამ იქაც არანაკლები სიბინძურე დამხვდა. დავიწყოთ იმით, რომ ფირმას, სადაც ვმუშაობდი, ინჟინერი ხელმძღვანელობდა. იურისტობას ვინ ჩივის, შერლოკ ჰოლმსიც კი არ ჰქონდა წაკითხული. მისი მოადგილე მასწავლებელი იყო... ძირითადად, ახლაც ასეა. ამ ფირმებს იშვიათად თუ ჰყავს პროფესიონალი ხელმძღვანელი. რაც შეეხება სხვა კადრებს, აქაც ცუდი მდგომარეობაა. კერძო ფირმებში, ძირითადად, ორგანოებიდან სხვადასხვა დანაშაულისათვის გამოგდებული კორუმპირებული პოლიციელები ან ახალგაზრდა იურისტები მუშაობენ. ზოგჯერ მათ რიგებში ისეთი ახალგაზრდებიც არიან, რომლებიც არც ჯარში ყოფილან და უფრო უარესიც, შავ სამყაროსთან აქვთ კავშირი. მიხვალ დღეს პიროვნების დაცვის შპს-ში და დამცველად ცხვირმოუხოცავ ღლაპს გამოგაყოლებენ, რომელმაც იარაღის სწორად დაჭერაც არ იცის. ასეთი „დამცველი“, რომელსაც ყველაფერი თამაშად ეჩვენება და დენთის სუნიც არ უყნოსია, თავდასხმის შემთხვევაში რას და როგორ მოიმოქმედებს, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ეს, რაც შეეხება კადრებს. ახლა იმასაც გეტყვით, თუ სათანადო რეკომენდაცია არ გაგაჩნია და ალალბედად მიადექი ნებისმიერ საკუთრების ან პიროვნების დაცვის სააგენტოს, არ ხარ დაზღვეული, რომ შენმა შეიარაღებულმა დაცვამ გაგყიდოს. დღეს არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ მსგავსი შპს-ების მომსახურებით ხშირად კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები სარგებლობენ. ზოგჯერ კი, დაცვის თანამშრომლები ქურდულ გარჩევებზეც მიჰყავთ.

**— თქვენ არაფერი გითქვამთ პოლიტიკური პარტიების ლიდერების შესახებ.**

— პოლიტიკურ პარტიებს და განსაკუთრებით ოპოზიციურ პარტიებს და მათ ლიდერებს ნამდვილად სჭირდებათ სერიოზული დაცვა. საქართველოში ცოტა, მაგრამ მაინც არსებობს პიროვნების და საკუთრების დაცვის ისეთი შპს-ები, რომლებიც მეტნაკლებად აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს. იქ გამოცდილი პროფესიონალები და ყოფილი სპორტსმენები მუშაობენ.

> — წარმოუდგენელია, ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე უსაფრთხოების გარანტია მისცე ვინმეს. ამიტომ, კერძო დაცვის სამსახურები იძულებული არიან „კრიშა“ ჰყავდეთ შს სამინისტროში. როდესაც კერძო დაცვის სამსახურს სათანადო დონის „კრიშა“ ჰყავს სამინისტროში, მისი თანამშრომლები იქ არიან გაფორმებულები სხვადასხვა თანამდებობაზე, მაგალითად, რიგით ინსპექტორებად. ეს საკმარისია იმისათვის, რომ კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება მიეცეს\. ამ კანონდარღვევას „კრიშის“ გარეშე ვერ მიაღწევ, „კრიშა“ კი თავის წილს ითხოვს.

ასეთ კერძო სამსახურებზე ტაციაობაა. ზოგიერთ პარტიას კი თვითონვე აქვს შექმნილი პიროვნების დაცვის შპს, რომელსაც, ძირითადად, პარტია აფინანსებს და შემოსავლის გაზრდის მიზნით, კერძო პირების დაცვასაც აწარმოებენ, მაგრამ მათთვის, როგორც ყველასათვის, პრობლემაა ცეცხლსასროლი იარაღის ტარება. როგორც თქვენ გაგიგიათ და სწორადაც, დღეს კანონი კერძო დაცვის სამსახურებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების და გამოყენების ნებას არ იძლევა. ეს კი საგანგებოდ არის გაკეთებული.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# „უძლეველი ძალების“ შავი ფულის გაკონტროლების კიდევ ერთი მცდელობა?!



კობა კობიაშვილი

*ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტისა და ანტიკორუფციული საბჭოს ინიციატივით, გენერალური პროკურატურის ბაზაზე ახალი სამსახური შეიქმნა (უკვე მერამდენედ): „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეცსამსახური“. ყველასათვის გასაგები რომ იყოს, ამ ორგანიზაციამ „შავი“ ფულის „გამთეთრებლებს“ უნდა ებრძოლოს. ამ „მიმზიდველი“ სახელწოდების ხსენებაზე, ჩვენს კორუმპირებულ ბობოლებს წესით უნდა აჟრჟოლებდეთ, მაგრამ... ერთხელ პარლამენტში შემთხვევით შეხვედრილ მილიონერს ნახევრად ხუმრობით ვკითხე — რად გინდათ ამდენი ფულიმეთქი, მან მოსხლეტილად მიპასუხა: ჯოჯოხეთში ეშმაკის მოსასყიდად მჭირდება, იქაც ფუფუნებაში რომ ვიყოო. აი, ასე. ჩვენი კორუმპირებული ჩინოვნიკები უკვე ეშმაკის მოსყიდვაზე „ჩალიჩობენ“ და ამგვარი სამსახურების შექმნაც აღარავის აშინებს(?!). თუმცა უნდა ითქვას, რომ სასამართლო რეფორმის შემდეგ, რომელსაც წესით შსს-ს და პროკურატურის რეფორმა უნდა მოჰყოლოდა, და საბოლოოდ გაიყინა, ეს არის პირველი ნაბიჯი ძალოვან სისტემაში „დიდი გამყინვარების“ შემდეგ, რომელსაც ამერიკული მხარე გააკონტროლებს. თუმცა, ახალ სამსახურს ერთი მინუსი მაინც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურის რიგითი პროკურორის ხელფასი საშუალოდ 1500 ლარი იქნება, იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეცსამსახური“ კი უშუალოდ გენერალურ პროკურორს დაექვემდებარება. ეჭვგარეშეა, ამგვარი სტრუქტურა ხელისუფლების დაკვეთებს შეასრულებს. პრეზიდენტის გულშემატკივრებს რომ ჰკითხოთ, შევარდნაძე ისე არ წავა პოლიტიკიდან, დაკარგული იმიჯი არ დაიბრუნოს, მაგრამ აქ უკვე საკითხი სხვაგვარად დგება: საკუთარი იმიჯისათვის, გაიმეტებს კი პრეზიდენტი თავის გუნდს ციხეში გასამგზავრებლად?!*

*სპეცსამსახურს თბილისის ყოფილი სამხედრო პროკურორი კობა კობიაშვილი უხელმძღვანელებს. მის კანდიდატურას ამერიკული მხარე რამდენიმე თვე სწავლობდა, ცხადია, წარდგენა გენპროკურორისა და პრეზიდენტის თანხმობით მოხდა. კობა კობიაშვილი დააწინაურეს. თუმცა სექტემბრის დასაწყისში, მასთან უკიდურესად დაპირისპირებული მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია კობიაშვილის სამსახურიდან მოხსნის საკითხს აყენებდა. მან გენერალური პროკურატურის კოლეგიაზე კობიაშვილის მაკომპრომეტირებელი მასალები წარადგინა, სადაც ამტკიცებდა, რომ იგი მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებდა. მაშინ ყველას ეგონა, რომ ბადრი ბიწაძის მეგობარი გია ჯიქია ამ თამაშში გაიმარჯვებდა. ერთი შეხედვით, ასეც მოხდა. გია ჯიქიას ნათქვამი — ან ის უნდა წავიდეს, ან მეო, აღსრულდა კიდეც. მაგრამ ახალი სპეცსამსახურის ფუნქციაში სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შესწავლაც შედის და, გამორიცხული არ არის, კობიაშვილმა მას რევანში აუღოს...*

*„კვირის პალიტრა“* **კობა კობიაშვილს** *ესაუბრა:*

— ახალი სამსახური იმიტომ შეიქმნა, რომ პრიორიტეტად აიღოს კორუფციასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებები, ბოლომდე მიიყვანოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეები. მსჯელობა იყო იმაზეც, სად ჩამოყალიბებულიყო ეს სამსახური — ანტიკორუფციული ბიუროს ბაზაზე, ეროვნულ ბანკსა თუ გენერალურ პროკურატურაში. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ასეთი ტიპის სამსახური უნდა ჩამოყალიბებულიყო გენერალური პროკურატურის სისტემაში, თუმცა არანაირი შეხება არ ექნებოდა პროკურატურის სხვა სტრუქტურებთან და მხოლოდ გენერალურ პროკურორს დაემორჩილებოდა. ასეც მოხდა. რაც შეეხება ჩვენს ფუნქციებს, იგი ითვალისწინებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას; სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულების, ქრთამების, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების, ნივთმტკიცების, უფლებამოსილების გადამეტების, კომერციული მოსყიდვის, ფულის გათეთრების და სხვა ფაქტების გამოვლენას, აღკვეთას, გამოძიებასა და სასამართლოში წარმართვას.

## პოლიტიკური გადაწყვეტილება თუ დამთხვევა?!

## გიასთან არასოდეს მქონია ჯანსაღი ურთიერთობა, მაგრამ მით უფრო ახლა, ამ თემაზე არ ვისაუბრებ.

— **რა ფუნქციებიც თქვენ ჩამოთვალეთ, ისედაც ევალებოდა გენერალურ პროკურატურას და მის ხელმძღვანელს. პრაქტიკულად თქვენ მაინც არ ხართ დამოუკიდებელი და ისევ ზეწოლის ქვეშ რჩებით. კორუფცია ძირითადად ხელისუფლებაშია. გენერალური პროკურატურა კი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი შტოა, ანუ თქვენ დინების საწინააღმდეგოდ აპირებთ წასვლას?!**

— გენპროკურორისგან ყოველგვარ ზეწოლას გამოვრიცხავ.

— **რა, გაბრიჩიძეზე გამორიცხულია ზეწოლა? როგორც ხდება ხოლმე, დაურეკავენ და საქმესაც აღარ მიეცემა მსვლელობა...**

— მაგრამ ამ ქვეყანაში ვიღაცამ ხომ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. რადგან ეს ფუნქცია დაგვეკისრა, უნდა გავუძლოთ. თუ ვერ გავუძლებთ, მაშინ მოვა ის ხალხი, ვინც შეძლებს საქმის ბოლომდე მიყვანას.

— **ე.ი. გეყოლებათ ერთი მოადგილე, 10 თანამშრომელი და სამი სპეციალისტი. კადრებს რა პრინციპით შეარჩევთ?**

— ჩვენ გამოვაქვეყნეთ განცხადება მსურველთათვის. აუცილებელია მათ ჩაბარებული ჰქონდეთ პროკურორის გამოცდები, ასევე ჰქონდეთ ეკონომიკურ სფეროში გამოძიების გამოცდილება, სასურველია კომპიუტერის, ინგლისურის ან ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა, და, რაც მთავარია, უნდა ჰქონდეთ ზნეობრივი, სუფთა წარსული(?!). ამ განცხადებას განიხილავს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ანტიკორუფციული და იუსტიციის საბჭოს მდივნები, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. მათთან ერთად მოხდება განმცხადებლებთან გასაუბრება და ფილტრაცია. ნოემბრის ბოლოს ამერიკულ მხარესთან გაივლიან შემოწმებას სიცრუის დეტექტორზე. აქვე დავძენ, რომ თანამშრომლებს სიცრუის დეტექტორზე ჩვენც ყოველწლიურად შევამოწმებთ.

— **თქვენც გაივლით ანალოგიურ შემოწმებას?**

— რა თქმა უნდა.

— **რა სპეციფიკა ექნება ამ სამსახურს? ალბათ სპეცსამსახურის ტიპის დანაყოფი იქნება.**

— სამსახურში ინფორმაციას მოიტანს ოპერატიული ჯგუფი. ამასთან, შევისწავლით ანტიკორუფციული ბიუროდან შემოსულ საქმეებს, საეჭვო გადარიცხვებზე ინფორმაციას მოგვაწვდის აგრეთვე სპეციალური ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

— **ძველ საქმეებსაც შეისწავლით?**

— ჩემი სურვილია ნულიდან დავიწყო და იმაზე ვიყო პასუხისმგებელი, რასაც ჩვენი სამსახური გააკეთებს, მაგრამ თუ გენერალური პროკურორი გადაწყვეტს, რომ ესა თუ ის ძველი საქმე გამოვიძიო, ვალდებული ვარ, დავემორჩილო.



გია ჯიქია

— **როგორც შევიტყვე, მაღალი ხელფასები კი გექნებათ, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდებით. ბიუჯეტს ქრონიკულად უჭირს. ამის გამო შეიძლება ხელქვეითებთან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. უფრო მეტიც, გამორიცხული არ არის, თქვენი სამსახურიც ჩაეფლოს კორუფციის მორევში...**

— ჩვენი ძირითადი მიზანი თანხების ამოღება და დამნაშავეთა დასჯა იქნება. როდესაც ფინანსთა სამინისტრო დაინახავს, რომ ამოღებული თანხები რეალურად შედის ბიუჯეტში, მისთვის 12 კაცის დაფინანსება პრობლემა არ იქნება, თუ შეგნებულად არ მოგვიწყობენ საბოტაჟს(?!).

— **შეგნებული საბოტაჟი ახსენეთ. არ გიფიქრიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს განტევების ვაცი აღმოჩნდეთ?**

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვეცდები, ამის საფუძველი არავის მივცე. არ დაგიმალავთ, როგორც კი შევატყობ, რომ ვერ ვერევი იმ „უძლეველ ძალებს“, რომელთაც უზარმაზარი ქონება და ზურგი აქვთ, მაშინ მე... უბრალოდ, წავალ...

— **ანუ ეს სამსახურიც ასე ვთქვათ, ჩაილურის წყალს დალევს?**

— არა, არა. ეს სამსახური ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ბოლო შანსია, ასე გაგრძელება მართლა აღარ შეიძლება.

— **აქამდე თქვენსა და სამხედრო პროკურორს შორის საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გია ჯიქია ხმამაღლა აცხადებდა — ან ეგ უნდა წავიდეს, ან — მეო. თქვენ პირიქით ამბობდით, რომ თქვენს სამსახურებრივ დევნას ჰქონდა ადგილი...**

— მე ეს განვაცხადე კოლეგიაზე და აქედან გაჟონა ამ ინფორმაციამ. ჩემი პოზიცია პრესით არასოდეს დამიფიქსირებია, გიასთან არასოდეს მქონია ჯანსაღი ურთიერთობა, მაგრამ მით უფრო ახლა, ამ თემაზე არ ვისაუბრებ.

— **რა ვიფიქროთ, გაჯობათ გია ჯიქიამ თუ ახლო მომავალში თქვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, რევანშს უნდა ველოდოთ?**

— მჯობის მჯობი არ დაილევაო, — ნათქვამია. ისე, მას ჰქონდა საკმაო დრო, რომ ეჯობა ჩემთვის. მე მგონი, ეს სამსახური ჩემს დაწინაურებას ნიშნავს.

— **იყო თუ არა ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება? თქვენთან დაპირისპირებული გია ჯიქია ნინო ბურჯანაძის მეუღლის, ბადრი ბიწაძის მეგობარია. პრეზიდენტმა კი ამერიკულ მხარეს თქვენი კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტის გუნდის წევრი ბრძანდებით?**

— მამაჩემი ყოველთვის ერთ რჩევას მაძლევდა — არასოდეს არავის კაცი და არავის გუნდში არ ვყოფილიყავი და დღემდე მივყვები ამ პრინციპს... ვფიქრობ, კანდიდატურის შერჩევისას გენპროკურორის, ამერიკული მხარისა და პრეზიდენტის პოზიცია ერთმანეთს დაემთხვა.

— **ახალი ტიპის სამსახური არჩევნებზე რეაგირებასაც ხომ არ აპირებს?**

— ეგ გამორიცხულია, რადგან ჩვენი სამსახურის სრულ ამოქმედებამდე კიდევ ერთი თვე მაინც დაგვჭირდება.

# ვინ და როგორ გვაკვირდება?

## რა დასკვნებს დადებენ დამკვირვებლები არჩევნებზე

შეიძლება ითქვას, რომ არჩევნები პოლიტიკური დოღია, სადაც ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლა ნიღაბია და ობიექტურობამდე ჯერ კიდევ შორია... თუმცა აქვე უნდა ითქვას, ახლანდელი არჩევნები ადრინდელებთან შედარებით უფრო ობიექტური იყო, არა იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტიები გამჭვირვალენი და ზნეობრივნი გახდნენ, უბრალოდ, გაჩნდა კონტროლის მეტი ბერკეტი... ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში 17 დასახელების საერთაშორისო დამკვირვებელია ჩამოსული, რომელთა მიზანი მარტო არჩევნების ობიექტურად ჩატარების გაკონტროლება არ გახლავთ. მიუხედავად არჩევნების ოფიციალურად დასრულებისა, ძალთა პოლიტიკური გადანაწილება სწორედ დღეიდან დაიწყება. საერთაშორისო დამკვირვებლების მისიაშიც ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ ეს იქნება. გავლენის სფეროების გადანაწილება საბოლოოდ განსაზღვრავს, ვინ იქნება მთავარი პოლიტიკური ძალა საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ჩვენი დონის ქვეყნებში, არჩევნების შედეგებს ხომ ძირითადად განსაზღვრავს ფული და „მესამე ძალა“, რომელიც გარკვეულ „ფსონს“ დებს მისთვის სასურველი პოლიტიკური ძალის ამოსატივტივებლად. რა თქმა უნდა, საერთაშორისო დამკვირვებლები კიდევ ერთხელ შეაჯამებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, გამოიკვეთება პარტიების პოლიტიკური იმიჯი და დასკვნაც დაიდება, რომელიც პასუხს გასცემს კითხვას, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ე.წ. „მესამე ქვეყნად“ ყურყუტი. სადავოც არაფერი იქნება, რადგან განვითარებული ქვეყნების დონემდე, გნებავთ პოლიტიკური ცნობიერებით, მართლაც ძალიან ბევრი გვიკლია. „კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომლებმაც დაკვირვება აწარმოეს (და განაგრძობენ) 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

1. ეუთოს დამკვირვებელთა მისია 700 კაცი
2. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა 31
3. ევროსაბჭო 40
4. ევროპარლამენტი 31
5. IFES (საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი) 100
6. გაერო 7
7. LINKS (კონფლიქტებისა და სახელმწიფო მშენებლობის ლონდონის საინფორმაციო ქსელი) 7
8. საკეაგ (საერთაშორისო ასოციაცია „კავკასია: ეთნიკური ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, გეოპოლიტიკა“) 320
9. დსთ 68
10. სამართლიანი არჩევნები 3100
11. ბელორუსიისა და უკრაინის კავშირის საპარლამენტო კრება 20
12. საფრანგეთის საელჩო საქართველოში 8
13. უზბეკეთის საელჩო 4
14. IRI (აშშ-ის საერთ. რესპ. ინსტიტუტი) 32
15. IGFM (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთ. ორგ.) 52
16. უკრაინის რადა და „Голос“ (უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტი) 40
17. NDI (ამერიკის ეროვნულ-დემოკრატ. ინსტიტუტი) 131

მაშ ასე! არჩევნების დღეს სულ 4691 დამკვირვებელი გვაკვირდებოდა.

***მოამზადა მარინა მამისაშვილმა***

# „კლაფორანის“ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი




„კვირის პალიტრის“ 38-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით — „მედიკამენტების შეძენისას დიდი სიფრთხილე გმართებთ“, რომელიც შეეხებოდა თბილსის ბაზრობებსა და ჯიხურებში გასაყიდად გამოტანილ ფალსიფიცირებულ მედიკამენტებს.

სტატიაში მოთხრობილი იყო შემთხვევა, როდესაც 1 წლის ბიჭუნას ექიმებმა ფილტვების ანთების დიაგნოზი დაუსვეს და შესაბამისად სამკურნალოდ მედიკამენტი „კლაფორანი“ დაუნიშნეს. მიუხედავად ამისა, ბავშვის მდგომარეობა უარესდებოდა, რამაც სამდღიანი „მკურნალობის“ კურსის შემდეგ ექიმი „კლაფორანის“ ვარგისიანობაში დააეჭვა. ბავშვის მშობლებმა ამჯერად პრეპარატი სხვა აფთიაქში შეიძინეს. პირველივე ინექციის შემდეგ პატარა დამშვიდდა და რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდა კიდეც...

მოთხრობილი ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში მშობლებმა სამკურნალოდ ფალსიფიცირებული წამალი შეიძინეს, რომელმაც ბუნებრივია შედეგი არ გამოიღო. ხოლო მეორეჯერ მედიკამენტი ვარგისი (ორიგინალი) აღმოჩნდა, რის გამოც ბავშვის გამოჯანმრთელებამაც არ დააყოვნა.

მსგავსი შემთხვევა ექიმებისთვის სულაც არ გახლავთ უცხო. ამის შესახებ ფარმაცევტები შემდეგ განმარტებას იძლევიან: მედიკამენტების ფალსიფიცირება მავანთათვის ძალზე მომგებიანი და ფინანსურად სახარბიელო საქმეა. სწორედ ამიტომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც ფარმაცევტულ ბაზარზე უამრავი ფალსიფიცირებული პროდუქტი ტრიალებს. ბუნებრივია ფალსიფიკატორები სამიზნედ პოპულარულ, ეფექტურ და ხშირად გამოყენებად პრეპარატებს ირჩევენ. კონკრეტულ შემთხვევაში ეს მედიკამენტი — „კლაფორანი“ აღმოჩნდა.

მედიკამენტ „კლაფორანის“ მწარმოებელი ძალზე სოლიდური და მსხვილი, გერმანულ-ფრანგული ფარმაცევტული ფირმა „ავენტის ფარმა ინტერნაციონალია“. ფირმის წარმომადგენლების განმარტებით, მათთვის ცნობილი იყო საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე (და არა მარტო) ფალსიფიცირებული „კლაფორანის“ არსებობის შესახებ, რის წინააღმდეგაც სპეციალურად დამუშავდა და დაიბეჭდა ბუკლეტები, როგორც ექიმებისთვის, ასევე მოსახლეობისთვის. ბუკლეტებში დეტალურად იყო მოცემული ფალსიფიცირებული პროდუქტებისგან ორიგინალის განმასხვავებელი ნიშნების შესახებ ინფორმაცია.

გარდა ამისა, ფალსიფიცირებული მედიკამენტების აღმოსაჩენად, ჩატარდა აფთიაქების შემოწმება. შედეგად გამოვლინდა ფალსიფიცირებული პროდუქციის რამდენიმე სერია. მაგრამ მიღებულმა ღონისძიებებმა რეალური შედეგი არ გამოიღო. ფალსიფიკატორებიც სწორედ ისეთივე შეფუთვას უკეთებდნენ, ამიტომაც ორიგინალისგან გარჩევა კვლავაც ძალზე რთული იყო.

სწორედ ამიტომ, „ავენტის ფარმა ინტერნაციონალის“ საქართველოს წარმომადგენლობამ, ოფიციალური თხოვნით მიმართა ფირმის სათაო ოფისს პარიზში, რათა საქართველოში რუსული შეფუთვით (ფალსიფიცირებული ნაწარმიც სწორედ რუსული შეფუთვით და წარწერით გამოდის) გამოცემული მედიკამენტის ნაცვლად, ევროპული სტანდარტული შეფუთვით, ფრანგულ-ინგლისური წარწერიანი წამალი შემოეტანათ, რაზეც ფირმის საქართველოს წარმომადგენლობამ თანხმობა მიიღო.

შედეგად 2003 წლის მარტიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მიერ ოფიციალურად გაიცა ლიცენზია ჩვენთან მედიკამენტ „კლაფორანის“ ევროპული სტანდარტული შეფუთვით შემოსვლის უფლებით. მედიკამენტს წინამორბედისგან განსხვავებით დამატებით გამხსნელიც მოჰყვება.

სწორედ ზემოთ აღნიშნული პირობების გამო, ახლა უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენს ფალსიფიცირებული და ორიგინალი პრეპარატის გარჩევა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ამჟამად, უპრობლემოდ და ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეგიძლიათ შეიძინოთ „კლაფორანი“ ფრანგულ-ინგლისური წარწერით, განსაკუთრებით კი ლიცენზირებულ, ოფიციალურ აფთიაქებში.

R

# ვის სურს NATO-სთან წაჩხუბება?

## რუსული მასმედია ჯორჯ რობერტსონს საქართველოს უპირისპირებს



გასულ კვირას, NATO-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი თავისი ბოლო ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში, NATO-რუსეთის ურთიერთობის დეტალების გასარკვევად.

მიუხედავად ურთიერთობის გაუმჯობესებისა, რუსეთსა და NATO-ს შორის დაპირისპირება კვლავ ძალაში რჩება. ამას წინათ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ „თეთრ წიგნში“ NATO კვლავ პოტენციურ მტრადაა აღქმული.

ამიტომაც რუსეთის სახელისუფლებო მასმედიისთვის, ჩინოსანთა „ჩაწოდებით“, ძალზე მომგებიანი გახდა ინფორმაციის გავრცელება იმის შესახებ, რომ NATO ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების თაობაზე ადაპტირებული ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან და მოლდავეთიდან გაყვანას არ უკავშირებს.

ამან, ცხადია, შეაშფოთა ქართველი დიპლომატები და NATO-ში საქართველოს მისია დაუკავშირდა გენერალური მდივნის ოფისს. იქიდან მოკლე პასუხი მიიღო — რუსეთის საინფორმაციო არხებმა ჯორჯ რობერტსონის გამოსვლა არასწორად განმარტეს. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების საკითხები პირველ რიგში ეუთოს კომპეტენციაა და არა NATO-ს, თუმცა NATO დაინტერესებულია ხელშეკრულების რატიფიცირებით და 1999 წლის სტამბოლის სამიტზე მიღწეული შეთანხმების შესრულებით.

ოთხი წლის წინ, რუსეთმა, სტამბოლის სამიტზე, თანხმობა განაცხადა, რომ გაიყვანდა სამხედრო ნაწილებს საქართველოდან და მოლდავეთიდან.

თუკი მოლდავეთიდან რუსული სამხედრო ბაზის შეიარაღებით სავსე სარკინიგზო ეშელონების გასვლას დნესტრისპირელი სეპარატისტები აფერხებენ, ერთი შეხედვით, ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას ხელს არაფერი უნდა უშლიდეს.

თავის მხრივ, მოსკოვიც ოფიციალურად აცხადებს, რომ თანახმაა გაიყვანონ ეს ბაზები, ოღონდ 11 წლის განმავლობაში. ქართული მხარე კი, ამის შესრულებას 3 წელიწადში ითხოვს.

მაგრამ ვინ გამორიცხავს, რომ რუსული სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას საქართველოს ტერიტორიაზე არ შეუშლის ხელს ბათუმში — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ხოლო ახალქალაქში — იქაური სომეხი ეროვნების ხელისუფალნი (გუდაუთაზე უკვე ლაპარაკიც აღარ არის, რადგან იქ დღემდე საერთაშორისო დამკვირვებლები არ შეუშვიათ)?

ან უნდა კი რუსეთს, დაკარგოს ასეთი მშვენიერი პოლიტიკური დასაყრდენები საქართველოსა და მოლდავეთში? მოსკოვი პოზიციებს იმაგრებს ტაჯიკეთში, სადაც 201-ე მოტომსროლელი დივიზიის ადგილას სამხედრო ბაზას ქმნის და ყირგიზეთში — ათიოდ დღის წინ იქ თავად პრეზიდენტმა პუტინმა გახსნა ახალი რუსული სამხედრო-საჰაერო ბაზა.

ყოველივე ამის ფონზე რეალური ხდება, რომ რუსეთი ყველანაირად ეცდება, გააჯანჯლოს საქართველოში თავისი სამხედრო ბაზების დახურვის პროცესი. მოსკოვი ელოდება, თუ როგორ ჩაივლის ჯერ საპარლამენტო, ხოლო შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში და ეცდება, შეინარჩუნოს თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიის ამ რესპუბლიკაზე, რადგან გეოპოლიტიკურად მოწყვეტილი სომხეთი რუსეთის იმედებს ვერ ამართლებს.

# სასაზღვრო საგუშაგოები იკეტება

## უსახსრო მესაზღვრეები თოვლის იმედად



საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული რაიონი გახლავთ — მეტად ხშირია სასაზღვრო ინციდენტები, რაც უმთავრესად ჩეჩნეთში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტთანაა დაკავშირებული. ამიტომაც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გავრცელებულმა ინფორმაციამ, აქ რამდენიმე სასაზღვრო საგუშაგოს გაუქმების შესახებ, შეიძლება მოქალაქეები გააკვირვოს.

მაგრამ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა, თუნდაც თებულოს სასაზღვრო საგუშაგოზე, მიხვდება, რომ ქართველი გუშაგები ზამთარში იქ ვერ გაძლებენ, მით უმეტეს, ისეთ საველე პირობებში (კარვებში!), როგორშიც იმყოფებიან.

ამასთან, ნაკლებდასაჯერებელია, რომ დიდთოვლობისას, საზღვრის დამრღვევებმა ეს რთული, სიცოცხლისთვის სარისკო მონაკვეთი აირჩიონ ჩვენს ქვეყანაში შემოსასვლელად.

თუმცა რამდენჯერმე ჯიუტმა ჩეჩნებმა მაინც გადმოლახეს ეს სახიფათო მონაკვეთი, მაგრამ რამდენიმე მათგანი ხევში ჩაიჩეხა, ბევრს კი კიდურები მოეყინა.

ქართველი მესაზღვრეები ცდილობენ, საგუშაგოების ზამთრის პერიოდში გაუქმება დაუკავშირონ კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხს — მწირი დაფინანსების გამო საზღვრის საჭირო დონეზე დაცვა შეუძლებელი ხდებაო, — უკვე დაუფარავად აცხადებენ მესაზღვრე გენერლები.

საზღვრის, მით უმეტეს, ჩეჩნეთის მონაკვეთის ბედის, უფრო სწორად კი, თოვლის ანაბარა მიტოვება, თუნდაც უსახსრობის მომიზეზებით, ნამდვილად არ არის მართებული. მაგრამ თუ საგუშაგოები ზამთარში მაინც დაიხურება, თოვლზე კარგად ჩანს ნაფეხურები და თუნდაც მხოლოდ შვეულმფრენით მისი დათვალიერებისას მკაფიოდ გამოჩნდება, რამდენმა ადამიანმა დაარღვია საზღვარი.

# უვარგისი რაკეტების დაშლაშიც NATO უნდა დავიხმაროთ?

საბჭოთა „ნობათის“ — უკვე უვარგისი რაკეტების უტილიზაციისთვის, NATO საქართველოსთან ერთად სპეციალური ფონდის შექმნას აპირებს. ამის შესახებ NATO-მ 28 ოქტომბერს გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ პროექტი ითვალისწინებს ფონიჭალისა და ჭალადიდის ყოფილ სამხედრო ნაწილებში არსებული რაკეტებისა და ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დარჩენილი გაუნაღმავი საბრძოლო ჭურვების განადგურებას.

პროექტის საერთო ღირებულება თითქმის 800 ათას ევროს აღწევს. NATO თვლის, რომ ამ თანხაში საქართველომ თავისი წვლილიც უნდა შეიტანოს.

როგორც ირკვევა, 3 ნოემბერს ბრიუსელში ხელი მოეწერება ამ პროექტს. რაკეტების გარდა, ის ითვალისწინებს საბრძოლო ჭურვებისა და საავიაციო ბომბების უტილიზაციასაც, რომელიც უკვე იყო დაწყებული დიდი შირაქის აეროდრომზე, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, დროებით შეწყდა არჩევნებამდე (ამის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა).

რაც შეეხება რაკეტების უტილიზაციას, აქ ლაპარაკია C-75 ტიპის საზენიტო რაკეტების ფუგასური ქობინების აფეთქებასა და რაკეტების კორპუსების დაჭრაზე. ჭალადიდიდან რაკეტებს ფონიჭალაში ჩამოიტანენ და იქ დაშლიან, ხოლო საშიშ საბრძოლო ქობინებს ვაზიანში წაიღებენ ასაფეთქებლად.




აქცია ძალაშია პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს გენერატორს. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს



ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
თევდორე მღვდლის 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
ჩოლოყაშვილის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ჯავახეთის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
კახეთის გზატკეცილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლეკა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ბრიტანეთის არმია უფულოდ რჩება

ერაყის ომში მონაწილეობამ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს ფინანსური პრობლემები გაუჩინა. თავდაცვის მინისტრმა ჯეფი ჰუნმა, თავისი ქართველი კოლეგისა არ იყოს, უფულობის გამო კინაღამ ცრემლები გადმოყარა. თქვა, — ერაყში გაგზავნილი სამხედროების დაფინანსების გარდა, ბლომად ფული მოითხოვა ახალწვეულთა დიდი რაოდენობით გაწვევამაცო.

ამჟამად დიდი ბრიტანელი სამხედროები „იმუქრებიან“, თუ ფინანსთა სამინისტრო დაფინანსებას არ გაგვიზრდის, ვერ შევძლებთ 232 ახალი გამანადგურებლის — „ევროფაიტერის“ — შეძენასო (თითოეული 50 მლნ გირვანქა სტერლინგი ღირს).

სამხედრო ექსპერტები ამ მუქარას დაფინანსების გასაზრდელად გამიზნულ მორიგ ფანდად მიიჩნევენ. „ფული არმიას მათი უხეირო ხელმძღვანელობის მიზეზით აკლდება“, — ამბობენ ისინი.

მეტად ნაცნობი სურათია, არა?!

## NATO ყაზახეთს ფლოტს შეუქმნის



ახლო მომავალში კასპიის ზღვა შეიძლება რეალური საზღვაო დაპირისპირების ასპარეზად იქცეს.

11 წლის წინ კასპიის ზღვაში სამხედრო-საზღვაო ფლოტი მხოლოდ ორ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირსა და ირანს გააჩნდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიარაღებულ ქვეყანათა რიცხვში, გარდა რუსეთისა და ირანისა, აღმოჩნდა აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი.

ყაზახეთი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია და შეიარაღება გააჩნდა, სამხედრო-საზღვაო ძალებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებდა — ათიოდე კატარღა და ერთი სადარაჯო ხომალდი მას საშუალებას არ აძლევდა, გაეკონტროლებინა თავისი სანაპირო და, მით უმეტეს, ნავთობით მდიდარი შელფი.

გასულ კვირას ყაზახეთმა თურქეთში, NATO-ს წარმომადგენლებთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მას ფინანსურად დაეხმარება სამხედრო ფლოტის შექმნაში.

## 8 ათასი ტანკი ჯართში!

საბჭოთა ეკონომიკა ალბათ იმიტომაც დამარცხდა, რომ 1991 წლისთვის არმიის შეიარაღებაში 60 ათასამდე ტანკი იყო. დღესაც რუსული სამხედრო ნაწილები გატენილია უპატრონოდ მიყრილი ტანკებითა და ჯავშანმანქანებით.

რუსი პარლამენტარები ცდილობენ, ქვეყნის ბიუჯეტი გარკვეულწილად შეავსონ უვარგისი შეიარაღების უტილიზაციის შედეგად.

ისინი ამზადებენ დადგენილებას, რომლის თანახმადაც, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 2005 წლამდე უტილიზაცია უნდა ჩაუტაროს 650 კოსმოსურ აპარატს, 600 წყალზედა ხომალდს, 650 ბალისტიკურ რაკეტას, 5.000 ფრთოსან და ნავსაწინააღმდეგო რაკეტას, 2.000 თვითმფრინავს და შვეულმფრენს. ასევე უნდა გადაადნოს 8.000 ტანკისა და ჯავშანმანქანის კორპუსი და 1 მლნ ავტომატი და პისტოლეტი.

ეს რუსეთს, ჯართად ჩაბარებისას, სავარაუდოდ, 34 მლრდ რუბლს მოუტანს. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ უტილიზაცია უწევს იმ შეიარაღებას, რომლის თვითღირებულება 20 მლრდ რუბლი მაინც იქნება.



# ერაყში ბუშს ჰუსეინი კი არა, ბინ ლადენი დაუპირისპირდა

## ვინ აწყობს დივერსიებს ბაღდადში?



ერაყში დიდი ხანია აღარ უკვირთ ტერორისტული აქტები, მაგრამ ის, რაც გასულ კვირას მოხდა, მართლაც გამაოგნებელია — ათამდე ტერორისტულმა აქტმა ასამდე ადამიანი შეიწირა. მათ შორის წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, რომლებზე თავდასხმისგანაც თვით ყველაზე დაუნდობელი ტერორისტებიც კი თავს იკავებენ.

ვინ ახდენს ერაყში ყოველდღიურად დივერსიებს? უკვე ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტერორისტული აქტების უკან მარტო სადამ ჰუსეინის მომხრე ერაყელები არ დგანან.

ნელ-ნელა იკვეთება გამოცდილი ტერორისტების ხელი. მარტო ის ფაქტი, რომ დივერსანტებმა 62-ტონიანი ამერიკული ტანკი „აბრამსი“ ააფეთქეს ნაღმით, ხოლო ამერიკის შტაბს „კატიუშას“ ტიპის უმართავი რაკეტები დაუშინეს (სწორედ ასე ესვრიან „კასიმის“ ტიპის რაკეტებს პალესტინელები ებრაულ დასახლებებს), მეტყველებს იმაზე, რომ ერაყი საერთაშორისო ტერორიზმის ასპარეზად იქცა.

ანუ რატომ უნდა იწვალონ უსამა ბინ ლადენის მებრძოლებმა შორეულ ამერიკაში შესაღწევად, როდესაც ამერიკელთა დახოცვა იქვე, ყურისძირში, ერაყშიც შეიძლება?

დივერსიების ხელწერა კი მიუთითებს, რომ მათ შემსრულებლებს საკმაო გამოცდილება აქვთ დაგროვილი ავღანეთსა თუ ახლო აღმოსავლეთში.

საგულისხმოა, რომ ტერორისტები აღარ სჯერდებიან მარტო ამერიკელებზე თავდასხმებს. მათ ყუმბარმტყორცნებით უკვე ააფეთქეს ერთი უკრაინული ჯავშანტრანსპორტიორი. დაიჭრა 7 უკრაინელი სამხედრო (სხვათა შორის, „კვირის პალიტრა“ ა.წ. ზაფხულში თავად იყო მოწმე, როგორ ემზადებოდნენ უკრაინელი მედესანტეები ერაყში გასამგზავრებლად ოდესის ახლოს, „შიროკი ლანის“ პოლიგონზე). მოგვიანებით თავს დაესხნენ პოლონურ კონტინგენტს.

ეს კი ნიშნავს, რომ ტერორისტები ერაყში ცვლიან მოქმედების გეგმას და იწყებენ ტოტალურ თავდასხმებს არა მარტო ამერიკელ და დიდ ბრიტანელ სამხედროებზე...

# არსენალი

## ჯიპი „სტინგერით“



Avenger

მას შემდეგ, რაც რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა შეწყვიტეს საქართველოს ტერიტორიის დაბომბვა, ქვეყნის ხელისუფლებამაც შეწყვიტა ქვეყნის საჰაერო თავდაცვის სისტემის მოწყობაზე ფიქრი.

მაგრამ არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში ასე არ ხდება, რადგან იქ იციან, რომ საჰაერო თავდაცვის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სისტემის შექმნასა და ეფექტიანად ამუშავებას წლები სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ზეძლიერ ამერიკას გააჩნია ეფექტიანი საზენიტო და ანტისარაკეტო კომპლექსები, მაინც აგრძელებს ახლო მოქმედების რადიუსის მქონე საჰაერო თავდაცვის იარაღის შექმნას.

ერთ-ერთ ასეთი სახეობად იქცა საყოველთაოდ ცნობილი ორი საიარაღო სისტემის — საზენიტო რაკეტა Stinger-ისა და ყველგანმავალი სამხედრო ჯიპის M988 HMMWV-ის, იმავე „ჰამერის“ შერწყმა.

მართალი რომ ითქვას, პენტაგონი ნამდვილად არ ყოფილა პირველი, ვისაც რაკეტების ჯიპზე დამონტაჟების იდეა მოუვიდა თავში.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა არმიის შეიარაღებაში გამოჩნდა გორკის ქარხნის ჯიპები — „კოლხოზნიკები“, რომელთა ტენტის ქვეშ ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური მართვადი რაკეტა Малютка-ს გასაშვები დანადგარი იმალებოდა.

მაგრამ რაღა შორს წავიდეთ, როდესაც 1991 წლის ბოლოს, თბილისის სამარცხვინო ომში სასტუმრო „თბილისის“ დამწვარი შენობის წინ იდგა ოპოზიციის საბურავებდაშვებული „უაზ“-ის მარკის ჯიპი, რომლის სალონი რკინის კედლით იყო გადატიხრული, ხოლო საბარგულში „ალაზნის“ ტიპის სეტყვასაწინააღმდეგო საზენიტო დანადგარი იდგა.

დავუბრუნდეთ ბორბლებიან „სტინგერს“. „ჰამერიდან“ „სტინგერების“ გაშვება ამერიკელებმა პირველად 1984 წელს სცადეს როგორც მანქანის მოძრაობის დროს, ისე წვიმისა და ღამის პირობებში და 174 გასროლიდან, სამის გარდა, ყველა მიზანს მოარტყეს.

დღეისათვის პენტაგონის შეიარაღებაში „ჰამერისა“ და „სტინგერის“ „ნაჯვარი“ 1.115 ერთეული საბრძოლო მანქანაა, რომელსაც საკუთარი სახელი — Avenger-ი ჰქვია.

ერთი შეხედვით, Avenger-ის სამხედრო სპეციალისტებს საბჭოთა თვითმავალ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს — Стрела-1-სა და Стрела-10-ს აგონებთ, რადგან მასში, ისევე როგორც საბჭოთა მანქანებში, სამართავი პულტი სარაკეტო დანადგარებს შორისაა მოთავსებული.

თუმცა თანამედროვე აპარატურის მხრივ, Avenger-ი, რა თქმა უნდა, საბჭოთა „კოლეგებზე“ ბევრად მაღლა დგას.

„სტინგერის“ გასაშვები დანადგარი (მასზე გასაშვებად გამზადებული „სტინგერის“ 8 რაკეტაა მოთავსებული) ჰიდროსტაბილიზებულ პლატფორმაზე დგას და რაკეტის მიზანში სროლა „ჰამერს“ 35 კმ/სთ-მდე სიჩქარით მოძრაობის დროსაც შეიძლება.

Avenger-ის მთავარი „შარმია“ მისი „სამიზნეების ავტომატური თანყოლა“, ანუ თუ მისმა ოპტიკურმა დასამიზნებელმა სისტემამ და სითბოვიზორმა (ღამით) „ჩაიჭირა“ მოწინააღმდეგის საფრენი აპარატი, მაშინ რაკეტებიანი პლატფორმა ავტომატურად იმ მხარეს მიბრუნდება, საითკენაც სამიზნე მიფრინავს. ოპერატორს ისღა რჩება, რაკეტის სასროლ ღილაკს დააჭიროს თითი.

ამჟამად მიმდინარეობს Avenger-ის მოდიფიცირება. ახლებური Avenger-ის ოპერატორი აღარ დაელოდება, ვიდრე მისი მანქანის დამიზნების აპარატურა მიზანს „დაიჭერდეს“; იგი შტაბიდან ავტომატურ რეჟიმში მიიღებს რადიოლოკაციური სადგურის მონაცემებს და „სტინგერს“ წინასწარ უშვებს მოწინააღმდეგის მიმართულებით. მიზანთან მიახლოებული „სტინგერი“ კი, თავისი „ჭკვიანი თვალით“, აფიქსირებს მტრის თვითმფრინავის ძრავის გახურებულ საქშენს და მას „დაუპატიჟებლად ესტუმრება“.

Avenger-ზე განთავსებულ Stinger-ებს თავში გაკეთებული აქვთ თვითდამიზნების მოწყობილობა, რომელიც სამიზნეს „ეძებს“ როგორც ინფრაწითელი, ისე ულტრაიისფერი სიგრძის ტალღების დიაპაზონებში. ამიტომაც ამ სრულყოფილი „სტინგერის“ მოტყუება ე.წ. „ლოვუშკებით“ ანუ АСО-ებით (როდესაც თვითმფრინავები გვერდებზე მინირაკეტებს ისვრიან სითბოს გამოყოფის მიზნით) შეუძლებელია.

Avenger-ით ნასროლი Stinger-ი მაქსიმალური 5,5 კმ-ის სიშორეზე და 3,8 კმ-ის სიმაღლეზე ზებგერით თვითმფრინავსაც ადვილად აგდებს, რადგან თავად რაკეტის სიჩქარე 2.400 კმ/სთ-ს აღწევს და თან 10 კგ საერთო მასის რაკეტას 3 კგ-იანი მსხვრევადფუგასური ქობინი უყენია.

სხვათა შორის, თუ მოწინააღმდეგის შვეულმფრენი Avenger-ს 100 მეტრზე მიუახლოვდა, მაშინ ნაქები Stinger-ი ვერას ხდება. ამ შემთხვევისთვის ამერიკელებმა „ჰამერზე“ 12,7 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი დააყენეს.

# მკითხველის სვეტი

**გთხოვთ მოგვითხროთ ამერიკული ორხრახნიანი (წინა და უკანა) შვეულმფრენების შესახებ.**

***თემურ მექერიშვილი***

## ამერიკული მფრინავი „ვაგონები“

უცნაური ფორმის შვეულმფრენი, რომელიც რაღაცით „ვაგონს“ წააგავს, ახალია ჩვენი მკითხველისთვის. ამგვარ აპარატებს არასოდეს უფრენიათ საქართველოს ცაში, თუმცა ბოლო წლებში გახშირებული NATO-ს სწავლებების მეოხებით, მათაც გავეცნობით.

აზრი, რომ შვეულმფრენი წრფივად (ერთ ხაზზე) განთავსებულ ორ, საპირისპიროდ მოძრავ ხრახნს აეფრინა ჰაერში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში წარმოიშვა. მაშინ ამერიკაში პიასეცკის ამგვარი შვეულმფრენი დაფრინავდა, საბჭოთა კავშირში კი იაკოვლევის Як-24.

დღეისათვის ამ კონფიგურაციის მხოლოდ ორი ტიპის შვეულმფრენი დაფრინავს — ამერიკის საზღვაო ქვეითთა CH-46 Sea Knight-ი და უფრო მოზრდილი CH-47 Chinook-ი.



CH-46 Sea Knight

ამერიკელებს ორი ხრახნის დაყენება ტვირთამწეობის გასაზრდელად დასჭირდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ჩამორჩნენ რუსი კონსტრუქტორის, მილის Ми-6-სა და Ми-26-ს, რომლებიც დღესაც ყველაზე ტვირთამწევ შვეულმფრენებად რჩებიან მსოფლიოში.

სხვათა შორის, საქართველოში საბჭოთა პერიოდში ზემოხსენებული ბუმბერაზი შვეულმფრენების ესკადრილიები იდგა ხონსა (Ми-6) და თელავში (Ми-26).

ფირმა Boening Vertol-ის ამერიკულმა „სი ნაითმა“ პირველი გაფრენა 1962 წელს განახორციელა. მისი ეკიპაჟი 2 ან 3-კაციანია და 25 მედესანტე გადაჰყავს ან ბაგირით გადააქვს 4,5-ტონიანი ტვირთი. იმის გამო, რომ CH-46 ძირითადად საზღვაო ქვეითთა შეიარაღებაშია, მისი კორპუსი ჰერმეტიულია და შეუძლია ავარიულად ზღვაზე დაჯდომა. მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა 9,7 ტ-ს არ აღემატება, ხოლო მოქმედების რადიუსი — 357 კმ-ია.

„სი ნაითზე“ უფრო დიდია მისი „უფროსი ძმა“ CH-47 Chinook-ი. „ჩინუკი“ დესანტის გადასასხმელად და ტვირთის გადასატანად გამოიყენება. გადაჰყავს 44 მედესანტე, თავისი შეიარაღებითურთ, ან შეუძლია ბაგირზე ჩამოკიდებული 10 ტ-ზე მეტი ტვირთის წაღება.

„სი ნაითს“ ორი, თითო 1400 ცხ.ძ-ის სიძლავრის ტურბორეაქტიული ძრავა უყენია, „ჩინუკი“ კი აღჭურვილია ორი (თითოეული 3.750 ცხ.ძ-ის სიმძლავრის) ტურბოხრახნიანი ძრავით. მისი მაქსიმალური სიჩქარე 286 კმ/სთ-ს აღწევს, „სი ნაითისა“ კი 259 კმ/სთ-ია.

პენტაგონი „სი ნაით“-ებსა და „ჩინუკებს“ აქტიურად იყენებს როგორც ავღანეთის, ისე ერაყის კამპანიებში, უმთავრესად საზღვაო ქვეითთა დესანტირებისთვის, აგრეთვე ჰაუბიცებისა და ჯავშნიანი მანქანების გადასატანად.

CH-47 Chinook



ამერიკის სპეციალური ოპერაციების ძალებისთვის შექმნილია „ჩინუკის“ MH-47E მოდიფიკაცია, რომელიც აღჭურვილია დაბალ სიმაღლეზე ღამის ფრენის ელექტრონული აპარატურით და ჰაერში საწვავის შევსების სისტემით. ორივე შვეულმფრენს ხშირად აგდებენ თალიბები და სადამ ჰუსეინის მომხრეები, რადგან მათი გრძელი, ვაგონისებრი ფიუზელაჟი ხელსაყრელი სამიზნეა და „კალაშნიკოვის“ ჯერითაც შეიძლება მათი დაზიანება.

სხვათა შორის, „ჩინუკი“ იყო პირველი ამერიკული წარმოების შვეულმფრენი, რომელიც საბჭოთა МиГ-23 ტიპის გამანადგურებელმა ჩამოაგდო. 80-იან წლებში ირანის კუთვნილმა ორმა „ჩინუკმა“ დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე თურქმენეთის საზღვარზე და საბჭოთა გამანადგურებელმა МиГ-23-მა ორივე მათგანი რაკეტებით ჩამოყარა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***



# სამართლებრივი ნონსენსი

## ამბავი ნემსისა და აქლემის ქურდისა

*ამ წერილის მიზანი სასამართლო პრაქტიკის კრიტიკა არ გახლავთ, მით უმეტეს, უზენაესი სასამართლოსი, სადაც, ქვედა რგოლებისაგან განსხვავებით, კანონისადმი პატივისცემა აშკარად თვალში საცემია. თუმცა განაჩენებითა თუ განჩინებებით უკმაყოფილოებს იქ მრავლად შეხვდებით. რას იზამ, განაჩენი ერთია, მასში მონაწილე მხარე კი მინიმუმ ორი — დაზარალებული და დამზარალებელი, ანუ ბრალდებული.*

*ვეჭვობ, ორივესთვის მისაწონი გადაწყვეტილება ოდესმე მიიღოს რომელიმე სასამართლოს. ჩვენ უფრო კანონის ავკარგიანობაზე გავამახვილებთ ყურადღებას და შევეცდებით, გარჩვენოთ, რა ჰუმანურია ზოგჯერ ჩვენი კანონი აქლემის ქურდის მიმართ იმ დროს, როცა უმკაცრესად ისჯება ნემსის ქურდი. კანონებს კი, მოგეხსენებათ, პარლამენტის ის შემადგენლობა იღებს, რომელსაც თავად ვირჩევთ. იმედია, წინა პარლამენტის მიერ დაშვებულ ბევრ უზუსტობას, პირველ რიგში კი საკანონმდებლო სფეროში, მეტი ყურადღებით მოეკიდება ახალარჩეული ორგანო.*

*ახლა კი იმის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო ამ შესავალს.*

### რაც გინდა ის აკეთე, კანონი დამნაშავეს იცავს, ანუ საპირველაპრილო ხუმრობა

*გთავაზობთ უზენაესი სასამართლოს განჩინების საფუძველზე მომზადებულ მასალებს.*

საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტებისა და ტვირთების დაცვის ბათუმის სამსახური, თავდაპირველად, რესპუბლიკური დაქვემდებარებისა იყო და სამსახურებრივი შინაგანაწესის თანახმად, „საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს 1996 წლის 19 აგვისტოს ერთობლივი ინსტრუქციის“ შესაბამისად უნდა ემოქმედა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სამსახურს მის სამოქმედო ტერიტორიაზე, ანუ ბათუმიდან სამტრედიამდე, რკინიგზის ტვირთები და ობიექტები უნდა დაეცვა. მასვე ევალებოდა დატვირთული სარკინიგზო შემადგენლობების გაცილება საკვანძო სადგურებამდე. პარალელურად, რკინიგზის ამავე მონაკვეთს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოც აკონტროლებდა, რაც თითქოს ჰქმნიდა იმის გარანტიას, რომ საქართველოს რკინიგზის ამ მონაკვეთზე მაქსიმალური წესრიგი დამყარებულიყო. მოხდა კი პირიქით...

როგორც მოგახსენეთ, ამ დანაყოფს ტვირთები მხოლოდ სამტრედიამდე უნდა გაეცილებინა. თუმცა, მისმა უფროსმა მურმან კეკელიძემ გადაწყვიტა ამ დარგში „სიახლე“ შეეტანა, ანუ მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურს ტვირთები ე.წ. „გამჭოლი მეთოდით“ დანიშნულების ადგილამდე გაეცილებინა. ამ, ერთი შეხედვით, კეთილშობილური იდეის განსახორციელებლად, მან ჯერ აჭარის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსის, ტარიელ ბერიძის თანხმობა მიიღო, შემდეგ კი ბათუმში არსებულ საექსპედიციო-სააგენტო ფირმებს — შპს „თეროს“, „აკვასერვისისა“ და „ლოჯისტიკის“ გენერალურ დირექტორებს: რ. ნაკაშიძეს, აწ გარდაცვლილ ბ. გორგილაძეს და ტ. დოლიძეს დაუკავშირდა და თითქოსდა ტვირთების გამცილებელი პოლიციელების სამივლინებო ხარჯების დასაფარავად, მოსთხოვა, — ყოველთვიურად, ტვირთის სახეობების მიხედვით, თითოეულ გადაზიდულ ტონაზე, მისთვის 5-20 ცენტი გადაეხადათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სამსახური აღარ იკისრებდა ტვირთების გაცილებას დანიშნულების ადგილამდე. საკითხავია, რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში? იმიტომ, რომ ვიღაცას ფულის მითვისება უნდოდა, თუ ტვირთები უდანაკარგოდ ვერ აღწევდა დანიშნულების ადგილზე?

ასეა თუ ისე, ფირმების ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ, მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყვნენ. მით უმეტეს, რომ კეკელიძის შემდეგ ისინი ავტონომიური რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის უფროსმა ტარიელ ბერიძემაც მიიწვია და ულტიმატუმი წაუყენა(!), — ტვირთების კონკრეტულ პუნქტამდე მიცილებისთვის მურმან კეკელიძეს გადაუხდით თანხას, არადა თქვენი სამსახურის ტვირთები დაუცველი დარჩებაო.

შპს „თეროს“ გენერალურმა დირექტორმა რ. ნაკაშიძემ კეკელიძისა და ბერიძის მიერ დაკისრებული დამატებითი გადასახადის გადახდა ტვირთების გამომგზავნ უცხოურ კომპანიებს შესთავაზა, რაზეც მხოლოდ თურქული ფირმა „ეთსუნი“ დათანხმდა, დანარჩენებმა უარი თქვეს ხარჯის გაზრდაზე. კლიენტების დაკარგვისა და ტვირთბრუნვის შემცირების შიშით, ფირმის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, პირადი მოგებიდან გაეღო ხსენებული ხარჯები. ასევე მოიქცნენ შპს „აკვასერვისისა“ და „ლოჯისტიკის“ ხელმძღვანელებიც. მაგრამ კეკელიძე-ბერიძის მიერ შეთავაზებულმა ხარჯებმა საგრძნობლად გაზარდა საექსპლუატაციო-სააგენტო ფირმების მიერ გაწეული მუშაობის ღირებულება. ბოლოს და ბოლოს, არაერთგზის შეხვედრის შემდეგ, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, რომ ნაცვლად 5-20 ცენტისა, ერთ ტონა ტვირთზე დამატებით 10 ცენტი უნდა გადაეხადათ.

მაშ ასე, რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების და ტვირთების დაცვის ბათუმის სამსახური, ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული იგნორირებით, ტვირთებს დანიშნულების ადგილამდე აცილებს და თითოეულ ტონაზე 10 ცენტს იღებს. ცხადია, ასეთ დროს საქმეში ზემდგომი, ანუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველო უნდა ჩარეულიყო და აღეკვეთა კერძო გარიგება, რომელიც ბათუმში 1997 წლის იანვარში შედგა. ამის სანაცვლოდ, სატრანსპორტო დეპარტამენტის მთავარმა სამმართველომ იმავე წლის 24 თებერვალს, ანუ ამ გარიგებიდან ერთი თვის შემდეგ №18 ბრძანებით, ბათუმის ტრანსპორტის დაცვის სამსახური „რატომღაც“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს დაუქვემდებარა (უფროსი ტარიელ ბერიძე), ანუ რაც გინდათ, ის ქენით, ჩვენ ხელი დაგვიბანიაო (თუმცა ეს პოზიცია სულაც არ ათავისუფლებს მათ ზემოაღნიშნულ დანაყოფზე პასუხისმგებლობისაგან, რადგან აჭარის სატრანსპორტო პოლიცია საქართველოს შსს-ს შესაბამისი სამსახურის სტრუქტურაში მოიაზრება).

სავარაუდოა, რომ ამ გარემოებამ უფრო გაუხსნა ხელი სახალხო დოვლათის ბათუმელ „დამცველებს“, რომლებიც არც მანამდე ამბობდნენ უარს სხვის ჯიბეში ხელის ფათურზე — ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, 1996 წლის 1-ელ აპრილს, საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველო, ბათუმელი კოლეგების თხოვნით გამოსცემს ბრძანებას (№52), ამავე სამმართველოს ქ. ბათუმის სამსახურის 60 პოლიციელის მატერიალური სტიმულირების მიზნით, თითოეულის 40 ლარით დაჯილდოების შესახებ. აღნიშნული თანხა, შესაბამისი უწყისით, გაწერა მურმან კეკელიძემ, პოლიციელებს ხელი მოაწერინა ფულის მიღებაზე, მაგრამ მშრალზე დატოვა... ამ, ასე ვთქვათ, „საპირველაპრილო ხუმრობამ“ 2.320 ლარი შესძინა მურმან კეკელიძეს. იურიდიულ ენაზე კი ამას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და ისჯება კიდეც.

> **წერილის ავტორს პირადად უნახავს არა ერთი და ორი არასრულწლოვანი, რომლებიც სულ უმნიშვნელო დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს შესაბამის კოლონიაში. უარესიც: ორი წლის წინ, დიდებისთვის განკუთვნილ ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ვნახე 15 წლის ბიჭი, რომლის ცოდვით კოლონიის ადმინისტრაციასთან ერთად პროფესიონალი დამნაშავეებიც კი იწვოდნენ**

იმავე წლის დეკემბერში, დაცვის სამსახურის 14-მა პოლიციელმა, რომლებიც გაუსაძლის ყინვასა და ქარში „მწვანე კონცხის“ გვირაბს იცავდნენ, სამორიგეო ოთახის გასათბობად შენობის უვარგისი, სარემონტო ოთახის იატაკი აყარეს. მურმან კეკელიძის განკარგულებით, მათ ხელფასიდან 55-55 ლარი, ანუ სულ 770 ლარი დაუკავეს იატაკის აღსადგენად. მაგრამ მურმან კეკელიძეს იატაკის აღდგენა არც უფიქრია, ეს მხოლოდ საბაბი გახლდათ. ფული, რა თქმა უნდა, მიითვისა, თანაც უკვე მეორედ (ეს — რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი) და ვისი, დამშეული (არ გვეშინია ამ სიტყვისა, — ვ.გ.) პოლიციელებისა, რომელთაც ფირმებთან კანონსაწინააღმდეგო გარიგების შემდეგ სამივლინებოდ 15-20 ლარს თუ მიუგდებდა ტვირთების დანიშნულების ადგილებამდე გაცილების საზღაურად.

1997-99 წლებში ანუ სამი წლის მანძილზე, კეკელიძე-ბერიძემ ზემოაღნიშნულ ფირმებს მათი კუთვნილი ტვირთების გაცილებისათვის 164.560 ლარი გადაახდევინა, საიდანაც სულ რაღაც 25.390 ლარი არგუნეს პოლიციელებს(?!).

რადგან დამშეული პოლიციელები ვახსენე, ერთ ამბავსაც მოგითხრობთ: 1999 წლის 1-ელ მაისს, ღამით, როცა მთელი დატვირთვით მუშაობს კანონსაწინააღმდეგო შეთანხმება ტვირთების გაცილებაზე კეკელიძე-ბერიძის მიერ დაწესებული ნიხრებით, დაცვის ბათუმის სამსახურის პოლიციელებმა, დატვირთული ვაგონიდან შპს „თეროს“ კუთვნილი 57 ტომარა შაქარი მოიპარეს. გიჟი ხომ არა ვარ, ზედმეტი ფულიც გაძლიოთ, თან თავი გაგაქურდვინოთო — და ფირმის გენერალურმა დირექტორმა რ. ნაკაშიძემ, 1999 წლის 1-ლი მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, 111.500 ტ ტვირთის გაცილებისათვის მურმან კეკელიძეს აღარ გადაუხადა 11.150 დოლარი.

გაგულისებულმა მურმან კეკელიძემ შეფთან, ტარიელ ბერიძესთან, შეთანხმებით, განკარგულება გასცა — დაცვის ქვეშ აღარ აეყვანათ შპს „თეროს“ კუთვნილი 35 ვაგონი, რომლებიც მოგვიანებით, ნაკაშიძის ხვეწნა-მუდარის შემდეგ, რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის დავალებით, სამტრედიის დაცვის სამსახურის პოლიციელებმა გააცილეს დანიშნულების ადგილამდე.

კეკელიძემ და ბერიძემ კი აიძულეს რ. ნაკაშიძე 1999 წლის სექტემბრიდან განეგრძო ტვირთების გაცილებისათვის ზედმეტი თანხის გადახდა, მაგრამ ზემოთ ნახსენები 11.150 დოლარის გადახდაზე მან ცივი უარი განაცხადა. კეკელიძე-ბერიძემ, კიდევ ერთხელ რომ ესწავლებინათ ჭკუა „ურჩი გადამხდელისთვის“ ამჯერადაც დაავალეს მათდამი დაქვემდებარებულ პოლიციელებს, დაცვის ქვეშ არ აეყვანათ შპს „თეროს“ საქონლით დატვირთული 27 ვაგონი, რომლებიც 8 დღის შემდეგ, ისევ დაცვის სამსახურის სამტრედიის პოლიციელებმა გააცილეს.

კეკელიძისა და ბერიძის „საქმიანობამ“ შპს „საქართველოს რკინიგზა“ 14.147 ლარით აზარალა. შესაბამისად, დაირღვა ამ ორგანიზაციის უფლებები და კანონიერი ინტერესები. უარეს დღეში აღმოჩნდა შპს „თეროც“.

მოთმინების ძაფი მხოლოდ ამის შემდეგ გაწყდა და, ბოლოს და ბოლოს, დადგა მანამდე დაუსჯელობით გათავხედებული სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხი. საქმე, ქვემდებარეობისამებრ, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა და მურმან კეკელიძეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, მსჯავრი სამი წლის გამოსაცდელი ვადით შეუცვალეს. ტარიელ ბერიძესაც გამოსაცდელი ვადით განესაზღვრა სასჯელი. არც ერთი და არც მეორე მსჯავრდებული ერთი დღეც არ მჯდარა, თუნდაც წინასწარი დაკავების საკანში. ასე რომ, მათი სასჯელი, ფაქტობრივად, მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ორივე სამსახურიდან დაითხოვეს და ზარალის ანაზღაურება მხოლოდ შპს „თეროსა“ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარგებლოდ დააკისრეს (საფიქრალია, რომ სხვა ფირმებს ეს საკითხი არ წამოუჭრიათ).

დიდი ძალა ჰქონია დაუსჯელობის სინდრომს. ლმობიერი განაჩენით გათამამებულმა კეკელიძემ და ბერიძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართეს — არიქა, გვიშველეთ, სულ ტყუილად დაგვსაჯეს და გთხოვთ, ჯერ აჭარის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმოთ, შემდეგ კი, საერთოდ შეწყდეს აღნიშნული საქმე, როგორც უსაფუძვლო, აღგვადგინეთ ჩვენს თანამდებობებზე, აგვინაზღაურეთ განაცდური ხელფასი და სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცით ჩვენ მიმართ დაშვებულ ყველა დარღვევასა და უკანონობასო(?!).

თითქოსდა წარმოუდგენელია, მაგრამ რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ (რომელმაც თავად მოგვაწოდა აქ აღწერილ საქმეთა მასალები) მართლაც განიხილა მათი საჩივარი — ტარიელ ბერიძეს ერთი წლით შეუმცირა გამოსაცდელი ვადა და მხარეებს უფლება დაუტოვა, ზარალის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იდავონ(!). ასე რომ, ისედაც ლიბერალური განაჩენი კიდევ უფრო შემწყნარებლური გახდა დამნაშავეებისათვის.

ასეთი განჩინება, ცხადია, ვერ მოდის შესაბამისობაში ლოგიკასთან, მაგრამ მოგვწონს თუ არა, აბსოლუტურად და გამართულად ესადაგება კანონის ჩარჩოებს და სასამართლო აქ არაფერ შუაშია. საგაზეთო სტატიაში ძნელია ყველა იმ მუხლისა და ასპექტის განმარტება, რის საფუძველზეც დადგა ეს (ნუ შეშფოთდებით), კანონიერი განჩინება. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ განაჩენის გადავადება იმ შემთხვევაში ხდება, როცა სასამართლო ფიქრობს, რომ დამნაშავის გამოსწორება ციხის გარეშეც შეიძლება.

### ერთი შეხედვით შეუსაბამო პარალელი

ახლახან, „კვირის პალიტრა“ (20-26 ოქტომბრის) რუბრიკით, „ვერსია“, წერდა, — ზოგჯერ სტატისტიკის შესალამაზებლად სამართალდამცავი ორგანოები, პირველ რიგში კი, პოლიცია-პროკურატურა, უმნიშვნელო დანაშაულის გამო ციხეში სვამს არასრულწლოვანს. ციხე კი, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების ზეობის ხანაში შრომა-გასწორებით დაწესებულებად მოიხსენიებოდა, მაშინაც და ახლაც, ბოროტმოქმედთა დახელოვნების სკოლად უნდა განვიხილოთ. მხოლოდ ერთეულები, ძლიერი ნებისყოფის, თანაც იქ შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები თუ ინარჩუნებენ ღირსებას და არ ითქვიფებიან კრიმინალურ სამყაროში. რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით არასრულწლოვანზე. აქედან გამომდინარე, მეტი სიფრთხილე გვმართებს გზასაცდენილ ბავშვებთან ურთიერთობისას, პირველ რიგში, აქაც სამართალდამცავებს ვგულისხმობ. წერილის ავტორს პირადად უნახავს არა ერთი და ორი არასრულწლოვანი, რომლებიც სულ უმნიშვნელო დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს შესაბამის კოლონიაში. უარესიც: ორი წლის წინ, დიდებისთვის განკუთვნილ ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ვნახე 15 წლის ბიჭი, რომლის ცოდვით კოლონიის ადმინისტრაციასთან ერთად პროფესიონალი დამნაშავეებიც კი იწვოდნენ (რომელიც შემდგომ დამნაშავედ ჩამოყალიბდა). იგი სასჯელს იმისთვის იხდიდა, რომ ავადმყოფი ბებიისთვის წამლების საყიდლად ცარიელი ქილები მოიპარა მეზობლის სარდაფიდან. სწორედ ეს და ადრეულ წლებში მომხდარი მსგავსი ამბები დაედო საფუძვლად ჩვენს ზემოთ ნახსენებ პუბლიკაციას სათაურით — „გიჩვენებ ვინცა, ვარ, გაიგე?!“ ასე რომ, დღევანდელი სტატიის ეს ნაწილი ერთგვარად თემის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ამჯერად ადამიანის უფლებების პროფესიონალ დამცველებს — ადვოკატებსაც გავესაუბრეთ.

**ოთარ ბერიშვილი,** დამსახურებული იურისტი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი: — დიდი მოაზროვნე ანაქარსისი ამბობს: „კანონები ობობას ქსელია: ბზიკი გავა, ბუზი კი გაებმება!“ ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ის, რაზეც ახლა მე და თქვენ ვსაუბრობთ. თითქოსდა მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა რკინიგზის ტვირთების დაცვის ხელმძღვანელობამ, მაგრამ კანონი არც ისე მკაცრად სჯის მას. ამავე დროს, მინის ქილების ქურდობისთვის პატიმრობას უსჯიან არასრულწლოვანს.

საუბარში ადვოკატი **გოჩა სალღიშვილი** ჩაერთო.

— მესმის თქვენი, მაგრამ რა ვქნათ, როცა ქილების პატრონი აცხადებს, რომ ამით მას დიდი ზარალი მიადგა ანუ ის ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობს, ანდა იმ ქილებში რაღაც ფასეულს ინახავდა, ვთქვათ, ბეჭედს ან სხვა ძვირფას ნივთს.

**— კი, მაგრამ მაშინ გამომძიებელი რაღა საჭიროა?**

— გეთანხმებით, მაგრამ ზოგჯერ გამომძიებლები თავს არ იწუხებენ იმის გარკვევით, რამდენად უმნიშვნელო ან მნიშვნელოვანია ქურდობის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა იყოჩაღოს.

*აი, მთავარ სათქმელსაც მივადექით: მერედა, უპატრონო ბიჭს, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ იპარავს, რომ როგორმე შიმშილი მოიკლას, ვინ მისცა იმ ადვოკატის დასაქირავებელი ფული, ვინც კბილებით დაიცავს მის ინტერესებს. მართალია, ასეთ შემთხვევაში მათ სახელმწიფო ხარჯზე ენიშნებათ სახაზინო ადვოკატი, მაგრამ ასეთების მოგებული საქმე შეიძლება თითებზე ჩამოითვალოს.*

*ამგვარად აყვანილი ადვოკატი პროცესზე მხოლოდ მოვალეობას თუ იხდის. შედეგი კი ის გახლავთ, რომ კეკელიძე-ბერიძეები, რომელთა მსგავსნი და ბევრად უფრო დიდი დამნაშავეები არხეინად დათარეშობენ. ბავშვები კი, ცარიელი ქილების მოპარვისათვის კოლონიებში გვყავს გამოკეტილი.*

ისევ **გოჩა სალღიშვილს** მოვუსმინოთ:

— 1985 წელს, ჰააგის კონფერენციის საფუძველზე, პეკინში ჩატარდა კონგრესი, სადაც ადამიანის, და პირველ რიგში, ბავშვთა უფლებებზე გამახვილდა ყურადღება. მისი დებულებები „პეკინური წესების“ სახელწოდებითაა ცნობილი. იქ, სხვათა შორის, ლაპარაკია იმაზე, რომ არასრულწლოვანი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დააკავო, თუ მას განსაკუთრებით საშიში დანაშაული აქვს ჩადენილი. როცა მცირეწლოვანი პოლიციაში მიჰყავთ, მას თან უნდა ახლდეს მასწავლებელი(!) ან მშობელი, მაგრამ სასურველია, ამის შესახებ არაფერი შეიტყონ მისმა თანატოლებმა, რადგან ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე (რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში მას თავი ან გმირად წარმოუდგენია ან უბრალოდ, დევნილად, — *ვ.გ.*). როდესაც ჩვენ სსრ კავშირში ვცხოვრობდით, მსგავსი კონფერენციების თუ კონგრესების გადაწყვეტილებების შესრულება სულ არ გვევალებოდა, მაგრამ ახლა ხომ მივუერთდით ამ საერთაშორისო ოქმებსა და ორგანიზაციებს და კეთილი უნდა ვინებოთ, მათ მოთხოვნებს დავემორჩილოთ.

*ვერაფერს ვიტყვი. დღეს თუ არა ხვალ, ალბათ ასეც იქნება, მაგრამ მანამდე ჩემი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსი უნდა გადაიხედოს.*

**ვაჟა გავაშელი**

# „ტვირთი-200“ — უცხო მიწაზე გარდაცვლილი ქართველების სევდიანი დაბრუნება

## რამდენი ქართველი იღუპება ყოველდღიურად ემიგრაციაში?!

ჩვენს ძველებს უთქვამთ: ადამიანი ორჯერ კვდება, თუ უცხოეთში დაიღუპა და მშობლიურ მიწაში დამარხვა არ ეღირსაო. ეს სიტყვები ცოტა ხნის წინ ერთმა შემთხვევამ გამახსენა.

გერმანიიდან მეგობრის ჩამოფრენას ველოდებოდი. თითქმის ერთი საათით ადრე მომიხდა აეროპორტში მისვლა და იქაურობის დათვალიერება გადავწყვიტე. 20-25 კაცი საბარგო განყოფილებასთან შეგროვილიყო. აღმოჩნდა, რომ ისინი „მოსკოვი-თბილისის“ რეისს ელოდნენ, რომლითაც რუსეთში გარდაცვლილი მათი ახლობელი უნდა ჩამოესვენებინათ.

ჭირისუფლები აეროპორტის თანამშრომლებს ეხვეწებოდნენ, კუბოსთვის თუთიის („ცინკის“) ფურცლები შემოეხსნათ, რადგან ძალიან მძიმე იქნებოდა და ტრანსპორტში მისი მოთავსება გაუჭირდებოდათ. თავის მხრივ, თანამშრომელი ჭირისუფლებს ანუგეშებდა, რომ როგორც საჭირო იყო, ყველაფერს ისე გააკეთებდნენ.

— თქვენ პირველები არ ხართ, ყოველდღე ასეთი სამი ტვირთი მაინც ჩამოდის. მუშები ხესაც შემოაცლიან და „ცინკსაც“, ოღონდ მთავარია „ცინკის“ შიგნით „სასახლე“ იყოს ნორმალური და ისე წაიღოთ. თანაც კარგად დააკვირდით, საბუთებში მითითებულ ნომერს. ეს ნომერი „ცინკის“ კუბოზეც იქნება დამაგრებული და ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, თორემ ასეთი „გრუზი“ სხვაც იქნება და ისე არ მოხდეს, სხვისი მიცვალებული წაასვენოთ, — უხსნიდა მათ აეროპორტის თანამშრომელი.

მისი ნათქვამი, რომ ყოველდღე სამი მიცვალებული ჩამოჰყავთ უცხოეთიდან, გადაჭარბებული მეჩვენა. ამიტომ, როგორც კი დავიმარტოხელე, ავუხსენი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და ვკითხე:

**— დღეში სამი მიცვალებული მეტისმეტი ხომ არ არის? დავიჯერო, ყოველდღე საზღვარგარეთ სამი ქართველი კვდება?**

— ეგრეა, ძმაო და რა ვქნა. დღე არ გავა, ორი-სამი კაცი რომ არ ჩამოასვენონ. განსაკუთრებით ხშირად რუსეთიდან მოდის ასეთი ტვირთი. თითქმის სულ ახალგაზრდები არიან, ან კლავენ, ან თვითონ იკლავენ წამლისგან თავს. ბევრი იქვე რჩება. იქ ისინი იხოცებიან, აქ მათი ჭირისუფლები კვდებიან დარდისგან, რომ საკუთარი მიცვალებულის ჩამოსვენება არ შეუძლიათ. იმხელა თანხა ჯდება, რომ ყველას არა აქვს გადახდის თავი.

**— თანხას აეროპორტში გიხდიან?**

— არა, კაცო, ჩვენ რა უნდა გადაგვიხადონ, საიდანაც იგზავნება, იქ არის ფული საჭირო. ბევრი შემთხვევა ვიცი, რომ ჭირისუფლებმა მიცვალებული ვერ გადმოასვენეს, ძალიან ძვირი უჯდებათ. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, გადმოსვენებაზე უარს ამბობენ. წეღან რომ მკითხე, ყოველდღე სამი ქართველი კვდებაო? ალბათ მეტიც კვდება. მე იმას ვამბობ, რასაც აეროპორტში ვხედავ, გასაკვირი რა არის...

ნახევარი საქართველო საზღვარგარეთაა გაქცეული და სიკვდილიანობაც, ცხადია, დიდი იქნება.

ასეთი არგუმენტის მიუხედავად, აეროპორტის თანამშრომლის სიტყვები მაინც დაუჯერებლად მეჩვენა. ამიტომ უცხოეთში გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობის დასადგენად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს მივმართე. აღმოჩნდა, რომ უცხოეთიდან მიცვალებულთა ჩამოსვენების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს.

**ნატო ჟანტურია,** სტატისტიკის დეპარტამენტის დემოგრაფიული განყოფილების გამგე: — ზუსტი ციფრის დასახელება შეუძლებელია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შეგვიძლია ეს რაოდენობა უხეშად ვივარაუდოთ: წელიწადში იღუპება საშუალოდ 40-50 კაცი, მაგრამ ეს მაინც არ არის ზუსტი მაჩვენებელი. სრული ინფორმაციის მოპოვებას ბევრი ფაქტორი უშლის ხელს.

**— რა ფაქტორებს გულისხმობთ?**

— სასაფლაოზე, ადგილის აღებისათვის გარდაცვლილის პატრონმა უნდა მიიტანოს ცნობა მისი გარდაცვალების ადგილის შესახებ, საიდანაც ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას. მაგრამ, როგორც წესი, საქართველოში, ჭირისუფლებს სასაფლაოს მხრივ არავითარი პრობლემა არ აქვთ და არც ასეთი ცნობების შეგროვება სჭირდებათ. გარდაცვლილის ქონების გადაფორმებაზე თუ მიდის საქმე, მაშინ აკეთებენ მსგავს ცნობებს. ამიტომ, ჩვენც მოკლებული ვართ სრულ ინფორმაციას გარდაცვალების ადგილის შესახებ. ისე კი ვიცი, რომ ასეთი შემთხვევები ძირითადად რუსეთში ხდება. დაფიქსირებულია მიცვალებულის სალვადორიდან გადმოსვენებაც კი. ერთი-ორი ამნაირი შემთხვევა კიდევ მახსოვს, მაგრამ ისევ ვიმეორებ, ზუსტი რაოდენობის დასახელება შეუძლებელია.

სტატისტიკის დეპარტამენტისაგან განსხვავებით, სამწუხაროდ, „აირზენაში“ დაგვიდასტურეს, რომ აეროპორტის საბარგო განყოფილების თანამშრომლის სიტყვები გადაჭარბებული არ არის.

„გადმოსვენებულთა რაოდენობა მართლაც ძალიან დიდია, — გვითხრა „აირზენას“ წარმომადგენელმა, — შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად, მართლაც, ორი-სამი მიცვალებული ჩამოგვყავს. ეს ტვირთი ყველაფრიანად 200 კილოგრამს იწონის. საბუთებშიც ასე არის გაფორმებული — „ტვირთი-200“.



**— ამბობენ, ასეთ შემთხვევაში მომსახურება ძალიან ძვირი ჯდებაო.**

— ჩვენთან საგანგებო ნიხრი არსებობს: ევროპის ქვეყნებიდან გარდაცვლილის გადმოსვენება 480 ევრო ღირს. რამდენიმე ქვეყანაში ეს თანხა 450 ევროს შეადგენს. რუსეთიდან — ფასი თითქმის განახევრებულია. სხვათა შორის, „ტვირთი-200“ ყველაზე მეტად რუსეთიდან მოდის. აეროპორტში ჭირისუფალს დადგენილ ფასზე მეტს არავინ მოსთხოვს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, აეროპორტამდე ვერ აღწევენ. საქმე ის არის, რომ სანამ აეროპორტამდე მოაღწევს, ჭირისუფალმა ათჯერ იმაზე მეტი უნდა დახარჯოს, რასაც ოფიციალური ნიხრი ითვალისწინებს. ამიტომ, გარდაცვლილთა უმრავლესობა უცხო მიწაზე რჩება...

ფაქტია, რომ სწორედ გარდაცვლილის აეროპორტამდე მისვენება უკავშირდება სოლიდურ თანხებს. „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ამას პოლიტიკოსი ელენე თევდორაძეც ადასტურებს. ჭირისუფლებმა მას ანალოგიური პრობლემის მოსაგვარებლად პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს მიაკითხეს.

**ელენე თევდორაძე:** — უკვე სამი წელი გავიდა და გვარი არ მახსოვს, პიროვნება, რომლის გადმოსვენებისთვის დახმარება მთხოვეს, იტალიაში, მილანის ერთ-ერთ გარეუბანში გარდაიცვალა. იქაური წესებით, თუ მიცვალებულს ჭირისუფალი არ გამოუჩნდა, მისი კრემაცია ხდება. აქედან დავუკავშირდით ჩვენს საელჩოს იტალიაში და მოვახერხეთ, რომ გვამი არ დაეწვათ. თავის მხრივ „აირზენას“ ხელმძღვანელობამაც გულთან მიიტანა ეს ამბავი და გადმოსვენებას დათანხმდა. თუკი აეროპორტამდე მოიყვანდნენ მიცვალებულს, უფასოდ გადმოასვენებდნენ. მაგრამ აეროპორტამდე მისვენებაში სამი ათასი დოლარი მოითხოვეს(?!). ეს თანხა კი ჭირისუფალს არ აღმოაჩნდა, ამიტომ მისი გადმოსვენება დღემდე ვერ მოხერხდა. არადა იქ, მიცვალებულს განსაზღვრული ვადით სპეციალურ სათავსში ინახავენ და ამ ვადაშიც თუ არ მოხდა მისი გადმოსვენება, ბოლოს მაინც წვავენ. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება უნდა ჩაერიოს და საკუთარი მოქალაქის საპატრონოდ ხარჯები გაიღოს. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ცოცხლებს არ უწყობს ხელს და მკვდრები ხომ საერთოდ აღარ აინტერესებს...

ელენე თევდორაძის მსგავსად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშიც დაგვიდასტურეს, რომ სოლიდური თანხების გამო, უმეტეს შემთხვევაში, უცხოეთიდან მიცვალებულთა გადმოსვენება ვერ ხერხდება.

— მე ვიცი ფაქტი, რომ შვეიცარიიდან მიცვალებულის ჩამოსვენება ჭირისუფალს 17 ათასი დოლარი დაუჯდა, — გვითხრა სამინისტროს ინკოგნიტო თანამშრომელმა, — ასეთ შემთხვევაში ჩვენი საკონსულოები უნდა აქტიურობდნენ, მაგრამ ისინი კომერციით უფრო არიან დაინტერესებულნი და საკუთარი მოქალაქეების ბედი ნაკლებად აწუხებთ. ორი წლის წინ მოსკოვში ახალგაზრდა თბილისელი ბიჭი გარდაიცვალა. საწყალს ქალაქში გზა აჰბნევია და რომელიღაც პარკში გადაუწყვეტია ღამის გათევა. დილით გაყინული იპოვეს. ჯიბეში პასპორტი აღმოაჩნდა და მისი ვინაობა დაადგინეს. საქმეში იქაური ქართველებიც ჩაერთვნენ. ეტყობა, ეს ბიჭი ღარიბი ოჯახიდან იყო, ამიტომ თვითმფრინავით გადმოგზავნა ვერ მოახერხეს და ცხედარი სატვირთო მანქანას გამოატანეს, რომელიც ვლადიკავკაზამდე ჩამოიტანდა, შემდეგ კი თბილისში მომავალი მანქანა უნდა ენახათ. ამას თან დიდთოვლობა დაერთო. მოკლედ, მიცვალებულს სამი თვის მანძილზე მოასვენებდნენ...

**— კი, მაგრამ, რატომ ჯდება ასე ძვირი ეს მომსახურება?**

— არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, რაც მიცვალებულის გაპატიოსნებას ითვალისწინებს. მასში შედის ყველა სახის მომსახურება. ევროპის ქვეყნებში ასეთი მომსახურებისთვის არსებული ფასები იქაური მცხოვრებლებისათვის ძვირი არ არის, ჩვენთვის კი კოლოსალურ თანხას შეადგენს. ამას დაუმატეთ „ცინკის“ ყუთის დამზადებაც. სტანდარტების მიხედვით, მიცვალებულის კუბო „ცინკის“ ყუთში იდება და შედუღების გზით ჰერმეტულად იხურება. ამ ყუთს გარედან კიდევ ფიცრებით ჭედავენ. ყველაფერი ეს კი ფული ღირს. თანაც ამას დაუმატეთ ტრანსპორტირების ხარჯები აეროპორტამდე. ეს სამწუხარო რეალობაა...

P.S. ალბათ მძიმე წერილი გამოვიდა, მაგრამ ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის თქმისა არ იყოს, ასეთია შეულამაზებელი რეალობა. ამბობენ, თუკი მომავალზე ფიქრობ, წარსული არ უნდა დაივიწყოო. მიცვალებულები უკვე წარსულში არიან. იმედია, მომავალში მაინც დადგება დრო, რომ სახელმწიფო სათანადო პატივს მიაგებს მათ და უცხო მიწაში დასამარხად არ გავიმეტებთ... თუ ნატვრაა და იმედი, ღმერთმა ქნას, დადგეს დრო-ჟამი და უცხოეთში გახიზნულმა ყველა ქართველმა სამშობლოს მოაშუროს... სამშობლოც მხარგაშლილი მიეგებოს მობრუნებულ შვილებს.

***დავით დევიძე***


Pleasure Pill (ფლეჟა ფილ)

სიამოვნება აბებში

უძლიერესი სექსუალური სტიმულატორი

შეიგრძენით Belliom Enterprises Corporation - ის მიერ შემუშავებული და გამოცდილი ნატურალური პროდუქტების ძალა. იგი გამოიყენებს მხოლოდ მაღალი ხარისხის ნატურალურ პროდუქტებს თქვენი სექსუალურობის გასაზრდელად. თქვენ გეძლევათ საშუალება სწრაფად და ბუნებრივად დათრგუნოთ თქვენი შიშები სექსუალურობის ნიადაგზე.






Pleasure Pill ეფაქტურია როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. იგი აძლიერებს სისხლის ცირკულაციას გენიტალიებში, რაც იწვევს აგზნებადობას. აგრეთვე Pleasure Pill შეიცავს საკვანძო კომპონენტებს, რომლებიც ახდენს გონების სტიმულაციას, რის შედეგადაც მიიღწევა სექსუალურობის უმაღლესი მწვერვალი.

Pleasure Pill-ის შემადგენელი რვა ძირითადი კომპონენტი არ ფიგურირებს არც ერთ სხვა მსგავს პრეპარატში.

Pleasure Pill ეფექტურად გამოიყენება სექსუალური დისფუნქციის დროს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში იმ ოთხივე ცნობილი ფიზიოლოგიური სისტემის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია ოპტიმალური სექსუალური ფუნქციონირებისათვის:

1. ზრდის სექსუალურ აგზნებადობას და გამძლეობას;
2. ზრდის Nitric Oxide-ის და GMP-ს დონეს;
3. აძლიერებს სისხლის მიწოდებას გენიტალიებში;
4. ზრდის ლიბიდოს, მგრძნობელობასა და ორგაზმს.

Pleasure Pill – უბრალოდ სცადეთ !!!

და აღმოაჩენთ, რომ ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება!

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა www.shopge.com










# თუ დამჭირდა, ტერორისტ-კამიკაძედაც ვიქცევი!

## შემაშფოთებელი ინტერვიუ...

ჩემს დღევანდელ რესპონდენტს, რომელსაც თავად გაუჩნდა ჟურნალისტთან შეხვედრის სურვილი, არჩევანი ჩემზე არ შეუჩერებია. მან „კვირის პალიტრა“ აირჩია... მისმა მეგობრებმა მომძებნეს და წინასწარ გამაფრთხილეს, რომ მსუბუქ შეხვედრაზე არ მეპატიჟებოდნენ. მოსაფიქრებლად რამდენიმე დღეც მომცეს... ჩემი რესპონდენტი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც დღემდე ეძებენ აფხაზები და პოვნის შემთხვევაში გაუსამართლებლად დახვრეტენ, რადგან სიკვდილი დიდი ხნის წინ მიუსაჯეს. დანაშაულად კი საკუთარი მიწა-წყლის, სახლის და ცოლ-შვილის დაცვა ჩაუთვალეს. გადაწყვეტილი ჰქონდა, მოვკვდები და სოხუმს არ დავტოვებო! მაგრამ დედამ თურმე სიკვდილის წინ დააფიცა: — ტყუილად რომ მოაკვლევინო თავი ვინმეს, საფლავში გადავბრუნდები, წადი და სოხუმში გამარჯვებული დაბრუნდი ქართველებთან ერთადო!.. მომაკვდავმა დედამ იმაზე აუხილა თვალი, რასაც თავადაც მშვენივრად ხედავდა: — ღალატია, ვერ ხედავ, ისინი ყველაზე წინ გარბიან, ვინც ამ პირტიტველა ბიჭებს უნდა ეფარებოდეს და საკუთარი მკერდით იცავდესო?!. თავად ბევრი გადაარჩინა სიკვდილს. სოხუმში დაბადებულმა და გაზრდილმა ქალაქის ყველა ქუჩა და ჩიხი ზეპირად იცოდა, განა მარტო სოხუმი — მთელი აფხაზეთი მისი მშობლიური სახლი იყო. ოცნებობდა დოკუმენტური სერიალი გადაეღო აფხაზეთის ბუნების განუმეორებელ, ღვთაებრივ სილამაზეზე, მაგრამ ვიდეოკამერის ნაცვლად იარაღის აღება მოუწია. დაბნეულ, პატრონის და გამკითხავის გარეშე დარჩენილ ჯარს რომ უყურებდა, პატარა ბიჭებს — ვითომ ჯარისკაცებს, იარაღის ხმარებაც რომ არ იცოდნენ, გული უსკდებოდა მათი საცოდაობით. მიხვდა, ბევრი იმიტომ იღუპებოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა ომზე, თამაში ეგონა ყველაფერი... ბედის სასტიკი ირონიით, 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღეს, შეუსრულდა 31 წელი... როგორც გითხარით — დედა სოხუმშივე გარდაეცვალა და ახლა მისი ნაჩქარევად მიწამიყრილი საფლავიც არ ასვენებს. მამისა და შვილების გამოყვანა მოასწრო (ცოლი მანამდე გამოუშვა სამეგრელოში, რადგან ფეხმძიმეს მესამე ბავშვი უნდა გაეჩინა. ბავშვი ნაადრევი და გართულებული მშობიარობის შედეგად მკვდარი დაიბადა)!.. მამა არ მოჰყვებოდა — სხვაგან ვერ ვიცხოვრებო!.. მაგრამ გამოიტყუა — ბავშვებს მარტო ვერ გადავიყვანო! მაშინ დავითი ხუთი წლის იყო, სამის — კონსტანტინე...

...ერთი წელი იმედიანად იყო 60 წელს მიღწეული მამამისი. მეორე წელსაც ებღაუჭებოდა იმედს, მერე კი... მერე მიხვდა, მასავით ბევრს არ სტკიოდა სოხუმი და „გააფხაზებული“ ქართული მიწა, მით უმეტეს, იმ კაცებს, თბილი სავარძლები თბილისშიც რომ დაიდგეს და გაჭირვების არაფერი გაუგიათ. სოხუმს სინზე დადებულს ვინ მიართმევდათ. საკუთარ შვილებს ჯარისკაცობისთვის არ იმეტებდნენ, მეომრებად არ წვრთნიდნენ... არც თვითონ უომიათ — „სხვა, უფრო დიდი მისიისთვის დაბადებულები“ დაირქვეს სახელად... ამან აუდუღა სისხლი. მამის ჩამქრალმა სიცოცხლემ, ცრემლიანმა თხოვნამ — ჩემი სოხუმის მიწაში დამმარხე, თორემ ჩემი სული ვერასოდეს მოისვენებსო!.. ისიც აგიჟებს, დავაჟკაცებულ შვილებს აღარც სოხუმი ახსოვთ და აღარც მშობლიური სახლი... ვერ მოისვენა. ეშინია, ისე არ მოკვდეს, მტრის ჯავრი დარდად არ გაჰყვეს...

ახლა ჩემ წინ ზის, შეიარაღებული, რატომღაც სახეზე ნიღაბაფარებული, მომიბოდიშა:

— არ შემეშინდეთ, არ მინდა ჩემი სახე დაიმახსოვროთ... მე ის ვარ, ვინც მსხვერპლად აქცია ჩვენი მთავრობის უსუსურობამ და გულგრილობამ. არაფერში სჭირდებათ აფხაზეთი. დაცვის გარეშე ფეხს არ ადგამენ. ვითომ უკვდავები იყვნენ და წუთისოფელში იპარპაშებენ საუკუნოდ... ჯერ ერთი, ის კაცი შემირცხვენია, დაცვის გარეშე რომ ვერ დადგება ხალხის პირისპირ. მშრომელი კაცი ვარ, ჩემი მამა-პაპა მიწას ეფერებოდა და საკუთარი მარჯვენის იმედი ყოველთვის ჰქონდა. ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთე, ფულიც ვიშოვე. მეც შემეძლო თბილისში სასახლის აგება, აგარაკების შესყიდვა, მაგრამ არა, იარაღს ვყიდულობდი. შემიძლია დავიტრაბახო, ერთ ასეულს შევაიარაღებ საკუთარი შესაძლებლობებით, მაგრამ თუ ამას არ ვაკეთებ, მხოლოდ ერთი მიზეზით — ვიცი, დამფრთხალ-შეშინებული მთავრობა ყაჩაღებად შეგვრაცხავს და გაგვიმეტებს, როგორც აქამდე გაიმეტა და მოიშორა თავიდან ბევრი ვაჟკაცი. ვერ ჩავდგამ ფეხს უდანაშაულო, გულანთებული ბიჭების ცოდვაში და მარტო ვიბრძოლებ... ამიტომ მინდოდა თქვენთან შეხვედრა — დაწერეთ და იცოდნენ, რომ არსებობს კაცი, რომელსაც აღარ შეუძლია და აღარც აპირებს გულხელდაკრეფილი ჯდომას. სოხუმს მარტო რომ ვერ ავიღებ და დავიბრუნებ, კარგად ვიცი, მაგრამ იმათ მაინც მივხედავ და დავუფრთხობ მშვიდ ძილს, ვისაც ევალება და არაფერს აკეთებს აფხაზეთის დასაბრუნებლად. თუ დამჭირდა, ტერორისტ-კამიკაძედაც ვიქცევი და ყველას ეშინოდეს, ვინც მხოლოდ ლაპარაკით ცდილობს აფხაზეთის დაბრუნებას!.. იმათ გვარებს არ ვასახელებ, ვისი უნამუსობაც ყელზე მადგას, ბევრი მიხვდება კიდეც, ვინა ვარ და არც ის გამიკვირდება, თუ ჩემი ლიკვიდაციის ბრძანებას გასცემენ. ეს მათი ნაცადი ხერხია... არაფრისაც არ მეშინია და არც სიკვდილს ვაპირებ ადვილად, ბევრს გავისტუმრებ წინ... ვინც აფხაზეთის სახელით ლაპარაკობს, მის დასაბრუნებლად ბრძოლას კი არ აპირებს, ძვირად დავუსვამთ ორპირობას... დავიღალეთ და აღარ გვჯერა არაფრის. რწმენის გარეშე დარჩენილი კაცისთვის ყველაფერი სულერთი ხდება. უაზრობად მიმაჩნია საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებიც. რად მინდა პრეზიდენტი იმ ქვეყანაში, სადაც არა მაქვს სახლი და ელემენტარულად არაა დაცული ჩემი უფლებები?!.. ბევრს არ გავაგრძელებ! სათქმელი უკვე ვთქვი და იცოდეს ყველამ, თუ აფხაზეთის დაბრუნებას რეალობად არ აქცევენ, ყველას მისწვდება ჩემი ტყვია!..

— გამოდის, ეს ღია მუქარაა!

— სწორედაც ასეა! გაიხსენონ, რას ჰპირდებოდნენ ხალხს და როგორ აღმოჩნდნენ „ხალხის რჩეულთა სავარძლებში!..“ მათი სკამები ჩემნაირების „შეჭედილია“ და ჩვენვე დავშლით... ვიცი, ბევრს უნდა მკვდარი ვიყო, მაგრამ ცოცხალი ვარ და ჩემს მისიას შევასრულებ. თუ არაფერი შეიცვლება, 2004 წლის იანვრიდან, მეგობრებთან ერთად დავიწყებ ტერაქტების სერიას. მოკვდება ყველა, ვინაც მოატყუა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა...

დავიბენი და ადვილად შემატყო!

— არ შეგიძლიათ ამისი დაწერა?! — მაშინ სხვებს მოვძებნი!..

...მე მაინც დავწერე! სიტყვაც არ დამიმატებია იმისათვის, რისი ჩაწერის საშუალებაც კალამმა მომცა (დიქტოფონი არ ჩამართვევინა, ხმის დაფიქსირება არ ისურვა!..). მეგობარმა მითხრა: — იქნებ ვიღაც მოცლილი გიჟი იყო და გაგაშაყირა, თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოო!.. ამაზეც ვიფიქრე, მაგრამ... ნამდვილად არაფრით ჰგავდა გიჟს და თუნდაც მისი მუქარა ლიტონი სიტყვები იყოს მხოლოდ, მაინც მოვალედ ჩავთვალე თავი დამეწერა, რადგანაც ეს დევნილი მოსახლეობის განწყობილებაა, იმ მოსახლეობისა, რომელსაც აღარ სჯერა, რომ აფხაზეთის დაბრუნებისთვის მართლა იბრძვის ვინმე. ხომ შეიძლება ხვალ ნებისმიერმა მათგანმა აიღოს იარაღი ხელში და... მართლა მოჰბეზრდათ საკუთარ ქვეყანაში ხიზნებად ყოფნა. და როგორც ჩემმა უცნაურმა რესპონდენტმა მითხრა: — ვერ მოვისვენებ, სანამ ზედმეტად ვგრძნობ თავს საკუთარ ქვეყანაში, ვერ მოვისვენებ, სანამ სოხუმში თავისუფლად, მასპინძლად არ დავბრუნდებიო!.. მერე კი, როცა სუფრასთან მიმიწვიეს და ყველა სადღეგრძელო სოხუმს, აფხაზეთის განთავისუფლებას მიუძღვნეს, ჩემმა რესპონდენტმა გიტარა მოითხოვა და ამღერდა: „იქ ყველაფერი მახარებს, იქ გავშლი ფრთებს და ავფრინდები!..“

P.S. ყველას რომ მასავით სტკიოდეს აფხაზეთი, იქნებ არც დაგვეკარგა იგი!..

**რედაქციისაგან: ალბათ შეშფოთდი, ბატონო მკითხველო... ჩვენც! მაგრამ ვერც ჩვენ ამოვისუნთქავდით თავისუფლად, თუ არ ვათქმევინებდით სათქმელს ამ რესპონდენტს, რომელიც ერთია, მაგრამ უამრავთა სატკივარს გვიმხელს... არც მისი ლიკვიდაციის ბრძანების გაცემაა სწორი, არც ტერაქტების სერია; ასე ხომ ისევ ჩვენ, ქართველები ვიღუპებით. სხვა გზაა საძებნი (ჭეშმარიტების გზა!) — ქვეყნის მოთავენო! ფიალა პირთამდე აევსო ხალხს.**

## არ შეგიძლიათ ამის დაწერა?!



> თუ დამჭირდა, ტერორისტ-კამიკაძედაც ვიქცევი და ყველას ეშინოდეს, ვინც მხოლოდ ლაპარაკით ცდილობს აფხაზეთის დაბრუნებას!.. იმათ გვარებს არ ვასახელებ, ვისი უნამუსობაც ყელზე მადგას, ბევრი მიხვდება კიდეც, ვინა ვარ და არც ის გამიკვირდება, თუ ჩემი ლიკვიდაციის ბრძანებას გასცემენ. თუ არაფერი შეიცვლება, 2004 წლის იანვრიდან, მეგობრებთან ერთად დავიწყებ ტერაქტების სერიას. მოკვდება ყველა, ვინაც მოატყუა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა...

## გამოხმაურება

# „მამაო“ ცოცხალია...



სარედაქციო ფოსტაში შემოსული წერილებიდან ერთ-ერთზე შევჩერდებით და მკითხველიც მიხვდება, რატომ...

გახსოვთ ალბათ მასალა „ერთი ფოტოსურათის ისტორია“, რომელიც „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა და მასზე აღბეჭდილ ერთ-ერთ მეომარში გია აროშვილმა თავისი თავი ამოიცნო, დანარჩენ ორზე კი გულისტკივილით გვითხრა — გმირულად დაიღუპნენო..

საბედნიეროდ, სურათზე აღბეჭდილი კიდევ ერთი მეომრის შესახებ მივიღეთ ინფორმაცია, შეგვატყობინეს, რომ ისიც ცოცხალია: „კვირის პალიტრაში“ — (18-24 აგვისტო, 2003 წელი) დასახელებული მებრძოლი, მეტსახელად „მამაო“, ცოცხალია და ცხოვრობს ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანაში. მისი სრული სახელია: გოგი შალვას ძე მინაძე. იგი აფხაზეთის ომში „თეთრი გიორგის“ ახალციხის ბატალიონში იბრძოდა ომის დაწყების პირველივე დღიდან მის დამთავრებამდე. იგი ჩემი ძმაა. მე ბაღდათში ვცხოვრობ. ჩემი ძმა ძალიან მორწმუნეა და ამიტომ შეარქვეს მეტსახელად „მამაო“. ხშირად ვურჩევ დაწეროს თავის თანამებრძოლებზე, ერთი კარგი წიგნი გამოვა, მაგრამ... უჭირს, გული სტკივა. ამდენი წლის შემდეგ ომგამოვლილებზე არავინ ფიქრობს. გოგიმ პენსიაც ვერ დაინიშნა, იმდენი ბარიერი გადაეღობა წინ. ომიდან დაბრუნებულს მხედველობის პრობლემები შეექმნა. სამხედრო ბილეთი ომში დაკარგა... ბატონმა გ. ყარყარაშვილმა მამაცობისთვის გენერლობა უბოძა (ოფიცერი იყო, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა)... ძალიან უჭირს ჩემს ძმას, უამრავ პრობლემასთან პირისპირ დარჩენილს არც სამსახური აქვს... იქნებ პირადადაც შეხვდეთ მას, ძალიან ბევრ საინტერესოს გიამბობთ თავის თანამებრძოლებზე, აფხაზეთის ომზე!..

პატივისცემით, ლედი მინაძე, „კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველი, ბაღდათი!..“

გმადლობთ, ქალბატონო ლედი, გამოხმაურებისთვის. კარგი იქნება, თუ ბატონი გოგიც გამოგვეხმაურება, შეხვედრაც შედგება. ჩვენ ადრეც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ აფხაზეთის ომის შესახებ სიმართლე ჯერ კიდევ სათქმელია, მის გმირებზეც აუცილებლად უნდა დაიწეროს წიგნები.

ამჯერად კი ვთხოვთ ყველას, ვისაც ხელეწიფება, დაეხმაროს „თეთრი გიორგის“ ახალციხის ბატალიონის მებრძოლს, გენერალ გოგი შალვას ძე მინაძეს, აღიდგინოს სამხედრო ბილეთი და დაინიშნოს კუთვნილი პენსია. ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ მის წინაშე, ისევე როგორც, აფხაზეთის ომის ყველა ცოცხალი თუ გარდაცვლილი გმირის წინაშე, მათი სისხლი და ტკივილი ვალად გვაწევს დღემდე!..

***მოამზადა ინგა ჯაყელმა***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— შესაძლებელია თუ არა ლოცვის შეწყვეტა, როცა გეძახიან, ანდა, სხვა მიზეზის გამო?**

— წმინდა იოანე სინელი ამბობს, როცა ლოცულობ და ძმა დაგიძახებს, მიდი და გაიგე, ძმას რა სჭირდებაო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის, რაც სჭირდება, ღმერთთან საუბარზე, ლოცვაზე მეტად ფასობს... მაგრამ უფალი ადამიანში იმ სიყვარულს აფასებს, რასაც მოყვასისთვის ვიჩენთ. ლოცვა არის კერძო სათნოება, ანუ სასარგებლოა თვით მლოცველისა და იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც ლოცულობ, ხოლო სიყვარული მოყვასისადმი ყოვლისმომცველი სათნოებაა. ლოცვით სულიერად ეხმარებით იმ ადამიანს, ვისაც უჭირს და განსაცდელშია, ხოლო მოყვასისადმი დახმარებით ხელშესახებ სიკეთეს ახორციელებთ. როცა ვინმეს უჭირს და გვეძახის, ხოლო ჩვენ რადგან ვლოცულობთ, ვერ ვეხმარებით, ამით ლოცვა უფასურდება...

თუ ადამიანი პურს მოგთხოვს, მიეცი თუ გაქვს, ნუ ეტყვი — ღმერთი მოგცემსო, ამბობს პავლე მოციქული. ეს ნიშნავს, რომ დახმარებისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. ლოცვა პასუხისმგებლობისაგან ვერ გვათავისუფლებს. განა შეიძლება ხანძარი გაჩნდეს და თქვა, იმიტომ არ ჩავაქრე, რომ ვლოცულობდიო? ოღონდ გასათვალისწინებელი ერთი რამაა, — თუკი აუცილებლობა არ არის, ერთმანეთს ლოცვის მშვიდად აღვლენა უნდა დავაცადოთ.

**— გამიგია, რომ არის ერთი დღე, როცა შეიძლება თვითმკვლელს ეკლესიაში დავუნთოთ სანთელი და ვილოცოთ მისი სულისთვის, როდის?**

— მართლმადიდებელ ეკლესიას არა აქვს არც ერთი დღე, როცა თვითმკვლელთა და მოუნათლავთა სულებისთვის ლოცვა და სანთლის დანთება შეიძლება. იესოს სიყვარული ნებაყოფლობითია. იგი ამბობს, ვისაც უნდოდეს, შემომიდგესო... თუ ადამიანი სიცოცხლეში არ მივიდა ქრისტესთან და, სასოწარკვეთაში მყოფს, უფალი არ გაახსენდა, გარდაცვალების შემდეგ როგორღა უშველის... თქვენი შეკითხვა ალბათ დაკავშირებულია ხალხში გავრცელებულ ცრურწმენასთან, თითქოსდა თვითმკვლელებისათვის სანთლის დანთება და წირვაში მოხსენიება შეიძლება 19 სექტემბერს, მთავარანგელოზ მიქაელის სასწაულის მოხსენიების დღეს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს მხოლოდ ცრურწმენაა. თვითმკვლელთა სახელზე მხოლოდ მოწყალების გაცემა შეიძლება გაჭირვებულთათვის. ამის გაკეთება კი ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ.

**— ჩამეთვლება თუ არა ცოდვაში, რომ ჩემზე ბევრად უფროს ადამიანს, მკაცრად მოვექცე, თუ იგი ამას იმსახურებს?**

— ასაკით და წოდებით უფროსს (სასულიერო იქნება თუ საერო), პატივისცემით უნდა მოექცეთ... ისე, როგორც ზნეობრივ ოჯახში ექცევიან ოჯახის მამას. ალბათ ყურადღება მიგიქცევიათ, რომ სადაც ეს წესია დამკვიდრებული, ის ოჯახიც პატივსაცემი და ღირსეულია. გარდა იმისა, რომ უფროსისადმი პატივისცემა ტრადიციაა, ბუნების, სიცოცხლის კანონიც არის... ეს კანონი თვით მხეცებშიც მოქმედებს და როცა მას ვეწინააღმდეგებით, ღვთის განჩინებას უარვყოფთ... გარდა ამისა, როგორც უფალი გვასწავლის, ადამიანებს ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც გვსურს, რომ ჩვენ გვექცეოდნენ...

**— რატომ ეწოდება უფალს ერთ-ერთ სახელად „გზა“, როგორ უნდა გავიგოთ ეს?**

— უმჯობესია ვთქვათ, რომ სიტყვა „გზა“ უფლის სახელწოდება კი არა, იმისი მინიშნებაა, თუ რას გვაძლევს უფალი. უფალი ბრძანებს: მე ვარ გზა, მე ვარ ჭეშმარიტება, მე ვარ ცხოვრება... მე ვარ პური თქვენიო... ეს სიტყვები ნიშნავს იმას, რომ უფალი გვაძლევს თვით ცხოვრებას, გვასწავლის რა გზით წარვმართოთ იგი და გვაჯილდოებს ჭეშმარიტების შეცნობის უნარით.

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორ დავადგინოთ მფარველი წმინდანის ხსენების დღე?**

— თუ თქვენს შვილებს იმ წმინდანების სახელი დაარქვით, რომლებიც მათი დაბადების დღეს მოიხსენიებიან, ესე იგი, მათი მფარველი წმინდანის ხსენების დღე ემთხვევა დაბადების დღეს. სხვა შემთხვევაში, თუ ბავშვებს წმინდანთა სახელები ჰქვია, გადაათვალიერეთ საეკლესიო კალენდარი და რომელ დღესაც ეს წმინდანები იქნებიან მოხსენიებულნი, პატარების მფარველი წმინდანის დღეც ის იქნება... თუ მათი მოსახელე წმინდანის დღე ცალკე არ არის მითითებული, მაშინ კალენდარში ნახეთ 24 დეკემბერი, როცა ყოველთა ქართველთა წმინდანთა მოხსენიების დღეა... ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ადამიანს მფარველი წმინდანი მაშინ ჰყავს, თუ იგი მონათლულია და ჰქვია ქრისტიანული სახელი...

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

CMYK

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

წარმოუდგენელია, ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე უსაფრთხოების გარანტია მისცე ვინმეს. ამიტომ, კერძო დაცვის სამსახურები იძულებული არიან „კრიშა“ ჰყავდეთ შს სამინისტროში. როდესაც კერძო დაცვის სამსახურს სათანადო დონის „კრიშა“ ჰყავს სამინისტროში, მისი თანამშრომლები იქ არიან გაფორმებულები სხვადასხვა თანამდებობაზე, მაგალითად, რიგით ინსპექტორებად. ეს საკმარისია იმისათვის, რომ კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება მიეცეს. ამ კანონდარღვევას „კრიშის“ გარეშე ვერ მიაღწევ, „კრიშა“ კი თავის წილს ითხოვს.

ისეთ გაუბედურებელ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ერთი სახელმწიფო უწყება მაინც არსებობს, რომლის მუშაობაც მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. ეს გახლავთ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ანუ



პრეზიდენტის დაცვა. სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლების მუშაობის მაღალ ხარისხზე გადაცემა ისეთმა ცნობილმა და პოპულარულმა სატელევიზიო არხმაც კი მიუძღვნა ამ რამდენიმე თვის წინ, როგორიც „დისქავერი“ გახლავთ, მაგრამ ამაში გასაოცარი არაფერი უნდა იყოს. ხელისუფლებაში გამეფებულმა კორუფციამ იმ მასშტაბებს მიაღწია, რომ დღეს, იმავე ხელისუფლებასა და მის ხელმძღვანელს, ნამდვილად სჭირდებათ სერიოზული დაცვა. თუმცა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ორი იაღლიში მაინც მოუვიდა რამდენიმე წლის წინ *(გულისხმობს პრეზიდენტზე განხორციელებულ ორ ტერორისტულ აქტს. — ზ.ჩ.)*.

ჩვენ დავუკავშირდით სახელმწიფო სპეციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილეს **გია კაპანაძეს** და ინტერვიუ ვთხოვეთ. არჩევნების წინ პრეზიდენტის დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, გია კაპანაძემ ჩვენთან შესახვედრად დროის გამონახვა მაინც შეძლო და ჩვენი საუბარი შედგა:

# რა ღირს პირადი უსაფრთხოების ერთი დღე...




## „სახელმწიფო სტრუქტურებისგან დაცვა დღეში 200$ დაგიჯდებათ“

**— ბატონო გია, იური ანდროპოვმა, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნის პერიოდში, სპეციალური საიდუმლო განკარგულებით მოითხოვა, რომ პოლიტბიუროს წევრებისათვის გამოეძებნათ ორეულები. შემდეგ ეს მოთხოვნა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელებზეც გავრცელდა...**

— ვხვდები, საითაც უმიზნებთ. თქვენ გაინტერესებთ, ჰყავს თუ არა ჩვენს პრეზიდენტს ორეული, მით უმეტეს, რომ იგი საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრიც იყო და რესპუბლიკის ხელმძღვანელიც. შემიძლია ერთმნიშვნელოვნად გიპასუხოთ — არა, მას არ ჰყავს ორეული. ბატონი ედუარდი ბუნებით უშიშარი კაცია და ასეთი „დვაინიკის“ არსებობას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ შეეგუებოდა.

**— ძნელია პრეზიდენტის დაცვა?**

— საერთოდ, კონსტიტუციით, ჩვენს სამსახურს არა მარტო პრეზიდენტის დაცვა ევალება. ჩვენს მოვალეობაში შედის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მინისტრის, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების უსაფრთხოების დაცვაც. ასევე გვევალება პრეზიდენტის ოჯახის წევრების დაცვა. პრეზიდენტის არჩევნების დროს მოვალენი ვართ, დავიცვათ პრეზიდენტობის კანდიდატების უსაფრთხოება. თუმცა ზოგიერთი კანდიდატი სახელმწიფო სპეციალური დაცვის სამსახურის მომსახურებისგან თავს იკავებს. მაგალითიც შემიძლია მოგიყვანოთ — წინასაპრეზიდენტო არჩევნებზე ბ-ნმა ჯუმბერ პატიაშვილმა უარი განაცხადა სახელმწიფო დაცვაზე.

**— არ გენდოთ?**

— ეს ჩემთვის უცნობია. რაც შეეხება უშუალოდ პრეზიდენტის დაცვას, მის უსაფრთხოებას ყოველდღიურად შვიდი პირადი მცველი იცავს. გაცილებით ნაკლები ჰყავს პარლამენტის თავმჯდომარეს. ორ-ორი პირადი მცველი ჰყავთ სახელმწიფო მინისტრსა და სასამართლოს თავმჯდომარეებს. ხდება ხოლმე, როცა ზოგიერთი მათგანი საქეიფოდ მიდის და დაცვაზე უარს აცხადებს. ეს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. რამე რომ მოხდეს, მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ დაგვეკისრება. ამიტომ შორიახლო მაინც ვიმყოფებით და ქეიფის დროს, ისე, რომ არავინ შევაწუხოთ, ვახერხებთ თვალყურის დევნებას. როგორ ვახერხებთ ამას, საიდუმლოა და ვერ გაგიმხელთ. ასევე გეტყვით, რომ ჩვენს სამსახურს კერძო პირებმა მომართეს, რათა მათი უსაფრთხოება უზრუნველგვეყო, მაგრამ კერძო პირების დაცვის უფლებას კანონი არ გვაძლევს. მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება იქნას დაშვებული სახელმწიფო მოღვაწის დაცვა, თუ საფრთხე მართლაც რეალურია, მაგრამ ამას პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება სჭირდება.

**— პირადი დაცვის გარდა პრეზიდენტის დაცვას ასობით ადამიანი ემსახურება, თუნდაც ტრასებზე მდგომი ლურჯფორმიანი და ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები...**

— დიახ, ეს აუცილებელი ღონისძიებაა და მას შემდეგ დავამკვიდრეთ, რაც კრწანისის რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზე პრეზიდენტის მანქანას ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი ესროლეს. თუმცა, იმასთან შედარებით, როცა მაგალითად, სტალინის უსაფრთხოებას 50 ათასი კაცი იცავდა, ჩვენი დაცვა მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილურია. ყველა მარშრუტი წინასწარ მზადდება, რა თქმა უნდა, მარშრუტზე მდებარე ყველა საეჭვო ობიექტი წინასწარ მოწმდება. შემოწმების გარეშე არც საკანალიზაციო და სხვა საკომუნიკაციო ჭა გვრჩება. ასევე, წინასწარ შემოვივლით იმ ობიექტს, სადაც პრეზიდენტი აპირებს მისვლას. სნაიპერები ყველა საეჭვო წერტილს, საიდანაც შეიძლება განხორციელდეს თავდასხმა, ინიშნავენ, შემდეგ ამ წერტილებში შესაბამისი „ხაფანგები“ იდება ან იქ თვითონ ჩვენი სნაიპერი იკავებს პოზიციას, ძირითადად — სახურავებზე. როდესაც ყველაფერი წინასწარ ვიცით, თუ სად აპირებს პრეზიდენტი წასვლას, მაშინ მუშაობა ადვილია და ყველაფერი გათვლილი გვაქვს, მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა მოულოდნელად მოითხოვს რომელიღაც ობიექტზე მისვლას, მაშინ კი მართლაც ბევრი ოფლის ღვრა გვიწევს.

**— ახლა არჩევნების შემდგომი პერიოდია და განსაკუთრებულ რეჟიმში ხომ არ მუშაობთ?**

— ჩვენთვის პერიოდებს მნიშვნელობა არა აქვს. ვალდებულნი ვართ, ყოველთვის მზად ვიყოთ არასტანდარტულ ვითარებაში მოსახვედრად, თუნდაც თავდასხმისთვის. უფლება არ გვაქვს, ერთი წუთით მოვადუნოთ სიფხიზლე. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენი სამსახური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ცხრა მილიონამდე ლარს იღებს. ეს თანხა არ არის საკმარისი, მაგრამ დანაკლისს ჰუმანიტარული დახმარებების ხარჯზე ვინაზღაურებთ(?!). ის ორი შეჯავშნული მერსედესის მარკის ავტომანქანა მეგობარი „სახელმწიფოს“ საჩუქარია. ასევე საჩუქრად ვიღებთ უახლეს სპეცშეიარაღებას. ამაში დიდი წვლილი პრეზიდენტის ავტორიტეტს მიუძღვის.

P.S. პიროვნებისა და საკუთრების დაცვის ბევრი კომერციული სამსახური მოვინახულეთ. მართალი გითხრათ, ამ დაწესებულების ოფისებში გამოუცდელი ახალგაზრდებიც ვნახეთ, რომლებიც სიამაყით ატრიალებდნენ ხელში საფანტის იარაღს და ყოველნაირად ცდილობდნენ, სერიოზული სახეები მიეღოთ პოტენციური კლიენტების წინაშე. არადა საფრთხის შემთხვევაში, ისინი შეიძლება თავად გახდნენ დასაცავი. ეს კი არავის ანაღვლებს და ტუჩზე რძეშეუმშრალ ბავშვებს გაქსუებული სახელმწიფო კორუმპირებული ჩინოვნიკების სიცოცხლის დასაცავად აგზავნიან.

ჩვენ უფრო მათი მომავალი გვაღელვებს, ვიდრე ზოგიერთების ხალხისგან დატაცებული მილიონების დაცვა.

***ზვიად ჩაკვეტაძე***


# „იმუნეშუა“ – როგორ დავიცვათ თავი გრიპის ეპიდემიისგან

*სტატისტიკის მიხედვით შემოდგომიდან გაზაფხულამდე განსაკუთრებით გავრცელებულ დაავადებას, რომელიც ადამიანს შრომისუნარიანობას უქვეითებს და სხვა დაავადებების 90%-ს შეადგენს, წარმოადგენს გრიპი და მწვავე ინფექციურ-რესპირატორული დაავადება. გრიპისა და მისი გართულებებისგან გამოწვეულ სიკვდილიანობას დღემდე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ამიტომ მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია. არსებობს თუ არა მკურნალობის ახალი საშუალებები?*

გრიპისა და მწვავე ინფექციურ-რესპირატორული დაავადებების სიმპტომები ძირითადად ერთმანეთის მსგავსია. განსხვავება შესაძლოა გამოვლინდეს მხოლოდ მათ გამოხატულებასა და რომელიმე სიმპტომის სიჭარბეში, აგრეთვე პაციენტის მდგომარეობის სიმძიმით. ამ დაავადებათა შორის საერთოა: *წყარო* – დაავადებული ადამიანი, ბავშვი თუ ზრდასრული, გაცილებით უფრო გადამდებია დაავადების მწვავე პერიოდში. *გადადების ძირითადი გზა* – ჰაერწვეთოვანი – ცემინება, ხველება, საუბარი, ადამიანის გარშემო გადადების ზონას წარმოქმნიან და დაავადების მიკროორგანიზმებისა და ვირუსების მეტად მაღალი კონცენტრაციით ხასიათდებიან. ბაქტერიული „აეროზოლის“ ნაწილაკების რაოდენობამ შესაძლოა 800 ათასს მიაღწიოს. თუ ავადმყოფი ცდილობს დააცემინოს პირის გაღების გარეშე, ამ ნაწილაკების რაოდენობა 10-80-ჯერ მცირდება.

განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ჯანმრთელობაზე ახდენს გრიპისა და მწვავე ინფექციურ-რესპირატორული დაავადების განმეორების შედეგები, რომლებიც ხელს უწყობენ ქრონიკული ბრონქიალური და ფილტვების პათოლოგიის ჩამოყალიბებას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა განავითაროს ჰაიმორიტი, ანგინა, ოტიტი. ისინი იწვევენ ალერგიულ პათოლოგიას, შესაძლოა გახდნენ ბავშვის ფსიქომოტორული და ფიზიკური განვითარების შეკავების, აგრეთვე მეორადი იმუნური არასრულფასოვნების მიზეზი.

დღესდღეობით, გრიპისა და ვირუსული ინფექციების გართულებებს ანტიბიოტიკებით მკურნალობენ. თუმცა ამგვარი მეთოდის მიზანშეწონილობა მრავალი მიზეზის (ალერგიული რეაქციები, არაეფექტურობა, გვერდითი მოვლენები და სხვ.) გამო მუდამ დავის საგანს წარმოადგენს.

თანამედროვე მედიცინა დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი სამკურნალო საშუალებების ძიებასა და შექმნას, რომლებიც ამაღლებენ ორგანიზმის არასპეციფიკურ დაცვას გრიპისა და მწვავე ინფექციურ-რესპირატორული დაავადებებისგან. ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატების გამოყენების ცდები დიდი ხანია მიმდინარეობს. თავიდან, ამგვარი სამკურნალო საშუალებები განიხილებოდა მკურნალობის სხვა ხერხების ეფექტის გაძლიერებისთვის მხოლოდ დამატებით თერაპიად. ბოლო წლებში, შეინიშნება ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატების გამოყენების ალტერნატიული ტენდენცია.

ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ის პრეპარატი **„იმუნეშუა“**. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა ამ პრეპარატის მაღალი ანტიგრიპოზული აქტივობა გვიჩვენეს. პროფილაქტიკური სქემით მისი მიღებისას მგრძნობიარე უჯრედებში ვირუსის გამრავლება 10 მილიონჯერ იხშობა! **„იმუნეშუას“**-აქტიური კომპონენტი იმუნოგლობულინი (IgG), ხელს უშლის ვირუსის და მისი ტოქსიკური ფრაგმენტების შეღწევას ორგანიზმის ქსოვილებში, ხოლო მის შემადგენლობაში შემავალი ვიტამინი C და ექინაცეასა და ანდროგრაფისის ალკალოიდები ხელს უწყობენ ადამიანის არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტიურებას. პრეპარატს რაიმე უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა არ გააჩნია და ამიტომ იგი საშუალებას იძლევა, გრიპისა და მწვავე ინფექციურ-რესპირატორული დაავადების კომპლექსური პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის მოზრდილებისა და ბავშვების გაცილებით ფართო კონტინგენტი მოიცვას (მათ შორის ალერგიულებიც).




პრეპარატ **„იმუნეშუას“**, ისევე როგორც კომპანია **„შიფ“**-ის მიერ წარმოებულ ყველა პრეპარატს მინიჭებული აქვს GMP-ის საერთაშორისო სტანდარტის ხარისხი.

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს – საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი
GEOVIT

**ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“**
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com


CMYK

— **„რაო ესი“-ის და „გაზპრომის“ საქართველოში 25 წლით შესვლა — პრეზიდენტ შევარდნაძის ტაქტიკაა თუ სისუსტე?**

— რადგან საქართველო ასეთ ხელშეკრულებებს აწერს ხელს, ე.ი. ეს მას სჭირდება.

ბოლო ხანს ჩუბაისი ე.წ. ლიბერალური იმპერიის შექმნის იდეას ქადაგებს (რას გულისხმობს მის მიერ შემოთავაზებული „ლიბერალური იმპერია“ — იხ. გვ. 27). ამ პროექტის რეალიზაციის ძირითად და ერთადერთ მიღწევად კი თავისი კომპანიის საქართველოში დაფუძნებას მიიჩნევს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ 90%-ით ეს წინასაარჩევნო რიტორიკაა. ის მეორედ იყენებს ასეთ სვლას — დერჟავულ-პატრიოტულ განცხადებას აკეთებს, რაც ეგზომ პოპულარულია ჩვენს საზოგადოებაში. ეს პოლიტიკოსთათვის სტანდარტული მაგალითია. შევარდნაძეს მოწინააღმდეგეები აფხაზეთის ჩაბარებას აბრალებენ, ალიევ-უფროსს — ყარაბაღის დათმობას. ოთხი წლის წინ, ჩეჩნეთის გაცხარებული ომის დროს, ჩუბაისმა განაცხადა, — ჩეჩნეთში რუსული არმია ფენიქსისებრ აღდგა და ვინც სხვანაირად ფიქრობს, მოღალატეაო. დღეს ეს აღარავის ახსენდება, მაგრამ საქმე გაკეთდა — ის დუმაში მოხვდა, ხოლო „იაბლოკომ“, რომლის ლიდერი მოლაპარაკებების მომხრე იყო, ხმები დაკარგა.

რასაკვირველია, ჩუბაისი რუსეთის იმპერიის აღდგენაზე მეოცნებე პოლიტიკოსებზე მუშაობს.

ლიბერალური იმპერია კიდევ ერთი კატასტროფა იქნება რუსეთისთვის და საბოლოოდ განაწყობს მის წინააღმდეგ მეზობელ ქვეყნებს; ეს საქართველოსაც ეხება, თუმცა მანამდე ჯერ შორია. აგერ, უკრაინა — 10 წლის შემდეგ მაინც გახდება ევროკავშირის წევრი. ერთხელ ჩუბაისს ვკითხე, — ჩვენ უკრაინის ევროკავშირში შესვლას შევებრძოლებით-მეთქი? აბა, ტაშს ხომ არ დავუკრავთო. რა უნდა რუსეთს, რატომ ეწინააღმდეგება უკრაინის ევროკავშირში გაერთიანებას? ჩვენ ხომ თავად ევროპელების დიდი მეგობრები ვართ, დასავლეთთან ყველანაირ კავშირს ვამყარებთ, ხოლო დსთ-ის ქვეყნებისთვის ამის გაკეთება არ შეიძლება? ცხადია, რომ ეს რუსული პოლიტიკური აზროვნების რღვევას ნიშნავს და ასეთ სიტუაციაში ჩვენ არასოდეს გვექნება თანმიმდევრული პოლიტიკა, არავინ მიიღებს მას, ლუკაშენკოც კი, რომელსაც ათი წელია მოსკოვის ყურმოჭრილ მონად მოაქვს თავი. მე არ განვაზოგადებდი ჩუბაისთან გარიგებას და ვურჩევ ქართულ აუდიტორიას, არ მიანიჭოს დიდი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა მის პროექტს.

— **შეიძლება თუ არა რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა იმ თვალსაზრისით განვიხილოთ, როგორიც თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა გააცნო საზოგადოებას. რამდენად სერიოზულია ეს დოქტრინა?**

— თავისი უაზრო განცხადებების უდიდესი ნაწილი მან უკვე უარყო კოლორადო-სპრინგსში, ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაზე. საქართველოსთან მიმართებით საკმაოდ უცნაურად გაიჟღერა მისმა განცხადებამ, თუმცა კონკრეტულად არ დაუსახელებია ეს ქვეყანა. მის განცხადებაში გამაოგნებელი მუხლია — თუ ნატო განაგრძობს რუსეთის მიმართ აგრესიულ გამოხდომებს, ჩვენ ბირთვული დოქტრინის კურსს გადავხედავთო, ანუ ნატოს რაღაც ბირთვული იარაღით დაემუქრა. ეს მაშინ, როცა ჩვენ ნატოს ოცეულში ვართ და მათთან ერთად ხელს ვაწერთ სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციას... ჰოდა, მოუწია ივანოვს თავის მართლება — სწორად ვერ გამიგესო, ნატო აგრესიული ორგანიზაცია სულაც არ არისო, თუმცა ახალ სამხედრო დოქტრინაში შავით თეთრზე სწორედ ასე წერია!.. მაგრამ ყველაზე საინტერესო მერე მოხდა: როცა ჰკითხეს, — პრევენციულ დარტყმებში რას გულისხმობთო, უპასუხა, — ეს თქვენ კი არა, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს ეხებათო და გამაოგნებელი რამ დაურთო, — თანაც ისინი ჩვენგან ენერგომატარებლებს იაფად ყიდულობენო... ფანტასტიკური ლოგიკაა!..

# რუსეთი და საქართველო კატასტროფის პირველი მსხვერპლნი გახდებიან

**ინტერვიუ სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორთან, ანდრეი პიონტკოვსკისთან**



ანატოლი ჩუბაისი

— **ყველაფერი ეს წინასაარჩევნო მანევრებია?**

— რასაკვირველია, მაგრამ ამას ფსიქოთერაპევტის თვალით უნდა შევხედოთ. ყველა დიდი იმპერია ხომ მტკივნეულად განიცდის თავისი სამფლობელოების დაკარგვას და პირზე სულ წარსული დიდება აკერია. დაახლოებით ასე იქცევიან რუსი პოლიტიკოსებიც, პრაქტიკაში კი... ავიღოთ ბელორუსია, რომელთანაც აგერ უკვე ოცჯერ გავერთიანდით, მაგრამ ახლა ყველასთვის ცხადია, რომ არავითარი კავშირი არ შედგება. პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე გენიალური პოლიტიკოსი ლუკაშენკო გამოდგა. მე ვურჩევდი შევარდნაძეს, ესწავლა მისი კოლეგებისგან, უპირველესად, უფროსი ალიევისგან, რომელმაც ნორმალური კონსტრუქციული ურთიერთობა შეინარჩუნა ამერიკასთანაც და რუსეთთანაც. არ გადააქცია აზერბაიჯანი ორი ზესახელმწიფოს საჯიჯგნად (არადა აზერბაიჯანი ხომ უფრო გემრიელი ლუკმაა — მას ნავთობი აქვს). და — შემდეგ, პოლიტიკოს ლუკაშენკოსგან, რომელიც ყოველ წელს ჩადიოდა მოსკოვში, ხელს აწერდა რაღაც საბუთებს გაერთიანებაზე და ყველა აღტაცებული რჩებოდა — არიქა, იმპერია აღდგებაო. თავისი სამშობლოსთვის რუსეთისგან მილიარდობით დოლარს იღებდა და ყველაფერს გროშებად ყიდულობდა... ლუკაშენკოს წუთითაც არ უფიქრია თავისი დიქტატორული ძალაუფლების გაცვლა მინსკის საოლქო კომიტეტის მდივნობაზე. ახლაღა მიხვდნენ დოყლაპია რუსი პოლიტიკოსები, რომ თურმე ლუკაშენკო ამდენი ხანი აცუცურაკებდათ.

— **დღეს რუსეთს საქართველოში ძლიერი პოზიციები გააჩნია. მან ზეწოლის ძლიერი ბერკეტები მიიღო არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ასპექტშიც, რაც შემდგომში თავისი პირობების კარნახის უფლებას აძლევს. ხედავს, რომ საქართველო გალატაკებულია, უპრინციპო, თავისი ინტერესების დაცვაც არ შეუძლია, ეცდება უფრო მოუჭიროს ხელი და დაარტყას კიდეც.**

— ერთი წლის წინ ეს საკითხი კონკრეტულად იდგა და პანკისის ხეობაში ოპერაციის ჩატარება რეალური იყო. მაგრამ როცა განხილვა დაიწყეს, მე და გენერალი ივაშოვი წინააღმდეგი წავედით, ჩვენ ერთი და იგივე არგუმენტები მოგვყავდა — დარტყმები იდიოტიზმის მწვერვალი იქნებაო. ჩვენი ჯარისთვის, რომელიც პანკისის ხეობაში „ბოევიკებზე“ თავდასხმას აპირებდა, მთავარი შედეგი კი არ იყო (რასაც ნგრევა, მსხვერპლი და საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთება მოჰყვებოდა), არამედ იმის დამტკიცება, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ.

— **შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, აფხაზეთი რუსეთისაა; მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო რამ ხდება: თუ იქ სიტუაცია გამწვავდა, დაიწყო სამხედრო მოქმედებები, — იქ მცხოვრებმა უცხოელმა მოქალაქეებმა (სხვა საკითხია, რამდენად კანონიერია მათი იქ ყოფნა) უნდა დატოვონ აფხაზეთი და ისინი, როგორც საერთოდ არის მიღებული, სამშობლომ უნდა შეიფაროს.**

— აქ აღმაშფოთებელი ორმაგი სტანდარტია: წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, საქართველოს ჩეჩნებისთვის ქართული პასპორტები რომ მიეცა, პარლამენტში კი ჩეჩნების მიერთების საკითხი განეხილათ?!

რუსულ-ქართული ურთიერთობა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაზეა დამოკიდებული. სანამ რუსეთი ამერიკას და დასავლეთს მტრებად აღიქვამს (მიუხედავად პუტინის და ბუშის განცხადებისა — პარტნიორობის თაობაზე), მანამ ყველაფერი, რაც საქართველოში, და არა მარტო იქ, ხდება (ფანტასტიკური გამონაკლისია — აზერბაიჯანი), უნდა განიხილებოდეს, როგორც აშშ-ის და რუსეთის მეტოქეობის ზონა, როგორც თამაში ნულოვანი თანხით.

— **ბოლო დროს ხშირად გაისმის, ამერიკამ საქართველო რუსეთს დაუთმოო.**

— რას გულისხმობთ, „რაო-ეეს“-სა და „გაზპრომს“? ჯერ ერთი, საქართველოსთვის არავის დაუძალებია, გინდა თუ არა, დოკუმენტზე ხელი მოაწერეო და აქ ვერავითარ საშიშროებას ვერ ვხედავ. უბრალოდ, მოხდა ის, რაც პოსტსაბჭოურ სივრცეში ხდება: საწყალმა ამერიკელებმა ბიზნესი იყიდეს ქვეყანაში, სადაც არავინ გადასახადებს არ იხდის, რაღაც საქმის გარჩევისას ამ კომპანიის მენეჯერიც ვიღაცამ მოკლა. ამერიკელებმა მიაფურთხეს ყველაფერს და გაიქცნენ, ჩუბაისმა კი დრო იხელთა. მაგრამ, საკითხავია, რას იზამს, როგორ აპირებს ფულის აკრეფას. ალბათ როგორც აქამდე არ ჰქონდათ ქართველებს სინათლე და გაზი, არც ახლა ექნებათ.

— **საქართველოზე ზეწოლის ადრე არსებულ შესაძლებლობებს უფრო მარჯვე ვარიანტები დაემატა?**

— თეორიულად კი. მე აზერბაიჯანის წარმომადგენლებს ვესაუბრე — იქ ხომ უზარმაზარი უცხოური ინვესტიციები შევიდა არა მარტო ნავთობის წარმოებაში, არამედ სხვა დარგებშიც. შეიძლება მამა-ალიევის წარმატება განაპირობა იქ უცხოური კაპიტალისთვის უფრო ხელსაყრელმა პირობებმა — ანუ ეკონომიკური ბანდიტიზმის და კორუფციის ისეთი თარეში, როგორიც რუსეთშია, იქ არ არის. აზერბაიჯანში ჩინეთის ტიპის რაღაც მოხდა — მეტნაკლები ავტორიტარული რეჟიმის დროს შეიქმნა სასიკეთო მდგომარეობა ინვესტიციებისათვის. ყაზახეთშიც ზრდის დიდი ტემპებია. ასე რომ, ჩუბაისი კი არ მივიდა საქართველოში — ამერიკელები გაიქცნენ.

ახლა მოსკოვში სერიოზულად განიხილება ექსპერტების შეხვედრის და აშშ-თან სამხედრო სტრატეგიული კავშირის ახალ დონეზე გადასვლა. პირველი საკითხი იქნება, თუ როგორ დავარეგულიროთ ურთიერთობა დსთ-სთან ისე, რომ სრულიად გამოირიცხოს ურთიერთქიშპი და ერთმანეთს დაემთხვეს რუსეთისა და ამერიკის სტრატეგიული ინტერესები, კერძოდ, ისლამური რადიკალიზმის საწინააღმდეგოდ. ამიტომ რუსეთ-საქართველოს პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა რუსეთი და ამერიკა შეიგნებენ, რომ ერთ ნავში სხედან და დსთ მეტოქეობის კი არა, საერთო ინტერესების ზონაა. თუ ამას შეიგნებენ, ყველა პრობლემა, რაც საქართველოსთვის ახლა გადაუწყვეტელი ჩანს, სასიკეთოდ შეიცვლება. გარდა ამისა, ჩვენ და ამერიკას საფრთხეც ერთი გვაქვს. სიტუაცია სერიოზულია, ამას ამერიკელებიც გრძნობენ და იმედია, რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობაც, პრეზიდენტის ჩათვლით. თუმცა რუსეთის მედია, ინერციით აღფრთოვანებას ვერ მალავს, როცა ამერიკას რაღაც შეეშლება. მაგრამ ყველა ნელ-ნელა ხვდება, რომ თუ ამერიკელები ერაყიდან და მთლიანად ამ რეგიონიდან წავლენ, დომინოს პრინციპი ამოქმედდება და ეს კატასტროფული იქნება მთელი დასავლეთისთვის, ევროპის ჩათვლით. მაგრამ ისინი შორს არიან, რუსეთი და საქართველო კი — რასაკვირველია, ამ კატასტროფის პირველი მსხვერპლნი გახდებიან.

*პანკისი. ინფო*

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარების ბრძნობანი

— შეიძლება მეც მივცე ხმა უცნობის ძმას? — კითხულობს 5 წლის **ანანო მუკბანიანი**.

— შენ პატარა ხარ, ვიდრე დიდი გოგო არ გაიზრდები, ხმის მიცემის უფლება არ გექნება, — პასუხობს მამა.

— მაშინ შეიძლება შევუნახო?

* * *

3 წლის **მარიამ ბერიანიძეს** ბებია უკითხავს ზღაპარს „რწყილი და ჭიანჭველა“ (მამა ტელევიზორს უყურებს — წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა. ეკრანზე ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან პრეზიდენტი, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები), გოგონა ეკითხება ბებიას:

— ბებო, ეს რწყილი რომ მივიდა ღორთან, ყვავთან, კრუხთან... რატომ არ მივიდა ედიკასთან (გულისხმობდა პრეზიდენტს)?

* * *

**პატარა ნიკამ** მამიკო დახატა და აჩვენა.

— ძალიან მომწონს, მაგრამ რატომ მაქვს მწვანე თმა? — ჰკითხა მამამ.

— აბა, მელოტისფერი სალებავი რომ არ მქონდა?!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ხმალუღუნა ფრინველია, თვინიერი, მიმნდობი, ყველა ვესიყვარულებით, სიმბოლოა მშვიდობის“.

IV



**I ანა, გამოიცანი**

**1) რომელია შოტლანდიის დედაქალაქი?**
ა) ედინბურგი; ბ) იოჰანესბურგი; გ) ჰამბურგი; დ) მაგდებურგი.

**2) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის ქიმიური ელემენტი?**
ა) კანკალი; ბ) დანდალი; გ) ტანტალი; დ) ცანცალი.

**3) რომელ სოფელშია დაკრძალული გიორგი სააკაძის ვაჟის, პაატას თავი?**
ა) სააკაძეში; ბ) მარტყოფში; გ) მარაბდაში; დ) ერთაწმინდაში.

**4) ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.**
ა) აკაკი წერეთელს; ბ) გრიგოლ რობაქიძეს; დ) ლადო ასათიანს; დ) დავით გურამიშვილს.

**5) როგორ დაასრულა სიცოცხლე იუდამ ქრისტეს გაცემის შემდეგ?**
ა) საწამლავი დალია; ბ) კლდიდან გადავარდა; გ) თავი ჩამოიხრჩო; დ) სატევარი ჩაიცა გულში.

**6) რა ერქვა ძველად მარტის თვეს?**
ა) მკათათვე; ბ) მირკანი; გ) იგრიკა; დ) სარწყვნისი.

**7) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ნაწარმოები ეკუთვნის ნიკო ლორთქიფანიძეს?**
ა) „გლახის ნაამბობი“; ბ) „თავსაფრიანი დედაკაცი“; გ) „თვალი პატიოსანი“; დ) „ხმელი წიფელი“.

**8) რომელი ქვეყნის დროშაზე არ არის გამოსახული ნახევარმთვარე და ვარსკვლავი?**
ა) ალჟირის; ბ) თურქეთის; გ) ყაზახეთის; დ) აზერბაიჯანის.

## იპოვე 10 განსხვავება



**II იპოვე ორი ერთნაირი მაიმუნი**




**III გამოცანა**

**ვარსკვლავივით იცინის,**
**რკინის ქუდი ახურავს,**
**და ანათებს ციმციმით,**
**რა იქნება?**

თქმულება

## მოსწრებული სიტყვა

ერთხელ მეფე ერეკლე მეორე მიბრძანდებოდა თურმე ქალაქიდან კახეთს და თან ამალა ახლდა. მზე დაწურვაზე ყოფილა, როცა მეფე საგარეჯოს ბოლოს მისულა, დაუნახავს, რომ ერთ ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის.

— ეს ამოდენა მუშა ვისიაო? — იკითხა.

მოახსენეს:

— აქ, საგარეჯოში, ერთი შეძლებული გლეხია და იმისი მამითადიაო.

— შაბაშ გლეხსაო, — ბრძანა თურმე და მისი ვინაობა იკითხა.

მოახსენეს ვინც იყო და ზედ დაატანეს:

— ისეთი ხელმოჭერილი რამ კია, პურს არავის აჭმევს, თუ არას გამორჩაო.

შეაყენა მეფემ ცხენი და ბრძანა:

— ის გლეხი აქ მომიყვანეთო.

მიუყვანეს. მეფემ უბრძანა:

— ვახშმად ჩემი ამალით შენი სტუმარი ვარო.

— მობრძანდით, შენი ჭირიმე! — უპასუხა გლეხმა, — მაპატიეთ, აქ სამზადისი არა მაქვს, შინ მეწვიეთო.

მეფე დათანხმდა.

გლეხი ცხენზე შეჯდა და ჭენებით წავიდა. ვიდრე მეფე სოფელში მივიდოდა, ჩამოღამდა კიდეც. გლეხი წინ მიეგება, მიიწვია მეფე სახლის ბანზე, რომელიც თავიდან ბოლომდე ხალიჩებით მოეფინა. ძალიან კარგად დახვდა თურმე მეფესა და იმის ამალას.

როცა მეფემ ვახშამი მიირთვა, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა, მოართვეს ცხენები, გლეხს მადლი უბრძანა და ზედ დაატანა:

— აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?

— მაინც ეგრეა, შენი ჭირიმე! — უპასუხა თამამად გლეხმა, — მართალი მოუხსენებიათო.

— როგორ? აბა, დღეს მე რას გამომრჩიო?

— ამ ბანზე მიწა ახლად დაყრილია, ამის დატკეპნას ბევრი მუშა მოუნდებოდა და მე მეტი გამორჩენა რად მინდა, რომ ჩემმა ბედნიერმა მეფე-ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისი ფეხით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და გლეხს ხალათი უბოძა.

## ვინ რა ინატრა

**ჩიტმა — ცა,**
**თევზმა — წყალი,**
**მგზავრმა — გზა,**
**ცხენმა — ნალი.**
**ვირმა — ბზე,**
**აფრამ — ქარი,**
**ტურამ — ტყე,**
**მგელმა — ცხვარი.**
**ჯამმა — რძე,**
**ყველმა — პური,**
**ვაზმა — მზე,**
**გულმა — გული.**

***მორის ფოცხიშვილი***

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***



ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

# — ცხოვრებაშიც ისეთი იყო, როგორიც „გიორგობისთვეშია“



**გამოჩნდა თუ არა კინოეკრანზე, ნათელი გახდა, რომ ქართველ მსახიობთა რიგს კიდევ ერთი ძალიან საინტერესო, ნიჭიერი და განსხვავებული სახე შეემატა. დასაწყისიც ძალიან იღბლიანი ჰქონდა — ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვეში“ მთავარი როლი ითამაშა...**

**საერთოდ, რამაზ გიორგობიანის ცხოვრება ხანმოკლე და მნიშვნელოვანი წარმატებით იყო სავსე, თუმცა ბედ-იღბლის ნებიერი არასოდეს ყოფილა.**

**უაღრესად განათლებული და სევდიანი, ზოგჯერ მიამიტი, მუდამ თავმდაბალი და ძალიან ნიჭიერი — ასეთი იყო მსახიობი რამაზ გიორგობიანი, რომლის მიერ განსახიერებული ყველა როლი („გიორგობისთვე“, „სერენადა“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ყელსაბამი სატრფოსათვის“...) სიცოცხლისუნარიანი და დასამახსოვრებელი გამოდგა.**

**მაია გაჩეჩილაძე** (და): — თავიდან მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მერე ვითომ სამედიცინო უნდოდა. მაგრამ ყოველთვის „მოწამლული“ იყო კინოთი. მეორე კურსზე იყო, როცა მათემატიკის ოლიმპიადაში გაიმარჯვა. დაჯილდოების დროს ნახა ოთარ იოსელიანის ასისტენტმა, წამოიყვანა... იქიდან მოყოლებული, კიდევ უფრო გაუძლიერდა კინოს სიყვარული. უცდებოდა ლექციები გადაღებების გამო. უნივერსიტეტიდან რომ არ გაერიცხათ, თვითონ ილია ვეკუამ შესთავაზა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადაყვანა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უნდოდა მოსკოვში, „ვგიკ“-ში წასვლა. დედა გადაირია — შვილს როგორ გავუშვებ მოსკოვშიო! ბედად, იმ წელს თბილისში, თეატრალურ ინსტიტუტში გაიხსნა კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. იქ ჩაირიცხა. ამასობაში ჟურნალისტის დიპლომიც აიღო, ის დედას ჩააბარა — ახარა, აჰა, შენი იყოსო და თვითონ თავისი ოცნების ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

მისი ყველაზე თვალში საცემი თვისება სამართლიანობა იყო. პირში უყვარდა თქმა. ბევრი ამის გამო გაანაწყენა. ვერ იტანდა სიყალბეს, მეშჩანობას, სნობიზმს. ხშირად საკუთარ გზას იჭრიდა. ისეთ ადამიანს ეუბნებოდა სიმართლეს, ვისაც მისი მომავლის განსაზღვრა შეეძლო, თუნდაც, თანამდებობის გამო...

იმ ყოფას, რაც თორმეტი თუ ცამეტი წლის წინ დაიწყო, ვერ გაუძლო. სულით ხორცამდე ინტელიგენტი იყო. ვერ იტანდა სიბინძურეს. გახსოვთ, თბილისში არეულობა რომ იყო და ხალხი ორად გაიყო? ის არანაირ დაპირისპირებაში არ მონაწილეობდა. იჯდა შინ და გულზე სკდებოდა. არ შეეძლო ბრძოლა, ლოზუნგებით გამოსვლა. ერთხელაც თქვა, რას ვზივარ, გავალ, ერთი, გავიგებ, რა ხდებაო. წავიდა რუსთაველზე. იქ ერთი მეგობარი შეხვდრია: — რამაზ, ჩვენთან წამოდიო. ახლავე მოვალო, — უთქვამს და გამოუვლია ფილარმონიასთან. იქ მეორე მეგობარი უნახავს. ახლა იმას შეუთავაზებია, ჩვენთან მოდიო. გაგიჟდა ამაზე... არსად არ გაჩერდა, შინ დაბრუნდა.

მოსახლეობის რაღაც ნაწილმა ძნელად, მაგრამ მაინც გადალახა ეს უშუქობა, უგაზობა. რამაზმა ვერანაირად ვერ აუღო ალღო, როგორ უნდა ეცხოვრა. სათუთად იყო გაზრდილი ბებიის და დედაჩემის ხელში. ცივ ნიავს არ აკარებდნენ. უკვე დიდი იყო, ბებია რომ ყოველდღე „შუს“ უცხობდა და საღამოს ახვედრებდა. მახსოვს, დედა მიამბობდა, — პატარაობისას ისე ეჭვიანობდი, რამაზის სურათებიც კი დახიეო. მამინაცვალი რომ ჰყავდა, — ბავშვი არ დაიჩაგროსო და ხელისგულზე ატარებდნენ. თუმცა მამაჩემი ძალიან უყვარდა, სწორედ რამაზის დამსახურებაა, დედაჩემი რომ მამას გაჰყვა ცოლად.

თვითონაც უსაზღვროდ თბილი, მგრძნობიარე და გულისხმიერი იყო. ერთხელ, დედა ნაღვლის ბუშტის შეტევით საავადმყოფოში იწვა. ღამეს ვუთევდით ხოლმე. მე არ შემეძლო დარჩენა და ორი ღამე რამაზმა უთია. დედა მეუბნებოდა: რამაზმა შენზე უკეთ მომიარაო.

ერთ დილას მოსკოვიდან დაგვირეკეს — რამაზი საავადმყოფოშიაო. იქ გადაღებებზე იყო წასული, „ადამ და ევას“ იღებდნენ. დედას გული კინაღამ გაუსკდა. სასწრაფოდ გადაფრინდა მოსკოვში. როგორც ჩანს, გადაიღალა და გულის შეტევა მოუვიდა. წაუყვანიათ ლუმუმბას უნივერსიტეტის ჰოსპიტალში. მერე გვიყვებოდა, — საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, ისე ცუდად ვიყავი, არაფრის თავი არ მქონდა, უკეთ რომ შევიქენი და მზერაც დამეწმინდა, ვხედავ, პალატაში ყველაფერი შავია, თეთრი თვალები ანათებენ. გული გამისკდა და თვალი დავხუჭე, — ღმერთო, სად მოვხვდი-მეთქი.

ძალიან ხალისიანი იყო. დედა ეუბნებოდა, შენ შინ ხარ უჟმური, თორემ მეუბნებიან, გარეთ გადასარევი ყოფილხარო.

ლაღი იყო და არც სხვას უზღუდავდა თავისუფლებას. თავის შვილზე ამბობდა ხოლმე: დაანებეთ თავი, რაც უნდა, ის გააკეთოსო. თვითონაც ასეთი იყო, მაგალითად, რაც უყვარდა და მოსწონდა, ის უნდა ჩაეცვა. მახსოვს, ბევრჯიბიანი შარვლები მოსწონდა. მაშინ არ იყო მოდაში ასეთი შარვლები. თვითონ მაინც იცვამდა. ის და მისი მეგობარი თემურ ჯორჯაძე ლიძავაში, პლაჟზე, „ბათინკებით“, ე.წ. „ტრაქტორებით“ დადიოდნენ. ყველა მათ უყურებდა. როგორია, ორი ამხელა კაცი ტრუსებით და „ბათინკებით“ პლაჟზე!... ამბობდა, კენჭები რომ მხვდება ფეხზე, არ მომწონს და ასე ამიტომაც ვიქცევიო.

ძალიან სპორტული იყო. თხილამურებით რომ დაეშვებოდა, მისი მეგობრები ამბობდნენ, თვალს ვერ მოჰკრავდით, შურდულივით მიქროდაო. ძალიან უყვარდა ფეხბურთი...

აზარტულ თამაშებს არ ეტანებოდა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მოსწონდა პასიანსის გაშლა. მეც მასწავლა. ისე გამიტაცა ამან, რომ ხშირად ვიჯექი და ასე ვერთობოდი. ჩემი მეუღლე გიჟდებოდა — იქ რამაზი შლის პასიანსს, აქ შენო?

ერთხელ მილიციიდან დაგვირეკეს, რამაზ გიორგობიანი დაკავებულიაო. წავედით. თურმე „ივერიაში“ უცხოელ სტუმრებთან ერთად დერეფანში მდგარა. მილიციას გაუჩერებია: საბუთები გვაჩვენეო. რამაზს საბუთები არ ჰქონდა. მაშინ უთქვამთ, გაიხადეო. როგორც მერე აღმოჩნდა, პიჯაკის გახდა უთხოვიათ. მას კი ყველაფერი გაუხდია და ტრუსებით გამოჭიმვია მილიციელებს. ეს მათ შეურაცხყოფად მიუღიათ და განყოფილებაში წაუყვანიათ. ასე გამოხატა პროტესტი მილიციის მიმართ.

ძალიან სუფთა და უღალატო იყო. სხვისგანაც იმასვე მოელოდა. არ დამავიწყდება, ერთმა ცნობილმა რეჟისორმა სცენარი შეუკვეთა. იმ საშინელ წლებში სანთლის შუქზე წერდა, სიცივით ხელი უკანკალებდა... მაინც დაამთავრა. წაიღეს ეს სცენარი ამერიკაში. მერე რა ბედი ეწია, არ ვიცი... რამაზისთვის კი გროში არ გადაუხდიათ. არადა ვეუბნებოდით, — ეგებ, ხელშეკრულება გაგეფორმებინაო, მან — რას ამბობთ, კაცს სიტყვაზე არ უნდა ვენდოო?!..

**ნუნუ ქიქოძე** (მეუღლე): — რამაზი შესანიშნავად წერდა. შენახული მაქვს მისი მოთხრობები და სცენარები... სამი ფილმის გადაღება მოასწრო, მეოთხის — „მორევის“ — დამთავრება ვეღარ... ბევრი ინერვიულა, რადგან გაგრძელდა და გაძნელდა ფილმის გადაღება, არ იყო ფული. მოკლედ, ამ ფილმმა, შეიძლება ითქვას, ბოლო მოუღო. საერთოდ, იმ წლებმა — თბილისის ომმა, უშუქობამ, უმწეობამ — დიდი ტკივილი მიაყენა. დარდს გულში იკლავდა. ისე, ერთი შეხედვით ძალიან მშვიდი ადამიანი იყო.

სხვათა შორის, ცხოვრებაშიც ისეთი იყო, როგორიც „გიორგობისთვეშია“, ზედმიწევნით წესიერი და პატიოსანი.

„ცისფერ მთებში“ ნათამაშები როლისთვის სახელმწიფო პრემია მისცეს.

იმ ყოფას, რაც თორმეტი თუ ცამეტი წლის წინ დაიწყო, ვერ გაუძლო. სულით ხორცამდე ინტელიგენტი იყო. ვერ იტანდა სიბინძურეს. გახსოვთ, თბილისში არეულობა რომ იყო და ხალხი ორად გაიყო? ის არანაირ დაპირისპირებაში არ მონაწილეობდა. იჯდა შინ და გულზე სკდებოდა. არ შეეძლო ბრძოლა, ლოზუნგებით გამოსვლა. ერთხელაც თქვა, რას ვზივარ, გავალ ერთი, გავიგებ, რა ხდებაო. წავიდა რუსთაველზე. იქ ერთი მეგობარი შეხვდრია: – რამაზ, ჩვენთან წამოდიო. ახლავე მოვალო, – უთქვამს და გამოუვლია ფილარმონიასთან. იქ მეორე მეგობარი უნახავს. ახლა იმას შეუთავაზებია, ჩვენთან მოდიო. გაგიჟდა ამაზე... არსად არ გაჩერდა, შინ დაბრუნდა.

მოსკოვში ვიყავით წასულები პრემიის მისაღებად. როცა გამოაცხადეს, დაღესტნის დამსახურებული არტისტი რამაზ გიორგობიანიო, ქართველები გაოცდნენ... დაღესტანში ორ ფილმში მიიღო მონაწილეობა და მისცეს დამსახურებული არტისტის წოდება, საქართველოში კი ჯერ არაფერი ჰქონდა მიღებული. რომ დავბრუნდით, მერე აქაც მიანიჭეს ეს წოდება.

არაჩვეულებრივი მამა იყო. ხშირად მეტყოდა ხოლმე, მეგობრებთან წადი, დაისვენეო. თვითონ უვლიდა ჩვენს გოგონას.

იმ წლებში მრგვალ ბაღში იკრიბებოდნენ ხოლმე ბიჭები. ეძახდნენ, სასმელს სთავაზობდნენ. სამწუხაროდ, მაშინ დედა ლოგინად მყავდა ჩავარდნილი, მთელი დღეები იქ ვიყავი. რამაზი, ფაქტობრივად, მარტო იყო. უყურადღებოდ დამრჩა და...

**მიშა ქიქოძე** (ცოლისძმა): — პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ელდარ შენგელაიას „ცისფერ მთებში“ მოვხვდი დირექტორის როლზე — „შაბიამანი მოიტანესო“, რომ ამბობს. რამაზი კადრების სანახავად მიდიოდა. აინტერესებდა, რა გამოვიდა. მერე გამამხნევებდა ხოლმე: ნურაფრის გეშინია, ყველაფერი გადასარევად გამოდისო... ეს გულს მიკეთებდა... საოცარი ურთიერთობა გვქონდა. ზაფხულობითაც აგარაკზეც ერთად მიგვყავდა ცოლ-შვილი.

ერთ ზაფხულს ბათუმში მივდიოდით ბინის დასაქირავებლად. გურიის ერთ სოფელში შევედით. მე რამაზს რაღაცას ველაპარაკებოდი. უცებ გოჭის ჭყვიტინი მომესმა. თურმე ამ ლაპარაკში გოჭი არ გამიტანია მანქანით?! პატრონიც იქვე, ჭიშკართან იჯდა. რამაზმა მითხრა, — გააჩერე მანქანა, გადადი, დაელაპარაკე, იქნებ შეთანხმდეთ და გოჭის საფასური გადავუხადოთო. გადავედი. მოვიდა გურული ქალი. მეკამათება — მგონი, ოთხმაგი მომთხოვა! რომ შემაგვიანდა, მანქანიდან რამაზიც გადმოვიდა. ქალი გაჩუმდა და მერე დაიწყო, — მეზობლებო, გამოდით, ნახეთ, ჩემთან სტუმრად ვინ მოვიდაო — რამაზი იცნო. შინ მიგვიწვიეს. იმ ღამით არ გამოგვიშვეს. ვიქეიფეთ. იმ ოჯახის მოხუცებული ბებია საგანგებოდ მოიყვანეს შვილიშვილებმა რამაზის გასაცნობად: — ნენა, მანახეთ, ერთი, იი ბიჭი, ცოცხალი თუ დარჩა... რაც მაგას ურტყამდა ის მუტრუკი... პატრონი არ გყავდა, ნენა, არავინ გააშველებინა ხელი შენთვისო? — „სერენადაზე“ ელაპარაკებოდა. გადაეხვია რამაზს, მიეფერა...

ბოლო ფილმი რომ ვერ დაასრულა, იმაზე ნერვიულობამ უქნა ყველაფერი. წუხდა: — ამდენი ხალხი ავიყვანე და ფული არა მაქვს, რომ ხელფასი მივცეო. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. მერე ხან მეგობრები დაეხმარნენ, ხან რაღაც იშოვა... ერთხელ ასე წვალებით შეგროვებული ფული ვიღაცას ფირის საყიდლად გაატანა. მოუტანეს უხარისხო ფირი. კინაღამ გაგიჟდა...

ბოლოს ცუდად ჩემს ოჯახში გახდა... წინა დღეს მეზობლის დაბადების დღეზე ვიყავით... მეორე დილით, ნაბახუსევისთვის, ჩემი შვილი გაუგზავნია კონიაკის საყიდლად. მის მოსვლამდე წაიქცა... სასწრაფოც მოვიდა, მეც მივედი. წავიყვანეთ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, იქიდან — ნევროლოგიის ინსტიტუტში... ვიდრე რეანიმაციაში გადაიყვანდნენ, ერთი წუთით მოვიდა გონს. ვკითხე, რამე ხომ არ გტკივა-მეთქი. თითქოს ვიღაცა თავში ჩაქუჩებს მირტყამსო... ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. ამის შემდეგ გონზე აღარ მოსულა, ისე გარდაიცვალა.

**გიორგი ცაგარელი** (მეგობარი): — ის, რაც რამაზ გიორგობიანის სიცოცხლის ბოლო წლებში ხდებოდა, კარგად მოგეხსენებათ — არეულობა, სიბნელე, სიცივე... საშინელი დრო იყო და რამაზი თითქოს ნელნელა მიდიოდა აღსასრულისკენ და კარგად ესმოდა ეს. ჩვენ ხშირად გვისაუბრია ამაზე. მას უბრალოდ, აღარ უნდოდა, აღარ შეეძლო ასე სიცოცხლე. ნივთიერი კი არა, გამეფებული ზნეობრივი სიღატაკე კლავდა. ისეთი იყო, „გიორგობისთვეში“ რომ არის. არ წავიდა კომპრომისზე თავის თავთან. შეგნებულად გაეცალა ყველაფერს...

***ლელა ჯიყაშვილი***








გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- ✔ მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- ✔ იპოთეკა,
- ✔ მემკვიდრეობა,
- ✔ ყიდვა-გაყიდვა,
- ✔ კერძო არბიტრაჟი,
- ✔ სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

# აშოტ კურაპალატი და ტაო-კლარჯეთი — საქართველოს გაერთიანების სათავეები

*კიდევ ერთხელ დაატყდა განსაცდელის ქარიშხალი საქართველოს. კიდევ ერთხელ დადგა ქართველთა მოდგმისა და ქართული რწმენისათვის განსაცდელი. დაწყებული მეშვიდე საუკუნის შუახანებიდან ორ საუკუნეზე მეტხანს მძლავრობდნენ მსოფლიოს ახალი დამპყრობნი — არაბები საქართველოზე. განსაკუთრებით მის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ცენტრზე, ქართლზე. უკიდურესად დამძიმდა მდგომარეობა საქართველოს ცენტრალურ თემებში. ამიტომაც იყო, რომ ქართველნი ან შეაწყდნენ მტერს ან ქვეყნის განაპირა მხარეებში გადაიხვეწნენ, მთა-ხეობებში სახლდებოდნენ. მიდიოდნენ კახეთ-ჰერეთის და ქართლის მთაში, ეგრის-აფხაზეთში, მესხეთში — ტაო-კლარჯეთში.*

*ქართლში არაბების ბატონობის ფონზე, საქართველოს ამიერ-იმიერში მერვე-მეცხრე საუკუნეების მიჯნაზე ასე წარმოიშვა ოთხი სამეფო-სამთავრო, რომლებშიაც არაბთა ბატონობა უფრო ადრე შენელდა და ზოგან საერთოდ შეწყდა. ნათელი ხდებოდა, რომ არაბებს უფრო და უფრო უჭირდათ პირენეებიდან ინდოეთამდე გადაჭიმული უზარმაზარი სამფლობელოების კონტროლი. ერთ-ერთი პირველი კახეთის სამთავრო ჩამოყალიბდა მდინარეების, იორისა და ალაზნის ზემო წელში (ცენტრით თიანეთი) და მერვე საუკუნის ბოლოსთვის არაბთა ბატონობისგანაც გათავისუფლდა. კახეთის აღმოსავლეთით, იმავე პერიოდში ყალიბდება ჰერეთის ჯერ სამთავრო, შემდეგ სამეფო. ერთ-ერთი ვერსიით, ჰერეთის მეფეები ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელნი არიან.*

*ყველაზე ნაკლები თავდასხმა და გაპარტახება არაბთა მხრიდან ჩრდილო-დასავლეთმა საქართველომ განიცადა — ჯერ აფხაზეთმა და შემდგომ ეგრისმა. აქაც მერვე საუკუნის დასასრულისთვის ყალიბდება სამეფო, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს (ცენტრით ქუთაისი).*

*ოთხ ქართულ სამეფო სამთავროთაგან უძლიერესი მაინც საქართველოს სამხრეთით, მესხეთის მიწა-წყალზე აღმოცენებული და ბაგრატოვანთა მიერ შემოკრებილი ტაო-კლარჯეთი, ანუ „ქართველთა სამეფო“ აღმოჩნდა. მესხეთი ისტორიულად ერთი იმ ტერიტორიათაგანია, სადაც დაირწა ქართული ცივილიზაციის აკვანი. ძველი წელთაღრიცხვით მეორე-პირველი ათასწლეულიდან აქ ცხოვრობდნენ უძველესი ქართული ტომები — ქაშქები, მუშკები, კარდუხები, ხალიბები, ტაოხები, მოსინიკები, მაკრონები და სხვანი. აქვე, ამ ტომების გაერთიანებით ჩამოყალიბდა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი — ასურული წყაროების მიხედვით, დაიაენი, ურარტული წყაროებით — დიაოხი, ხოლო ბერძნულის მიხედვით, ტაოხი — ჩვენი ისტორიული ტაო. ასე რომ, სწორედ ტაოს, კლარჯეთთან ერთად ერგო დიდი მისია, ყოფილიყო ქართული მიწების კვლავ შემკრები, ხოლო ამ საქმის დამწყები — საქართველოს უპირველესი გვარისა და სახელოვანი დინასტიის წარმომადგენელი — აშოტ პირველი ბაგრატიონი გახლდათ.*

*მოვლენები კი ასე განვითარდა:*

## განთქმული დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი

ბაგრატიონების სახელგანთქმული გვარი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული სამხრეთი თემიდან, ჭოროხის ხეობაში მდებარე სპერის პროვინციიდან გამოვიდა. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში მრავალი ვერსია და მოსაზრებაა გამოთქმული ბაგრატიონთა წარმომავლობის, მეფობამდელი და შემდგომი ცხოვრების შესახებ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ქართლის პირველი ერისმთავარი მეექვსე საუკუნეში, გუარამი ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელია, დედით კი ფარნავაზიანი — პირველი ქართული სამეფო დინასტიის შთამომავალი. ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს ამ ორი სამეფო გვარის ნათესაურ კავშირს (ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა დინასტიების შესახებ უფრო ვრცლად გაზეთის უახლოეს ნომრებში მოგითხრობთ).



ოპიზის ტაძრის (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია, მეცხრე საუკუნის დასაწყისი) ბარელიეფი აშოტ კურაპალატის გამოსახულებით

წერილობით წყაროთა მეორე ნაწილი ბაგრატიონთა დინასტიის ხელისუფლად აღზევებას მერვე საუკუნის ბოლოთი ათარიღებს და მის ფუძემდებლად აშოტ პირველ ბაგრატიონს თვლის.

გუარამ ერისმთავარ ბაგრატიონის საგვარეულო გვერდით შტოს ეკუთვნოდნენ ჰერეთის ერისმთავრები, რომლებიც მეფეებად აღზევდნენ (გრიგოლი, ადარნერსე, იოანე...). ბაგრატიონთა ერთი შტო ერთხანს, მერვე საუკუნიდან, სომხეთშიც გამეფდა, სადაც უზენაესობა მეთერთმეტე საუკუნემდე — 1045 წლამდე შეინარჩუნეს.

მერვე-მეცხრე საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ქართულ სამეფო სამთავროებში აშოტ დიდი პირველი კურაპალატი ისედაც გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებითა და ნიჭით. სამეფო-სამთავროთა პირველობაში პოზიცია რომ გაემაგრებინა, შეიქმნა თხზულებანი ბაგრატიონთა გვარის ღვთიური, ბიბლიური წარმოშობის შესახებ, რომ ეს ღვთაებრივი გვარი დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია.

აღნიშნული პოზიცია დაფიქსირებულია არა მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში (სუმბატ დავითის ძის თხზულება ბაგრატიონთა გვარის ისტორიის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“), არამედ უცხოურ წყაროებში, მეათე საუკუნის ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის ისტორიულ თხზულებაში. სწორედ ამიტომ უწოდებენ საქართველოს მეფეებს „იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონებს“.

## ქართლის ერისმთავარი

საქართველოში არაბთა ბატონობის მთელი სიმძიმე ქართლის ცენტრალურ რაიონებს დააწვა. განსაკუთრებით შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიებს, ცენტრით თბილისი, სადაც იჯდა სარკინოზთა მმართველი — ამირა. თბილისში კვლავ იყო ერისმთავარი. 786 წლიდან ერისმთავარი იყო ადარნასე ბაგრატიონის უმცროსი შვილი აშოტ პირველი, დიდი.

ეს ის დროა, როცა არაბთა საყოველთაო უძლეველობა თანდათან ძალას კარგავს. სახალიფოს გამოეყო არაბების მიერ დაპყრობილი ესპანეთი არაბულივე მმართველობით და კორდოვის სახალიფო შეიქმნა. აჯანყებები გახშირდა დაპყრობილ ქვეყნებში, განსაკუთრებით კავკასიაში. ამიტომ იყო, რომ ჰარუნ არ რაშიდის ოცდასამწლიანი მმართველობის დროს კავკასიაში ჩვიდმეტი მმართველი შეცვალეს. არაბები კარგად აცნობიერებდნენ, რომ აჯანყებათა სულისჩამდგმელი ქართული არისტოკრატია და მისი მეთაური ერისმთავარი იყო. რეპრესიებსაც მიმართავდნენ. არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, კავკასიის გამგებლად დანიშნულმა ჰუზაიმა იბნ-ჰაზიმმა თავისთან მიიწვია ქართლის პატრიკიოსები და სეფეწულები, დახოცა ისინი მახვილით... ისე სასტიკად იქცეოდა, ხელახლა გამოიწვია აჯანყება ჯურზანში (ქართლში) და სანარიაში (წანარეთში, კახეთში). ქართლში აჯანყებათა ორგანიზატორი ერისმთავარი აშოტ პირველი დიდი ბაგრატიონი იყო.

ბაღდადში, სახალიფოს ცენტრში, ხალიფას გარდაცვალების შემდეგ, 809 წელს ოთხწლიანი შინაომი ატყდა. ეს საქართველოს სასარგებლოდ გამოიყენა აშოტმა. გაძლიერდა ქართული საქმე. შეავიწროვა კურაპალატმა არაბები ქართლში, თითქმის ფეხიც ამოუკვეთა. არათუ ქართლში, თვით თბილისშიც შეავიწროვა ამირას ხელისუფლებაც. კავკასიის ალბანეთის მთავარ ქალაქ ბარდავამდე (ახლანდელი აზერბაიჯანი) გადასწვდა აშოტის მტკიცე მახვილი. იმედით შეჰყურებდა მას ერი და ბერი. მაგრამ, სამწუხაროდ, წარმატება ამჯერად დროებითი იყო. დააწყნარეს ვითარება არაბებმა ბაღდადში. ხალიფად მიზანდასახული მამუნი განმტკიცდა...

## გზა ტაო-კლარჯეთისკენ

გაუსაძლისი ხდებოდა ერისმთავრის ყოფა დღითი დღე. „განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინაღმდგომად მათდა აშოტ“. აღარ დაედგომებოდა თბილისში. გამოასწრო არაბებს უკანასკნელმა ერისმთავარმა და თავისი ოჯახითა და ამალით საგვარეულო მამულს — კლარჯეთს მიაშურა. აქვე დასახლდა. დაიმორჩილა მეზობელი თემები და განავრცო მამული. არაბთა დაუძინებელ მტერს ბიზანტიაც მფარველობდა. კურაპალატობის მაღალი ტიტულიც უბოძეს. რეზიდენციად ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ციხე-ქალაქი არტანუჯი გაიხადა. ერთ დროს ხალხმრავალი და სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქი განაახლა, ახალი სული შთაბერა, „აღაშენა ციხესა მას შინაეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შექმნა მას შინა საფლავი თვისი და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“...



გრიგოლ ხანძთელი. მინიატურა XII საუკუნის ხელნაწერიდან

უამრავი ამბის მომსწრე იყო უძველესი არტანუჯი. ორი ქართული მოდგმის ტომი მონაცვლეობდა ძველთაგანვე ამ არემარეში — მესხური და ჭანური. თვით სახელი, როგორც ქართველოლოგიის პატრიარქი აკაკი შანიძე თვლიდა, ჭანური გამოთქმიდან — არტაანიშყუჯიდან მომდინარეობს, რაც არტაანის ყურს ნიშნავს.

დაარსებიდანვე დაუწესა ფუნქცია დიდმა ვახტანგ გორგასალმა არტანუჯს: „უკეთუ განძლიერდნენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“. გავიდა ოთხი ასეული წელი და აღესრულა გმირი მეფის სიტყვები — არაბთაგან აოტებული აშოტი სწორედ არტანუჯიდან იწყებს დაუღალავ განმათავისუფლებელ ბრძოლას სარკინოზთა წინაამდეგ.

აქედანვე (888 წელს) იწყება დამოუკიდებელი ტაო-კლარჯეთის სამთავროს, აშოტის შთამომავალ ადარნასე ბაგრატიონის დროიდან, — „ქართველთა სამეფოს“ ისტორია.

ენერგიულად იღვწის აშოტ დიდი. ბიზანტიის მხარდაჭერასაც გრძნობს. შემოიკრიბა სრულიად სამხრეთი საქართველო. თვალი დანარჩენ საქართველოსაც მიაპყრო. მის სეფედროშას დაექვემდებარა კლარჯეთი და ტაო, შავშეთი და აჭარა, სამცხე და ჯავახეთი, — თითქმის მთელი მესხეთი. ახლა შეიძლებოდა სრულიად საქართველოზედ ფიქრი. საქართველოს გაერთიანება კი ერთი დროშის ქვეშ მისი ოცნება იყო. გაერთიანება დაწყებული იყო და შორს წასული — გაერთიანება იდეოლოგიური, კულტურულ-ეკლესიური.

ახლა საჭირო იყო პოლიტიკური გაერთიანება, — სამხედრო გზით, ქარქაში ჩაუგებელი მახვილით. საერთო ინტერესებიც გამოიკვეთა — მის მოკავშირედ ეგრის-აფხაზეთის სამეფო გამოდიოდა, მისი სიძე თეოდოსი, მეფე ლეონ მეორის შვილი. მარტო მოკეთეობა არაფერ შუაშია. ეგრის-აფხაზეთი შეშფოთებული იყო კახეთის მეფის, გრიგოლის გაძლიერებით და მის მიერ ქართლის დაუფლებით: როგორ უშუალოდ გაუმეზობლდა ეგრის-აფხაზეთს! თანაც ამ საქმეში თბილისის ამირა უდგას მხარში კახელებს. სწორედ ამან შეაშფოთა თეოდოსი, — მომდევნო სვლა ხომ დასავლეთი საქართველო იქნებოდა.

ამიტომაც იყო, რომ „...გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან და უშველა თეოდოსი აფხაზთა მეფემან“. გადამწყვეტი ბრძოლა ქსნის მიდამოებში მოხდა. „გააქციეს გრიგოლ მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“. ამასაც არ დასჯერდა და მტკვრის ჩაყოლებით, ხუნანს იქით, ბარდავამდე განავრცო ქართველთა სამეფო. ჭეშმარიტად დიდ წარმატებებს მიაღწია სამხედრო ნიჭით გამორჩეულმა კურაპალატმა, — ეს იყო საქართველოს გაერთიანების კარიბჭე.

## ეკლესიათა მფარველი და მშენებელი

აშოტ დიდის სახე ოპიზის ტაძრის ბარელიეფზეა შემონახული. ერის მოჭირნახულე მმართველი ეკლესიის შემკვეთის და დამფინანსებლის — ქტიტორის პოზიციითაა გამოკვეთილი და შესაბამისად ხელში ტაძრის მოდელი უპყრია. დიდია მისი კულტურულ-საეკლესიო მოღვაწეობა და მისი ამ საქმისადმი მფარველობა. აშოტ დიდი ამ საქმეში მარტო არ იყო. სწორედ ამ დროს და ამ მხარეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, „ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოსი“ გრიგოლ ხანძთელი, ასევე ქართლიდან გადასული მესხეთს. გრიგოლი წარმოშობით დიდებული იყო. არაბთა წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლის, ნერსე ერისთავის ცოლის ძმისწული. გასაოცრად ნიჭიერსა და გულისხმიერს ბრწყინვალე საეკლესიო კარიერაც ელოდა. სრულიად ახალგაზრდა წარადგინეს და როგორც იქნა დაიყოლიეს მღვდლად კურთხევისათვის, ხოლო ეპისკოპოსად კურთხევის წინ უჩუმრად დატოვა ქართლი, გადავიდა მესხეთში და მთელი სიცოცხლე ეკლესია-მონასტრებისა და წმინდა სავანეთა აღმშენებლობას შეალია. ამ საქმეში მას თავისი მოწაფეები და გაზრდილები ედგნენ მხარში. ოპიზის სავანეში ორი წლის მოღვაწეობის შემდეგ ხანძთაში დიდი სატაძრო მშენებლობა დაიწყეს და უკაცრიელი მხარე წალკოტად აქციეს გუნათლეში დედათა მონასტერი დააარსეს; მთელი სამხრეთ საქართველო მონასტრებით დაიფარა.

გამორჩეული იყო ბრძოლაში აშოტ დიდი. სიყვარულიც გამორჩეული სცოდნია, თავდავიწყებით სიყვარული. საერთოდ, გვირგვინოსანთა სიყვარულის ამბავი ცალკე თემაა. უდიდესი პასუხისმგებლობა იყო ქვეყნის მმართველად დაბადება. შენ არ გეკუთვნის შენი სიცოცხლე, ხშირად არც სიყვარული გეკუთვნის... ქვეყანას და ქვეყნის სამსახურს უნდა გაუწიო ანგარიში. მომავალი თანამეცხედრეც ამის მიხედვით უნდა შეარჩიო — უმთავრესად მეზობელ მეფეთა შვილები პოლიტიკური ანგარიშით. ამიტომ იყო, რომ ბევრჯერ გამხდარა აკრძალული სიყვარული გვირგვინოსანთა ერისა და ბერის გარჩევის საგანი.

ბრძოლებში დაქანცულ და გამარჯვებულ აშოტს თავდავიწყებული სიყვარული ეწვია. არადა, ეკლესიის მიერ ჯვარდაწერილი ცოლიც ჰყავს და სამი ვაჟკაციც. თავგზა აუბნია ამქვეყნიურმა ნეტარებამ. იმდენად, რომ სიფრთხილე დაავიწყა და საყვარელი ქალი სასახლეში მოიყვანა მეჭურჭლედ — სალარო ჩააბარა. გახმაურდა ეს ამბავი. უდავო ფაქტია — რაც უფრო დიდია პიროვნება, მით უმეტეს მეფე, მით უფრო ძნელად აპატიებენ ასეთ ნაბიჯს.

ყველაზე დაფასებულმა პიროვნებამ გრიგოლ ხანძთელმა ითავა მეფის ეშმაკეულისგან ხსნა. მრავალგზის შეუთვალა სასახლიდან გაეშვა სიძვის დიაცი, მაგრამ ვერა და ვერ შეელია გულისთქმას დამონებული მეფე საყვარელ ქალს. გრიგოლმა ამის შემდგომ „პოვა ჟამი მარჯვეი, ოდესცა კურაპალატი შორს იყო“. მეფის სასახლეს ორ ბერთან ერთად ესტუმრა, მეჭურჭლე ქალი წამოიყვანა და მერეში, დედა ფებრონიას ჩააბარა.

ფებრონიასთან საყვარელი ქალის დასაბრუნებლად მისული მეფე ვერც კი გაბედავს ღვთის ტაძარში თავისი მისვლის მიზეზი აუწყოს მონაზონს... გასრულდა მისი მგზნებარე სიყვარული. ესღა მოახერხა, თავისი განუზომელი ტკივილის ნიშნად ეთქვა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს...“

არცთუ დიდი ხანი დარჩენოდა ამის მერე სიცოცხლე აშოტ კურაპალატს. თურმე ბედი ტრაგიკულ განსაცდელს უმზადებდა.

**... ბრძოლით გაიკაფა გზა, მიაღწია ნაგალას ხევამდის და მაშინ, როცა თავი სამშვიდობოს ეგონა, როცა ეგონა, რომ თავისიანებს მიაღწია, სწორედ აქ უმუხთლეს შეთქმულებმა. აშოტმა ბოლო იმედს, ეკლესიას მიაშურა, მაგრამ არ დაინდეს და ზედ საკურთხეველზედ დაანთხიეს აშოტ პირველი დიდი კურაპალატის მოწამებრივი სისხლი. „და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხა, აწცა იხილვების, ვითარცა ახალი“ — წერდა ერთ-ერთი მემატიანე ორი საუკუნის შემდეგ.**

დროდადრო აწყობდნენ არაბები დამარბეველ ლაშქრობებს. ახლაც თავიანთი ბატონობის აღდგენა მოინდომეს და შემოესივნენ ამიერკავკასიას. აშოტმა დაიწყო ომისათვის მზადება, მოლაშქრეებსაც აგროვებს. სწორედ ამ დროს დაესხნენ თავს არაბნი, თუ არაბთა მოსყიდული მოღალატენი. ბრძოლით გაიკაფა გზა, მიაღწია ნაგალას ხევამდის და მაშინ, როცა თავი სამშვიდობოს ეგონა, როცა ეგონა, რომ თავისიანებს მიაღწია, სწორედ აქ უმუხთლეს შეთქმულებმა. აშოტმა ბოლო იმედს, ეკლესიას მიაშურა, მაგრამ არ დაინდეს და ზედ საკურთხეველზედ დაანთხიეს აშოტ პირველი დიდი კურაპალატის მოწამებრივი სისხლი. „და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხა, აწცა იხილვების, ვითარცა ახალი“ — წერდა ერთ-ერთი მემატიანე ორი საუკუნის შემდეგ.

*მეფის სიკვდილი უმალ მოედო ქვეყანას. დიდი ლაშქარი დაიძრა მოღალატეთა წინააღმდეგ და მიაღწია კიდეც საწადელს — ერთიც არ დაუტოვებიათ, ვისაც კი მეფის სისხლში ერია ხელი.*

*ვიღაც „ოროზ-მოროზნი“ სახელდებიან მეფის მკვლელთაგან. თუმცა კი, ვინ იყვნენ ისინი, არავინ უწყის... ერთი ფაქტია, რომ ქართველნი იყვნენ, არაბთა მიერ მოსყიდულნი და ზღვეს კიდევაც თვისი ცოდვებისთვის... ქართველი ხალხის მტრებმა შეუქცევადი საქმე საქართველოს გაერთიანებისა, დროებით შეაჩერეს.*

*სწორედ დროებით, რადგან მოგვიანებით აშოტის მემკვიდრეებმა კვლავ აღადგინეს ტაო-კლარჯეთის სიძლიერე და სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს გაერთიანებას.*

**ნოდარ შოშიტაშვილი**

# „ძალიან მომწონს დედობა...“



ჭორები, თითქოსდა „ტოროლა“ თავის „ბარტყთან“ ერთად თბილ ქვეყნებში გადაფრინდა ზამთრის გასატარებლად, სიცრუეა. არც ისა არის სიმართლე, თითქოს **ნანიკო ხაზარაძემ** ბავშვის წამოზრდამდე სამსახურზე უარი თქვა. „ტოროლა“ კვლავ იმ დროსაა ეთერში, როცა ბევრ ჩვენგანს დილის ტკბილი ძილით სძინავს.

**— ნანიკო, „დეკრეტი“ დაგიმთავრდა თუ სახლში გაჩერება ველარ შეძელი?**

— „დეკრეტი“ არც ამიღია საერთოდ. უბრალოდ მივხვდი, რომ დროა სამსახურში ვიყო. ძალიან მიყვარს, როცა ვმუშაობ, რამეს ვაკეთებ. ჩემი სამსახური ბევრ დროს არ მოითხოვს. კვირაში ორი დღე ვმუშაობ, დილით 7-დან საღამოს 10 სთ-მდე. დანარჩენი დრო კი მთლიანად ჩემს შვილს ეკუთვნის.

**— ამბობენ, როცა ბავშვი ჩნდება, დედის პიროვნული ინტერესები უკანა პლანზე გადადის და შვილის ინტერესებით ცხოვრობსო. როგორ ფიქრობ, შენც „შენსავე მაცქერალ თვალს დაივსებ“?**

— დედობა საოცარი განცდაა, მას ბევრი სიხარული, სითბო (ალბათ ზოგჯერ ტკივილიც) მოაქვს. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ შვილის ინტერესები როგორც ჩვილობის ასაკში, ისე შემდგომაც, ალბათ მთელი ცხოვრება დედისთვის უპირველესი უნდა იყოს. თუმცა, შვილებსაც უნდა „ახსოვდეთ“ დედა...

**— ლილუს გაჩენის შემდეგ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

— ის, რომ ოჯახში ერთით მეტი გავხდით, გვყავს ახალი ნაცნობი, საინტერესო პიროვნება, რომელიც ისეთივე სრულუფლებიანია, როგორც თითოეული ჩვენგანი, მაგრამ უმწეოა ფიზიკურად, მეტ მოვლას და ყურადღებას მოითხოვს, ლილუ ძალიან სტუმართმოყვარეა. ვინმე თუ მოდის ოჯახში და დაელაპარაკება, ყველას უღიმის, უმიზეზოდ არ ტირის, თუ რამე უნდა, მხოლოდ მაშინ „გამომიძახებს ხოლმე“.

**— ძალიან მხიარული და თავისუფლებისმოყვარე ქალის შთაბეჭდილებას ტოვებ, დედაც ასეთი იქნები თუ სიმკაცრეს გამოიჩენ შვილთან?**

— ჯერჯერობით არა ვარ მკაცრი. თუმცა, მერე რა იქნება, არ ვიცი, მიფიქრია იმაზეც, ღირს კი სიმკაცრე? შვილის აღზრდისას ალბათ უფრო იმაზე უნდა ფიქრობდე, როგორ ამოიცნო მისი შესაძლებლობები, რომ მის სწორად წარმართვაში შეუმჩნევლად მიეხმარო. ეცადო, თუ რამ მანკიერი აქვს, დროულად „დაავიწყებინო“...

**— ჩვენი თაობის დედები პირველი შვილის გაჩენის შემდეგ მეორეზე თავს იკავებენ, შენ რას ფიქრობ?**

— არანაირად არ ვიკავებ თავს. დაგეგმილი არაფერი მაქვს, მაგრამ უარზეც არა ვარ. შვილის გაჩენასა და მგონი გაზრდაშიც, ვფიქრობ, არაფერია სირთულე. რთული ალბათ ისევ და ისევ აღზრდაა.

**— ჩვენს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ პრობლემებს როგორ უყურებ?**

— როგორც სტატისტიკა იუწყება, ქვეყანა სიბერისკენ მიდის, რადგან უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე იბადებაო, მაგრამ მე ვერ ვიგრძენი ეს. თუნდაც ის სამშობიარო, სადაც ლილუ გაჩნდა, სავსეა ორსულებით, ადგილები არ იყო. ამიტომ იქნებ (ძალიან მინდა, ასე იყოს) სტატისტიკა ცდება, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში და ქვეყანაც ახალგაზრდავდება. ჩემი აზრით, ქალს იმდენი შვილი უნდა ჰყავდეს, რამდენიც უნდა და რამდენის გაჩენა და გაზრდაც შეუძლია. ვიცნობ ექვსშვილიან ჩემხელა დედებს, რომლებიც ძალიან კარგად გრძნობენ თავს და ექვსივე შვილს მშვენივრად ზრდიან. მეტზეც არ ამბობენ უარს.

**— შენ რამდენი შვილის გაჩენა გსურს?**

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ერთზე ნამდვილად არ გავჩერდები. მეტი მინდა. ვნახოთ, რა იქნება. ძალიან მომწონს დედობა. ალბათ პირველი შვილი რომ იზრდება და ჩვილობის ასაკიდან გადის, ქალს უნდა თუ არა მეორის გაჩენა, მაინც ენატრება ჩვილის სუნი, ქცევები...

**— მოდი, შევცვალოთ თემა. ბევრი ფიქრობს, რომ შენ იზიარებ ფემინისტური მიმდინარეობის იდეებს. კაცებთან თანასწორობის ან მათთან უპირატესობის მტკიცება მართლა მნიშვნელოვანია შენთვის?**

— არანაირად არ მივეკუთვნები ფემინისტებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომწონს ან არ მომწონს ფემინიზმი. ფემინისტებს, ისევე როგორც ანტიფემინისტებს, თავიანთი აზრი და შეხედულება აქვთ და ზუსტად არ ვიცი, რა ამოძრავებთ. ფაქტია, რომ ისინი მამაკაცებზე გაბრაზებული ქალები არიან.

**— მეთანხმები თუ არა, რომ „პირველი სტერეოდან“ წამოსვლის შემდეგ შენში, როგორც ტელეწამყვანში ბევრი რამ შეიცვალა?**

— გეთანხმებით, იქ სხვა ფორმაც იყო — გასართობ-მუსიკალური. „რუსთავი-2“-ზე სხვა სიტუაციაა, სხვა მოთხოვნაა. მაგრამ ორივეგან გამომდიოდა „თამაში“... თუმცა, სად ვიყავი უკეთესი, მაყურებელი განსჯის. ისე კი მათგან დიდ სითბოს ვგრძნობ, გამუდმებით მირეკავენ, ქუჩაში მაჩერებენ, მეფერებიან. ამ დროს ვხვდები, რომ ყველაზე კარგი საქმე ამ ქვეყანაზე სიკეთეა. ორიგინალური ვერ ვიქნები, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ბოროტება აბერებს და აუშნოებს ადამიანს.

*ეკა ლომიძე*








# ნეტავ შეიძლებოდეს, თითო კვირით მოვკვდეთ და მერე გავცოცხლდეთ...

**„მაინც ყველას ეგ ატრიალებს...“**



მასთან ყოველ ინტერვიუზე მისვლისას მგონია, რომ პირველად ვხვდები. როგორც ეკრანსა და სცენაზე, ისე აუდიტორიაშიც თავისებური და ორიგინალურია. ის თითქოს ყოველთვის ყველაფერს თავიდან იწყებს... მეტს აღარაფერს გეტყვით მასზე, რადგან მსახიობ **რამაზ იოსელიანს** თითოეული თქვენგანი შესანიშნავად იცნობთ და მისი ხელოვნების შესახებაც, ცხადია, ყველას საკუთარი აზრი გაქვთ. ახლა კი კიდევ ერთხელ მოგეცემათ საშუალება, ესაუბროთ საინტერესო პიროვნებას.

— ყველაფერი ძველებურადაა, ვთამაშობ და მეტი არაფერი. „მაცაცერას“ ვიღებ კვლავაც. ოღონდ ახლა შეჩერებული ვართ, არჩევნების გამო ყველა კამერა დაკავებულია და ვერაფრის გადაღებას ველარ ვახერხებთ. ამას ისიც დაემატა, რომ ახლა 24 სტუდენტი მყავს, რომელთაც თეატრალურ უნივერსიტეტში სამსახიობო ხელოვნებას ვასწავლი.

**— ბატონო რამაზ, რამდენიმე ადგილზე მუშაობას არ გერჩივნათ თქვენც მარტივი გამოსავალი გეცადათ და პარლამენტში მოკალათებულიყავით?**

— პარლამენტში ძირითადად უნიჭო და უსაქმური ხალხი იკრიბება. მე კი თავს საქმიან ადამიანად ვთვლი.

**— ახალ წლამდე ალბათ №1 სალაპარაკო თემა არჩევნები იქნება, ამიტომაც გკითხავთ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს არჩევნები და საერთოდ, აქვს თუ არა მას აზრი?**

— არა ვარ პესიმისტი, მაგრამ ამ პოლიტიკოსების არაფერი მჯერა. ყველა თავის საკეთილდღეოდ ფიქრობს. იმ დღეს ოტია იოსელიანმა თქვა გენიალურად — ამ პოლიტიკური სუბიექტების ვერაფერი გამიგია, ხმა მომეცითო — იძახიან და ამ დროს არც ერთი თავის ეკონომიკურ პროგრამას არ გვაცნობს, არც ერთი არ ფიქრობს ხელოვნებაზე და ვერ ხვდებიან, რომ ესაა მთავარიო. ჩემი აზრით, სისულელეა არჩევნები. არჩევანი შეიძლება მოხდეს ერთ პატარა კოლექტივში, სადაც ერთმანეთს კარგად იცნობენ. მაგრამ სახელმწიფოში, სადაც ყველა ერთმანეთს ძარცვავს, ვინ უნდა ავირჩიოთ, ნაკლებად ქურდი, თუ ეგენი ქურდები არ არიან? ამდენ რეკლამაში რომ ფულს ხარჯავენ, ეგ თანხები ქვეყნის პრობლემების მოგვარებას რომ მოახმარონ, არ შეიძლება? იმ დღეს ერთი მომღერლის ახალი საარჩევნო კლიპის პრეზენტაციას ვუყურე და მერე მსახიობებისგან გავიგე, რომ თითოეულისთვის 100-100 დოლარი გადაუხდიათ. 500 კაცი ხომ იყო დაკავებული იმ კლიპზე? გადაღებულ მასალას დამზადება ხომ სჭირდება, რეკლამის გაშვებას 1000 დოლარიც ხომ უნდა, ნახეთ, რა ფული იყრის თავს. რისთვის ხარჯავენ? იმისთვის, რომ მერე ისევ ფული მოიპარონ. პენსიონერებს და ხალხს უჭირთო, რომ კივიან, რატომ უჭირვებენ, ამდენი ფული თუ აქვთ? მოახმარონ მათ და ყველა მიხვდება რეკლამის გარეშე, ვინ აკეთებს საქმეს. ეს ქურდები მორალს მიკითხავენ, არადა მათგან გახარებული და ფეხზე დაყენებული კაცი გინახავთ? მე არ მინახავს. არა ვარ შევარდნაძისტი. თუმც, რაც დავიბადე, მაგას ვხედავ სულ. რაც არ უნდა თქვას, ყველაფერი მართალია, ყველას ეგ ატრიალებს და ყველა მაგის მსახური და მონაა.

**— რა ჰქვია იმ დროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ?**

— გახსოვთ, რა წყევლა აქვთ ჩინელებს? გეცხოვროთ არეულობის დროშიო. ვფიქრობ, ჩვენ ვიღაც ჩინელმა დაგვწყევლა. თუმცა, მაინც საინტერესო დროა. ხალხი გადაგვარების გზაზე დგას, ყველას დაავიწყდა, საიდან მოდის და ვისი გორისაა. იქურდებენ, იქურდებენ და მერე ტაძრებს აშენებენ. ვარძიას და ფრესკებს, ქართველი ერის სახეს კი არ აღადგენენ, არამედ ახალს აშენებენ. ყველანი ღმერთს ევაჭრებიან, — მე შენ ამდენს მოგცემ და შემინდე, იქ რომ მოვალო...

**— ამას წინათ ერთგან ასეთი რამ ამოვიკითხე: „კუჭი ძმაზე ახლობელიაო“, ძალიან გამიჭირდა გაგება...**

— სიმართლე რომ გითხრათ, მეც ვფიქრობ, რომ ეგ მართალია. მთელი ცხოვრება სახლ-კარი არა მაქვს, მაგრამ არასდროს მიფიქრია კუჭზე. ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის კი კუჭი ისეთი ახლობელია, რომ მისი გულისთვის თვალის დაუხამხამებლად გადაგივლიან, თუმცა, ვფიქრობ, რომ ესეც ცუდმა დრომ მოიტანა და შეუძლებელია ასე გაგრძელდეს დიდხანს. იცით, რას ვფიქრობ? ნეტავ შეიძლებოდეს, რიგრიგობით თითო კვირით მოვკვდეთ და მერე გავცოცხლდეთ. ჩვენთან მკვდარს ხომ იცით, როგორ ტირიან, როგორ აჰყავთ მისი სახელი ზეცამდე. ეს მხოლოდ ქართველის თვისებაა. ცოცხალს ვერ ვიტანთ, მკვდრისას კი გაცოცხლებას ვლამობთ, ვინანიებთ მის წინაშე. მთელი ცხოვრება სულ მონანიებაში ვართ. ეს ისტორიული თვისებაა ჩვენი. ამიტომ ვთამაშობთ ასე კარგად შექსპირს. მგონი ინგლისელებზე უკეთესადაც კი გამოგვდის მისი ტრაგედიების თამაში.

**— რა გაუფასურდა ჩვენს დროში ყველაზე მეტად?**

— პატივისცემა, თანაზიარობა, მოსმენის კულტურა, ჩვენ-ჩვენი თავისაც არ გვესმის. აი, ნახეთ, ტელევიზორში ერთმანეთს კი არ უსმენენ, ჩხუბობენ და ცდილობენ ერთმანეთის ხმა დაფარონ და ამით უფრო ძლიერნი გამოჩნდნენ, ამიტომ ვამბობ, ეს ხალხი დაავადებულია და პარლამენტში მოსვლამდე, ჯანმრთელობის ცნობა უნდა წარმოგვიდგინონ, „ფსიქო“.

**— რისი დავიწყება შეიძლება ცხოვრებაში?**

— არაფრის. ჩვენი ცხოვრება ტკივილისა და სიყვარულის ნაზავია, რომელთაგან ვერც ერთს ვერ დაივიწყებ, რადგან ცხოვრების დავიწყება შეუძლებელია, ის მთლიანად მოგონებაა, ლამაზი მოგონება და რახან არ ვიცით, რა იქნება მომავალში, სულ მოგონებებით ვცხოვრობთ.

**— დღესასწაული რას ნიშნავს თქვენთვის და როდის დგება ასეთი დღე თქვენს ცხოვრებაში?**

— ქართველები გენიოსები ვართ, რადგან გენიალური სიტყვები გვაქვს. თვითონ სიტყვა დღესასწაული ხსნის თავის მნიშვნელობას. სასწაული დღე თვითონ უნდა შექმნა. ჩემთვის დღესასწაული სპექტაკლების თამაშის, გადაღების, სტუდენტებთან ურთიერთობის დღეა. დღეს ბატონი ვასო კიკნაძე მიყვებოდა — გენიალურ აკაკი ხორავასთან მივედი გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე. ვკითხე, როგორა ხართ-მეთქი. მიპასუხა — აი, ასე, ტელეფონს ვუსმენ გამუდმებით, იქნებ ვინმემ დამირეკოსო. დღესასწაულს ელოდებოდა და მარტოობაში მოკვდა გენიოსი. არადა, რა იოლი იყო, მისთვის დღესასწაული რომ მოგვეწყო.

**— თბილისობა რას გაგონებთ და მიგაჩნიათ თუ არა იგი დღესასწაულად?**

— სპექტაკლის შემდეგ რუსთაველზე ფეხით წამოვედი და რესპუბლიკის მოედანზე ღამის ბაზრობაზე ყველის ყიდვა გადავწყვიტე, ზესტაფონელი ქალები ყიდდნენ. ვკითხე, აქ რატომ ხართ-მეთქი? რა ვიცით, გამგებელმა ჩამოგვიყვანაო. მერე ვერ უთხარით უარი, აქ რამდენი ხანი უნდა იყოთ-მეთქი. სამი დღეა, აქვე გვძინავსო. აი, ეს არის თბილისობა, რომელიც არავის სჭირდება, მთავრობის გარდა და ვის ვაგიჟებთ, ვერ გავიგე.

**— მსახიობი დიპლომატიაო — ხშირად მსმენია. დიპლომატიც მსახიობია?**

— დიპლომატი კი უნდა იყოს მსახიობი, მაგრამ მსახიობი ვერასოდეს გახდება დიპლომატი. მსახიობი საერთოდ არ უნდა იყოს პარლამენტში, არც ცანცარა მომღერლები, რომელთაც არც ხმა აქვთ, არც სმენა. პარლამენტში წასვლას ჯობია, ორი წიგნი წაიკითხონ, კითხვა თუ მაინც იციან.

**— ზრდილობის ყიდვა თუ შეიძლება?**

— არა, ღმერთმა უნდა მოგცეს. ისე, თუ მოგცა და სურვილი გაგიჩნდა, კი გაყიდი.

*ეკა ლომიძე*

# თქვენთვის

## კაცობა სხვა სიმაღლეა...

**ჩვენ ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ... მიუხედავად იმისა, რომ „იმ ამბებიდან" თითქმის 18 წელია გასული, ჩემი რესპონდენტი ძალიან მტკივნეულად განიცდის თავის შეცდომას... არადა შეცდომა ჩაადენინა სიყვარულმა, რომლის წინაშე უძლური გამოდგა. იცოდა, რომ უკადრისს სჩადიოდა, მაგრამ ვერაფერს შველოდა ვერც საკუთარ თავს და ვერც იმ წამლეკავ გრძნობას...**



— მე და გაგა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდით, — დაიწყო რამაზმა, — ჩვენი მესამე მეგობარი, სანდრო, უნივერსიტეტში. გაზაფხულობით, ყოველთვის უნივერსიტეტისკენ მიგვიწევდა გული, რადგან სანდროს თანაკურსელებთანაც ვმეგობრობდით და საოცრად კარგ დროს ვატარებდით. თანაც უნივერსიტეტის ეზოში უამრავი მომხიბლავი გოგონა ირეოდა.

იმ ხანებში ფეხი დავიზიანე და ოპერაცია დამჭირდა. მეგობრები თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ჩემთან, საავადმყოფოში და მართობდნენ. ერთ დღეს გაგა ბედნიერი შემოვარდა პალატაში და მახარა — შეყვარებული ვარო. თურმე ის გოგონა სანდროს გაუცნია მისთვის უნივერსიტეტის ეზოში. გაგა გიტარაზე უკრავდა, ლიკას და მის მეგობრებს მოსწონებიათ მისი სიმღერა და გარს შემორტყმიან... გამეღიმა: უჩემოდ რამდენი რამე მომხდარა. იმედია, ქორწილს არ გამომაპარებ-მეთქი. გაგამ შემაჯანჯღარა: — გეყო ბაირამობა. სანდროს ფაკულტეტი სტუდენტურ ოლიმპიადაზე გამოდის. მთხოვა, მეც მემღერა მათი სახელით. შენც წამოდი და ლიკას იქ გაგაცნობო.

ლიკა მაშინვე მომეწონა, მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი მოწონება, როგორც შეიძლება ბიჭმა „შეაფასოს" ლამაზი და კარგი გოგონა, თანაც მეგობრის შეყვარებული. სიყვარული მერე მოვიდა, როცა ლიკას დავუახლოვდი. ლიკას გვერდით გაგას არავინ და არაფერი ახსოვდა. მართალი გითხრათ, მაღიზიანებდა მისი ქცევა. ერთხელ ვუთხარი: გასაგებია, რომ გიყვარს, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა, შენი გადამეტებული ყურადღებით თავს ნუ მოაბეზრებ-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა: როგორ არ გესმის, რომ მიყვარსო. იმდენად ალალი იყო, რომ შემრცხვა ჩემი საყვედურისა. რაც დრო გადიოდა, ვრწმუნდებოდი, რომ ლიკა ღრმად იჭრებოდა ჩემს გულში. განა არ ვიცოდი, რომ უკადრის საქციელს ჩავდიოდი, მაგრამ როდის იყო, სიყვარული გვეკითხებოდა, გინდივარ თუ არაო. ჩემი მეგობრების თავყრილობაზე ვცდილობდი, არ მივსულიყავი, არ მინდოდა ბედნიერი წყვილისთვის მეყურებინა. ზოგჯერ თვითონ მომძებნიდნენ. ვატყობდი, რომ ლიკა გაფაციცებული აკვირდებოდა ჩემს ქცევას. ქალს ხომ ვერაფერს გამოაპარებ? ჩემი მეგობარი კი ვერაფერს ამჩნევდა. სანდრომ ერთხელ დამიმარტოხელა და მკაცრად მითხრა, გონს მოდიო. გავბრაზდი: — იქნებ, გაგაზე მეტად მე მიყვარს ლიკა-მეთქი. მთლად გამოშტერებულხარო, — მიპასუხა, — ნუთუ, ვერ ხედავ, რომ ლიკას გაგა უყვარს, შენ კი ზედმეტი ხარო.

ერთხელ, ცოტა დავლიე გამბედაობისთვის და ლიკას დავურეკე. ვუთხარი, მართალია, ნაძირალასავით ვიქცევი, მაგრამ რა ვქნა, მიყვარხარ და შენ უნდა გადაწყვიტო, ვისთან დარჩე-მეთქი. კარგა ხანს ჩუმად იყო. ბოლოს მითხრა: — მე გაგა მიყვარს, მომავალში ისე მოიქეცი, თითქოს ჩვენ შორის ასეთი საუბარი არც ყოფილაო და დამიკიდა ყურმილი.

ამან უფრო გამაგიჟა... რამდენიმე დღის შემდეგ გაგას გამოვუტყდი, ლიკა თავდავიწყებით მიყვარს-მეთქი. მახსოვს გაგას განცვიფრებული სახე. ერთადერთი, რისი კითხვაც კარგა ხნის მერე მოახერხა, ეს იყო: მერე? რა მერე, გზიდან უნდა ჩამომეცალო-მეთქი. უხმოდ წავიდა. დავეწიე, წინ გადავუდექი... მაგარი ჩხუბით დამთავრდა ჩვენი „საქმის გარჩევა". სახედალილავებული და ნასვამი იმ საღამოსვე ლიკას შინ მივადექი. მის მშობლებს განვუცხადე, — თქვენი ქალიშვილი მიყვარს და ცოლად უნდა შევირთო-მეთქი. გაოცებულები მიყურებდნენ, ალბათ გიჟი ვეგონე, რადგან დაჟინებით ვითხოვდი, პასუხი ახლავე უნდა მითხრათ-მეთქი. ისევ ლიკამ ამოიღო ხმა — მომხოვა, აქაურობა დატოვე და ჩემი სახელიც სამუდამოდ დაივიწყეო. მთელი ღამე თბილისის ქუჩებში დავბორიალებდი და ვტიროდი. ჩემზე უბედური არავინ მეგონა ამქვეყნად.

ერთი თვე აღარ გავკარებივარ მეგობრებს. არც იმათ შეუწუხებიათ თავი. ერთხელ, ჩემმა თანაკურსელმა გოგონამ მითხრა, გაგა და ლიკა დავინახე კაფეში, ერთმანეთს შესციცინებდნენ თვალებშიო. ახლაც არ ვიცი, რაში დასჭირდა ჩემი გაბრაზება. მე ხომ დიდი ძალისხმევა შევალიე ამ გრძნობის „მიძინებას". თუმცა, ვაი ამ მიძინებას. „გამოღვიძებული" უფრო ძლიერი და საშიში აღმოჩნდა. კაფეში არ დამხვდნენ. მერე გამახსენდა, რომ სანდროს დაბადების დღე იყო და... უჩემოდ ილხენდნენ.

თავზე ხელი ავიღე და სანდროს კარს მივადექი. მისმა მშობლებმა და დამ სიხარულით მიმიღეს (მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ჩვენ შორის რომ უთანხმოება იყო). სანდრომაც შემოპატიჟა, თუმცა შევატყვე, არ ესიამოვნა ჩემი დანახვა. ლიკას და გაგას თვალი რომ მოვკარი, მივხვდი, შევიქეციოდი, ამიტომ სასწრაფოდ დავლიე. ვამჩნევდი, რომ ჩემმა მისვლამ მეგობრები ააფორიაქა, განსაკუთრებით შეყვარებულებს ეტყობოდათ დაძაბულობა. ისინი ყურადღებით შემომყურებდნენ. მალე დავტოვე იქაურობა, მაგრამ შინ არ წავსულვარ. იქვე მივიმალე და ველოდებოდი მათ გამოსვლას. ღამის პირველ საათზე დაიშალნენ. ზოგი მანქანით წავიდა, ზოგიც ფეხით. ლიკა და გაგა ფეხით დაადგნენ გზას. ისე შეხვედრილი ერთმანეთს, რომ მათ უკან მიმავალი ვერც კი შემამჩნიეს. კარგა ხანს ვდიე. ისინი ვარაზისხევს ჩაუყვნენ, ტელევიზიას რომ გასცდნენ, დავეწიე. უსიტყვოდ მივვარდი და დავარტყი გაგას. ლიკამ კივილი დაიწყო. აღარაფერი მესმოდა. ორივე დაუნდობლად ვურტყამდით ერთმანეთს. ჩხუბის დროს ჯიბიდან დანა ამოვიღე. ხელი დავკარი და გაგას მუცელში ჩავარტყი. გაგა რომ დაეცა, ლიკა ხელში ავიყვანე. მიძალადნებოდა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ბოლოს, ხვეწნა დაიწყო: გაგა გადაარჩინეო და გეფიცები, შენ გამოგყვები ცოლადო. გაგა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივიყვანეთ. მილიციიდან მოვიდნენ. გაგამ არ გამცა: ვიღაც მთვრალი იყო, სამივე გვიცავდა, მე დანა ჩამარტყა და გაიქცაო. მეც არ მეყო გამბედაობა, სიმართლე მეთქვა. ლიკაც დუმდა.

ბედნიერი ვიყავი და ისეთი ჩანდა, რომ გაგა გამოჯანმრთელდებოდა და ლიკა მე გამომყვებოდა ცოლად. გაგა საავადმყოფოდან გამოწერეს, ლიკა კი არ მეკარებოდა, მაგრამ როდემდე დამემალებოდა? ლექციები რომ დაუმთავრდა, ჩავუსაფრდი. ჩემს დანახვაზე დაფრთხა. პირობა გავახსენე. არ მიყვარხარ და ვერც ვერასდროს შეგიყვარებო, — მომახალა. გავცეცხლდი. მაშინ, ვერც გაგას გაჰყვები, მოგკლავ-მეთქი.

რამდენიმე კვირის შემდეგ სანდრო მოვიდა ჩემთან და მისაყვედურა: — მეგობრები ხომ დაკარგე, იმდენი გააკეთე, რომ შეყვარებულებიც დააშორე. ლიკა გათხოვდა, სულ სხვას გაჰყვა ცოლად. ეტყობა, ლიკამ იფიქრა, მუქარას შეასრულებდი და გაგას სიცოცხლისთვის გადადგა ასეთი ნაბიჯი...

მალე გაგა რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად.

ვერ გეტყვით, რომ დავნანდი. მართალია, ლიკა გაგას ცოლი არ იყო, მაგრამ სხვისი ხომ იყო? სხვას ეფერებოდა, სხვა კოცნიდა! ამაზე ფიქრი მაცოფებდა... ლიკას ბიჭი შეეძინა. ვიცოდი გაგას ამბებიც. იგი რუსეთშივე დარჩა სამუშაოდ და ვიღაც ქალთან ცხოვრობდა.

მერე გავიგე, ლიკა და მისი ქმარი ავარიაში მოჰყვნენ. ლიკა ძლივს გადარჩა, ქმარი კი დაიღუპა...

სამი თვის მერე მოვინახულე, მივუსამძიმრე. ლიკა ისტერიკაში ჩავარდა. მითხრა: დედაშენი როგორ იტანს შენნაირ ეგოისტ და ბოროტ ადამიანს, შენმა მიაღწია, ყველას გული აჰყარეს, შენ კი ნამუსგარეცხილი დადიხარო. პირველად მაშინ ვიგრძენი სინანული. ცოტა ხნის შემდეგ სანდროს ვთხოვე, გამყოლოდა გაგას სანახავად. ჯერ იუარა, ბოლოს დამთანხმდა. ვერ ვიტყვი, რომ სიხარულით შემეგება ბავშვობის მეგობარი. დამშვიდობებისას მითხრა: შენი გზით გაგიმარჯოს, შენი ცუდი ყოველთვის მეწყინებაო.

...თვრამეტი წლის მანძილზე ბევრი რამ მოხდა. გაგას იმ რუსმა ქალმა ბავშვი გაუჩინა. მაინც ვერ გაჩერდა დიდხანს მასთან. თბილისში დაბრუნდა. იმ ხანებში მე არ ვიყავი საქართველოში. რამდენიმე წლის შემდეგ რომ დავბრუნდი, ლიკა და გაგა უკვე ერთად იყვნენ. მათი შვილი ახლა 7 წლისაა..

**— გაგას თბილისში რომ დაბრუნდით, ისევ ხომ არ ჩადგებოდით მათ შორის?**

— არა, რას ამბობთ. როგორც გითხარით, საოცარმა სინანულმა შემიპყრო, ამიტომაც ვთხოვე პატიება გაგას. ლიკას კი ვერ გავეკარე, ხმაც ვერ მოვაწვდინე.

ეს ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ მინდა ორივეს გავაგებინო: კიდევ ერთხელ ვთხოვ პატიებას. მე რომ არა, ისინი გაცილებით ადრე შექმნიდნენ ოჯახს და უფრო ბედნიერები იქნებოდნენ.

**— დაოჯახდით?**

— კი. მეუღლე კარგი მყავს. მასაც უზომოდ ვუყვარვარ. ასე მითხრა, — რახან ნანობ, მთლად წყალწაღებული არ ყოფილხარ. სინანულის გრძნობა დღემდე მტანჯავს, ასე რომ, არასდროს საქციელისთვის მომიწევ..

კაცობა მარტო სქესს ხომ არ ნიშნავს? კაცობა ის სიმაღლეა, რომელზე „ასვლაც" სამწუხაროდ, ბევრს არ შეუძლია. ვისაც უნდა შეეძლოს ამ სიმაღლეზე ასვლაც და დარჩენაც...

**მარინა ბაბუნაშვილი**

## სიყვარული თვალებში დგება და ჩერდება

*რამდენიმე დღის წინ ჩემს ერთ მეგობარს, მეტად მშვენიერ ქალბატონს, საინტერესო მესიჯი მოუვიდა მობილურ ტელეფონზე. ერთი თაყვანისმცემელი უცნაურად უტყდებოდა სიყვარულში: „ტანო-ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო... ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ-საკარებო"... და უცებ — ვგიჟდები შენთვის, მაგრამ იმდენი საქმე მაქვს, ვერაფრით ვახერხებ შენთან „დაპადხოდებას". ტვინი მეკეტება შენს პაწია ყურებზე, სულ მენატრება და მინდა დავკოცნო. მაგარი დაცემა ქალი ხარ". მესიჯის მეორე ნაწილზე გულწაკბენივით შევკრთი და იმედგაცრუებულმა ვთქვი, — არა, ამათი საშველი ნამდვილად არ იქნება-მეთქი. მერე ეს ამბავი ჩემზე ბევრად უფროს ქალბატონებს ვუამბე, რომელთაც მითხრეს, რომ თურმე მათი თაობის მამაკაცები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რჩეული ქალბატონის თვალებს, გამოხედვას, სახეს, ღიმილს.*

*ჩემ მიერ ჩატარებულმა „კვლევამ" სრულიად სხვა შედეგი მომცა. მაშ ასე, ბატონებო, გისმენთ:*

**დათო (31 წლის):** — ქუჩაში რომ მიდიხარ და ქალს თვალს გააყოლებ, მაშინ სხვა თვალით იცქირები, მაგრამ როცა ქალი გიყვარს, იქ ფეხებზე, მკერდზე და სხვა რამეებზე მნიშვნელოვანი თვალები და ღიმილია. რადგან ერთი სულის სარკეა, მეორე კი სიყალბესა და სიწრფელეს ააშკარავებს. თანაც შეყვარებულებთან სიტყვას, სულიერ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოწაფეობისას შეყვარებულებს ნოდარ დუმბაძის „დახმარებით" ვწერდი წერილებს. ტექსტი ყველგან ერთი იყო „მე ძალიან მიყვარს შენი გამოხედვა, ღიმილი, ბროლივით თეთრი კბილები..." დიდობაში წერილები აღარ მიმიწერია შეყვარებულისთვის, მაგრამ რომ გავბედო, ისევ ნოდარ დუმბაძეს დავიხმარ ან სულაც „მურადას" დავუძახებ და „ვათქმევინებ", რომ ქეთი ძალიან კარგი გოგოა. აბა, რა უნდა ვუთხრა — მე მაგიჟებენ შენი ფეხები? ამის მერე იმ გოგომ რომ მითხრას, შენ ვინ ფეხები ხარო, ღირსი ვიქნები. სიყვარული თვალებში დგება და ჩერდება, როცა იგი იქიდან ქრება, ყურადღება სხვა ნაკვთებზე გადადის, მაგრამ ეს უკვე სიყვარული აღარ არის.

**თამაზი (42 წლის):** — ერთ ამბავს გავიხსენებ. მაშინ 17 წლის ვიყავი, ჩემი შეყვარებული — 15-ისა. ერთად ვსეირნობდით. უცებ ქარი ამოვარდა. რაღაცნაირი კაბა ეცვა, ქარს იოლად ემორჩილებოდა და ისე აუფრიალა, რომ აშოლტილი, მაღალი ფეხები მთლიანად გამოუჩნდა. თვალები დავხარე, შემრცხვა. მას მერე სახეში შეხედვისაც კი მრცხვენოდა. ის კი ვერაფერს მიხვდა. მერე, მოგვიანებით, როცა ცოლად შევირთე, ეს საიდუმლო გავუმხილე. ორივემ ბევრი ვიცინეთ, მაგრამ ნათიამ მითხრა, — ახლა მივხვდი, როგორ გყვარებივარ. შენ რომ გეთქვა, ქარის კმაყოფილი დავრჩიო, ძალიან მეწყინებოდაო. ასეა, როცა ქალი გიყვარს, მისი სახეა მთავარი, მისი თვალები და არა სხვა რამ.

**ნიკა (28 წლის):** — მაგიჟებს ნაომი კემპბელის ფეხები, ლეტიცია კასტას მკერდი, მომწონს ჯენიფერ ლოპესის ოპერაციებით გამშვენიერებული საჯდომი და მაბოდებს ლივ ტაილერის სახე. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მიყვარდეს ყველა ამ ღირსებით თუ სხეულის ნაწილებით შემკული უნივერსალური ქალი! ვინც მიყვარს, არც ერთ ამ ქალს არაფრით ჰგავს, მაგრამ მისი გამოხედვა — თბილი, სიყვარულით სავსე, ბავშვივით სიცილი და ჩალისფერი თმის სურნელი ყველას და ყველაფერს მირჩევნია. ასე მგონია, კაცს სიყვარულისთვის სხვა თვალები აქვს, სიყვარულის გარეთ — სხვა.

**გიორგი (48 წლის):** — ამას წინათ ჩვენს კომპანიაში ორი გოგონა მოვიდა. ორივე სარეკლამო სააგენტოდან იყო და თავისებურად „გვეჩალიჩებოდნენ" თანამშრომლობაზე. ერთი ძალიან ჰგავდა ოდრი ჰეპბერნს, მეორე — მერილინ მონროს. იმ გოგონებიდან ერთს დავთანხმდით მის სააგენტოსთან თანამშრომლობაზე. აბა, გამოიცანით, რომელს! თქვენ ფიქრობთ, რომ მერილინს? არა, ოდრის. როცა წავიდნენ და კაცებმა საუბარი გავაბით, გაირკვა, რომ თითოეულ ჩვენგანს (სულ ხუთი სხვადასხვა ასაკის მამაკაცი ვიყავით) მოეწონა ოდრი ჰეპბერნივით უმანკოებასთან ასოცირებული, ნაზი, თბილი, ლამაზი გოგო და არა — მონროსავით სექსუალური „ანგეშა", რომელიც ცდილობდა თავისი გარეგნობით და მანერებით დავებით და არა — სინაზით და ჭკუით.

ასე რომ, ჩემო კარგო, საქართველოში კაცებს, მგონია, მაინც სხვა საზომი აქვთ ქალის შეფასებისას.

**ეკა ლომიძე**



## ფეხბურთს მოდელობა არჩია...

ინგლისის ფეხბურთის ნაკრების წევრმა, ყველაზე ძვირად ღირებულმა მცველმა, რიო ფერდინანდმა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედმა" 47 მლნ გირვანქა სტერლინგად შეიძინა, თავსატეხი გაუჩინა გუნდს. მან დოპინგ-ტესტის ჩაბარებას მამაკაცის ტანსაცმლის ფირმის, „ბენ შერმანის" ნაწარმის დემონსტრირება ამჯობინა.

მიუხედავად იმისა, რომ რიომ ტესტი მოგვიანებით ჩააბარა, და ის უარყოფითი აღმოჩნდა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მაინც აუკრძალა ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლა.

## ათი მიზეზი ცოლის შერთვაზე უარის სათქმელად

**ვინ თქვა, რომ მამაკაცი აუცილებლად უნდა დაქორწინდეს? საიდან მოიტანეთ? არის სულ ცოტა, 10 მიზეზი, რათა კარგად დაფიქრეთ, ვიდრე ცოლს შეირთავდეთ:**

1. *ძვირია.* უნდა იყიდოთ სმოკინგი, ფეხსაცმელი, ბეჭდები, ყვავილები... რამდენ კათხა ლუდს, ფეხბურთის ბილეთს შეიძენდით, საბილიარდოში და კაზინოში გაინავარდებდით იმ ფულით, თქვენ კი ეს ქარს გაატანეთ!
2. *საშიშია.* საყვარელი არასოდეს გიბრძანებთ, — ჩქარა, პური მოიტანეო, ცოლი კი წამდაუწუმ გარბენინებთ პურის, რძის, ბავშვის საკვების, პამპერსის საყიდლად.
3. *მოსაწყენია.* შეყვარებულობის პერიოდში, თუ თქვენთვის რაინდული თვისებები უცხო არ იყო, მოგწონდათ და დიდი ხალისით დადიოდით კინოში, თეატრში, კაფეში და ა.შ. ქორწილის შემდეგ ყველაფერი ეს გეჩვენებათ გაფლანგულ დროდ. სამაგიეროდ, გირჩევნიათ ძილის წინ ბავშვებისთვის ზღაპრების კითხვა, სარეცხი მანქანის შეკეთება...
4. *საფულეს ათხელებს.* ქორწილის შემდეგ არ გექნებათ თქვენი საფულე, სამაგიეროდ, იქნება „საერთო ხაზინა", „ოჯახის ბიუჯეტი" და ა.შ.
5. *საწრფიულოა.* გამუდმებით გაშინებენ განქორწინებით, მაგრამ როცა ჩათვლით, ეს არც ისე ცუდიაო — არ გაგეყრებათ.
6. *სისულელეა.* თუკი უცოლო მეგობრები „გულაობენ" ისე, რომ არავის აბარებენ ანგარიშს, თქვენ მოგიწევთ ამის გაკეთება...
7. *საწყენია.* როგორც კი დაკარგავთ უცოლო კაცის სტატუსს, მაშინვე ამოვარდებით ქალებისთვის საინტერესო მამაკაცთა სიიდან.
8. *არასაიმედოა.* სად არის იმის გარანტია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ არ მოგინდებათ თუნდაც დასაკარგავში გაერიდოთ მას, ვისაც ერთგულებას ეფიცებოდით?
9. *საწვალებელია.* თუ საქმე განქორწინებამდე მივა, შესაძლებელია ორი სცენარი: — ან ყველაფერს უტოვებთ ცოლს, ან ყველაფერს იყოფთ შუაზე. პირველი — უსამართლობაა, მეორე — საზიზღრობა, მაგრამ სად გაიქცევი?
10. ხედავთ, რა სარისკოა? ამიტომ გირჩევთ, ნუ *აჩქარდებით.*

## იუმორი



*— რატომ არ მიჰყავთ ქალები ჯარში?*

*— იმიტომ რომ, ბრძანებაზე „დაწექით", უკუღმა წვებიან!..*



# დედის წერილმა პატიება შემაძლებინა...

*ხშირად დამდურებული ცოლ-ქმარი დიდი ხნის შემდეგ კვლავ რიგდება, მაგრამ შვილები ვეღარ ივიწყებენ იმ წყენას, რომელიც დედ-მამისაგან შეხვდათ.*

*ჩემმა რესპონდენტმა, 27 წლის ნანამ, გულახდილად მიამბო თავისი ოჯახის ამბავი. გაკვირვებულმა ვკითხე: — განა შვილს ჰქონდა იმის უფლება, ასე ჩარეულიყო მშობლების ურთიერთობაში-მეთქი? დამეთანხმა, არ უნდა ჩავრეულიყავიო. თუმცა აღნიშნა, ამას ახლაღა მივხვდი, მაგრამ თავდაპირველად, როცა ჩვენი მშობლები დაშორდნენ, მეც და ჩემი და-ძმაც საშინლად გავმწარდით, რადგან დედა ისე გვიყვარდა, ვერ წარმოგვედგინა მის სახეზე ცრემლი. მამაც უზომოდ გვიყვარდა, მაგრამ დედის მხარე დავიჭირეთ, რადგან ის აღმოჩნდა დაჩაგრულიო...*

— ათი წლის ვიყავი, როცა ანი და გოგა გაჩნდნენ. დედა მშობიარობის მერე მძიმედ იყო. ყველანი ვეხმარებოდით — მეც, ბებიები, ბაბუები და მამა. ტყუპის გაზრდა მართლაც ძნელი აღმოჩნდა.

დედა საოცარი ადამიანი გახლდათ. გულისხმიერი და მოყვარული. მამა უდიდეს პატივს სცემდა მას. მეამაყებოდა, რომ ჩემს მშობლებს ასე უყვარდათ ერთმანეთი. მაგრამ ერთ დღეს, მაშინ მეათე კლასში ვიყავი, მამა სხვა ქალთან წავიდა. ახლა ამგვარი საქციელი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ ეს ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) დიდი ელდა იყო. დედა დუმდა, ხმას არ იღებდა. ჩემი და-ძმა ჩემგან ითხოვდა ახსნას, თუ რატომ არის დედა დარდიანი და რატომ აღარ მოდის მამა შინ. ბოლოს, დედას მორიდებით ვთხოვე, სიმართლე ეთქვა. არ დამიმალა: მამას სიჭაბუკეში ერთი გოგო უყვარდა. ახლა ისევ შეხვედრია და გადაწყვიტეს, ერთად იყვნენო. გაოგნებული დავრჩი. მერე ისტერიკა დამემართა, დედაჩემმა დამიწყო დაწყნარება, რომელიც არცთუ იოლი აღმოჩნდა. ის დღე იყო და ის დღე, მამის დანახვა კი არა, სახელის ხსენებაც არ მინდოდა. და-ძმასაც ჩავუნერგე: მამა ცუდად მოგვექცა, მიგვატოვა და ვიღაც უწესო ქალს გაჰყვა. თუ თქვენს სანახავად მოვა, იცოდეთ, ხმა არ გასცეთ-მეთქი. ისინიც მორჩილად ასრულებდნენ ჩემს მოთხოვნას. მამამ ჩემთანაც არაერთხელ სცადა ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ძალიან მკაცრი და შეუვალი აღმოვჩნდი. მახსოვს, პირველ კურსზე ვიყავი, ინსტიტუტში მოვიდა, მომილოცა და მთხოვა, გავყოლოდი სადმე, დავმსხდარიყავით და გვესაუბრა. მაშინაც უხეშად მოვიცილე, უფრო მეტიც, უზრდელად. არადა დედას მის წინააღმდეგ არასოდეს წავუქეზებივართ, პირიქით, გვარიგებდა: იცოდეთ, რომ ეგ კაცი მამათქვენია, მას უყვარხართ და როცა თქვენთან მოვა, ნორმალურად უნდა მიიღოთო. ჩვენ, სამივე, თავს ვუქნევდით, მაგრამ ასე არ ვიქცეოდით. კულმინაცია ის დღე იყო, როცა გავიგეთ, რომ დედას უკურნებელი სენი სჭირდა. მამას დავურეკე — შენი ნახვა მინდა-მეთქი. გახარებული შემხვდა. მივახალე — შენმა საქციელმა დედა დაავადა, ჩვენც ნერვები დაგვაწყვიტა. შენ კი ბედნიერად ცხოვრობ იმ ვიღაცასთან და მის შვილს ზრდი, როცა საკუთარი დავიწყებული გყავს-მეთქი. მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ მოგვიანებით, ცოტა დამშვიდებული რომ ვიხსენებდი დეტალებს, ამომიტივტივდა მამაჩემის დაზაფრული სახე. როცა დედაზე ვუთხარი, ძალიან ცუდად არის-მეთქი, თავში ხელი შემოირტყა. მის პასუხს აღარც დავუცადე, ისე გამოვტრიალდი.

დედამ ორი წელი იავადმყოფა. ბოლო ხანს ძალიან მძიმედ იყო. მამაც მოვიდა მის სანახავად. უმცროსებმა ზურგი შეაქციეს, არც მე დაველაპარაკე. დედას მოვერიდე, თორემ სიბრაზისგან ყველაფერს თავზე დავამსხვრევდი... დედა რომ გარდაიცვალა, მამას ავუკრძალე ჩვენთან ყოფნა. საწყალი, ქვემოთ იდგა თურმე. ორმოცი დღე რომ გავიდა, მერე გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი: ნანა, როცა მე აღარ ვიქნები, ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში რომ ნაწერები მაქვს, წაიკითხე და მოიქეცი ისე, როგორც გული გიკარნახებსო.

გულისფანცქალით ამოვალაგე უჯრიდან მისი დღიურები...

„ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ჩვენი სიყვარული თუ ასე დამთავრდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი, — წერდა დედა, — არადა ხომ გვიყვარდა ერთმანეთი, ხომ მპირდებოდა, მუდამ შენი ერთგული ვიქნებიო? ლალისგან, ჩვენი მეზობლისგან, ყურმოკვრით ვიცოდი, რომ სტუდენტობისას ვიღაც უყვარდა. ბოლო ხანს, დაბნეულობა რომ შევატყვე, გავეხუმრე კიდეც: ძველ სიყვარულზე ხომ არ ფიქრობ-მეთქი. გვერდით მომისვა და ყველაფერი მიამბო. თურმე როგორ ჰყვარებია ნატა... მერე შემატყო, რომ დავნაღვლიანდი. მაკოცა და მითხრა: არაფერზე იდარდო, შენ არავისში გაგცვლიო.... მაინც ნატა მამჯობინა...

ნანამ და პატარებმა ძალიან შეიძულეს მამა. თავდაპირველად, ჩემი მხარე რომ დაიჭირეს, ეგოისტურად გამიხარდა, მერე დავფიქრდი, შევშფოთდი კიდეც. აშკარად გაბოროტდნენ. [illegible]

მაგრამ მამის განსჯის უფლება შვილებს არა გაქვთ. რა თქმა უნდა, ცოლ-ქმრის დაშორება დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს მხოლოდ ქალისა და კაცის საქმეა, სხვისი — არავისი. ის მამაა თქვენი, თანაც კარგი მამა. რა ქნას, თუკი სხვა ქალი უყვარს, უყვარს ჭაბუკობიდან. ზვიადი ყოველთვის მართალი იყო ჩემთან. როცა ცოლად მოვყევი, მაშინაც მითხრა, ერთი გოგო მიყვარდა ძალიან, [illegible] ლად, მაგრამ წარსულმა ეს სიყვარული წაიღო. შენ ნამდვილად გულწრფელად მიყვარხარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემთან ბედნიერი იყოო... და ვიყავი კიდეც. [illegible] განმავლობაში მისგან ერთი სიტყვაც არ მწყენია, არამცთუ საქციელით მოეკლა ჩემთვის გული. მამა ხომ მართლაც განსაკუთრებული იყო. ერთ ეპიზოდს გაგახსენებ... მაშინ პატარა იყავი. ფილტვების ანთება დაგმართა. ნემსები დაგჭირდა. [illegible] გაკეთებაზე, მამა შენთან ერთად ტიროდა. [illegible] ვინ მოგცათ [illegible] უფლება, რომ მშობლებს უხეშად ელაპარაკოთ?

მამაშენს ოჯახიდან წასვლის მერე არ დაუკლია ჩვენთვის არაფერი. მთხოვდა, ნანას ნუ ეტყვი, რომ ფული მე მოგეცი, თორემ [illegible] ამიტომაც ხან ბებიას, ხან [illegible] ... მეთქი. [illegible] ლის [illegible] მოცემული ფულით [illegible] ღირს [illegible] მე არ შემეძლო, [illegible] და სარეცხიც გაურეცხავს.

ნანა, ძალიან გთხოვ, [illegible] მიმართ. არც ის ქალია „[illegible]" და „გარეწარი", როგორც [illegible] მეორე ცოლისთვის. „ზედმეტი მესამე" ფაქტობრივად მე გამოვდექი, რადგან ისინი ჩემამდე გაცილებით ადრე იცნობდნენ ერთმანეთს, ძალიან დიდი და ლამაზი რომანიც ჰქონდათ, მაგრამ მერე რატომღაც დაშორდნენ. მართალია, მათ დაშორებაში მე არ მიმიძღვის არანაირი ბრალი, მაგრამ რადგანაც ორივე კვლავ შეხვდა ერთმანეთს, სხვა გზა აღარ რჩებოდა, გვერდზე უნდა გავმდგარიყავი. საოცარი ისაა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მე და ზვიადმა ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობა გავაგრძელეთ, თქვენ კი მამას მტრად მოეკიდეთ. განა ამას გასწავლიდით, განა ასე გარიგებდით? რას იტყვის ხალხი, ან თუნდაც მამაშენი და მისი ცოლი არ იკითხავენ: ეს რა შვილები გაუზრდია იმ ქალსო?

ნანუკა, იმედია, დედის დანაბარებს შეასრულებ. დამიჯერე, ცხოვრება გაგიჭირდება გაბოროტებულს. როცა სიკეთით აივსები, სინანული დაგეუფლება და მოინანიებ კიდეც, მხოლოდ მაშინ შეძლებ სილამაზის დანახვას.

შეუნდე მამას შეცდომა (თუკი შეცდომა ჰქვია დიდ სიყვარულს), მიუტევე დანაშაული (თუკი დანაშაულს უწოდებ სიმართლეს) და გიყვარდეს ისიც და სხვებიც. ადამიანის სიყვარული უდიდესი ნიჭია და მინდა, ჩემი შვილები ამ ნიჭს მოკლებულნი არ იყვნენ.

გკოცნი უთვალავს შენც და პატარებსაც. მიყვარხართ სამივე. ზეციდანაც დაგეხმარებათ ჩემი სიყვარული და შეუძლებელს შეგაძლებინებთ. თქვენი დედიკო".

ამ წერილის წაკითხვის მერე კარგა ხანს ვერ შევძელი დედაჩემის ოთახიდან გამოსვლა. დიდხანს ვტიროდი... მეორე დღეს მამას შევხვდი, გადავეხვიე და მასთანაც ვიტირე. მერე დედის წერილი წავუკითხე. მანაც ვერ შეიკავა ცრემლები. ვერ შევძელი ჩუმად ყოფნა და ვკითხე: როგორ შეგეძლო ასეთი ქალის მიტოვება-მეთქი. კარგა ხანს ჩუმად იყო, ბოლოს მითხრა: ჩემო შვილო, შენ კიდევ ბავშვი ხარ, არ გამოგიცდია ისეთი სიყვარული, როგორიც მე და ნატას გვქონდა, ამიტომაც ვერ გამიგებ... განა დედაშენი არ მიყვარდა, მაგრამ როცა ბედის სასწორზე ეს ორი ქალი დადგა, მაინც ნატასკენ გადაიხარა ისარი. დედაშენმა გამიგო, რადგან მიხვდა, გაორებული ცხოვრება არ შემეძლოო...

დედაჩემის წერილმა პატიება შემაძლებინა და შეგვარიგა მამა-შვილები. მას შემდეგ უკვე სამი წელი გავიდა. მართლაც, როცა გული მომილბა მამის მიმართ, სხვებთან ურთიერთობაც გამიიოლდა და ცხოვრებასაც სხვა თვალით შევხედე.

**მარინა ბაბუნაშვილი**

# რძალ-მამამთილიანი

*სიძე-სიდედრზე და რძალ-დედამთილზე სალაპარაკოს რა გამოლევს, მაგრამ ეს თემები თურმე მოდიდან გასულად ითვლება და თუ ჭორებს დავუჯერებთ, რძალ-მამამთილს შორის უფრო დაძაბული სიტუაცია ყოფილა, ვიდრე ძველ „მტრებს" შორის. თუმცა, პირადად ჩატარებული „კვლევისას" მამაშვილურად შეხმატკბილებულ რძალ-მამამთილსაც ბევრს შევხვდი, თანაც ისე, რომ რძალი მამამთილს უამრავ საალერსო სახელსაც ეძახის და თავს ევლება.*

*დაახლოებით ორი წლის წინ, გერმანიაში საქართველოს ელჩის, კოტე გაბაშვილის ოჯახში სტუმრობისას აღტაცება ვერ დავფარე ბატონი კოტესა და მისი რძლის, ეკას ურთიერთობის გამო. ეკა ისე ალერსიანად მიმართავდა ბატონ კოტეს (რა თქმა უნდა, დედამთილს, ქალბატონ მანანასაც, მაგრამ ამჯერად დედამთილებს არ ვეხებით) — „კოწო მამა"-ო, რომ ოჯახის უფროსი კინაღამ საკუთარი შვილის სიმამრი მეგონა.*

**მარიკა (24 წლის):** — მყავს ოქროს დედამთილი და ჯოჯოხეთის მოციქული მამამთილი, რომელმაც თურმე ჯერ საკუთარ დედას მოუღო ბოლო თავისი გულღრძოობით და ბოროტებით, მერე ცოლი შეჭამა და ახლა მე მომდგა. რომ ბრძანოს, ნაკვერცხლები შიშველი ხელებით მომართვითო, უნდა მიართვა, თორემ... პირველი შვილი გოგონა გამიჩნდა და დედამთილის სიყვარულით (მართლა არაჩვეულებრივი ადამიანია) მისი სახელი დავარქვი, ვაჟს — გარდაცვლილი მამის სახელი. გაგიჟდა ჩემი მამამთილი — ბავშვს სახელი გადაარქვით და ჩემი სახელი დაარქვითო. თანაც იცით, რა ჰქვია? ქიშვარდი. ჩემი ქმარი, ეჩხუბა მამამისს, მაგრამ რა! სტუმარიც ვერ მიმართავს ჩემს პაწიას ნამდვილი სახელით. ქიშვარდს ხომ არ დაუძახებენ? გაშლილ სუფრასთან ბავშვს ასე ადღეგრძელებენ: „პატარა ბიჭს გაუმარჯოს", „ბიჭს გაუმარჯოს, ბიჭს", „გაიზარდე, ბიჭო", „მემკვიდრემ იხაროს" და ა.შ. აი ასეთი მამამთილი მყავს, რომელიც თურმე ოჯახის გარეთ ლაპარაკობს — მამის მაგივრობას ვუწევ ჩემს რძალს, ის კი არაფრად მაგდებსო.



**ლილი (67 წლის):** — საოცარი მამამთილი მყავდა. 16 წლის ვიყავი, როცა ჩემმა ქმარმა მომიტაცა. რაღა დაგიმალოთ და, მეშინოდა გათხოვების, დიასახლისობისაც არა გამეგებოდა რა... დედამთილი გარდაცვლილი იყო. ოჯახში სამი მამაკაცი დამხვდა — ჩემი ქმარი, მაზლი და მამამთილი. დღესაც ღიმილით მახსენდება, სამზარეულოში როგორი უსასოო და საცოდავი ვიყავი ჩემი უცოდინარობის გამო. ვტიროდი, ვჯავრობდი — რა ვქნა, სადილ-ვახშამს რომ ვერ დავახვედრებ ოჯახს-მეთქი. ცრემლებად რომ ვიღვრებოდი, მამამთილმა შემომისწრო. იმ დღიდან მისი შეგირდი გავხდი. ისე დამახელოვნა კულინარიაში, რომ დღემდე აღფრთოვანებას ვერ მალავენ ჩემი ნახელავის გამო. სამწუხაროდ, მამა (ასე მივმართავდი მამამთილს) სამი წლის წინ გარდაიცვალა, მე დღესაც ცრემლი მადგება მის გახსენებაზე და მინდა ისევე უყვარდეთ ჩემს მეუღლესა და სამ რძალს ერთმანეთი, როგორც მე და ბატონ შალვას.

**ნუგეშა (48 წლის):** — ჩემი ძმა ადრე დაქვრივდა. ოჯახში დარჩნენ მხოლოდ მამაკაცები — მამა და სამი ვაჟი. ორი უცხოეთში წავიდა საცხოვრებლად. მამასთან დარჩენილმა უმცროსმა კი ორ წელიწადში ცოლი შეირთო. მშვენიერი გოგო ჩანდა, მაგრამ უგულო აღმოჩნდა. ქმარს წარამარა ეჩხუბებოდა — მე მამაშენს ვერ მოვუვლიო. არადა, რა მოვლა სჭირდებოდა 57 წლის კაცს. იმდენი იხტუნა იმ ტუტუცმა გოგომ, რომ 8 თვეში ოჯახი დაანგრია.

ნეტავ ასეთი ქალები რატომ არ ფიქრობენ, რომ მათი მშობლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ იმნაირი გარეწრის ხელში, როგორებიც თვითონ არიან!

**ვლადი (63 წლის):** — ჩემი შვილი და რძალი ჩემი მესაიდუმლეები არიან. ცოლად ცივი და „გაუცინარი ხელმწიფე" მყავს, მაგრამ შვილების გამო ვერ დავშორდი, რომლებიც მართლაც შესანიშნავი ადამიანები არიან და უსიტყვოდ ესმით ჩემი. კარგა ხანია საყვარელი მყავს. ერთხელ მასთან ერთად ჩემმა ცოლმა წამასწრო, ჩემი რძალიც ახლდა. ლანამ ისეთი „სპექტაკლი" დადგა, ისე გააცურა დედამთილი, რომ სახტად დავრჩი. დაარწმუნა, ეს ქალბატონი ჩემი ახლობელია, რაღაც საქმეში (რისი გაკეთებაც მე შემეძლო) დახმარება სჭირდებაო. ჩემი მეუღლე კმაყოფილი დარჩა ჩემი „ქველმოქმედებით". საქმე იქამდე მივიდა, რომ იმ საღამოს ყველამ ერთად მოვილხინეთ. ჩემს ცოლს ისე მოეწონა ჩემი საყვარელი, რომ შინაც დაპატიჟა.

არ იფიქროთ, რომ ჩემი ცოლი ცუდი დედამთილია და რძალმა სამაგიერო მიუზღო. მათ არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ. უბრალოდ, ლანაა საოცარი ადამიანი.

**ეკა ლომიძე**

# გამოხმაურება
# დიდი შეცდომა

„მეცხრე კლასში ვიყავით, როცა ნატო სხვა რაიონიდან ჩვენს სკოლაში გადმოვიდა. მეზობლებიც აღმოვჩნდით და ძალევე დავმეგობრდით. ცოტა ხანში მან თავისი საიდუმლო გამიმხილა. თურმე საქმრო ჰყოლია, რომელიც ჯარში მსახურობდა. ნატომ იმ ბიჭის წერილებიც წამაკითხა და უნდა ვაღიარო, შემშურდა. ნატო ისეთი ლამაზი გოგო იყო, რომ ჩვენთანაც ბევრს უყვარდა, თუმცა თავი ისე ეჭირა, ვერავინ უბედავდა სიტყვის თქმას.

როგორც ნატოს ახლობელს, ყველა მე მეკითხებოდა მის შესახებ ყველაფერს. მე კი, შურით „ატანილი", ათას რამეს ვჩმახავდი, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ვურევდი. ბოლოს, ისიც ვიკადრე, მის საქმროს ნატოს მაგივრად (ვითომ ის წერდა!) წერილი მივწერე. ის დღე იყო და იმ ბიჭს მეტი წერილი აღარ გამოუგზავნია. ნატო ძალიან განიცდიდა ოთარის (მისი საქმრო) დუმილს. გავიდა დრო. სკოლა დავამთავრეთ. ნატომ უნივერსიტეტში ჩააბარა. მან რამდენჯერმე სცადა ჯარიდან დაბრუნებულ ოთართან დაკავშირება, სთხოვა კიდეც შეხვედრა, მაგრამ უარი მიიღო. ალბათ გაგიკვირდებათ, იმისთანა რა ეწერა იმ წერილშიო... ეწერა სისაძაგლე და უმსგავსო რაღაცები. ერთი სიტყვით, ჩემს მიზანს — ნატო დამეშორებინა შეყვარებულთან, მივაღწიე.

მალე გავთხოვდი. დანაშაულის გრძნობამ თანდათან შემიპყრო, მაგრამ ნატოს მაინც ვერ ვუმხელდი იმას, რაც ჩავიდინე... მერე ცხოვრება ამეწეწა, შვილი მომიკვდა, ქმარსაც გავშორდი.

ნატო კარგა ხნის მერე გათხოვდა. ძალიან კარგ ოჯახში მოხვდა. გულით მიხაროდა მისი ბედნიერება, თუმცა ის „შავი ლაქა" მაინც არ მაძლევდა მოსვენებას.

ერთხელ, როცა ჩვეულებრივად დავსხედით სასაუბროდ, მან სევდიანად გაიხსენა თავისი პირველი სიყვარული და მითხრა: ბედნიერი ვარ, ქმარს ვუყვარვარ, შვილებით ვხარობ, მაგრამ ოთარის დავიწყება მაინც ვერ შევძელი. მუდამ ვანთებ სანთელს მის სახელზეო.

გული დამეწვა. ვერ მოვითმინე და ყველაფერი ვუამბე. იგი დიდხანს მისმენდა ჩაფიქრებული, ბოლოს მითხრა: ჩემო ნინო, თავს ნუ იტანჯავ, ალბათ ღმერთს სურდა ჩვენი დაშორებაო. კინაღამ გავგიჟდი. იმის მაგივრად, რომ გაველანძღე ან თუნდაც ესაყვედურა, აქეთ დამიწყო დამშვიდება.

სამწუხაროდ, აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება. ვიცი, თქვენს გაზეთს ოთარიც კითხულობს. იგი ადვილად მიხვდება, ვინ არის ნატო და ვინ — ნინო. ერთს ვთხოვ მხოლოდ: მოინახულოს ქალი, რომელიც ძალიან უყვარდა. იმ საზიზღარი წერილის ავტორი ხომ მე ვიყავი და არა ნინო. მინდა, ის შავი ლაქა ერთ დროს მოყვარულ ორ ადამიანს შორის აღარ არსებობდეს. გოგონებს კი ვურჩევ: არასოდეს შეშურდეთ ლამაზი, მშვენიერი და სათნო მეგობრისა. შური ხომ ბოროტების სათავეა.

*თქვენი მუდმივი მკითხველი ნინო."*





- ... რუსთაველი
- დამხმარე თეორემა
- ვიტამინების დოზირებული ფორმა
- ოქტავის პირველი ნოტი
- ამერიკელი მწერალი / ფრანგული ავტომობ.
- წნელის ჭურჭელი / „საბრინა“ (მსახიობი)
- სავაჭრო ან საბრძოლო ადგილი
- მოხსენების მოკლე შინაარსი, დასკვნა
- ორი წერტილი კამათელზე
- რომაელი მხედართმთავარი
- ნაპოლეონის მხატვარი
- საბავშვო კომპიუტერული სათამაშო
- ქორბუდა / პანტომიმ. მსახიობი
- „შესანიშნავი შვიდეულის“ პერსონაჟი
- ჩვილის „ტრანსპორტი“
- თავისუფალი ფორმის ნარკვევი
- ლიტერატურული თამაში
- უფერო სითხე უჯრედშორის სივრცეში
- ტროპიკული ხვიარა მცენარე
- ... შუშაკი
- შემოღამება
- ენა, ... სარწმუნოება
- მისნობა
- ვაშლის ღვინო / გაკვეთილის გადაცემა, ანუ ...
- იაპონელი მწერალი შექსპირის მთარგმნელი
- „ლივერპულის“ მწვრთნელი
- „ცისფერი მოცეკვავეები“. იმპრესიონისტი
- მიწისძვრით გამოწვეული ტალღა
- ცვარი
- ამერიკული ავიაკომპანია
- ... დე ფიუნესი
- განსხვავებული სასმისი
- სახელმწიფო აზიაში
- პიტერ ფალკის ცნობილი როლი
- აზერბაიჯან. დასთანი „...-ოღლი“
- მეალომანიის ვირტუალური წამყვანი
- იაპონური ცივი იარაღი, 3-მეტრიანი ჯოხი
- მათემატიკის ნაწილი
- ინდირა განდის მამა
- დიდი თითი
- ლაოსის ძირითადი მოსახლეობა
- ქართველი წმინდანი
- ჰამზა, ყადირი (ეროვნება)
- ამერიკული ბლოკბასტ. / მაგარმერქნიანი ხე
- სამეჯლისო ცეკვა
- გერმანელი ბიოლოგი / ბედისწერა
- სიგრძის ძველი ქართული ერთეული
- ჩინური ჭადრაკი
- ფრანგი არქიტექტ. ... კორბუზიე
- ტროპიკული მახრჩობელა
- ფრანგული კონიაკი „... მარტინი“
- ციებ-ცხელება
- ქალაქი ინდოეთში
- ოსტაპ სულეიმან ბერტა მარია ბენდერ ...







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ლიბრეტო; 2. „კიკა“; 3. მარლა; 4. მეანი; 5. ბაკალავრი; 6. რომი; 7. ბო; 8. ხატანგა; 9. ტაბუ; 10. იდეა; 11. სოია; 12. მექი; 13. დეგა; 14. ნოკაუტი; 15. წამი; 16. ზენ; 17. ბერიკა; 18. აუტი; 19. კანტი; 20. კანოე; 21. კიი; 22. შმაგი; 23. კაშპო; 24. ნამი; 25. რენიე; 26. რეკეტი; 27. „ელეგია“; 28. პაპაი; 29. რამპა; 30. პოლისი; 31. მუსიკა; 32. სიკა; 33. ქცია; 34. დიქცია; 35. სი; 36. ლისტი; 37. უივერი; 38. „გრემი“; 39. ანგარი; 40. „აიდა“; 41. უნებლიე; 42. რაუ; 43. რევიუ; 44. ბადრიჯანი; 45. ბლიე; 46. ფეი; 47. „ნორმა“; 48. ვია; 49. მა; 50. არიადნე; 51. მელოდია; 52. ლიე; 53. სვია; 54. დასტა; 55. ტროა; 56. არი; 57. ჯანი; 58. იარა; 59. მადა; 60. ადაფტერი; 61. ტაიჭი; 62. განჯა; 63. აორტა; 64. თემიდა; 65. „ილ“-ი; 66. ფრი; 67. კაასი; 68. პიკული; 69. კისა.

1. ლახტაობა ამერიკულად; 2. ორას სამი კარატი; 3. აქ წერია, რომ უნდა დაბზრიალდე; 4. პრანჭიას მაუსი; 5. ფრთხილად ცხვირი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

## დიანა ღურწკაიას გვარის გამოცვლა არც უფიქრია

— ერთ-ერთმა პარტიამ მოაწყო წინასაარჩევნო კონცერტი და ჩამოიყვანეს რუსული ესტრადის ისეთი ცნობილი მომღერალი, როგორიცაა ქართველი დიანა ღურწკაია და ჯგუფი „ივანუშკი“. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აფიშაზე დიანას გვარი შეცდომით იყო დაწერილი — „გურცკაია“, თუმცა იქნებ ეს შეცდომაც არ არის და დიანამ მართლაც გადაიკეთა გვარი? იქნებ გვითხრათ, რაშია საქმე და თუ ეს შეცდომა იყო, რატომ არ შეიცვალა აფიშა?

*ეკა სამხარაძე*

კითხვაზე უპასუხებს **დიანა ღურწკაია**



— რა სისულელეა. არც მიფიქრია გვარის გამოცვლა. მართალია, რუსეთში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, მაგრამ მყარად ვარ მიჯაჭვული საკუთარ ფესვებთან. ამას ადრეულ ასაკში არც ისე მძაფრად განვიცდიდი, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან მიხარია სამშობლოში კონცერტების გამართვა, ამიტომაც უარს არ ვამბობ შემოთავაზებებზე. გარდა ამისა, ყველას კარგად მოეხსენება, რომ რუსულად ჩემი გვარი, როგორც ქართული გვარების უმეტესობა, სხვანაირად ჟღერს. აფიშაზე გვარი მართლაც შეცდომით ყოფილა დაწერილი, მაგრამ ეს რა ჩემი ბრალია. ამის გამო კონცერტის ორგანიზატორებმა ბოდიშიც კი მომიხადეს, მაგრამ ქართველებს ასეთი შეცდომები არ უნდა მოსდიოდეთ. ვინ-ვინ და თქვენ ხომ მაინც იცით, როგორ იწერება ჩემი გვარი. თანაც, პირველად ხომ არ ვმართავ საქართველოში კონცერტს. არ დავმალავ და ეს ფაქტი არ მესიამოვნა, თუმცა სამშობლოში ჩამოსვლა და კონცერტის გამართვა ისეთ სიხარულსა და ბედნიერებას მანიჭებს, რომ ამაზე ყურადღება აღარც გამიმახვილებია.

## სიტყვათა კონა

**დოზანა** (საუბ.) — ჯანდაბა, ჯოჯოხეთი (იხმარება წყევლაში სიტყვა ჯანდაბასთან).

**დოი-დოი!** — მტრედების მოსახმობი ძახილი.

**დოლი** — ბატკნების მოგების დრო (თებერვალში). ბატკნის მოგება.

**დოლი** — ძირითადი ხორბლეული ჩვენში; თავთავი იცის ფხიანი, მარცვალი მსხვილი, პური გამოდის კარგი ღირსებისა; თესავენ შემოდგომით.

**დოლა** — ურქო (ან რქამოკლე) ძროხა, ხარი, თხა და მისთ.

**დოლაბი** — წისქვილის ქვა.

**დოლაბი** — 1. ბანიანი სახლის სათვალე-სანათური. 2. ქვიტკირის კედელში დატანებული უკარო განჯინა (ქვეშაგების შესანახად).

**დოლბანდი** (სპარს.) — 1. თეთრი, თხელი, რბილი ქსოვილი. 2. იგივეა რაც ჩალმა.

**დომბა** — დიდი ჩლიქოსანი ცხოველი.

**დომფალი** — აბრეშუმის პარკი, რომელშიც ორი ჭიაა.

**დორი** — ზურგის მისაყუდებელი ან საჯდომი ბალიში.

**დორა** — 1. თიხის ჭურჭელი წყლისათვის. 2. (ძვ.) სითხის საზომი ერთეული (სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომის იყო).

**დორანი** — მყუდრო ადგილი წყალში, სადაც თევზებია თავმოყრილი. (საუბ.) დორანში ჩავარდება — კარგი ბედი მოუვა, კარგ ცხოვრებასა და სიმდიდრეს ეწევა.

## როგორ შეიქმნა რაგბი...

— ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთს უხსოვარი დროიდან თამაშობს კაცობრიობა. ისიც გამიგია, რომ რაგბი ფეხბურთის სახეობაა. მაინტერესებს, უკავშირდება თუ არა რაგბის წარმოშობა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას და როდიდან ითვლება იგი სპორტის სახეობად?

*ჯემალ ფიფია*



— ფეხბურთს წარსულშიც უამრავი მოყვარული ჰყავდა. მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობდა თამაშის საყოველთაოდ მიღებული წესები, იგი უფრო თავშესაქცევს წააგავდა, ვიდრე სპორტის სახეობას. სწორედ ამან განაპირობა ამჟამად სპორტის საკმაოდ პოპულარული სახეობის — რაგბის წარმოშობა.

1823 წლის 7 აპრილს, ინგლისში, ქალაქ რაგბის ერთ-ერთი კოლეჯის ეზოში ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ.

მატჩის მსვლელობისას 16 წლის უილიამ ვეელისმა ბურთი მკერდზე მიიკრა და მოწინააღმდეგეთა კარისკენ გაქანდა. თამაშის წესებიდან ასეთი მოულოდნელი გადახვევა მოეწონათ როგორც ფეხბურთელებს, ასევე გულშემატკივარსაც.

მალე, ამ კოლეჯის შენობაზე მემორიალური დაფა გაჩნდა: „ეს წარწერა გვახსენებს უილიამ ვეელისის დიდებულ ქმედებას, რომელმაც 1823 წელს პირველმა დაარღვია ფეხბურთის თამაშის წესები და საფუძველი დაუდო რაგბის“.

მალე რაგბი პოპულარული გახდა ყველა კონტინენტზე და 1900, 1908, 1920, 1924 წლებში ოლიმპიურ თამაშთა პროგრამაშიც ჩართეს, მაგრამ მერე მიივიწყეს.

რაგბი, როგორც ოლიმპიური დისციპლინა, ხელმეორედ 1997 წელს „დაიბადა“.

## სფინქსის გამოცანა ოიდიპოსმა ამოხსნა

— „კვირის პალიტრის“ 39-ე ნომერში, ფრაგმენტებიან კროსვორდში (თარაზულად-33) ეწერა: „მისი ამოცანა (სფინქსის) ოიდიპოსმა ამოხსნა“. მაინტერესებს, რა ამოცანა იყო ასეთი. გთხოვთ ვრცლად გვიამბოთ სფინქსის შესახებ.

*გიორგი გერგაული*



— ძველი ბერძნული მითის თანახმად, ქალაქ თებესა და მის ავხორც მეფეს — ლაოსს ღმერთებმა სასჯელად ეთიოპიის სფინქსი მოუვლინეს. სფინქსი ორი საშინელი ურჩხულის — ტიფონისა და ექიდნეს ასული იყო. მას ჰქონდა ქალის თავი და მკერდი, ლომის ტანი და კლანჭები, არწივის ფრთები, ხოლო კუდად გველი ება, რომელიც გველისვე თავით ბოლოვდებოდა. სფინქსმა ქალაქის მისადგომი ჩაკეტა. აქ იგი თებელებსა და ყველა გამვლელს ერთ გამოცანას ეკითხებოდა. აი, გამოცანის ტექსტი: „არის დედამიწაზე ორფეხა, ოთხფეხა და სამფეხა არსება, რომელსაც ერთი ენა აქვს. იგი ერთადერთი იცვლის იერს იმ არსებათა შორის, რომელნიც მიწაზე, ცასა და ზღვაში მოძრაობენ“.

გამოცანის ამოცნობას ვერავინ ახერხებდა და სფინქსიც მანამდე მუსრავდა ყველას, სანამ მასთან ოიდიპოსი არ მივიდა: გამოცანაში დასახელებული არსება ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც ახალშობილობისას თავისი სისუსტის გამო მიწაზე ოთხი ფეხით დაცოცავს, ხოლო როდესაც მოწეული სიბერე კისერს მოუდრეკს, იგი მესამე ფეხს — კვერთხს ებჯინება მოხუცებულობისგან წელში მოხრილი. ოიდიპოსის პასუხი რომ მოისმინა, სფინქსი ფიკიონის მთიდან გადაეშვა და კლდეებზე დაილეწა.

## სახალხო ბანკი და დევნილი პენსიონრები

— ზუგდიდში მცხოვრები დევნილი პენსიონერების საბუთები გადაიტანეს კომერციულ ბანკ „სახალხო ბანკის“ რაიონულ ფილიალში. ადრე მოლარეები თითო კაციდან თითო ლარს იტოვებდნენ, ამჟამად ახალი პარტნიორები 2 ლარს იღებენ. ჩვენი ინფორმაციით, „სახალხო ბანკს“ მომსახურების პროცენტს სახელმწიფო უხდის. მაშინ რატომ გვაკლდება ისედაც მიზერული პენსიიდან 2 ლარი და რას ხმარდება ეს თანხა?

*ია ყოლბაია*

— მიუხედავად ორკვირიანი მცდელობისა, გაგვერკვია რა ხდება „სახალხო ბანკის“ ზუგდიდის ფილიალში, კონკრეტული და დასაბუთებული პასუხი ვერ მივიღეთ. როგორც „სახალხო ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა **დოდო ბოჭორიშვილმა** აგვიხსნა, სახელმწიფო მართლაც თავად იხდის დევნილების პენსიისა თუ დახმარების გაცემისათვის მომსახურების პროცენტს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო არ ურიცხავს „სახალხო ბანკს“ არც პენსიის თანხას და შესაბამისად, არც მომსახურების პროცენტს, ბანკი კრედიტის სახით მაინც უხდის პენსიონერებს პენსიას, მაგრამ ამჯერად საკუთარი ბრუნვითი კაპიტალიდან. ამ დროს, „სახალხო ბანკი“, რა თქმა უნდა, იღებს მომსახურების პროცენტს, რომელიც 14 ლარზე 1 ლარს შეადგენს, 45-ლარიან პენსიაზე 2 ლარს და ა.შ. თუ პენსიონერი იღებს 14-ლარიან პენსიას და მასზე „სახალხო ბანკი“ კრედიტის სახით ორი თვის პენსიას გასცემს, მაშინ პიროვნებას მოუწევს 2 ლარის გადახდა. აღსანიშნავია, რომ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 2003 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვეების პენსიები „სახალხო ბანკმა“ მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველგვარი მომსახურების პროცენტის დაქვითვის გარეშე გასცა. ამდენად, მნიშვნელობა აქვს, რა სახის პენსიონერი ბრძანდებით და რომელი თვის პენსიაზეა საუბარი.

## რამდენად ძვირი სიამოვნებაა თევზების ყოლა?

— მაინტერესებს აკვარიუმის თევზების მოვლის წესი. რამდენი თევზის მოთავსებაა შესაძლებელი ერთ აკვარიუმში და სასურველია თუ არა სხვადასხვა ჯიშის თევზების ერთად ჩასმა.

*მაია თურქია*



კითხვაზე უპასუხებს **მაიკო სუხიტაშვილი**, ვეტერინარი.

— არსებობს თბილი და ცივი წყლის აკვარიუმის თევზები. თუ შეკითხვის ავტორს თბილი წყლის თევზების შეძენა სურს, რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით ლამაზია და მრავალფეროვანიც, მაშინ ისიც უნდა იცოდეს, რომ ასეთი თევზის ყოლა მხოლოდ ესთეტიკური სილამაზე როდია. მათი მოვლა საკმაოდ რთულია. ასე მაგალითად, გამუდმებით უნდა აკონტროლოს აკვარიუმში წყლის ტემპერატურა, რომელიც +24-25 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს; უზრუნველყოს აკვარიუმის ფილტრაცია და აერაცია, სასურველია ჰქონდეს გრუნტი და წყალმცენარეები. უნდა შეირჩეს იმ ჯიშის თევზები, რომელთა ერთად მოთავსება აკვარიუმში დაშვებულია. მაგალითად, ცოცხლად მშობიარეების და მტაცებლების ერთად ყოლა არ შეიძლება. არ არის სასურველი დიდი და პატარა თევზების ერთად მოთავსება და სხვა. თევზების შეთავსება აუცილებლად სპეციალისტის რჩევით უნდა მოხდეს, ამიტომ ყიდვამდე სჯობს კარგად გაერკვიოთ თევზის სახეობებში.

საკვები ასევე უნდა შეირჩეს იმის მიხედვით, თუ რა სახეობის თევზები გყავთ. სასურველია აჭამოთ მცენარეული და ცხოველური საკვები, როგორც სპეციალური წესით დამზადებული, ასევე ცოცხალი სახით. მაგალითად, ცხოველურ საკვებში შედიან ჭიები, მატლები და ა.შ. ხოლო მცენარეულში, — წყალმცენარეები. სასურველია თევზებს დღეში ორჯერ ჩავუყაროთ სპეციალიზებული საკვები, ამასთან კვირაში ერთხელ ერთი დღით ვაშიმშილოთ. საკვები იმდენი უნდა ჩავუყაროთ, რომ 3 წუთში აკვარიუმში არაფერი დარჩეს. ზედმეტი საკვებისგან თევზი შეიძლება მოკვდეს. მათ ზომა არ იციან...

აკვარიუმში ყოველ ორ ლიტრ წყალზე ერთი თევზი სავსებით საკმარისია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ნახსენები ყველა პირობა იქნება დაცული.

რაც შეეხება ცივი წლის თევზებს, ანუ ოქროს თევზებს, მათი მოვლა გაცილებით იოლია. ამ სახის თევზი ცივ წყალსაც უძლებს და ფილტრაცია და აერაცია აუცილებელი არ არის (თუმცა წყალი ყოველ 2-3 დღეში უნდა გაემოიცვალოს).

ამიტომ, თევზების მოყვარულთ შეუძლიათ თავდაპირველად ოქროს თევზები იყოლიონ, შემდგომ კი, როდესაც მათ მოვლას შეეჩვევიან, აღარ გაუჭირდებათ „ძვირად ღირებული“ და „ჭირვეული“ თევზების პატრონობა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რატომ იკვნეტენ ფრჩხილებს ბავშვები და მოზრდილებიც. რითი ვუმკურნალოთ?**

***პატივისცემით ე. გობეჩია***

ფრჩხილების კვნეტა ჩვევა გახლავთ, რომელიც ნევროზულ ტიპებს უვითარდებათ. მისგან თავის დასაღწევად ჯერ ნევროზს უნდა უმკურნალოთ, ხოლო შემდგომ საჭიროა ამ მავნე ჩვევის მქონე ადამიანის დიდი ნებისყოფა და სურვილი, დაძლიოს ეს ჩვევა.

**თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული შემოდგომაზე მიმწვავდება, თუმცა ვცდილობ, დიეტა არ დავარღვიო. შემიძლია თუ არა ჩემით მივიღო წამლები, თუ აუცილებელია ხელახალი გამოკვლევების ჩატარება?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

წყლულოვანი დაავადება ქრონიკულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება და მას გამწვავება შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში ახასიათებს. ამ დროს, მორიგი გამწვავების თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია წყლულის საწინააღმდეგო პრეპარატების პროფილაქტიკური მიღება გამოკვლევების გარეშე. მაგრამ თუ პაციენტს აქვს გამწვავების ნიშნები, კერძოდ, მუდმივად შიმშილის გრძნობა და ტკივილები ღამით, ყაბზობა, დისკომფორტის შეგრძნება, მაშინ საჭიროა გასტროსკოპიური გამოკვლევა. ამჟამად იგი სწრაფად და უმტკივნეულოდ კეთდება და ზუსტ დიაგნოზს იძლევა.

პაციენტებს ხშირად უნიშნავენ ომეზს ან მის ანალოგს, ომეპრაზოლს, რომელიც ომეზთან შედარებით იაფია. კარგი პრეპარატია დე-ნოლიც. იგი ნაწლავებით გამოიყოფა ორგანიზმიდან და არ ტვირთავს ღვიძლსა და თირკმლებს. ფართოდ გამოიყენება პირველი თაობის პრეპარატები: რანისანი, რანიტიდინი. თუ პაციენტი გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიიღებს რანიტიდინს, ყოველდღიურად ერთ აბს მაინც ძილის წინ, წყლული არ გაუმწვავდება.

**ცოტა ხნის წინ მოსწავლისგან გადამედო წითელა, ძალიან მძიმედ ვიყავი. ხომ შეიძლება კიდევ დამემართოს ბავშვთა სხვა ინფექცია: წითურა, ქუნთრუშა... როგორ შეიძლება თავი დავაღწიო ამ დაავადებებს? უკეთდებათ თუ არა უფროსებს აცრები მათ საწინააღმდეგოდ?**

***ინგა კაკაურიძე, თბილისი***

სამწუხაროდ, ნებისმიერ ზრდასრულ ადამიანს ემუქრება ე.წ. „ბავშვთა ინფექციებით" დასნებოვნების საშიშროება, თუ ისინი ბავშვობაში არ გადაუტანია. ეს დაავადებები მოგვიანებით უფრო მძიმედ მიმდინარეობს. განსაკუთრებით პირველ დღეებში დაავადებას თან ახლავს მაღალი ტემპერატურა, ახასიათებს გართულებები. ამიტომ, როდესაც ბავშვს აქვს ეს ინფექციები, საჭიროა მას მოერიდონ ის უფროსები, რომლებსაც ისინი ბავშვობაში არ მოუხდიათ. ასეთ დროს მათ უნდა მიიღონ პოლივიტამინური კომპლექსები, იმუნოსტიმულატორები, გამოიყენონ სამკურნალო ფიზკულტურა. ხოლო თუ მოზრდილი ადამიანი უკვე დაავადდება, მან აუცილებლად უნდა მიმართოს ინფექციონისტს და მკაცრად შეასრულოს ყველა მისი მითითება დაავადების გართულების თავიდან ასაცილებლად. შეიძლება გაკეთდეს წითელას, წითურას, ეპიდემიური პაროტიტის (ყბაყურას) საწინააღმდეგო აცრა. თუმცა ისეც ხდება, რომ ადამიანს ძლიერი იმუნიტეტი აქვს და მას საერთოდ არ ემართება „ბავშვთა ინფექციები".

**ვარ 19 წლის. უკვე რვა წელია მცვივა თმა. ვცადე სხვადასხვა ხალხური საშუალება, მაგრამ არ მიშველა. მართალია, მაქვს თმის პატარა წამონაზარდები, მაგრამ ეს არ მაძლევს მშვიდად ყოფნის უფლებას. გთხოვთ, მიპასუხოთ რით შეიძლება იყოთ თმის ცვენა გამოწვეული და რით ვიმკურნალო?**

***ინეზა კ.***

გირჩევთ, გამოიკვლიოთ ენდოკრინული სისტემა, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია. სასურველია, ჩაიტაროთ აგრეთვე ზოგადი გამოკვლევა (საინტერესოა, ღვიძლის ფუნქციები), ვიდრე არ დადგინდება თმის ცვენის მიზეზი, მის მკურნალობას მცენარეული საშუალებებით შედეგი არ ექნება.

## კარაბადინი

**ძილის წინ ვალერიანის ყნოსვა საშუალებას იძლევა, განიკურნოს ადამიანი ათეროსკლეროზისაგან, უძილობისაგან, გულის ტკივილისაგან, სისუსტისაგან. ნელ-ნელა უმჯობესდება ძილი და ნერვული სისტემის მუშაობა, წყდება ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში. იწმინდება გონება და ქრება სპაზმები. მქონდა აგრეთვე თვალის რქოვანა გარსის დაავადებაც. მკურნალობის პერიოდში ექიმმა შენიშნა, რომ რქოვანას გაუარესების პროცესი შეწყდა. მალე მხედველობა გამიუმჯობესდა. ამ საკვირველ შედეგებზე მრავალ ჩემს ნაცნობს ვუამბე, რომელთაგანაც ბევრმა იმკურნალა. მკურნლობის მეთოდი შემდეგნაირია: სუფთა ვალერიანის წვეთები (არა სპირტზე დაყენებული, არ უნდა შეურიოთ გულის სხვა საშუალებებს) უნდა იყნოსოთ ძილის წინ ერთი-ორჯერ თითოეულ ნესტოში. თუ თავის ტკივილი დაგეწყოთ, ეს ნიშნავს, რომ ვალერიანი ორგანიზმზე მკვეთრად მოქმედებს და საჭიროა, შეამციროთ ყნოსვის სიღრმე, შემდგომ კი თანდათან გააძლიეროთ. საკმაოდ დასუსტებულ ორგანიზმშიც კი 3–4 თვეში ცვლილებები ხდება. უმჯობესდება საერთო მდგომარეობა. ადამიანს უშავდება თმა.**

***პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი ანიკო ინასარიძე***

**ექიმის კომენტარი:** მკითხველის მიერ მოყვანილ მკურნალობის მეთოდში გამოყენებულია დღეისათვის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული არომათერაპია (არომატით მკურნალობა). მისი არსი ის არის, რომ ამა თუ იმ მცენარის არომატის შესუნთქვისას მცენარის სამკურნალო ეფექტი რამდენჯერმე უფრო ინტენსიურად გამოვლინდება, ვიდრე იმავე მცენარის ნაყენის დალევისას, რადგან არომატი უშუალოდ ტვინის გარკვეულ უბნებზე ზემოქმედებს.

როგორც ცნობილია, ვალერიანი სპაზმოლიზური ეფექტით ხასიათდება. სპაზმები კი, მრავალი დაავადების პათოგენეზში უდავოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია და მათი მოხსნა აუცილებელია დაავადებათა მსვლელობაში დადებითი დინამიკის შესატანად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრეპარატის ეფექტი მხოლოდ მაშინ არის შესამჩნევი, როდესაც პაციენტი მას თვეების განმავლობაში რეგულარულად ღებულობს ან ყნოსავს. განსაკუთრებით შესამჩნევია ვალერიანით არომათერაპიის შედეგები ჰიპერტონიითა და სტენოკარდიით დაავადებულებში, ნევროზიანებში. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ვალერიანის ყნოსვა მიზანშეწონილია ძილის წინ, ხოლო თუ დაძინებას არ აპირებთ, ორგანიზმი ებრძვის პრეპარატით მომგვრელ ძილს და ეს ნერვულ აგზნებას გამოიწვევს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

### მკითხველი მკითხველს

**ახლოვდება ზამთარი და შიში მეუფლება იმის გამო, რომ ჩემს პატარა გოგონას ისევ შეუტევს ვირუსები. მთელი ცივი სეზონის განმავლობაში ბავშვი იტანჯება ცხვირიდან უსიამოვნო გამონადენით, ყელის ტკივილით და ხველით. რა აღარ ვცადე, მაგრამ ვერაფრით მოვამაგრე ბავშვი. ვთხოვ მკითხველს, მომაწოდოს რაიმე რეცეპტი ბავშვისთვის იმუნიტეტის გასაძლიერებლად.**

**ა.ა.**

**ფეხზე მაქვს სირსველა. ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. იქნებ ვინმემ იცოდეს სირსველის სამკურნალო ხალხური რეცეპტი. გთხოვთ ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ.**

**ა. ბ.**

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ყველანი, ბუნების შვილები ვართ, მაგრამ...

მეტეომგრძნობელობა დამახასიათებელია არა მარტო ცხოველებისა და ფრინველებისთვის, არამედ ადამიანებისთვისაც, რომლებიც ამ თვისების გამო მაინცდამაინც არ გრძნობენ თავს კარგად. თავისა და სახსრების ტკივილი, შაკიკი, არტერიული წნევის აწევა, უგუნებობა, მოთენთილობა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, შიში, დეპრესია — ეს და კიდევ ბევრი სხვა სიმპტომი იჩენს თავს ატმოსფერული ცვლილების დროს. ასაკის მომატებასთან ერთად ეს მგრძნობელობა უფრო მატულობს...

ნესტიან, უქარო ამინდში, როდესაც ჰაერში ჟანგბადი ნაკლებია, განსაკუთრებით თავს ცუდად გრძნობენ ისინი, ვისაც გულ-სისხლძარღვები აწუხებთ. ასევე საშიშია მაგნიტური დღეები გულით დაავადებულთათვის, ამ დროს დიდია არითმიისა და სისხლძარღვების კრიზის რისკი (ინსულტი, ინფარქტი); მწვავდება სახსრების ტკივილი, ატმოსფერული წნევის ცვლილებაზე მკვეთრად რეაგირებენ ჰიპერტონიკები; მშრალ ამინდში, როდესაც ჰაერში ბევრი მტვერია — ასთმიანებს ეწყებათ შეტევები.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ დავიცვათ თავი მეტეოსტრესისგან...

— ყველა მეტეომგრძნობიარე ადამიანმა „კრიტიკულ" დღეებში შეძლებისდაგვარად, თავი უნდა შეიკავოს ფიზიკური და ინტელექტუალური შრომისგან;

— თავი აარიდონ კონფლიქტურ სიტუაციებს;

— მეტი დრო გაატარონ ჰაერზე და არა მზეზე;

— მკაცრად დაიცვან ექიმის მიერ დანიშნული წამლების მიღების რეჟიმი, ყოველთვის თან იქონიონ „სასწრაფო დახმარების" წამლები;

გარდა ამისა, გირჩევთ ორგანიზმის გაკაჟებას. მომატებული მეტეომგრძნობელობის დროს სასურველია იკვებოთ რძის ნაწარმით, მცენარეული ცხიმებით, გამორიცხეთ შემწვარი, ცხარე და მწარე კერძები და ალკოჰოლური სასმელები. ამ დროს რეკომენდებულია მიიღოთ ფიტოსაშუალებანი;

1. შეურიეთ ერთმანეთს 4-4 წილი კუნელის ყვავილები, შავბალახა, ასკილი, 1-1 წილი გვირილის ყვავილი და პიტნა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და მიიღეთ ნაყენი, როგორც ჩაი 3-ჯერ დღეში.

2. ნერვული აღგზნებადობის დროს ისუნთქეთ ლავანდის, როზმარინის, ევკალიპტის ან ლიმონის არომატები.

***ლიზა №41***

## ჩვენი მშველელი მცენარეა



**სალათა ოპერაციის ნაცვლად**

თუ მკერდში გამაგრება შეამჩნიეთ, ერთხელ ან ორჯერ დღეში (ნახევარი წლის მანძილზე) მიიღეთ მოხარშული, გახეხილი ჭარხალი, დაუმატეთ ზღვის კომბოსტო (შეიძლება დაკონსერვებულიც), დანაყილი ნიორი, ნახევარი ჭიქა გატარებული (ან დანაყილი) ნიგოზი, დანარჩენი პროდუქტის შერჩევა შეიძლება გემოვნებით: ნებისმიერი ზეთი (მცენარეული), ლიმონის წვენი ან ცოტა ძმარი.

**ქაცვი სტომატიტის წინააღმდეგ**

დაამუშავეთ დაზიანებული ადგილი წყალბადის ზეჟანგით, შემდეგ წაუსვით ქაცვის ზეთი ან დატოვეთ ტამპონი პირის ღრუში რამდენიმე საათი. საკმარისია 1-3 პროცედურა.

**ბოლოკი და თაფლი ხველების წინააღმდეგ**

შავი ბოლოკი დაჭერით, ჩაყარეთ ქილაში, ქილა აავსეთ თაფლით, გააჩერეთ 1 დღე-ღამე. ერთი კვირის შემდეგ წამალი მზად იქნება. სვით თითო კოვზი დღეში რამდენჯერმე და ხველა შეგიწყდებათ.

**ნიახური** მდიდარია როგორც A, C, $B_1$, ვიტამინებით, ისე მაგნიუმით, მანგანუმით, იოდით, რკინით, სპილენძით, კალციუმითა და ფოსფორით. ტყუილად კი არ აჯილდოებდნენ ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს ნიახურის გვირგვინით, ის ხომ ფიზიკური და მამაკაცური ძლიერების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. შუა საუკუნეების უდიდეს მედიკოსს, ავიცენას, მიაჩნდა, რომ ნიახური, სხვა მცენარეებთან შედარებით, უკეთესად მოქმედებდა, როგორც კუჭის, მსხვილი ნაწლავის, შარდის ბუშტისა და თირკმლების პროფილაქტიკური საშუალება.

**ოხრახუში** შეიცავს გლუკოზას, ფრუქტოზას და კაროტინს. მდიდარია ფოლიუმისა და ნიკოტინის მჟავებით E და $B_6$ ვიტამინებით, კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით, ფოსფორითა და რკინით... ის ძალიან სასარგებლოა თირკმლებისთვის, აქვს შარდმდენი თვისება. დაბლა სწევს წნევას, არის ბრწყინვალე ამოსახველებელი და სადეზინფექციო საშუალება. ოხრახუში აუმჯობესებს მადას და კუჭის მოქმედებას.

**რეჰანი** შეიცავს ბევრ კაროტინს, რუტინს, ფიტონციდებს, C და PP ვიტამინებს. რეკომენდებულია მისი მიღება მეტეორიზმის, მოწამვლის, კუჭის წყლულის და გასტრიტის დროს. გარდა ამისა, გირჩევთ თუ სიგარეტის წევას თავს ანებებთ, ღეჭეთ რეჰანი, ის მოგიხსნით დაძაბულობას.

**სალათა** სასარგებლო ნივთიერებათა საგანძურია: შეიცავს B , C, P, E ვიტამინებს, კაროტინსა და ფოლიუმის მჟავას. ეს მწვანილი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და საჭმლის მონელების პროცესს, აძლიერებს იმუნიტეტს. ამიტომაც უნიშნავენ მას პირველ რიგში ინფექციის, ანემიის და ავიტამინოზის დროს პროფილაქტიკის თვალსაზრისით. სასარგებლოა თირკმლების დაავადების დროსაც. აქვს შარდმდენის თვისება.

**კამა** უხვად შეიცავს C ვიტამინს, მდიდარია მინერალებით: კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით, ფოსფორით და რკინით. ჰიპერტონიკებისათვის კამა პირდაპირ მისწრებაა, რადგან ის აფართოებს სისხლძარღვებს და დაბლა სწევს არტერიულ წნევას. კამა მდიდარია კაროტინით, რაც ასე საჭიროა მხედველობისათვის; გარდა ამისა, აძლიერებს მადას და ბრწყინვალე შარდმდენი და ამოსახველებელი საშუალებაა, ამშვიდებს ნერვებს.

## სიახლე თიაქრის მკურნალობაში

ალბათ ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც თიაქრის შესახებ არ სმენია. ვფიქრობთ, სხვა ფაქტორებთან ერთად ამას პათოლოგიის გავრცელების დიდი სიხშირეც განაპირობებს.

თიაქრის მკურნალობა მხოლოდ ოპერაციულია. ქირურგიული ჩარევა დაავადების ლიკვიდაციას განაპირობებს.

80-იან წლებში აშშ-სა და კანადაში თიაქარპლასტიკის ახალი მეთოდიკა დაინერგა, რომლის პრინციპი დაფუძნებულია სინთეტიკური ბადით დეფექტის გამაგრებაზე.

თიაქარპლასტიკა კეთდება როგორც ღია, ასევე ლაპარასკოპიული (უსისხლო ოპერაცია) მეთოდით. ლაპარასკოპიული თიაქარპლასტიკა საქართველოში პირველად ქირურგ თენგიზ ჩართოლანის (რუსეთის ჰერნიოლოგთა საზოგადოების წევრი) ხელმძღვანელობით გაკეთდა ქ. თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში. ამ მეთოდით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ რეციდივი (განმეორებითი შემთხვევა) არ დაფიქსირებულა.

***ლაპარასკოპიული თიაქრის უპირატესობანია:***

- ოპერაციული ტრავმის მინიმუმამდე დაყვანა;
- კლინიკიდან ავადმყოფი ფაქტობრივად ჩივილების გარეშე, 24 საათის განმავლობაში ეწერება;
- შრომისუნარიანობა სრულიად 5-10 დღეში აღდგება;
- ფიზიკური დატვირთვისას არანაირი შეზღუდვა არ აღინიშნება;
- აღსანიშნავია აშკარა კოსმეტიკური ეფექტი;
- თანაც ერთდროულად შესაძლებელია ორი ოპერაციის გაკეთება, დამატებითი განაკვეთის გარეშე, დამატებითი ტრავმის გარეშე — მაგ., ორმხრივი თიაქარპლასტიკა და მუცლის ღრუს რომელიმე სხვა ოპერაცია: ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა, გინეკოლოგიური პათოლოგია, აპენდექტომია და სხვა.

თენგიზ ჩართოლანის მიერ, კლინიკაში პარალელურად დაინერგა მუცლის წინა კედლის დიდი ზომის, გიგანტური, როგორც პირველადი ასევე ჰოსტოპერაციული (ოპერაციის შემდგომი) თიაქრების მკურნალობა, სინთეტიკური ბადის გამოყენებით. ბადის ფიქსირებისას გამოიყენება ბატონ თენგიზის მიერ მოწოდებული მეთოდიკა, რომელიც მუცლის კედელზე მტკიცე ფიქსაციას (გამაგრებას) განაპირობებს. აღნიშნული მეთოდიკის შესახებ მოხსენებულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიულ ცენტრში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ქალებში სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში პარალელურად კეთდება — მუცლის წინა კედლის პლასტიკური ოპერაცია (დაკიდებული მუცელი) — კოსმეტიკური ეფექტისათვის.

თიაქარპლასტიკის დროს პლასტიკურ მასალად გამოიყენება ამერიკული, პროლინის სინთეტიკური ბადეები. სულ შესრულებულია 160 ოპერაცია, რეციდივი (განმეორებითი შემთხვევა) ან სხვა რაიმე გართულება არ დაფიქსირებულა.

მის: ქ. თბილისი, №1 კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი არამიანცი) ტერიტორიაზე — ჯანმრთელობის სახლი.
☎ 77-19-06; 77-19-07 (5სთ-მდე).
33-78-74; 899 56-13-71

R

# ნუ ენდობით ლაზერს!

ლაზერული ოპერაცია აუმჯობესებს მხედველობას და საშუალებას აძლევს პაციენტს, განზე გადადოს სათვალე და კონტაქტური ლინზა. ყოველ წელიწადს ასიათასობით ადამიანი იკეთებს ამ ოპერაციას მსოფლიოში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ პაციენტს ნამდვილად გაუუმჯობესდა მხედველობა, ბევრს პირიქით — სერიოზული პრობლემები შეექმნა ლაზერის შემდეგ. „როცა ლაზერულ ქირურგებს მიმართავენ დახმარებისთვის, პაციენტები სასწორზე დებენ თავიანთ მხედველობას. ბევრისთვის ლაზერული ქირურგია არის დიდი ფულის შოვნის ერთ-ერთი სწრაფი საშუალება," — აფრთხილებენ ექსპერტები ყველას, ვინც მხედველობის აღდგენას აპირებს.

***გარდიანი***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**



შეიძინეთ!!! 95 ლარად
- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი

შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**
– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.



**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
აღმაშენებლის 90/84 სად, სართ.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08




**დამისვეს რევმატიული ართრიტის დიაგნოზი. გთხოვთ მომაწოდოთ დაწვრილებითი ინფორმაცია, რა მომელის?**

***ვ. კუჭუხიძე, ქ. ქუთაისი***

რევმატიული ართრიტი არის შემაერთებელი ქსოვილის ქრონიკული ანთება. იგი სხვა ფორმის ართრიტებისაგან განსხვავდება იმით, რომ მისთვის დამახასიათებელია მაჯის და თითების სახსრების დაზიანება. რევმატოიდული ართრიტის დროს პროცესში ერთვება ასევე მუხლის, მენჯ-ბარძაყის, კოჭ-წვივის სახსრებიც.

# რევმატიული ართრიტი



დაავადების გამომწვევი მიზეზი ზუსტად დადგენილი ჯერაც არ არის. აღნიშნავენ ფაქტორთა ერთობლიობას: მემკვიდრეობა, ინფექცია, სტრესი, მომატებული ფიზიკური აქტივობა, გადაციება. დაავადება არ იკურნება, თუმცა, სამკურნალო ღონისძიებებით შესაძლებელია დროებითი გამოჯანმრთელობა.

გთავაზობთ ნუსხას, თუ როდის მატულობს დაავადების განვითარების რისკი.

— *სქესი:* ქალები სამჯერ უფრო ხშირად ავადდებიან.

— *ასაკი:* ნებისმიერ დროს ვითარდება, თუმცა უფრო ხშირია ქალებში 45 წლის შემდეგ.

— *მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა:* რევმატოიდული ართრიტი არ არის მემკვიდრეობითი დაავადება, თუმცა შესაძლებელია მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობის არსებობა, რაც გენებით განისაზღვრება.

— *თანმხლები დაავადებები:* მნიშვნელობა ენიჭება ქრონიკულ ინფექციებს, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დეფექტს.

— *ფიზიოლოგიური ჰორმონალური ძვრები:* სქესობრივი მომწიფება, კლიმაქტერიული პერიოდი.

ამ დაავადების დროს ზიანდება სახსრის ხრტილი, ვითარდება ტკივილი, ადგილობრივად სახსარი შუპდება და მატულობს ტემპერატურა. სახსრის ადგილის ნაპრალი თანდათანობით ვიწროვდება და მის ადგილს ძვლოვანი ქსოვილი იკავებს.

დაავადება იწყება თანდათანობით, იშვიათად — უეცრად. ვითარდება მოთენთილობა, სისუსტე, რომელსაც ადამიანი თავიდან ყურადღებას არ აქცევს, ჩნდება დილაობით შებოჭილობის შეგრძნება, სახსრები უმოძრაოა, ამას მოჰყვება ტკივილი, რომელიც საღამოსკენ ცხრება.

დაავადების მწვავე სტადიაში ვითარდება პოლიართრიტი (რამდენიმე სახსრის ერთდროული ანთება). პირველად შუპდება და დეფორმირდება ფალანგთაშორისო სახსრები, შემდეგ სხვები. ზოგჯერ პაციენტები უჩივიან ყველა სახსრის ტკივილს. თუ მკურნალობა ამ ეტაპზე არ დაიწყო, შესაძლოა ტკივილი განვითარდეს კუნთებშიც და ამას მოჰყვეს მაღალი ტემპერატურა.

პაციენტთა ნაწილს უვითარდება რევმატოიდული კვანძები (რომელიც უფრო იდაყვის სახსარშია ლოკალიზებული), ლიმფური ჯირკვლების შესივება. უფრო იშვიათად ზიანდება კანი, გული, პერიფერიული ნერვული სისტემა, თვალი, ფილტვი, ნაწლავი.

თუკი დაავადება მაღალი აქტივობით მიმდინარეობს, მოსალოდნელია თირკმლის გადაგვარება.

*დიაგნოსტიკა:* რადგანაც ბევრი პათოლოგია იწყება სახსრებში ტკივილის შეგრძნებით, ამიტომ მნიშვნელოვანია ლაბორატორიული ანალიზების გაკეთება. სისხლის საერთო ანალიზში ირკვევა — მომატებული ედსი. მნიშვნელობა აქვს რევმატიული ფაქტორისა და რეაქტიული ცილის განსაზღვრას, — ასევე სისხლის იმუნოლოგიურ ანალიზს, ინფორმაციული სახსრიდან აღებული სითხის გამოკვლევით მიღებულ მონაცემებს, ასევე საჭიროა რენტგენოლოგიური გამოკვლევებიც.

*გაითვალისწინეთ:* რევმატოიდული ართრიტის დროს ძალზე მნიშვნელოვანია მკურნალობის დროულად დაწყება, ექიმის მიერ პრეპარატების დოზების მკაცრი კონტროლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაავადება პროგრესირებს და ადამიანს ინვალიდობა ემუქრება.

*მედიკამენტური თერაპიის დროს გამოიყენება:* არასტეროიდული ანტიანთებითი პრეპარატები და „ბაზისური" თერაპია. ხშირად კეთდება სახსრებში ინიექციები.

ინიშნება დიკლოფენაკი, ინდომეტაცინი, პიროქსიკამი და ა.შ. თუმცაღა, ამ პრეპარატების ხანგრძლივად მიღებისას ვითარდება ეროზიები და წყლული კუჭ-ნაწლავში. ამიტომ ამ მხრივაც საჭიროა ყურადღება.

*სხვადასხვა:* რევმატიულ დაავადებას, როგორც წესი, თან ახლავს ოსტეოპოროზი, ამიტომ მკურნალობის დროს საჭიროა მისი საწინააღმდეგო პრეპარატების ჩართვაც — კალციუმისა და D ვიტამინის სახით.

ძალიან ფართოდ გამოიყენება ფიზიოთერაპია, ჰიდროკორტიზონით მკურნალობა, ლაზეროთერაპია, მაგნიტოთერაპია.

— რევმატიული ართრიტით დაავადებულებისთვის აკრძალულია უმეტესი ფიზიოპროცედურები, რომელიც ტარდება სანატორიუმებსა და კურორტებზე. ამან შეიძლება გაამწვავოს დაავადება.

— ავადმყოფებს შეუძლიათ ყველანაირი საკვების მიღება, უმჯობესია თუ კვების რაციონში იქნება დიდი რაოდენობით რძის პროდუქტი. ვინც იტარებს სტეროიდულ მკურნალობას (პრედნიზოლონი და ა.შ.), უნდა შეზღუდოს ნახშირწყლები, რადგან ეს წონის მკვეთრ მატებას გამოიწვევს.

— რევმატიული ართრიტის დროს ძალზე მნიშვნელოვანია მოძრაობა. როდესაც ეს შეუძლებელია, მაშინ გირჩევთ იზომეტრიულ სავარჯიშოებს — კუნთების მოდუნება და დაძაბვა ჯდომისა და წოლის დროს, სახსრების მოძრაობის გარეშე.

***მაია მუხიგული***

# ჯანსაღი ძილის წესები

1. თუ ძილის წინ განერვიულებული ან გაღიზიანებული ხართ, დალიეთ ერთი ჭიქა თბილი რძე, რომელშიც გარეულია 1 ჩ/კ თაფლი; ასევე დამამშვიდებლად იმოქმედებს ბალახეულის ჩაი (გვირილის, პიტნის, ცაცხვის ყვავილი).

2. ადვილად დაიძინებთ, თუ დაიზელთ ყურის ბიბილოებს, სადაც განლაგებულია რეფლექტორული ზონები, რომლებიც პასუხს აგებენ ორგანიზმის დამშვიდება-მოდუნებაზე.

3. თუ უძილობა გაწუხებთ, 15 წუთით ჩაწექით ბარამბოს ან გვირილის ყვავილის ექსტრატიან აბაზანაში.

4. უძილობის წინააღმდეგ ბრწყინვალე საშუალებაა ვარდის არომატული სანთლები და მშვიდი მუსიკა.

5. არ გეძინებათ? დახუჭეთ თვალები და იოცნებეთ: წარმოიდგინეთ ლურჯად მოლივლივე ტბა ან ზღვა, ან მორაკრაკე ნაკადული.

6. საძინებელი „მორთეთ" ლურჯი ან ცისფერი ტონებით.

7. ძილის წინ სასარგებლოა მედიტაცია, რაც დაგეხმარებათ, დაივიწყოთ სამსახური და პრობლემები.

***ლიზა №39***

# დაეხმარეთ გულს



თუ გინდათ გული არ აგტკივდეთ და ღრმა სიბერეს მიაღწიოთ ჯანმრთელმა, ყოველდღე მიირთვით თითო მუჭა ნუში, რომელიც ორგანიზმს ამდიდრებს E ვიტამინით, ცილებით და უჯრედისებით, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს.

ბოლო ხანს ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს: ნუში ყოველგვარი დიეტის აუცილებელი დანამატია. თუ არ ხართ საკუთარი თავის მტერი, მიირთვით ნუში. ეს სასარგებლო კაკალი არ ასუქებს.

***ჯენტე***


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

- დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ-კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
- ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
- სამეანო განყოფილებას;
- ახალშობილთა განყოფილებას;
- გინეკოლოგიურ განყოფილებას;
- თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
- ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
- სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
- რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255 (ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
*☎ 66-73-70 71 72 73 74*





**NEW! გლუკოზამინი**

გლუკოზამინის ეფექტურობას განაპირობებენ მასში შემავალი ნატურალური კომპონენტები, რომლებიც რეკომენდირებულია სახსრების დაავადებების დროს, ხოლო ამ კომპონენტების ერთ ფორმულაში გარკვეული თანაფარდობით თავმოყრამ თავის მხრივ განაპირობა გლუკოზამინის არნახული შედეგები.




სახსრების დაავადებების ყველა სხვა პრეპარატებისაგან განსხვავებით გლუკოზამინში შემავალი მცენარეული ბოჭკოები არ აღიზიანებს კუჭნაწლავს და არ არის საშიში ჰიპერტონიკებისათვის, აქედან გამომდინარე მისი მიღება შეიძლება ხანგრძლივად.

ვინაიდან გლუკოზამინი განეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების ჯგუფს, იგი ახდენს ზოგად გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას მთელს ორგანიზმზე.

- *საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.*
- *ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.*
- *ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.*

**გლუკოზამინი – რთული პრობლემების იოლი გადაწყვეტა.**

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა
www.shopge.com

## გვერდის ფოტო



**აშშ**

## ხანძარი კალიფორნიაში „ბიბლიურ მასშტაბებს“ იძენს

ამერიკის დედაქალაქი არნოლდ შვარცენეგერს, როგორც გამარჯვებულს, ზარ-ზეიმით უნდა დახვედროდა, მაგრამ კალიფორნიის გუბერნატორს არ ეზეიმებოდა — იგი ვაშინგტონში თავის შტატში საზარელი ხანძრის შედეგების აღმოსაფხვრელად ფულის სათხოვნელად ჩავიდა. კალიფორნიის მომავალი გუბერნატორი, რომელიც მოვალეობის აღსრულებას ნოემბერში შეუდგება, ყურადღებით ისმენს შტატის ამჟამინდელი თავკაცის რჩევებს — ფული ითხოვე პირველადი დახმარების პუნქტების გასახსნელად, სადაც ათასობით ევაკუირებულს შეიფარებენ, საჭმელ-სასმელს, წამლებს მისცემენო. პრეზიდენტმა ბუშმა სამხრეთ კალიფორნია უბედურების ზონად გამოაცხადა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ბიუჯეტიდან ხანძართან და მის შედეგებთან საბრძოლველად დიდ თანხას მისცემენ. ვიდრე მომავალი გუბერნატორი საგანგებო სიტუაციათა ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელობას ხვდებოდა, შტატში კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა. მანამდე კალიფორნიაში ხანძარი დაახლოებით 242 ათას ჰა-ზე მძვინვარებდა — ლოს-ანჯელესიდან მექსიკის საზღვრამდე. 18 ადამიანი დაიღუპა, დაიწვა 2 ათასზე მეტი




სახლი, 12 ათასი მეხანძრე ებრძოდა ცეცხლს. ახლა ქარმა მიმართულება შეიცვალა და ცეცხლი სან-ბერნარდინოს მთებისკენ მიიწევს, იქ 162 ათასი ჰა გამხმარი ხეებითა და ბუჩქებითაა დაფარული. „როცა ცეცხლი იქაურობას მიაღწევს, ბიბლიური მასშტაბების ხანძარს დავინახავთ, გამხმარი ხე უსწრაფესად იწვის, ჰაერი ისე გახურდება და ისეთი კვამლი დატრიალდება, როგორიც ამ ქვეყანაში არავის უნახავს. ეს ნამდვილი აპოკალიფსი იქნება“, — ამბობს ტყეთა სამმართველოს დირექტორი ანდრეა ტატლი.

ხელისუფლების ვარაუდით, ზარალი 100 მლრდ დოლარზე მეტია.

***ნიუზუიქი***

## დასრულდა მაჰათჰირ მოჰამედის ერა...

22 წლის მმართველობის შემდეგ მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა მაჰათჰირ მოჰამედმა პოსტი დატოვა. მისი სურვილით პრემიერის ადგილი მისმა მოადგილემ აბდულა ბადავიმ დაიჭირა. ლოცვის შემდეგ ძველი და ახალი პრემიერები მეფეს ეახლნენ. ახალმა პრემიერ-მინისტრმა ფიცი დადო. ცერემონია ეროვნული ტელევიზიით გადაიცა. ქვეყანას მოუწევს მაჰათჰირის გარეშე ცხოვრებასთან შეგუება.

63 წლის აბდულა ბადავი ქვეყნის ისტორიაში მთავრობის მეხუთე თავკაცია. საზეიმო ცერემონიაზე მან თქვა: — ჩემს მოვალეობას პატიოსნად შევასრულებო. ევროპელი ანალიტიკოსების აზრით კი, ის ყოველთვის მაჰათჰირ მოჰამედის ჩრდილში იქნება, რადგან მოჰამედის სახელთან არის დაკავშირებული მალაიზიის აღმავლობა.

მაჰათჰირი დიქტატორული ამბიციებითაც იყო ცნობილი. იგი არაერთხელ დაადანაშაულეს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნაში. პრეზიდენტის მკვეთრი განცხადებები ხშირად დასავლეთის მტკივნეულ რეაქციას იწვევდა. ახლახან მან ისლამის კონფერენციის ორგანიზაციის სამიტზე ყველა მუსლიმანს მოუწოდა ებრაელების წინააღმდეგ — წინ აღუდექით მთავარ საფრთხეს — ებრაელებს, რომლებიც მთელ მსოფლიოს მართავენო.

დასავლეთი იმედოვნებს, რომ აბდულა ბადავის რეჟიმი უფრო რბილი იქნება.

***კომერსანტი №199***

## ბრაზილიის პრეზიდენტი ჯერ დანაპირებს ვერ ასრულებს



ესპანეთმა მართლაც რომ მეფური საჩუქარი უძღვნა ბრაზილიის პრეზიდენტს, ლუის იგნასიო ლულა და სილვას მისი სახელმწიფოს მეთაურად არჩევის წლისთავზე. პრინცმა ფელიპემ მას საერთაშორისო თანამშრომლობაში გაწეული ღვაწლისთვის პრესტიჟული პრემია გადასცა, თუმცა სამშობლოში პრეზიდენტს ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებია. საზეიმო ცერემონია პირენეს ნახევარკუნძულზე, ქალაქ ოვიდეოს კინოთეატრ „კამპოამორში“ გაიმართა. ესპანელ ბურბონთა მემკვიდრის თქმით, ბრაზილიის ლიდერს 50 ათასი ევრო „სიღარიბესთან, უთანასწორობასა და კორუფციასთან ბრძოლისთვის“ გადაეცა. და სილვამ, ან როგორც მას ბრაზილიაში ეძახიან, ლულამ, წამოაყენა სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური მსოფლიო ფონდის შექმნის იდეა. „ჩვენ უნდა გავერთიანდეთ სიღარიბის დასაძლევად, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დიდი სახელმწიფოები მილიარდებს სამხედრო მიზნებს არ ახმარდნენ, როცა პლანეტის ნახევარი შიმშილით კვდება“. ლულამ მშვენივრად იცის, რასაც ამბობს. თავად სიღარიბეში გაიზარდა და მის 185-მილიონიან ქვეყანაში თითქმის 50 მლნ ადამიანი მათხოვრობს. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ლუის იგნასიო ლულამ თქვა, — თუ ჩემი მანდატის დასასრულისთვის ყოველ ბრაზილიელს საჭმელ-სასმელი ექნება, ჩემს ოცნებას ახდენილად ჩავთვლიო.

ბრაზილიის პრეზიდენტი ძალიან მონდომებულია, რომ ღარიბებს დაეხმაროს, მაგრამ საამისო გზა არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, სიღარიბის აღმომფხვრელ ფონდს ამჟამად ერთი ცენტიც არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით 50 ათას ევროს, რომელიც ესპანეთის პრინცმა გადასცა. თუმცა და სილვას თანამემამულეებს ისიც კარგად მოეხსენებათ, როგორი მიზანსწრაფული პრეზიდენტი ჰყავთ. მას ხშირად წამოსძახებენ უნივერსიტეტის დიპლომის უქონლობას, მაგრამ ის კი არ იციან, რომ იგი გამუდმებით სწავლობს, ცდილობს, ნებისმიერ დარგში ცოდნა შეიძინოს.

ქვეყანაში გამეფებულ სიღარიბეს ჯერ ბევრი ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე დრო არის და ლულაც ალბათ შეძლებს დასახული მიზნის სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შესრულებას.

***იზვესტია №196***

## ეპიზოდები მიხაილ ხოდორკოვსკის ცხოვრებიდან



ხოდორკოვსკი გაოლიგარქებამდე, მეუღლესთან ერთად

ივლისში, როცა „იუკოსში“ გენპროკურატურის გამომძიებლები მივიდნენ, პრესაში გაჩნდა სენსაციური ინფორმაცია: ხოდორკოვსკიმ ოჯახი ამერიკაში წაიყვანა და რუსეთში აღარ დაბრუნდებაო.

ივლისში, აიდაჰოს შტატში, კურორტ სენ-ველიში, ტრადიციული კონფერენცია მიმდინარეობდა, რომელზეც მიხაილ ხოდორკოვსკი მიიწვია კომპანია Allen Compani-ს ხელმძღვანელმა ჰერბერტ ალენმა. მოსკოვიდან ოლიგარქის წასვლა გასაიდუმლოებული იყო. კონფერენციის მომსახურე პერსონალს ხელი მოაწერინეს, რომ კრინტს არ დაძრავდნენ მონაწილეებსა და მათთან ერთად მიწვეულ სტუმრებზე. მართალია, „იუკოსში“ ირწმუნებოდნენ — ხოდორკოვსკი აუცილებლად დაბრუნდებაო, მაგრამ ისე ჩანდა, რომ იგი ბერეზოვსკისა და გუსინსკის მაგალითს მიჰბაძავდა.

სენსაცია არ მოხდა — ხოდორკოვსკიმ ქალიშვილი ამერიკაში, საზაფხულო ბანაკში დატოვა და რუსეთში დაბრუნდა. ცოლსა და უმცროს ვაჟებს მოსკოვიდან ფეხი საერთოდ არ გაუდგამთ.

***გაგრძელება იხ. გვ. 27***

## მოკლედ

**ტიბეტელთა** სულიერმა ლიდერმა დალაი ლამა XV-მ განაცხადა, რომ ტიბეტი არ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის და თანახმაა, იყოს ჩინეთის ერთ-ერთი ავტონომიური ოლქი.

**სერბეთის** პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფები მზად არიან ავღანეთში წასასვლელად და ამერიკული სამშვიდობო ჯარის დასახმარებლად. ზოგიერთი დამკვირვებელი შიშობს, რომ სერბები, რომლებსაც კოსოვოში მუდმივი შეხლა-შემოხლა ჰქონდათ მუსლიმანებთან, ავღანეთში მშვიდობის ჩამომგდებად ვერ ივარგებენ.

**ამერიკის** შეერთებული შტატების ტელეკომპანია ABC-მ დამოუკიდებლად დაიწყო 40 წლის წინ მოკლული ჯონ კენედის საქმის გამოძიება. ტელეკომპანიამ მკვლელობის ეპიზოდის კომპიუტერული რეკონსტრუქციის გზით დაასკვნა, რომ პრეზიდენტი მართლაც მოკლა ლი ჰარვი ოსვალდმა (ოფიციალური ვერსიითაც ის იყო მკვლელი). კენედის მკვლელობისთვის კი ოსვალდზე ჯეკ რუბიმ იძია შური. ტელეკომპანიის გამოძიების თანახმად, ოსვალდი მარტო მოქმედებდა, თუმცა ადრე ფიქრობდნენ, რომ კენედის რამდენიმე ადამიანმა ესროლა.

**ისრაელის** პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ევროპარლამენტის დეპუტატებსა და ჟურნალისტებს განუცხადა — მართალია, ისრაელის მთავრობა აპირებდა იასირ არაფატის დეპორტირებას, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ტერორის პრობლემას ვერ გადაჭრის. ნუ იღელვებთ, არაფატს არაფერი მოუვა, აქტიურად მოღვაწეობს — გეგმავს უდანაშაულო ისრაელელთა დახოცვასო.

**ბელორუსიის** პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ გააკრიტიკა პროექტი, რომლის თანახმად, გაზსადენი რუსეთიდან გერმანიაში უკრაინის გვერდით ავლით წავა. მისი თქმით, „ეს არის შანტაჟი, რომლის მიზანია, აიძულოს ბელორუსიის ხელმძღვანელობა „ბელტრანსგაზი“ „გაზპრომს“ იაფად მიჰყიდოს“.

**იტალიის** უმაღლესმა სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჯულიო ანდრეოტი. 84 წლის ანდრეოტი დაადანაშაულეს იმაში, რომ 1979 წელს მოაკვლევინა ცნობილი ჟურნალისტი მინო პეკორელი. იგი პრემიერის სამხილებელ მასალებს ამზადებდა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ჯულიო ანდრეოტის 24-წლიანი პატიმრობა ელოდა.

**მოსკოვში** გარდაიცვალა ცნობილი რუსი მსახიობი ლეონიდ ფილატოვი. მისი ფილმებიდან განსაკუთრებით პოპულარული იყო „ეკიპაჟი“, „დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის“, „ქალაქი ზერო“... ტელემაყურებელი ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდა მის საავტორო გადაცემას „რომ ახსოვდეთ“.

**ლიტვის** სპეცსამსახურები ქვეყნის პარლამენტისთვის გადაცემულ მოხსენებაში პრეზიდენტს, როლანდს პაქსასს საერთაშორისო დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან კავშირში ამხელენ. პრეზიდენტმა სპეცსამსახურების მოქმედება მის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური შეთქმულება უწოდა. ლიტვის კერძო ტელეარხის ელ იენ-კეის მონაცემებით, ამ მასალებში ფიგურირებს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში რიამიგიუს აჩასი. ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ალგიდას ბრაზაუსკასმა განაცხადა — ლიტვის სპეცსამსახურების მოხსენებაში პრეზიდენტ პაქსასის მაკომპრომეტირებელს ვერაფერს ვხედავო. თავად მოხსენება არ გამოქვეყნებულა, მაგრამ დეტალები ცნობილი გახდა. იქ ლაპარაკია იმაზე, თითქოს რ. აჩასს კავშირი ჰქონდა რუსეთის კომპანია „ასოციაცია XX ს-ის“ თავკაცთან ანზორ აქსენტიევ-კიკალიშვილთან, რომელიც კრიმინალურ ქმედებაშია ეჭვმიტანილი.

OSCE

OSCE

# ანატოლი ჩუბაისი:

## „რუსეთის სტრატეგია – ლიბერალური იმპერიის აშენება!“

ჩემი აზრით, უახლოესი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენი სახელმწიფოებრივი მასშტაბის ამოცანაა სტრატეგია, სახელწოდებით „ლიბერალური იმპერიის აღმშენებლობა“. მზად ვარ, ვეკამათო ოპონენტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ცნებები „ლიბერალიზმი“ და „იმპერია“ შეუთავსებელია. მე ასე მესმის ლიბერალური იმპერიალიზმი — ეს არის მოდელი სახელმწიფოსი, რომელიც რუსეთში დაგროვილი დადებითი გამოცდილების ექსპანსიას ახდენს მომიჯნავე სახელმწიფოებში. ხაზს ვუსვამ: ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, დავარღვიოთ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისო უფლებები. ცხადია, არც რუსეთის ამჟამინდელ ფედერაციულ მოწყობას არ ვაყენებთ ეჭვქვეშ.

ლიბერალური იმპერია ასე მესმის — ეს არის სახელმწიფო, რომელიც ნათლად აცხადებს, რომ დაიცავს რუსულ კულტურას, რუსულ ენას და რუსების ინტერესებს რუსეთის გარეთ; ეს არის სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია, ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას რუსი ბიზნესმენების ინტერესები რუსეთის გარეთ, ეს არის სახელმწიფო, რომლისთვისაც თავისუფლების ღირებულებები არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსეთის ტერიტორიით. აი, რუსეთის ლიბერალური იმპერიის სამი საბაზო პრინციპი. ჩვენს ქვეყანას აქვს უფლება, განვითარდეს ამ პრინციპებზე. ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რუსეთი ბოლო 12 წლის მანძილზე იქცა ლიდერად დსთ-ის სივრცეში, არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარების ტემპებით, არამედ ხელფასების, პენსიების დონითაც, ერთი სიტყვით, ყველა იმ მაჩვენებლით, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული მოქალაქის და მთლიანად მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. მორიგი ათწლეულის განმავლობაში ჩვენი ამოცანაა განვამტკიცოთ ეს ლიდერობა. მიმაჩნია, რომ რუსეთის ლიბერალური იმპერია უნდა ჩადგეს მომავლის უძლიერეს იმპერიათა რიგში: აშშ-ის, იაპონიისა და გაერთიანებული ევროპის გვერდით. მაშინ რუსეთს შეეძლება თანასწორად და არა უმცროსი პარტნიორის სახით ივალდებულოს წესრიგის დამყარება გლობალური მასშტაბით.

## „არ მაინტერესებს, ვინ იქნება შემდეგი“

*„რაო ეესის“ გამგეობის თავმჯდომარემ, ანატოლი ჩუბაისმა მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრება რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკური კურსის შეცვლის ნიშნად მიიჩნია. ხოდორკოვსკის დაპატიმრების შემდეგ წამოჭრილ კითხვაზე — ვინ არის შემდეგი, ჩუბაისმა უპასუხა, — არ მაინტერესებს, ვინ არის შემდეგი. მხოლოდ იმით ვარ დაინტერესებული, რომ შემდეგი არავინ გახდეს!*

*პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის თავკაცის, ალ. ვოლოშინის გადადგომის კომენტირებისას ჩუბაისმა აღნიშნა, — ვოლოშინი ყოველთვის პრეზიდენტის ხაზს ატარებდა, მაშინაც კი, როცა გულით მას არ ეთანხმებოდა, ახლა უდავოა, რომ სახელმწიფოსა და ვოლოშინის გზები გაიყო.*

ვლ. პუტინის პრესმდივანმა ალ. გრომოვმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ალექსანდრ ვოლოშინის პოსტიდან გათავისუფლების ბრძანებას და მის ადგილზე სანკტ-პეტერბურგელი დმიტრი მედვედევი დანიშნა.

ანატოლი ჩუბაისმა ალ. ვოლოშინს ენერგო-ჰოლდინგის დირექტორთა საბჭოს შტატიანი თავმჯდომარეობა შესთავაზა.

30 ოქტომბერს შეიძლება ჩუბაისის დღე ეწოდოს. ენერგეტიკასთან დაკავშირებით სენსაციური ელფერის მქონე ცნობები ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. იმ დილის ბირჟაზე გავრცელებული ხმა „რაო ეესის“ თავკაცის უცილობელი გადადგომის შესახებ, მაინცდამაინც არავის დაუჯერებია, მაგრამ სალაპარაკოდ მაინც იქცა.

შუადღისას ანატოლი ჩუბაისი მოსკოვში, ლუბიანკაზე, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის მიტინგს დაესწრო. ჩუბაისს სურდა გამოსულიყო და საზოგადოებისთვის ერთიანობისაკენ მოეწოდებინა, მაგრამ სიტყვა არ მისცეს. მიტინგის ორგანიზატორებმა განაცხადეს, — ჩუბაისს არ ველოდითო. როცა „რაო ეესის“ თავკაცი პრესას მიუბრუნდა, ვიღაცამ მილიციას დაუყვირა: — დააკავეთ ჩუბაისიო, მაგრამ თითიც არ დაუკარებიათ. ანატოლი ჩუბაისმა ლუბიანკის მოედანი მშვიდობიანად დატოვა.

საღამოს ცნობილი გახდა, რომ „რაო ეესის“ ერთ-ერთ კომპანიაში ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ჩხრეკას აწარმოებდნენ. მიზეზად დასახელდა ენერგოკომპანიის დიდმოხელეთა მიმართ „თაღლითობის“ მუხლით აღძრული საქმე. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფოსათვის დიდი ზარალის მიყენება. ძნელი სათქმელია, რა მოჰყვება ამ ჩხრეკას, იმიტომ, რომ ქვეყნის მსხვილი კორპორაციების შვილობილი კომპანიების თაღლითობაში დადანაშაულება უკვე არაერთხელ გახდა პოლიტიკური სკანდალის მიზეზი.

***კომსომოლსკაია პრავდა №195***

# აზერბაიჯანის მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია



აზერბაიჯანის მთავრობას, ტრადიციის თანახმად, ახალი პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ინაუგურაციაზე საგანგებოდ არავინ მიუწვევია. თუმცა ბაქო უცხოელი სტუმრების მისაღებად საგულდაგულოდ ემზადებოდა. აზერბაიჯანის დედაქალაქს 31 ოქტომბერს ეწვია ბევრი სამთავრობო დელეგაცია და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სტუმრები ევროპის ბევრი ქვეყნიდან.

ინაუგურაციას დაესწრო საქართველოს დელეგაცია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. ბაქოში ინაუგურაციის წინა დღეებში გაიმართა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების X სხდომა. ამ ორგანიზაციაში აზერბაიჯანის გარდა, შედის რუსეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო და სომხეთი. ცხადია, სხდომის მონაწილეები დაესწრნენ ინაუგურაციას.

ილჰამ ალიევმა აზერბაიჯანის კონსტიტუციასა და ყურანზე დაიფიცა. მან ბრძანა, — გავაგრძელებ ქვეყნის წინა ხელმძღვანელის ჰეიდარ ალიევის პოლიტიკას, რომელიც ემსახურებოდა მშვიდობას, პროგრესსა და აღმშენებლობასო.

პრესის წარმომადგენლები საზეიმო ღონისძიებაზე არ მიუწვევიათ, ინაუგურაციას მხოლოდ სახელმწიფო ტელეარხები იღებდნენ. პრეზიდენტის ინაუგურაცია ჩატარდა სასახლეში, რომელიც 2 ათას კაცს იტევს, აქედან სტუმრებმა მეორე სასახლეში, „გიულისტანში“, საზეიმო მიღებაზე გადაინაცვლეს.



**ილხამ ალიევის ცოლ-შვილი**

დიდი კონცერტი გაიმართა მთავრობის სახლის წინა მოედანზე, იქ, სადაც ოქტომბრის შუა რიცხვებში ერთმანეთს შეეჯახნენ ოპოზიცია და სამართალდამცველები. დღესასწაული ახალი პრეზიდენტის პატივსაცემად სალუტითა და ფეიერვერკებით დამთავრდა.

***ნიუს.რუ***

# ეპიზოდები მიხაილ ხოდორკოვსკის ცხოვრებიდან

***(დასაწყისი იხ. გვ. 26)***

მიხაილ ხოდორკოვსკის პირად ცხოვრებაზე ბევრი არაფერია ცნობილი. პირველი ცოლი, ელენა, მოსკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს გაიცნო. ეტყობა, მომავალ ცოლ-ქმარს კომკავშირული სამუშაო აახლოებდათ — მიხაილი კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე იყო, ელენა — კომიტეტის წევრი. 1985 წელს მათ ვაჟი შეეძინათ — პავლე. ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

მისი ვაჟი საზღვარგარეთ სწავლობს, ყოფილ ცოლს კი ტურისტული სააგენტოს გახსნაში დაეხმარა.

მეორე ცოლს — მზეთუნახავ ინას ხოდორკოვსკი ბანკ „მენატეპში“ შეხვდა, ეს ბანკი მაშინ უკვე მიხაილისა იყო. ინა ექსპერტად მუშაობდა სავალუტო ოპერაციების განყოფილებაში. 1991 წელს ქალიშვილი — ნასტია — გაუჩნდათ, 8 წლის შემდეგ კი ტყუპი — გლები და ილია.

ხოდორკოვსკები მაშინ რუბლიოვკაზე ცხოვრობდნენ. ახლა დიდი, ლამაზი საკუთარი სახლი აქვთ ძველ არბატზე, ხოლო აგარაკი — ელიტარულ ჟუკოვკაში. სახლს ავტომატებით შეიარაღებული დაცვა ჰყავს.

ჟუკოვკის ბაზარში ჰყვებიან, — ხოდორკოვსკი ერთხელ მარტო მოვიდა ხილის საყიდლად, დაცვა მანქანაში იჯდაო.

ინა ხოდორკოვსკაია არ მუშაობს — ოჯახს უვლის. ნასტია ელიტარულ კერძო სკოლაში სწავლობს, სადაც დაცვას მიჰყავს და მთელი დღე წამითაც არ აშორებს თვალს.

ხოდორკოვსკის დაპატიმრებამდე სკოლაში სპეცსამსახურების თანამშრომლები მივიდნენ და მოსწავლეთა სიები ითხოვეს. დირექტორმა მათ სპეციალური ნებართვის წარმოდგენა მოსთხოვა და მოსწავლეთა სიები არ უჩვენა. ხოდორკოვსკი თურმე კალმისტრებს აგროვებს, განსაკუთრებით „პარკერი“ მოსწონს. მის კომპანიაში კი კალმისტარს თითქმის არავინ იყენებს, „იუკოსის“ საქმიან ქალალდებს კომპიუტერი ამუშავებს. მიხაილს კოლოფებისა და გამოსაწევუჯრებიანი მინიატურული კომოდების შეგროვებაც ჰყვარებია. ფსიქოლოგები ამ გატაცებას იმით ხსნიან, რომ მას სურს ნივთების არსში ჩაწვდომა და დაფარულის ახსნა. ეტყობა, ასეთი ნივთები მარტო ხოდორკოვსკის კი არა, ელიტის ბევრ სხვა წარმომადგენელსაც მოსწონს. ავეჯის მაღაზიები სავსეა ნამდვილი, დიდი ზომის კომოდებით, რომლებსაც მინიასლები ახლავს. მიხაილ ხოდორკოვსკი საფულეებსაც აგროვებს. მისი ცოლი ინა კი ქარგვით ყოფილა გატაცებული...

***ვლასტი 39***

***რუბრიკა მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1-ელი ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1044 |
| ევრო | 2,4474 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5627 |
| რუსული რუბლი | 0,0703 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4200 |


# გრეიპფრუტი როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება




**„გრეიპფრუტის დიეტა"** კაფსულებში გაგათავისუფლებთ ჭარბი ცხიმებისაგან,. იგი ასევე დაიცავს უჯრედებს ახალი ცხიმებით გაჯერებისაგან და გადატვირთავს მათ კუნთებში, სადაც ხდება ცხიმების სრული წვა. ამგვარად, სხეული სრულიად თავისუფლდება დეპოზიტური ცხიმებისაგან.

***როგორ მოქმედებს „გრეიპფრუტის დიეტა"?***

როგორც სამედიცინო კვლევებმა აჩვენეს, ორგანიზმში ფიზიოლოგიური ქოლესტერინის დონე მცირდება დღიური რაციონით **pectin**-ის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწოდებით. ამ პექტინებს შეიცავს გრეიპფრუტის კანი და ლებნების გარსი, რომლებიც ძირითადად იყრება და არ გამოიყენება საკვებში.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ **pectin**-ის საჭირო რაოდენობა **„გრეიპფრუტის დიეტის"** კაფსულების სახით. ხოლო მასში შემავალი ვაშლის ძმარი დაგეხმარებათ ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში.

ამრიგად, ეს გახლავთ გახდომის ნატურალური მეთოდი.

გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული 300 კაცის მონაწილეობით, რომლებიც პასუხობდნენ ქვემოთ მოყვანილ ორ პირობას მაინც:

- ისინი ვერ ახერხებდნენ გახდომას და წონის შენარჩუნებას
- ისინი ვერ ახერხებდნენ დიეტის დაცვას
- ისინი ვერ ახერხებდნენ ზედმეტი სანტიმეტრების მოცილებას წელიდან და მუცლიდან.

***გამოკვლევებმა ასევე აჩვენეს:***

**„გრეიპფრუტის დიეტის"** კურსის შეწყვეტა არ იწვევს წონის ახალ ზრდას. თუ შენარჩუნებული იქნა კვების რეჟიმი, წონა სტაბილური რჩება. ზედმეტი კილოგრამები წარსულს ჩაჰბარდება.

**ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.**

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

**მის: დ. აღმაშენებლის 150**
**ტელ: 95-65-03; 96-06-67**
**ყოველდღე, კვირის გარდა www.shopge.com**



ამერიკული კომპანია **“Euro Pak International Inc.”**

გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან **IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY**, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სომხეთში საწყობებიდან: **Intel Pentium I 37$**-დან, **Intel Pentium II 102$**-დან, **Intel Pentium III 200$**-დან. აგრეთვე **15” და 17”** მონიტორების **45$**-დან და ნოუთბუქების **390$**-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: **22 78 59**
**899 74 50 65**
**E-mail: optsales@gig.am**
**URL: http://www.gig.am**
სომხეთში: ტელ: **(3741) 52 92 30**
ფაქსი: **(3741) 52 92 30**



**ასლგადამღები აპარატები**

**1. იჯარა - ლიზინგი**
**უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს**
**2. იჯარა გამოსყიდვით**
**3. საერთო ბიზნესი**
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
**4. გაყიდვა გარანტიით**
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

**ქსეროასლები**
**შავ-თეთრი ნითელი ლურჯი**
**2-**დან **5** თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
**ფერადი ქსეროასლები**
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
აკინძვა, ლამინირება

პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების
**მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება**

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO. Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89



„ტრანსფრონტის“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
**ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, ნითელი ხე და ა.შ.**
**ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091



შპს „გეოკორი“ აწარმოებს

**ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**
**მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118**
ტ: 33-26-75; 38-24-02

## (ჟ)მატიანე

# საუკუნის წინ ხუმრობდნენ

* * *



უკქფ პფთფჳჩწმფკქფ ღფდქფ იწდწლშ შნშვფბ პფეუჩფ ვფ ՕშՅ Ճშფ ფპქწსტვფყ

0 ფქ Ճშფთ კფ გტვფ³ 0 შლშჩფ ცნუტშყ

0 Օუ ვფდწსმშდწბ 0 ქშგპწ იწდწლშთ პფქნშვმუდქფბ 0 ფიფბ უკ Օფგკფვ ՕშՅ )Օუტშჩთ( ჩწქ ფკ სფპშთმფქვშყ

)სმუტშ ჩგქფკფ(ბ №;№„ცყ 3№

* * *

უკ ფჩფდპფჭკვფ პდუჩშთ ღფდთ თფჩუვფკშ ქშგვშწ-ვფყ უკშ ლფსშ Օუქწჩმვფბ ჰდშუკ ქწუცწტფყ რლშჩფჳ კწქუდშ თწადშვფტ ჩფკბ სუ-ქწ ლფკპწწ³



თწაუდშ გჩკფყ

0 ქფპ თწაუდՕშ ჩწქ ფკ შსტწი უკ ლფსთბ პშწკპშ მუქშსფტშჭუთწ³

0 მშსტწი იფეწტწყ

0 ქფՕ პუმფნმფბ სუქპფტ უკშ ლწსტფ პფვფუსშბ 0 თლმფ უთფ ვფ გტვფ ულწსტფ ლშვუს ღფდშთფმშთყ

ღფდქფ ქწშՕწკფ ვფ გჩკფჳ

0 ეგ უპკუ პუსლფკუიფბ უპ ლწსტფ თფჩუვფკთ პფვფუსშბ უპ სუქჭუ ფვკუ სფმფ თწაუდՕშყ

)სმუტშ ჩგქფკფ(ბ №;№„ცყ 3№

## ცხოვრებისეული კურიოზები

### წინასაარჩევნო კურიოზი

### დეპუტატობის კანდიდატი



ვასო ტლაშაძემ, ტელევიზორში არცთუ სუფთა წარსულის მქონე თანამოქალაქის ფოტო დაინახა და გაკვირვებულმა იკითხა — რაშია საქმეო? (ბატონ ვასოს ცოტა ყურს აკლია).

— დეპუტატობის კანდიდატიაო, — აუხსნეს ოჯახის წევრებმა.

— მე კი მეგონა, ძებნაშიაო!.. — ჩაილაპარაკა ვასომ.

***დავით ბერიანიძე, გორი***

### „კიდევ შაიძლება!..“



თათრის მოედანზე მაგარი სახაშეა. ოღონდ დილის 7 საათზე გვიან თუ მიხვედი, მოგჭამა ჭირი, ხაში კი არა, ძვლებიც აღარ დაგხვდება...

დილაუთენია ჩემმა მეგობარმა მერაბმა გამომი-არა მანქანით. ხაშსაც მივუსწარით და კარგადაც გეახელით. თუმცა ეს არაა მთავარი. იქიდან რომ გამოვედით, დავინახ-ეთ, რომ შუახნის ქურთის ქალი გრძელტარიანი ცოცხით ქუჩას ბდღვირს ადენდა. მოულოდნელად შევამჩნიეთ, რომ სანაგვე ყუთის გვერ-დით გრძელწვერა „ბომჟი“ გაწოლილიყო და არხეინად ხვრინავდა.

— დეიდა, მაგ ცოცხს ის კაციც არ გააყოლო... — ხუმრობის ხასიათზე მოვიდა მერაბი. მეეზოვე ქალმა ახლაღა შეამჩნია უცნობი „ობიექტი“ და იყვირა:

— ვაი, ვაი, ვაი, რა ახალგაზრდა კაცი გადააგდეს, რა ახალგაზრდა! ეგ რო გარესხო, გააშრო... მაგისი ხმარა კიდევ შაიძლება!..

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

### ახე იცის ბახუსმა...



ბათუმში მივდივართ ძმაკაცები მატარებლით. ხილი მიგვაქვს და იქიდან ვაპირებთ კანფეტის და ტკბილეულის წამოღებას. თან ცოტ-ცოტას ვსვამთ ვაგონში. ერთ ჩვენს მეგობარს, ზაზას ცოტა ზედმეტი მოუვიდა. ზესტაფონში რომ გავჩერდით, სიგარეტის საყიდლად ჩავიდა. ამ დროს ჩამოდგა ბათუმიდან მომავალი მატარებელი და ეს ჩვენი ზაზაც იმ მატარებელში ავიდა თურმე. ჩვენ რომ ვერ გვნახა, კი გაუკვირდა, მაგრამ ბახუსმა თავისი გაიტანა და ჩაეძინა. რომ გაეღვიძა, მცხეთის გვირაბში გადიოდნენ თურმე და გვერდზე მჯდომი კაცისთვის უკითხავს:

— ბიძია, მალე შევალთ ბათუმში?

უცნობ მგზავრს გაოცებულს შეუხედავს და შეშინებული სხვა კუპეში გადასულა, ვიღაცა შარიანია და რამე არ ამიტეხოს, სიმართლე რომ ვუთხრაო...

***შალვა ლომიაშვილი, თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტები



— პირველად რომ ტელეფონი გამევიდა, ქუთაისში მარტო მე მქონდა! — ტრაბახობს ჭიჭიკია.

— კი მარა, ვის ელაპარაკებოდი, შე შობელძაღლო? — ეკითხება შალიკია.

***პაატა, ხაშური***



ამბობენ, ჩვენი დირექტორი შტატებს ამცირებსო.

— ნუ გეშინია, ეს ჩვენ არ გვეხება, ცოლთან იჩხუბა და მის ნათესავებს ათავისუფლებს...

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***



მიხო კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. პრაქტიკანტი აგრონომები მიიღო. შუადღისით მოდის და პრაქტიკანტებს ეკითხება:

— ჩემმა მოადგილემ, ვანომა, ხომ აგიხსნათ, რა უნდა გააკეთოთ?

— დიახ, ბატონო მიხო, თქვენი გამოჩენისთანავე უნდა გავაღვიძოთ!

***შოთიკო ტყეშელაშვილი, ქუთაისი***



მარომ იმშობიარა. შეეძინა ტყუპი ბიჭი — ერთი თეთრი და მეორე შავი.

— ეგე, მიხავ, მთელი დღე რო ჭადრაკსა თამაშობ, იმი ბრალია ყველაფერი, შენა სხვა რამე კი არ იფიქრო!.. — „აუხსნა“ სიდედრმა.

***ვახტანგ ჯანეზაშვილი, თბილისი***



ზესტაფონელს სტუმარი ჩამოუვიდა თბილისიდან, რომელსაც „ლა კოსტას“ მაისური ეცვა. აი, ისეთი, ნიანგი რომ აქვს მიკრული ემბლემად გულზე. შეხედა ზესტაფონელმა და გაოცებულმა ჰქითხა სტუმარს:

— კი მარა, ეს ნიანგი როის მოგიქვტა?

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



მიხა და მარო იყრებიან.

მოსამართლე:

— კანონის თანახმად, შვილი დედას ეკუთვნის და არა თქვენ!

მიხა:

— მართალია, მაგრამა თვითონ მაჩუქა!

— ეგ როგორ?

— როგორა და სამშობიაროში რომ მივედი, მითხრა, ვაჟი გაჩუქეო, მაშ!

***ანიკო, თბილისი***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.**

**მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

## მილოცვა



**მაიკო კანდრაშოვას!**

ჩვენო პატარა ანგელოზო! გილოცავთ დაბადების დღეს – 2 წლის შესრულებას. გაზრდილიყავი სასახელო ქალი. გფარავდეს ღმერთი.

*დედა ია, მამა ანდრეი, ბებიები და ბაბუები, ბიძა და დეიდა*



**ლერუკა ხინთიბაძეს!**

ჩვენო პატარა ბიჭო, გილოცავთ დაბადების დღეს. დასწრებოდე მრავალს. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. გფარავდეს უფალი და ყველა ანგელოზი.

*ბაბუა ლერი ხინთიბაძე ოჯახით*



**მალხაზ გაბიტაშვილს** (ქურდი მახო)!

ჩვენო საყვარელო დედის ძმავ, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. დიდხანს იცოცხლე და იბედნიერე შენი ლამაზი ოჯახით. ალალო და ძვირფასო კაცო, უფლის წყალობა არ მოგაკლდებოდეს!

*შენი ბონდო*

**გივიკო ვაშაკიძეს!**

ჩემო მონატრებულო შვილიშვილო! გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი იყავი ძმით, მშობლებით, ბებო-ბაბუებით, ყველა ახლობლით.

*გკოცნი შენი ბებო – მანანა სულაქველიძე*

## მადლობა

თბილისის 48-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი მადლობას უხდის ბატონ **მერაბ სამადაშვილს** ჩვენი სკოლის პედაგოგის – *ლამარა გოგოლაძისადმი* გაწეული სერიოზული და უანგარო ფინანსური დახმარებისათვის.

## ბინები, ნაკვეთები

სასწრაფოდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი, პროექტით და მშენებლობის ნებართვით, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ხევთან, გზის პირას. ტელ: 899-94-11-94

იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი – 350კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით, თითოეული თავისი აბაზანა-ტუალეტით, ეზო 1200კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, [illegible] აუზით. ტელ: 899 94-11-94

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მოვიწვევთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იქირეთ! მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

GIJ – პირველი ქართული Au-pair-სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში Au-pair-პროგრამით გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. შუამავლობა – უმოკლეს ვადებში. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. საშუამავლო თანხა – 78-90 ევრო (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

მუდმივ სამუშაოზე გვესაჭიროება ექიმები: ერთი პედიატრი, ორი ენდოკრინოლოგი, ერთი თერაპევტი, ერთი ნევროპათოლოგი. ტელ: 64-64-40; 893 28-25-59

Требуется на постоянную работу: 1. Руководитель отдела; 2. Зам. руководителя; 3. Инспектор по кадрам; 4. Офицеры запаса с опытом руководителя; 5. Педагоги и психологи. Отбор на конкурсной основе. Высшее образование, возраст 24-50 лет. Тел: 95-33-47 (с10-13; с 20-23)

## ვეძებ სამუშაოს

გამოცდილი ბუღალტერი, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების (ორის-ბუღალტერია, ინფობუღალტერი) მცოდნე, ვიმუშავებ ბუღალტრად (შეიძლება შეთავსებაც). მაქვს ჩემი კომპიუტერი საბუღალტრო პროგრამით. ტელ: 899 78-24-96

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები“! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

გთავაზობთ სხეულის ნებისმიერი ადგილის კორექციას. ცხიმების სწრაფ დაშლას, წონაში დაკლებას თვეში 7-დან 20 კგ-მდე, შიმშილის გარეშე; ასევე სიმაღლეში სწრაფ ზრდას, თვეში 3-4 სმ-ით, 2-დან 25 წლამდე. შედეგები გარანტირებულია. მის: მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმია“, I სართ, ოთახი №6. ტელ: 98-86-19; 893 90-15-52. კონსულტანტი ნინო

გახდომა იაფად! სხეულის კორექცია უნიკალური მცენარეული არაჰორმონალური საშუალებებით: წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე ძალზე ეფექტურად, იმუნური სისტემის აღდგენის, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვული ფონის მოწესრიგების ხარჯზე; სიმაღლეში ზრდა 5-10 სმ-ით, 25 წლამდე. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

> ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ადვოკატურა გაგიწევთ ყველა სახის იურიდიულ მომსახურებას – სასამართლოში და სხვადასხვა ინსტანციაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებაში. აწარმოებს ფირმების რეგისტრაციას სწრაფად და ხარისხიანად ადგილობრივ და ოფშორულ ზონებში, გაგიწევთ აუდიტორულ მომსახურებას. მის: ლენინის ალმართის №17 (მ. „ვაკლაბართან“, სომხური ეკლესიის წინ). ტელ. 95-89-57. 877-75-79-13

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამოცვენა, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ცაცო მჭედლიძე

> პირველად საქართველოში! გთავაზობთ მკურნალობას აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: დეპრესია, უძილობა, ნევროზი, კლიმაქსი, ჰიპერტონია, ინსულტი, სახსრები, ვარიკოზი, სისხლძარღვთა შევიწროება, შიშები, აგრესია, აკვიატება, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, სქესობრივი პრობლემები, კანის დაავადებები, ჰაიმორიტი, ბრონქიტი. ტელ. 99-75-90; 899 22-63-90

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მხრის-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (თლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

ყურადღება!!! თბილისში ყველაზე სწრაფი ეფექტით ვმკურნალობთ ხერხემლისა და სახსრების პათოლოგიებს და მათგან გამოწვეულ ნევროლოგიურ დარღვევებს – ნერვის ანთება, რადიკულიტი, პლექსიტი. შედეგი მაქსიმალურად გარანტირებულია!!! კონსულტაციები უფასოა! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან“, ც. დადიანის №87), კაბ. №11, 15-18 სთ. ტელ: 61-02-97; 69-91-92 (კაბ.); 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხარაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ქართული ფლორის მცენარეებით და აპითერაპიის პროდუქტებით გთავაზობთ მთლიანი ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას. აქვე ტარდება მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: აღმაშენებლის №109 (ეზოში, მარცხნივ, ნაცრისფერგისოსებიანი ოფისი), I სართ. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 94-19-84; 96-35-92 (სამს); 899-74-23-69

> საქართველოში ერთადერთი ტექნოლოგიით ბუასილის კვანძების მოცილება ოპერაციის გარეშე; ანალური პრობლემის ნაპრალის მკურნალობის უნიკალური მეთოდიკა; ყველა სახის კოლიტის (ყაბზობის) მკურნალობა. ექიმი სტაჟირებულია გერმანიასა და რუსეთში. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 91-18-33; 37-93-41

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. მიღება 9-14 სთ, წინასწარი ჩაწერით. ტელ: 95-83-54 (სამს); 53-44-39 (ბინა); 899 97-85-46

## ვასწავლი

ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარიტუალო სასწავლო ცენტრი იწვევს მსურველებს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე (REWARD-ის პროგრამა აუდიო და კომპიუტერული (CD-ROM)მასალის გამოყენებით). კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატები 15 ნოემბრიდან. სწავლების საფასური – თვეში $30. ტელ: 61-57-86; 77-22-79; 877 75-95-51.

კომპიუტერული სტუდია „დაკი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

შევასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია“, „ინფო ბუღალტერი“, კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაუწევთ პრაქტიკული დახმარება. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – $250. ტ: 33-30-88; 899 78-24-96

კოსმეტიკის კურსები შეღავათიან ფასებში. შესწავლება: სახის კანის დეფექტები, ამოცნობა, გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, ნიღბები, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი“). ტ. 66-53-56, 69-09-19; 893 33-09-66

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

მოვამზადებ ინგლისურში ნებისმიერ მსურველს. ტელ: 63-20-98

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## იყიდება

ხეხილის ნამყენი ნერგები, ურწმელო ვაზები, ვარდები, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, ცაცხვი, ტირიფი, ტუია, ლიგუსტრუმი, თუკა, როზმარინი, იასამნი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა თბილისის ზღვასთან. ტელ: 69-97-05; 899 16-93-15

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## სხვადასხვა

ადვოკატურა სტაჟირებაზე იღებს იურისტებს. ასევე იურიდიული ფაკულტეტის მე-4-5 კურსის სტუდენტებს. მის: ვაკლაბარი, ლენინის აღმართის №17 (მ. „ვაკლაბართან“, სომხური ეკლესიის წინ). ტ. 95-89-57. 877-75-79-13

შპს „ნათიას“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ დარეკონ: 877 74-87-84; 899 10-37-50. შპს „ნათიას“ დირექტორი ნათელა ზურაბიძე


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე – დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქნები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს, მსუქან ადამიანებს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.**
ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



## ჯოგო კუპრეიშვილის გახსენება



ტკივილსა და მონატრებაში გაიარა უშენობის ერთმა წელიწადმა. ერთი წელიწადია, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ, ჩვენო ძვირფასო მამა! ერთი წელია, მარადიულ სასუფეველში დაივანა შენმა სპეტაკმა სულმა. 76-ე შემოდგომაზე შემოგალამდა გაზაფხულზე დაბადებულს. გაზაფხულივით დაუდგრომელი ბუნების იყავი. სიცოცხლე გიყვარდა, შრომა გიყვარდა და შრომის ნაყოფით ტკბობაც გიყვარდა. მოყვასი გიყვარდა, სამშობლო გიყვარდა, შენი ოჯახი გიყვარდა. ყოველთვის იქ იყავი, სადაც შენს მოკეთეს უჭირდა, გაჭირვებულისა და დაჩაგრულის გვერდში მდგომი იყავი.

ბავშვობიდანვე შრომას შეეჭიდე და სიკვდილამდე არ ჩაგიმუხლია. ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურე ხალხს და ემსახურე სინდისიანად, ნამუსიანად და პატიოსნად. შენს მარჯვენას მრავალი პაციენტისთვის მოუგვრია შვება და შენი თბილი სიტყვა სალბუნად დასდებია მათ ტკივილს.

ძნელია წარსულ დროში შენზე საუბარი. გვიჭირს უშენობა. განსაკუთრებით მძიმეა იგი დედაჩვენისთვის, შენი ცხოვრების ერთგული მეგზურისათვის – შენი მეუღლისათვის, რომელთან ერთადაც თითქმის ნახევარი საუკუნე განვლე. როგორ გინდოდა სიცოცხლე, როგორ გწყუროდა იგი. გენანებოდა შენი მონაგარის დატოვება. უკურნებელი სნით შეპყრობილს, უსასრულობაში მომზირალს, თვალი ცრემლით გევსებოდა. ამქვეყნად ჩემი ყოფნის დრო დასრულდაო, – თქვი და ღირსეულად შეხვდი სიკვდილს.

იძინე მშვიდად, ამაგდარო ადამიანო. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*თამაზ, ინეზა და ლალი კუპრეიშვილები*

## ტატო მიხეილის ძე მოსულიშვილის ხსოვნას!



შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა ბედმა, ჩვენ კი – მარადიული ტკივილი. ვერაფრით ამოივსება სიცარიელე, რასაც უშენობა ჰქვია, ტატო... ჩვენი ღიმილიანი ბიჭი... ლამაზი, ჭკვიანი, სიცოცხლით სავსე... ცხოვრებას შეჰხაროდი, მომავალი მიმზიდველ ფერებში გეხატებოდა, ყოველ ცისმარე დღეს სიხარულს ელოდი. ვერ დაგვიჯერებია. სიტყვა გვიწყდება, ტკივილი გვახრჩობს, ცრემლი ყელში გვებჯინება, ყველას ერთი გვაქვს სატკივარი:

აღარ გვყავს ჩვენი ტატო.

ერთმანეთს თვალებში შევციცინებთ, ვუფრთხილდებით, ცრემლებს ვუშრობთ, ვამხნევებთ, ვაწყნარებთ და მაინც ვერ დავმშვიდებულვართ. ან კი რა დაგვაწყნარებს?!

ტატო... ჩვენი ტატო... სულით ლამაზი, გულით სათუთი და ბავშვივით მგრძნობიარე, უღალატო და საიმედო, მეგობარი, ვაჟკაცი.

გვენატრები, გვჭირდები, გეძახით.

## დათა ბაკურის ძე გულუას ხსოვნას!



„ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა!“ – სისინებენ ყურში ტანჯვით ნაკოწიწები ბგერები და ყველა სიტყვა უძლური ხდება ამ დროს.

„ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა!“

– რა სასტიკია ეს განაჩენი, გამოტანილი მეგობრებისათვის...

როგორი მძიმეა, გაუსაძლისი ნარიყალამდე საზიდი ჯვარი!

„ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა!“

– დავმარტოხელდით, დავმარტოსულდით, დავპატარავდით უშენოდ, დავით!

ისევ მორჩილად მოგყვებით უკან, როგორც საერთოდ გვჩვეოდა უწინ.

„ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა!“
ცხელი ცრემლების ემბაზში განგწმინდეთ,
ჩვენი გულებით შეკრული გვირგვინი გამშვენებს.
ქრისტეს ეახლები, ქრისტეს ხელდასხმულო!
სხვა რა დაგვრჩენია, ღმერთს შენს თავს ვაბარებთ,
ჩვენს დათას, ჩვენს დავითს.
„ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა!“
– რა სასტიკია ეს განაჩენი, გამოტანილი მეგობრებისათვის...
როგორი მძიმეა, გაუსაძლისი ნარიყალამდე საზიდი ჯვარი!

## „ჭაბუკები დარჩნენ მარად!“

27 ოქტომბრის განთიადისას მწუხრის ზარებმა დაიწყეს უწყვეტი რეკა... გაოგნებამ წაგვლეკა ყველა... დროც კი გახევდა! თითქოს ფოთლებმაც შეწყვიტეს რხევა... მხოლოდ მარადისობაში გადასულმა ტკივილის ცრემლმა გამოყონა და ძლიერი ელდისაგან ისიც წამში გაიყინა, დროში ჩაიკირა, როგორც ყველა და ყველაფერი ირგვლივ!...

ეს რა გვიქენით, ბიჭებო!!! იმ დღეს სრულიად ჩამობნელდა ჩვენთვის... შავმა ღრუბლებმა გადაფარეს ცის თალი, მწუხარების ფერმა შეგვმოსა ყველა, ტკივილისაგან აწივლებული ქარი დათარეშობდა, განწირული ხმით ღმუოდა და ირგვლივ ყველაფერს ლეწდა...

ამას წარმოვიდგენდით ოდესმე???

დაგვემსხვრა გულები! დაგვეღუნა სულები! სამუდამო დაღი დაესვა ჩვენს ცხოვრებას, იარებით დამახინჯდა ჩვენი სტუდენტობაც... ყველა ტიროდა, ვინც კი გიცნობდათ, ბიჭებო! უნივერსიტეტის ეზოში გაოგნებულები და გახევებულები ვიდექით. „ვაიმე, დათა! ვაიმე, ტატო!“ – გაჰკიოდა გონება. დაჭრილი გული მძიმედ სუნთქავდა, ტკივილისაგან იწმაწნებოდა, სიმწრით მოთქვამდა და არ სურდა მწარე რეალობას შერიგებოდა; ტანჯვით იკუმშებოდა და აგონიის წამებს, წუთებს, საათებს უძლებდა... არ გვჯეროდა!... არც გვჯერა!

უთქვენოდ ის სტუდენტობა აღარ გვექნება, რასაც ერთად ვგეგმავდით ხოლმე... როგორ შევეგუოთ იმ დღეებს, როცა თქვენ აღარ შემოაბიჯებთ უნივერსიტეტში, როცა თქვენებური კეთილი ღიმილით, ვაჟკაცური მანერით და მამაკაცური ბარიტონით აღარ მოგვიკითხავთ; როცა ჩვენ შორის აღარ იქნებით და ჩვეული ხუმრობებით აღარ გაგვიხალისებთ დღეებს... მოგვენატრებით, ტკივილამდე მოგვენატრებით! როცა ჩვენ გვერდით იდექით და თქვენებური იუმორით გვთბობდით, მუდამ მხიარული ღიმილი დაგვთამაშებდა სახეზე; სადაც თქვენ იყავით, იქ განუწყვეტლივ ჟრიამული იყო და სიცილ-კისკისის ხმა ისმოდა... მოწყენის საშუალებას არასოდეს გვაძლევდით...

ახლა? ახლა თქვენ აღარ ხართ ჩვენთან და უწყვეტი ცრემლი გვისველებს სახეს, უჩვევი დარდი გვილოკავს გულებს...

ორივეს ლამაზ სხეულში ლამაზი სული ცხოვრობდა მართლაც! მართალი უთქვამთ – უფალსაც მხოლოდ საუკეთესოები სურსო – ალბათ, ამით გამოგარჩიათ თქვენც!

დათა და ტატო!

ტატო და დათა!

განუწყვეტლივ რეკენ მწუხრის ზარები. ტკივილის ქარიშხალი ამაოდ აწყდება გაბზარული სულის კედლებს და ძაძებით მოსავს ირგვლივ ყველაფერს. ბნელი ფარდები დაშვებულა ჩვენს სარკმლებზე! შემოდგომის უკანასკნელმა ფოთლებმა ფარფატით გაიყოლეს თქვენი სულები სასუფევლისაკენ! გაგვიჭირდება უთქვენოდ, ჩვენო ვაჟკაცებო, ჩვენო ღიმილის ბიჭებო! გაგვიჭირდება, მაგრამ გავუძლებთ, რადგან გვწამს, რომ თქვენი ლამაზი სულები ანგელოზებად იქცნენ, ისევე, როგორც ანგელოზებად მოგვევლინეთ! თქვენს სახელებს არ ელის დავიწყება! გვჯერა, რომ ისევ ხშირად მოხვალთ და დადგებით ჩვენთან, როცა სევდიანი ღიმილით კვლავ მოგიგონებთ, როცა კვლავ გავიხსენებთ თქვენს ყოველ ქმედებას, აზრებს, ოცნებებს, თქვენს მოყოლილ ამბებს, თქვენეულ ხუმრობებს! და მაშინ, ალბათ გაგეღიმებათ... ვერ დაგინახავთ, მაგრამ ვიგრძნობთ, რომ ისევ ჩვენთან ხართ!

*თქვენგან მიტოვებული მეგობრები – თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები*

## ნუგზარ გაბუნიას!



*სევდა დედისა*

შვილო ნუგზარ, დღეები, თვეები მისდევენ ერთმანეთს. ასევე გაივლის წლები, შენ კი არა ხარ ჩვენთან. როგორ შემიძლია დავივიწყო ბოლო დღეების ის უსაშველო, ხორციელი და სულიერი ტკივილი, როგორითაც შენ წახვედი... შენს მუდამ სიყვარულით, სიკეთით სავსე გულს რამ თუ ვინ მიაყენა ისეთი ღრმა ჭრილობა, სიცოცხლის უზომოდ მოყვარული, ბოლოს სიკვდილს რომ ესწრაფოდი – შენმა მიმნდობმა გულმა, ცხოვრების უკუღმართობამ, უიღბლობამ თუ ბედისწერამ? ალბათ ყველაფერმა ერთად... ბოლომდე უაღრესად აფასებდნენ სამსახურში შენი საქმისადმი ღრმა ცოდნით მიდგომას, ანალიტიკურ აზროვნებას, ულალატობას, პატივისცემას თანამშრომლების მიმართ. როგორ ნაღვლიანად ჰყვებიან ისინი. ასევე შენი თანაკლასელები, მეგობრები ღრმა სევდითა და გულისტკივილით გიგონებენ. მოდიან ხოლმე და იხსენებენ შენთან ერთად გატარებულ ტკივილიან თუ მხიარულ, ბედნიერ დღეებს, წლებს. ეფერებიან შენთან ერთად გადაღებულ სურათებს. ნაღვლიანად ამბობენ, იმდენი სიყვარული, უანგარო სიკეთე უთესიაო ირგვლივ, მისი ადგილი ღვთის სასუფეველშიაო მხოლოდ. მინდა მჯეროდეს (მაპატიოს უფალმა, „ნეტარ არიან მორწმუნენი“...).

იქაც დაგხვდება უდროოდ წასული, ბევრი საყვარელი ადამიანი – მარად მოუშუშებელი ჩვენი ერეკლე, შენი ბონდო, გოჩა, ბიძია გურამი, ნელიკო, შენი უსაყვარლესი ბებია და ბაბუა, რომელთა უსაყვარლესიც იყავი შენ და მრავალნი და მრავალნი... მოგეფერებიან და მოგიშუშებენ ამა ქვეყნიდან უდროო წასვლით მიყენებულ სევდასა და ნაღველს... მაგრამ რა ვქნა, რომ უსაშველოდ ღრმად მტკივნეულია ის სევდა სულისა, რომელიც დაგვიტოვე შენს მოსიყვარულე დიდ ოჯახს და არა მარტო ჩვენ – ასევე შენს ღრმად მოსიყვარულე ქეთი დეიდას ოჯახსაც, ბოლომდე ნავსაყუდელს შენსას.

რა დამავიწყებს, თუ როგორი სევდიანი სიხარულით შეხვდი შენი ლუკას მოწყობას უნივერსიტეტში, როგორ გემაყებოდა მისი კეთილზნეობა, კეთილშობილება, წარმატებანი სწავლაში... ან კიდევ ცოლეშვილის ალალ, უანგარო, მხოლოდ შენებურ სიყვარულსა და გულისტკივილს, ასევე შენი იმ ქვეყნად ასე ტკივილიანი წასვლით ღრმად გულდაკოდილი, საკუთარი დისა და ძმის ოჯახების ღრმა, გამოუთქმელ სიყვარულს, ყველა ახლობლის და მეზობლის უზომო სიყვარულს... რა დამავიწყებს, რა სევდიანად, სათუთად ეფერებოდი ხოლმე ღვთით მოვლენილ ერეკლეს პატარა ძამიკოს, ნიკუშას (ნიკოლოზს), როგორ გიხაროდა, როცა შენს დანახვაზე სიხარულით მიილტვოდა შენკენ... ასევე სევდადაკრული სიყვარულით მოლოდინს უცხოეთიდან შენი დისშვილებისა, რომლებითაც ამაყობდი...

ასევე განსაკუთრებული იყო შენი დამოკიდებულება მშობლების მიმართ. ვემალები ყოველნაირ სიხარულს. გამანადგურა უშენობამ, როცა ვიხსენებ ბოლოდროინდელი ქცევის ყველა ნიუანსს, რომელსაც თან ახლდა შეფარული თუ შეუფარავი სევდა, ნაღველი გულისა.

განა არ გინდოდა სიცოცხლე ამქვეყნიური. რამდენი აუხდენელი ოცნება, დარდი და ვარამი წაიღე თან და წახვედი... სუსტი ალმოჩნდი... ამქვეყნიური სიცოცხლის ძებნაში, იმქვეყნიური მარადისობა გხვდა წილად.

სასაფლაოდან უკან დაბრუნებისას რა სიცარიელეს, იმედგაცრუებას, მიუსაფრობას ვგრძნობ ხოლმე, დედიკო... ჩემი სიცოცხლე სასჯელია ამქვეყნად მხოლოდ. დრო მკურნალიაო?! – დაუჯერებელია. რომელი წამლით შეიძლება შენი და ერეკლეს წასვლით გამეფებული უსაშველო მწუხარების განკურნება. რაც დრო გადის, მეტია სევდა გულისა, ტკივილი მონატრებისა.

რამ დაატრიალა ასე განუკითხავად ბედის ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა? რათა, რისთვის, რატომ? ასეთია შენი სევდაგამწარებული მშობლების მუდმივად აკვიატებული, უპასუხოდ დარჩენილი კითხვები.

ყველამ ალალი ცრემლით მიგაცილა სამუდამო სამყოფლამდე. ყველა გიგონებს წრფელი გულისტკივილით. და ბოლოს, უსაშველო გულისტკივილით მინდა მოგილოცო დამდეგი შენი დაბადების დღე, რომლის აღქმაც ძალიან გვიჭირს უშენოდ. ღმერთმა გამოცდა ესოდენ მწარე გაკვეთილით მოგვიწყო, მაგრამ მჯერა, უზომოა ღვთის მადლი, ძალა მისი მიმტევებლობისა და გზას გაგინათებს ნათელი სხივი სიყვარულისა, ვედრება დედისა უფლისადმი, დედის მიერ ცრემლით და ლოცვა-კურთხევით დანთებული წმინდა სანთლები, ჩემო უზომოდ კეთილო, ყველაფრის მიმტევებელო შვილო!

განისვენეთ მშვიდად, არ მოგკლებოდეთ ღვთის მადლი, როგორც „ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ მყოფთა. ჩემთვის უძვირფასეს სათაყვანებელ ადამიანებს, ასევე მრავალტანჯულ სამშობლო ქვეყანას ჩვენსა, რამეთუ ძლიერი ქვეყანა განაპირობებს ჩვენი შთამომავლობის ბედნიერ მომავალს! ამინ.

*დედა*

## მაია ითაშვილის ხსოვნას!



ათი წლის უკან, ფოთოლცვენის თვეს მოსწყდა ცხოვრებას შენი 23 წლის სიცოცხლე. უზომოდ გვაკლიხარ, გვაკლია შენი სილამაზე, სილაღე და შინაგანი თავისუფლება – უხვი, უშურველი, ლხინში მომხიბვლელი, ჭირში თანამდგომი. სიკეთე და სითბო ხომ ყველას გვარგუნე. უკვე მეათედ მოვიდა ავადსახსენებელი 7 ნოემბერი, შენი თავი რომ წაგვართვა. საუბარი შენზე – სიკეთეზე, სილამაზეზე, სიცოცხლის ტრფიალზე საუბარია, უზომო ტკივილია უშენობა, სევდა – რომელსაც წლები ვერაფერს აკლებს. მარადიულ ნათელში იყავი, მაია!

*შენი ოჯახი; ბიძაშვილები: ნანიკო და გიორგი*

## დურმიშხან მიჩილაშვილის გახსენება



მუდამ ამაყი და შეუდრეკელი იყავი, სიკვდილსაც შეუპოვრად ებრძოდი. დამარცხე კიდეც... უზღვაროდ გიყვარდა სიკეთის კეთება. სახელი, რომელიც შთამომავლობას დაუტოვე, მრავალ თაობას გაუნათებს გზას. ისინი მუდამ იამაყებენ ღირსეული წინაპრით და შენგან გაკვალულ გზას გააგრძელებენ.

*შენი ოჯახი და ახლობლები*

## ბელა!



ენატრები უსაზღვროდ შენს დედას, შვილს, მეუღლეს, დას, დეიდას და უამრავ ახლობელთა არმიას, ჩვენთვის მუდამ 20 წლის, სულით ხორცამდე ლამაზო, პატარა დედიკო. 17 წელია ვებრძვით უშენობით გამოწვეულ უსახელო დიდ ტკივილს. მადლობა ყველას, შენს სისხლით ნათესავს თუ ახლობელს, რომლებსაც არ ავიწყდებათ არც ერთი შენი დაბადებისა და გარდაცვალების დღე. ყველანი ვიკრიბებით 5 ნოემბერს შენს წმინდა საფლავზე და გიხსენებთ. ერთადერთი ნუგეში, რომელიც წლისა და 3 თვის დაგვიტოვე – შენი ასლი და მსგავსი, უკვე II კურსის სტუდენტი გიორგი ბუტიკაშვილი იხარებს ამ წუთისოფელში გამრავლებული, შენი სახელის უკვდავსაყოფად.

ნათელი ეფინოს შენს ლამაზ სულს ჩემო ბელა, ნანიტაშვილი-ბუტიკაშვილისა.

*შენი დეიდა*

## გოგა მირთალაშვილის მონატრება

გოგა, მოდის ტკივილიანი შენი დაბადების დღე – 8 ნოემბერი. ტკივილი, რომელსაც უშენობა ჰქვია, შენს საფლავზე გატარებული მწარე დღეები ჰქვია. ორმოცი წლის შესრულება არ გაცალეს – გაგიმეტეს და გაგწირეს. ეს დღე საფლავზე უნდა მოგილოცო დეიდამ. მაგრამ ვაი, რომ სანთლების, ყვავილებისა და ცრემლიანი სტრიქონების გარდა ვერაფერს გიძღვნი, ჩემო მუდამ ღიმილიანო, სათნოებით და სიყვარულით გულანთებულო, სულიერად და ფიზიკურად ლამაზო ვაჟკაცო. უსაზღვროდ მენატრები, მიყვარხარ. შენც ხომ ძალიან გიყვარდი, ბავშვივით რომ ამიტაცებდი, ჩამიკრავდი გულში და მეტყოდი: მამიდა, იცი როგორ მიყვარხარო?! ვინ წამართვა შენი თავი, ვინ წამართვა ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელსაც შენგან ვგრძნობდი ყოველთვის. სურათების ყურებითღა ვიკმაყოფილებ შენი მონატრების სურვილს. მინდა შეგეხო, მოგეფერო ისე, როგორც ბოლოს შენს გაცივებულ სხეულს ვეფერებოდი და ლამაზ სახეს გიკოცნიდი, მაგრამ მიუწვდომელი ხარ. ისღა დამრჩენია, ვილოცო შენთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ნაადრევად წასული შენი კეთილი სული. ვიცი, შენც გვლოცავ იქიდან ყველას, ვისაც არასდროს დაავიწყდები.

*მამიდა, მამიდაშვილი*

## გიზო (თენგიზ) გოლეთიანის მონატრება



ჩემო გიზო, 9 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო, შენი ცხოვრების მანძილზე დიდი სიყვარული და სიკეთე დათესე. ყველას გვიჭირს უშენობა, არა მარტო შენი ოჯახი განიცდის შენს დაკარგვას, არამედ მეგობრები, ნათესავები, შენი შვილები და შენი ბაბუკები-შვილიშვილები. უცრემლოდ არ გვაგონდები, დღემდე ვერ გაგვირკვევია, ჯანმრთელ კაცს რატომ გერგო ასეთი ხვედრი, შენ ხომ ძლიერი იყავი, დაუღალავი და ენერგიით სავსე. ვაჟკაცი გაუბრძოლებლად დანებდი სიკვდილს. როგორ გვენატრება შენი ომახიანი ხმის გაგონება. შენთან ერთად წავიდა ყველაფერი. ნუთუ ამისთვის ჩქარობდი შენი გრძნობების ასე უხვად და ლამაზად გაჩუქებას. დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, სევდა და მონატრება. ვინ იცის, რას ფიქრობდი იმ უკანასკნელ წამებში, ვის უხმობდი საშველად. გულმა ველარ გაგიძლო და დასრულდა შენი მშფოთვარე ცხოვრება. წმინდა სანთლებით მოვალთ შენს საფლავზე, ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*ოჯახი*

## გურამ დათაშვილის ხსოვნას!



უკვე ორმოცი დღეა, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ, გურამ! რა ძნელი სათქმელი და ძნელად შესაგუებელია... კიდევ ერთი მართლა ჭკვიანი, ლამაზი და ღირსეული ადამიანი გამოაკლდა სამყაროს. გულნატკენნი და მხარმოტეხილნი უხმოდ ვწუხვართ. უფალმა ასე ინება, რომ შენს უდროოდ წასულ ძმას გვერდით ამოსდგომოდი. ზაზაც ხომ შეუხორცებელ იარად დაგვრჩა... ნათელში იყავი. ჩვენი სიყვარული იყოს შენი მფარველი.

*შენი ბიძაშვილები*

## გოგა მირიანაშვილის გახსენება



წარმოუდგენელია, შვილო, როგორ გვტანჯავს უშენობა. შენ ხომ ამ ცხოვრებიდან სიცოცხლით და სიყვარულით გაუმაძღარი წახვედი. შარშან, 8 ნოემბერს, როდესაც 39 წელი შეგისრულდა, ჩვენ შორის იყავი. წელს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. გვიმძიმს იმის გაფიქრებაც კი, რომ კარს აღარასოდეს შემოაღებ. უკვე მერამდენედ ვალაგებთ შენს სურათებს და ვიხსენებთ ყოველ დღეს დაბადებიდან იმ საბედისწერო წუთებამდე, ახალი წლის საღამოს არაკაცის მოქნეულმა დანამ შენთან ერთად ჩვენთვისაც რომ დააბნელა მზე. ჩვენთვის დრო მკურნალი არ აღმოჩნდა. პირიქით, ტრაგიკული თარიღი ჩვენს გულში ისეთი ცეცხლით არის ამოშანთული, ვერავითარი დრო ვერ ჩააქრობს. როდესაც ხანდაზმული მშობლები, 39 წლის ვაჟკაცს მიწას მიაბარებენ, მას დავიწყება არასოდეს უწერია. წელში გატეხილებს მეტი რა დაგვრჩენია, ვიაროთ შენს საფლავზე და მოვეფეროთ ქვაში გამოსახულ შენს სახებას, ყოველ კენჭს და მუჭა მიწას, სადაც შენ გვეგულები; დაგინთოთ სანთელი, და ვილოცოთ შენი სულისთვის. ყველაფერი ეს შენ უნდა გაგეკეთებინა ჩვენთვის, ჩვენო სიცოცხლევ. შენ უნდა მოსულიყავი ჩვენს საფლავზე, მაგრამ უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედის ბორბალი. წახვედი და დაგვრჩა უსაზღვრო დარდი. ჩვენთან ერთად გლოვობენ და არ უშრებათ თვალზე ცრემლი შენს საყვარელ ცოლ-შვილს, დას, რომელსაც დედის ტოლი ამაგი აქვს გაწეული შენს გაზრდაში; მამიდას, რომელიც საკუთარი შვილისგან არასოდეს გარჩევდა. რომელი ერთი ვახსენო... გლოვობს მთელი ჩვენი სანათესავო, ჩვენო სათაყვანებელო ბიჭო. იძინე მარადიული ძილით. ჩვენგან კი, სანამ სული გვიდგას, არ მოგაკლდება ლოცვა, ყვავილები და ცრემლი. მარადიულ ნათელში იყოს შენი სული, შვილო!

*შენი დედ-მამა და ოჯახი*

## გურამ დადიანის ხსოვნას!



ორმოცი გაუსაძლისი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ მარადისობის ბინადარი გახდი. უსაზღვროდ გვენატრები, ძალიან ძნელია უშენობა. გვიჭირს იმასთან შეგუება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარა ხარ. შენი სახით ერთი დარბაისელი, ნამდვილი ქართველი, გულმართალი კაცი მოაკლდა საგვარეულოს, ნათესავ-ახლობლებს. შენი ქალიშვილები დიდი მონატრებისაგან ქუჩაში შენს მსგავსს დაეძებენ თვალებით... ჩვენთვის, შენი უბედური მშობლებისა და და-ძმისთვის, ცხოვრებამ აზრი დაკარგა უშენოდ. ერთი იმედი გვასულდგმულებს მხოლოდ, რომ შენმა უმანკო სულმა ზეციურ სასუფეველში დაივანა. ჩვენ კი, მთელ ჩვენს დარჩენილ სიცოცხლეს შენი სულის ამაღლებისათვის ლოცვაში გავატარებთ.

*შენი ოჯახი*

## მამუკა ნადირაძეს!



უკვე მეოთხედ ვხვდები გულისტკივილით, ჩემო მეგობარო, შენს დაბადების დღეს. 12 ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა. ჩემო პატარა ჟურნალისტო, როგორ გიყვარდა ფეხბურთი, სულ ფეხბურთზე საუბრობდი. როცა გკითხავდი, შენს თავს რას უსურვებ, მამუკა-მეთქი? – მეტყოდი, – აუცილებლად სპორტულ პრესაში წარმატებას და უპირველესად დროს, დროს, დროსო – და მართლაც არ დაგინდო სიკვდილმა 19 წლისა. უზომოდ კეთილო და კარგო მეგობარო, ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, ჩემო მამუკა.

*შენი მეგობარი აჩიკო შენგელია*

## ლეილა ნონიკაშვილის გახსენება



ჩვენო კეთილო, საყვარელო ბებია! 3 წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხართ. რა ფაქიზი და კეთილი გულისა იყავით ჩვენთვის, ნაცნობ-მეგობრებისა და თანამშრომლებისათვის. თქვენი ნაადრევი წასვლა ამ ქვეყნიდან ზურიკო პაპის უკვალოდ დაკარგვის დარდმა გამოიწვია.

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური სიღნაღის მიწა.

*ძმისშვილიშვილები: ლეილა, ზურიკო, კონსტანტინე*

## ნუგზარ კასაბურს!



უშენოდ მოდის ტკივილიანი შენი დაბადების დღე – 7 ნოემბერი. პირველად ვხვდებით უშენოდ. ხანმოკლე იყო შენი ცხოვრება – მხოლოდ 40 წელი. წახვედი ჩვენგან და დატოვე ტკივილი ჩვენს გულებში. რაოდენ დიდი ტკივილია ჩვენთვის, როდესაც სასაფლაოზე უნდა მოგილოცოთ 41 წლის შესრულება. დიდი გულისტკივილით და სიყვარულით გიხსენებთ ყველა: შენი ძმა მალხაზი, ძმისშვილები ნინო და ეკა, რძალი ინგა და მარად მწუხარე მშობლები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა.

ხალისით ველოდები იმ ქვეყნად გამგზავრებას და მიხარია, რომ ამ ტანჯულ ცხოვრებას აღარასოდეს დავუბრუნდები.

*შენით უბედური დედა*

## გია (შირაზა) ქურივიშვილის მონატრება



ჩემო გია, 9 ნოემბერს 2 წელი შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. გაუსაძლისი და ტკივილიანია ეს წლები. ძნელია იმის გააზრება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძალიან მიმძიმს უშენობა. მენატრები, უზომოდ მენატრები. შენ ხომ ყველას მეგობარი და ერთგული იყავი. უშენოდ იზრდებიან და ვაჟკაცდებიან შენი ბიჭები, მათ ხომ ყველაზე მეტად ახლა სჭირდებათ მამა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ყოველდღე ავანთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი სულის ცხონებისათვის.

*შენი მარიკა, ბაჩო და გიორგი*

## ლადო სიხარულიძის ხსოვნას!



2 ნოემბერი გათენდა, ლადო! პირველად მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე. შენს მარადიულ სასუფეველში მოგილოცავთ ამ დღეს შენი ოჯახი, ახლობლები და მეგობრები. სადღეგრძელოს ნაცვლად ხსოვნის ჭიქას ავწევთ და გაგიხსენებთ. ვიცით, შენც დაგლოცავ სულთა სამყაროდან. ყველა დალოცე, ვინც გაგიხსენებს, სანთელს დაგინთებს და შენს შესანდობარს ცრემლებით დალევს. ძალიან გვენატრები, ლადო. ვერავინ და ვერაფერი ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც უშენობითაა გამოწვეული. გაუსაძლისია სიმარტოვის ის გზა, რომელზეც შენ გარეშე აღმოვჩნდი. რამდენი რამ დამიგროვდა სათქმელი. მოვდივარ შენს საფლავთან და როგორც სიცოცხლეში, ისე გესაუბრები. ხსნად მხოლოდ ლოცვასა და უფლის რწმენაში ვეძებ. მჯერა, შენს სახელზე დანთებული ყოველი სანთელი, შენს სახელზე აღვლენილი წირვა-ლოცვა გზას გაგინათებს ცათა სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

## სიმონ შარვაძის მონატრება



გავლია ცრემლიანი და ტკივილიანი 3 წელი და დაგვიტოვე მოუშუშებელი იარა. დღესაც ყველასათვის თავზარდამცემია იმ საშინელი დღის მოგონება. დრო არაფერს ცვლის ჩვენს მწუხარებაში, დრო ვერ აჩუნებს შენს მონატრებას. მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. ჩუმი სევდა დგას შენი შვილების თვალებში, მათ ხომ მოსიყვარულე და მზრუნველი მამა დაკარგეს. ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და კარგი კაცის სახელიც დატოვე, რითიც ვამაყობთ და თავს ვინუგეშებთ. ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ლოცვის და ყვავილების გარდა ვერაფერს გიძღვნით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

## მზია ნავდარაშვილი-პაპუჩელაშვილის ხსოვნას!



სიცოცხლეში ულამაზესი ქალი, სიკვდილის შემდეგაც ისეთი ლამაზი იყავი, ისეთი სიმშვიდე გეფინა სახეზე, არავინ დაიჯერებდა, რომ გულმა გიღალატა. ყველასათვის ულალატო გულმა მხოლოდ შენ გიღალატა და ნაადრევად შეწყვიტა შენი სიცოცხლე. დაბადებიდან 56 წლისთავს გილოცავთ, საყვარელო დედა. დაბადების დღეს ამჯერად შენს საფლავზე მოტანილი ყვავილებით და სანთლებით მოგილოცავთ. ყველას ძალიან გვატკინე გული შენი ამ ქვეყნიდან წასვლით. ყველანი ვამაყობთ შენი კარგი ქალობით. შენ ხომ სითბოთი და სიკეთით სავსე იყავი, ამიტომაც დაგარქვეს „ხეობის დედა“.

შენი სიკეთე და სათნოება მისაბაძი იქნება ყველა ჩვენგანისათვის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სიცოცხლისათვის, რათა ნათელი გედგას სამუდამო სასუფეველში.

*გულო და არსენა ოდიშელიძეები*

## პაატა პაპუჩელაშვილის ხსოვნას!



სიკვდილმაც კი არ დაგაშორათ ერთმანეთს მოსიყვარულე დედა-შვილი და არც მე დაგაშორებთ. ცოტა ადრე მოგილოცავთ დაბადების დღეს – 24 დეკემბერს, ჩვენო საყვარელო პაატა. შენ ხომ 30 წლის ხდები, მაგრამ ვაი, რომ დაბადების დღეს მეგობრებში ვეღარ აღნიშნავ. 29 წლის ვაჟკაცმა მხოლოდ 3 თვე შეძლო უდედოდ ყოფნა. აქ დედით ობლობას, იქ შენს „ქაბატოსთან“ ყოფნა არჩიე და ჩვენ სამუდამოდ გვატკინე გულები. როგორი დიდი ტკივილი დაუტოვეთ თქვენს საყვარელ ნატოს, მისთვის ხომ დიდი იმედი იყავით ორივენი. ვერაფრით ვანუგეშებთ, რადგან ტკივილი ნუგეშზე ძლიერი ყოფილა. დრო მკურნალიაო, მაგრამ პირიქით – ჩვენ ახლა უფრო ვხვდებით, რომ თქვენგან მოყენებულ ტკივილსა და დამწვარ გულს ვერაფერი მოაშუშებს. უფალს შევთხოვთ შეისმინოს ჩვენი ლოცვა-ვედრება და თქვენი ლამაზი და კეთილი სულები ნათელში ამყოფოს.

*გულო და არსენა ოდიშელიძეები*



მეუღლე იზო სვანიშვილი, შვილები: დათო, ზურა; რძალი ნინო გოგინაშვილი ოჯახით; შვილიშვილები: გიორგი და სოფო მამულაშვილები; ძმები გოგია და ზაური ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მალხაზ დავითის ძე მამულაშვილი**

*პანაშვიდი:* ორშაბათს, 3 ნოემბერს, 16 საათზე;

*დაკრძალვა:* სამშაბათს, 4 ნოემბერს, 14 საათზე.

*მისამართი:* თბილისი, წყალტუბოს ქ. №11



შვილი ინგა ქურდაძე; შვილიშვილი ანა კუხაშვილი; დისშვილები: ციცინო და მარიკა სეხნიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ევგენია ივანეს ასული აბრამიშვილი**

*პანაშვიდი:* ორშაბათს, 3 ნოემბერს, 17 საათზე;

*გამოსვენება:* სამშაბათს, 4 ნოემბერს, 14 საათზე.

*მისამართი:* თბილისი, აგლაძის (ყოფ. ელიავას) ქ. №26, მე-5 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა №27.

# რა ხდება ჩვენს ქალაქში?!..

ბატონი ნოდარი საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში გავიცანი. საკმაოდ მძიმე მდგომარეობა ჰქონდა — შინაგანი ორგანოების დაჟეჟილობა, თავის ტვინის შერყევა და ლავიწის ძვლის მოტეხილობა. მაშინ არც თავად მას ჰქონდა ლაპარაკის თავი და არც მე მიკითხავს რამე. ერთი კვირის შემდეგ, როცა მკურნალობით ცოტა მოღონიერდა, თითქმის დაუჯერებელი რამ მიამბო. ბოლოს, მთხოვა, — ეგებ, გაზეთს მიაწოდოთ ჩემი თავგადასავალი. იქნებ ჩემნაირი დაზარალებული გამომეხმაუროს და ერთად მაინც გავიგოთ, რა ხდება ჩვენს ქალაქშიო...



— ათიოდე დღის წინ გვიან გამოვედი ტოტალიზატორიდან და შინისაკენ მიმავალ გზას გავუყევი. ცენტრალური ქუჩით მივდიოდი, თუმცა ხალხი ნაკლებად მხვდებოდა, ღამის ორი საათი მაინც იქნებოდა. არსად მიმეჩქარებოდა, თბილი ღამე იყო და სეირნობა-სეირნობით მივდიოდი. მოპირდაპირე მხრიდან ქუჩა ოთხმა ახალგაზრდამ გადმოკვეთა. შეუძლებელი იყო, ისინი არ შეგემჩნია ადამიანს — ოთხივე ერთიმეორეზე ლამაზი, დახვეწილი გარეგნობისა იყო. ცოტა გამიკვირდა კიდეც, როცა ჩემკენ გამოემართნენ. ერთ-ერთი მათგანი — ვაჟი დაწინაურდა და ღიმილით მკითხა, რომელი საათიაო. საათზე დავიხედე და მახსოვს, რომ რაღაც დამემართა... რომ ვპასუხობდი, უკვე სულ სხვანაირად ვგრძნობდი თავს... თითქოს მე იქ ვიყავი და არც ვიყავი, თითქოს ყველაფერს შორიდან ვუყურებდი. მახსოვს, ოთხივენი შემომეხვივნენ და რაღაცას მელაპარაკებოდნენ. მე ვპასუხობდი... ოღონდ რაზე ან რას — აღარაფერი მახსოვს. გაოცებული ვარ, როგორ შეიძლებოდა დამვიწყებოდა მხოლოდ საუბრის შინაარსი და ასე კარგად მახსოვდეს მათი გარეგნობა... მერე რაც მოხდა, თვითონვე ვერ ვიჯერებ, ეს მძიმე ტრავმები რომ არა, სიზმრად ნანახად ჩავთვლიდი ყველაფერს... უცებ ერთმა გოგომ კისერთან, მგონი ლავიწის ძვალზე, დამადო ხელი. ტკივილი ვიგრძენი. ის კი ილიმებოდა. ყველაფერი განათდა... გონს რომ მოვედი, ცენტრალური ქუჩიდან მოშორებით, საცხოვრებელ კორპუსებს შორის, ნაგავსაყრელ ურნასთან ვეგდე. საშინლად მტკიოდა ყველაფერი, რომ იტყვიან, კარგი ნაბურთავები ვიყავი. ჩემმა მეგობრებმა რომ გაიგეს, რა დღეში ჩამაგდეს, გაოგნდნენ — თავს დაგესხნენ და ხელი ვერ გაანძრიეო?! მე ხომ კარგა ხანია, კარატესა და უშუს მივდევ... სტუდენტობისას კი ძიუდოთიც ვიყავი გატაცებული. იმათი არ მიკვირს, თავადაც გაოცებული არ ვარ? ჩემს ცხოვრებაში პირველად გამლახეს ასე და რისთვის, არ ვიცი!

ვფიქრობ, შავი მაგიის ოსტატებს შევხვდი. მათთვის კარგი სამიზნე ვიყავი — ჯვარს არ ვატარებდი და ეკლესიაშიც, ჩემი ცოლ-შვილისაგან განსხვავებით, იშვიათად შევდიოდი. ეტყობა, ისინი მშვენივრად ერკვევიან, კარგად იციან გამოცნობა, ვინ რამდენად ძლიერია სულიერად...

როგორც ჩანს, ცოლ-შვილის ლოცვამ მიხსნა და ამიტომ ვერ დამიმორჩილეს... აბა, სხვა რა ვიფიქრო...

ჰო, დამავიწყდა მეთქვა... ჯიბეში 300 დოლარი მედო და ყელზე მსხვილი ოქროს ჯაჭვით ზოდიაქოს ნიშანი მეკიდა... ყველაფერი ხელუხლებლად დამიტოვეს...

***თედო ლუარსაბიშვილი***

## „საზალლო–სალალო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — გ); 3) — დ); 4) — ა); 5) — გ); 6) — ბ); 7) — ბ); 8) — გ).

**II.** 1-ელი და მე-5 მაიმუნები.

**III.** ნათურა.

**IV.** მტრედი.

ჩვენ გვწერენ

# უცნაური დამთხვევა?

— ამ ზაფხულს მე და ჩემმა სამმა მეგობარმა ბარგი-ბარხანა ავიღეთ და საქართველოს ტყეების დალაშქვრა გადავწყვიტეთ. ახლობელმა სამართალდამცავებმა გვირჩიეს, სვანეთისა და სამეგრელოს ტყეებს არ გაეკაროთ, მაგ ადგილებში ათასი ჯურის ყაჩაღი და მამაძაღლია შეფარებული. იმერეთის, გურიის, რაჭის და აჭარის მთებს და ტყეებს არაფერი სჯობსო. ჩვენც ტყემდე ტრანსპორტით მივდიოდით და მერე ფეხით ვაგრძელებდით გზას. ბევრი რამ გადაგვხდა თავს იმ ერთ თვეში, მაგრამ იმას, რაც აჭარის ულამაზეს მთებში შეგვემთხვა, სასიამოვნოს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ — იმ ღამით ოთხივე გავჭაღარავდით...



დღისით მდინარეზე თევზს ვიჭერდით, საღამოს კი კოცონთან, საძილე ტომრებში ჩათბუნებულები ათასგვარ სისულელეს (შიგადაშიგ, ჭკვიანურსაც) ვუყვებოდით ერთმანეთს. ლაშამ ანეკდოტი მოგვიყვა ნარკომანსა და კუდიან დედაბერზე. გულიანად ვიცინეთ. მერე ლევანმა დაიწყო — ბიჭებო, უკვე შუაღამე ახლოვდება, კუდიანები სერობას თუ რაღაც ჯანდაბას, ამ დროს იწყებენ და ახლა რომ გამოგვეცხადონ, რას იზამთო? ლევანს სიცილი დავაყარეთ და კუდიანებზე ლაზღანდარობა დავიწყეთ. გიჟებივით ვხარხარებდით ჩვენსავე ნაბოდვარზე. არ ვიცი, სანამდე გაგრძელდებოდა ჩვენი ხორხოცი, რომ არა სასწაული. უცებ კოცონი ჩაქრა, მერე უცებვე აბრიალდა, ისევ ჩაქრა და ასე გაგრძელდა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. სისხლი გაგვეყინა ძარღვებში. ბოლოს, ისევ რომ აინთო, უცნაური მოძრაობა დაიწყო, ხან ჩემკენ იწევდა ალის ენა, ხან ლაშასკენ, ხან ლევანისკენ და ხანაც — თედოსკენ. შიშით ხმა ჩაგვივარდა. უცებ ტყეც განათდა. ცხადად დავინახეთ ხის უკან შიშველი ქალი. მერე ისევ წყვდიადი ჩამოწვა.

ჩვენ შორის ლევანი ყველაზე გულადი და ენაკვიმატია. გასამხნევებლად უცებ გაიცინა და ხმამაღლა თქვა, — ბიჭებო, მგონი, მართლა გვეწვივნენ ალქაჯები და ჭინკები და შოუს გვიმართავენ. ხედავთ, შიშველი ქალიც კი გამოგვიჩნდა. ახლა ალბათ მოვა და ლადარში იცეკვებსო.

ამის თქმა იყო და, კოცონი ჩაქრა. სამარისებური სიჩუმე და უკუნი სიბნელე ჩამოწვა. წკვარამი ჯერ ქალის კივილმა დაფარა, მერე რაღაც დოლის საშინელმა ბრაგუნმა. ჭირის ოფლი გვასხამდა და ვეღარ ვინძრეოდით. უცებ ქალის სიცილი გაისმა და ერთი ხის ძირას ცხადად დავინახეთ ულამაზესი არსება, რომელიც მალევე გაქრა. მეორე ხესთან ისეთი მახინჯი დედაბერი დავლანდეთ, რომ მასთან ჯოჯოხეთის მაშხალა სილამაზის დედოფალი გეგონებოდათ.

ალქაჯები მანჭვა-გრეხით გარს გვივლიდნენ. ნერვიულობისგან კისრის ძარღვები ისე დამებერა, ხელი უნებლიეთ ყელზე ვიტაცე. რომ არა ხელის ეს მოძრაობა, ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ჩვენი ტანჯვა და შეიძლება ამოუცნობი სიკვდილის მსხვერპლიც გავმხდარიყავით. ყელთან მიტანილმა ხელმა ჯვარი იგრძნო. დღესაც ვერ ამიხსნია, როგორ გადაიწია ძეწკვმა ისე უკან, რომ ჯვარი ყელთან მქონდა მიბჯენილი. მაშინ გამახსენდა ღმერთი და „მამაო ჩვენოს“ ხმამაღლა კითხვა დავიწყე. დირიჟორი რომ აუქნევს გუნდს ხელს, ისე ხმაშეწყობილად დავიწყეთ ოთხივემ ჯერ ლოცვა, მერე გალობა და სასწაულიც ვნახეთ: არ ვიცი, გათენების დრო იყო, თუ ღმერთმა ჩვენ გამო გაათენა დროზე ადრე, ასე გალობაში დაგვადგა თავს ცისკარი.

ფეხზე წამოვცვივდით, ბარგი წამოვკრიფეთ და ტყიდან წამოვედით. წამოსვლამდე კიდევ ერთმა რამემ გაგვაკვირვა: ნაცეცხლართან რაღაცის ძვლები ეყარა. არადა უკვე სამი კვირა იყო, ხორცისთვის კბილი არ დაგვიკარებია.

მას მერე ტყეში ბოდიალი აღარ გაგვიგრძელებია. ბათუმში ჩავედით, ორი დღე ზღვაზე დავრჩით და თბილისში გამოვემგზავრეთ. აქ ჩვენს მოძღვარს ვუამბეთ ყველაფერი. გვითხრა, როცა ავსულს ახსენებთ, ამით მას იწვევთ და იმიტომაც გახდით იმ საშინელი სანახაობის მოწმენი. ასეთი თამაში არ შეიძლება და ქრისტიანისთვის ცოდვააო.

ცოდვაში თურმე ჯერ კიდევ მათზე ანეკდოტის მოყოლისას ჩავმდგარვართ.

***გოგა ლ. თბილისი***



# ბაგა-ბაღი მომლოდინე ქმრებისთვის



უქმე დღეებში, საყიდლებზე მიმავალი ქალები თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, ვის დაუტოვონ შინაური ცხოველები, ბავშვები და... ქმრები. ძაღლს კი მიხედავს მეზობელი, ბავშვს — ძიძა, მაგრამ ქმარი?! ხომ უნდა მთელი დღე ჭამა, სმა და ა.შ. ახლა ჰამბურგსა და მის შემოგარენში ქალებს შეუძლიათ მთელი დღე თავისუფლად ისეირნონ ერთი მაღაზიიდან მეორეში და მშვიდად ივაჭრონ.

გერმანიაში დამკვიდრებულმა საზრიანმა არაბებმა ქალაქის ცენტრში თავშესაფარი დააარსეს... მაღაზიაში საათობით მოვაჭრე ქალების ქმრებისთვის.

ქალები კმაყოფილნი არიან, საათში სულ რაღაც 11 ევროდ მათი ქმრები დიდ სიამოვნებას იღებენ, რადგან ჭეშმარიტად მამაკაცურად ერთობიან: სალონში დგას რამდენიმე ტელევიზორი, რომელიც მუდამ სხვადასხვა სპორტულ არხს უჩვენებს, მასპინძლები სტუმრებს სთავაზობენ ორ კათხა საუკეთესო ლუდს, ერთ ულუფა სოსისს, ჟურნალებს მამაკაცებისთვის. რაც მთავარია, მომლოდინე ქმრები ეცნობიან ერთმანეთს და დროს სასიამოვნო კამპანიაში ატარებენ.

როგორც გაირკვა, ჰამბურგელი ქმრები ცოლებზე არანაკლებ მოუთმენლად ელოდებიან უქმე დღეებს და დიდი სიხარულით მიჰყვებიან ცოლებს ... ბაგა-ბაღში. უკვე აღარც ბრაზობენ — სად დაიკარგნენ აქამდეო. გასართობიც აქვთ და დროც ისე გადის, უკან მოხედვასაც ვერ ასწრებენ.

„მამაკაცთა სამოთხეში“ ქალების შესვლა სასტიკად აკრძალულია.

***შტერნი***

# სიყვარულმა ასაკი არ იცის...



გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში მეძავები დააპატიმრეს — ისინი მოხუცთა თავშესაფრების ბინადართ ემსახურებოდნენ.

ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ არა დაპატიმრებულთა ასაკი — ისინი 60-80 წლისანი არიან. ოლქის პოლიციას არაერთხელ მიმართეს თავშესაფრის მობინადრეებმა, მეზობლები გვაწუხებენ, ეტყობა, ფეხმსუბუქ ქალებთან ერთობიანო. პოლიციელებმა თავშესაფარში თავიანთი კაცი ჩანერგეს. სწორედ მან გამოავლინა იატაკქვეშა საროსკიპოს დიასახლისი და მისი „გოგონები“. ყველანი მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობენ, ყველაზე „ახალგაზრდა“ 60 წლისაა. თითო „სეანსი“ სულ 20 ევრო ღირს, რაც პენსიონერებისთვის საკმარისი გასამრჯელოა. საინტერესოა, რომ არც ერთი „მეძავი“ ადრე ამ საქმიანობას არ ეწეოდა — ისინი ოჯახების ღირსეული დიასახლისები და სამაგალითო ბებიები იყვნენ თავშესაფარში მოხვედრამდე. როგორც ერთ-ერთმა მეძავმა, 85 წლის ილმა მელერმა განაცხადა, ქალად თავი მხოლოდ ახლა იგრძნო — მთელი სიცოცხლე უფერულად და უსიხარულოდ გავიდა, დროა მეც გავლაღდეო. ფულს მხოლოდ „ზრდილობის“ გულისთვის იღებდნენ, უფასო მეძავებს ხომ ეჭვის თვალით უყურებენ?!

ხანდაზმულ მეძავებს ყველა პატივს სცემდა, ქათინაურებით ავსებდნენ და ისინიც სიცოცხლით ტკბებოდნენ. თურმე ფრაუ მელერის საწოლქვეშ პოლიციელებმა მთელი სექსარსენალი აღმოაჩინეს — სექსსათამაშოები, სადომაზოხისტური ნივთები და მათრახები.

პოლიციის კომისარი საგონებელშია ჩავარდნილი — გერმანიაში არალეგალური პროსტიტუცია აკრძალული კი არის და კანონითაც ისჯება, მაგრამ ბებიები რომ ციხეში ჩასვას, მთელ ქვეყანაში გამასხარავდება.

ასე რომ, „ცელქ“ მოხუცებს ალბათ დააჯარიმებენ და თავშესაფარში გაისტუმრებენ. მით უმეტეს, რომ ახლახან პოლიციაში წერილიც მივიდა — მოხუცთა თავშესაფარში მხიარული მეზობლების დაბრუნებას ითხოვენ.

***გარდიანი***

# ჯულიეტა დააბინავეს...

ლიტერატურულ გმირთა უკვდავსაყოფი მონუმენტების სიას რომეოსა და ჯულიეტას აივანი შეემატა ქალაქ ვერონაში. ახლა მსოფლიოში ყველაზე რომანტიკული აივნის ხილვის მსურველებს ველარ აუდიან.

ჯულიეტას სახლს ჯერ კიდევ 1595 წლიდან, ანუ მას შემდეგ ეძებდნენ, როცა პირველად გამოქვეყნდა დრამა სიყვარულსა და სიკვდილზე. გიდები ტურისტებს სიამაყით უჩვენებდნენ მონტეკებისა და კაპულეტების კვარტალებს, მაგრამ ზუსტ მისამართს ვერ ასახელებდნენ..

და აი, ქალაქ ვერონის ხელისუფლებმა საგანგებო სხდომაზე გადაწყვიტეს, ჯულიეტას აივანი გამოუყონ. იგი კაპელოს ქ. №23-ში იქნება, ძველებური შენობის მეორე სართულზე. ოდესღაც სასახლე ვინმე კაპელოს ოჯახის საკუთრება იყო. შორეული ლინგვისტური მსგავსების გამო — კაპელო-კაპულეტი — ლეგენდარულ ჯულიეტას ელიტური ორკვადრატულმეტრიანი ბინა „მისცეს“.

***ეხო პლანეტი №40***

# „სტივ, შემომხედე!“



აშშ-ის პრეზიდენტმა, გადაწყვიტა კულტურისთვისაც დაეთმო დრო... და ეს არა მარტო პოეზიას ეხება...

რამდენიმე ხნის წინ ბუში-უმცროსი საქმიანი ვიზიტის გამო სულ ერთი კვირით დაშორდა ცოლს და ისე მოენატრა, რომ ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსმა მსოფლიო „შემოიარა“. მას შემდეგ ავტორს გულმა მუზებისკენ გაუწია და გადაწყვიტა, ამიერიდან თავისუფალი დრო ხელოვნებას დაუთმოს. ბუშს ძალიან მოსწონს სტივ უანდერის მუსიკალური კომპოზიციები და თავის რანჩოში, ტეხასში, სიგარას ცნობილი ბალადის, I Just Called To Say I Love You-ის თანხლებით ეწევა, მაგრამ არც კლიპები ჰქონდა ნანახი და არც კონცერტს დასწრებია. ამას წინათ, პრეზიდენტი სტივ უანდერის კონცერტს პირველად დაესწრო და ეს ამბავი კურიოზით დასრულდა — პირველ რიგში მჯდომმა ბუშმა ხალისით დასცხო ტაში, როცა სცენაზე მომღერალი გამოჩნდა, ხელიც დაუქნია მისალმების



ნიშნად. შავსათვალიანმა უანდერმა არც მისალმებაზე უპასუხა და არც მისკენ გაუხედავს. პრეზიდენტმა იფიქრა, ვერ შემნიშნაო და პირველი სიმღერის დასრულებისთანავე წამოდგა და უფრო მონდომებით დაუქნია ხელი. სტივს ყურიც არ შეუბერტყავს. დარბაზი გაქვავდა. უხერხული სიტუაცია ერთ-ერთმა მცველმა განმუხტა — დაიხარა და პრეზიდენტს წასჩურჩულა, ამაოდ ირჯებით — სტივ უანდერი ბრმააო.

***მირორი***

# თუთიყუშები გამძვინვარდნენ...



გერმანული ქალაქის, რემშტაიდის მკვიდრნი ერთ დილას თავზარდამცემმა კივილ-ჩხავილმა გააღვიძა. ნამდვილად ვიღაცას კლავენო, დაასკვნეს და პოლიციას უხმეს.

საეჭვო ბინის კარი ქალმა გააღო, პოლიციელებს შინ შეუძღვა და წესრიგის დამრღვევებთან მიიყვანა. დებოშიორი ორი თუთიყუში აღმოჩნდა. შუაღამემდე კიდევ არა უშავდა, ასატანად ჩხუბობდნენ, მაგრამ ნაშუაღამევს რომ აიწყვიტეს, ველარ დავაოკე. ისე ღრიალებდნენ, მძინარე მეზობლებმა იფიქრეს, ადამიანები ჩხუბობენო.

პოლიციელებმა მოჩხუბრები დააშორიშორეს, ცალ-ცალკე გალიებში ჩასვეს და სხვადასხვა ოთახში დააბინავეს.

***პრიროდა***

# დუბაიში პალმის ფორმის კუნძულებს გააშენებენ

დუბაისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების სანაპიროებზე, 2005 წლისთვის ორი პალმის ფორმის კუნძული გაჩნდება. თითოეულ „პალმას“ 17 ტოტი ექნება და დუბაის სანაპიროს 120 კმ ფართობის ქვიშის პლაჟი დაემატება.

კუნძულები ჯერ არ გაუშენებიათ, მაგრამ იქ უძრავი ქონების შესყიდვის სურვილი უკვე ბევრმა გამოთქვა. მაგალითად, ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა და მსახიობმა ბრედ პიტმა კუნძულებზე სახლები უკვე შეიძინეს.

გეგმის თანახმად, იქ ათი ათასი სახლი აშენდება. მშენებლობაზე გამოიყენება უახლესი ტექნოლოგიები. მაგალითად, ქვიშის ჩაყრა სანტიმეტრის სიზუსტით თანამგზავრიდან კონტროლდება. კუნძულების გაშენება დაჯდება 140 მილიონი დოლარი. გარდა კერძო სახლებისა, აშენდება ფეშენებელური სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები და ახლო აღმოსავლეთში პირველი ზღვის პარკი.

***ოგონიოკი***

# პროგრესი კლაქსონების წარმოებაში



დანიის ავტონაწილების მაღაზიებში ეროტიკული კლაქსონები გამოჩნდა. სიგნალები, რომელთაც ისინი გამოსცემენ, ძალზე განსხვავდება ჩვეულებრივისაგან — გაბმული ხმის ნაცვლად, ახლა ქალის ვნებიანი კვნესაგმინვა ისმის — ეს მომენტალურად იპყრობს გამვლელთა ყურადღებას.

ეროტიკული კლაქსონის შემქმნელთა აზრით, ამ ხერხით ძალზე შემცირდება ავტოკატასტროფების რიცხვი ევროპის გზებზე. ტრადიციულ სიგნალს ისე შეეჩვივნენ გამვლელები, რომ აღარ რეაგირებენ. ეროტიკული კლაქსონების გამომგონებლებთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას „ბმვ“-სა და „ფოლკსვაგენ გრუპის“ წარმომადგენლები.

***კომსომოლსკაია პრავდა***

# უცნაური კანონები

— ბირმაში შეიძლება დააპატიმრონ და თხუთმეტი წელი მიუსაჯონ ადამიანს, რომელიც რეგისტრაციაში არ გაატარებს თავის კომპიუტერს.

— იტალიის ქალაქ სიენაში ქალს, ვისაც მარია ჰქვია, ეკრძალება მეძაობა.

— შვეიცარიაში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის გამო, არ არსებობს ორდენები და მედლები.

— რიო-დე-ჟანეიროში, საღამოს 10 საათიდან დილის 5 საათამდე, მძღოლებს ნება ეძლევათ, გაიარონ შუქნიშნის წითელ შუქზე. ეს ღონისძიება ამცირებს ავაზაკთა თავდასხმებს, რაც ამ ქალაქში ძალიან ხშირია.

— საფრანგეთში დამსჯელი რაზმის წევრებს კარაბინში ჩადებული აქვთ თითო ფუჭი ვაზნა, რათა სიკვდილმისჯილის დახვრეტის შემდეგ სინდისის ქენჯნა არ იგრძნონ.

— 1560 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა დააწესა „ოკეანეში ნაპოვნი ბოთლების გამხსნელის“ თანამდებობა. ამ ბრძანების დამრღვევს სიკვდილით დასჯა ელოდა.

***ინტერპოლ-ექსპრესი №39***

# რა უნდოდათ ხეზე?!

სამხრეთ აფრიკის ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში ერთმა იოჰანესბურგელმა დარეკა — ჩემს სახლთან, ხეზე, ორი ალიგატორი ზის და გვიშველეთო. ცხოველთა ქომაგებს ინფორმაცია სასაცილოდ არ ეყოთ — იფიქრეს, ნამდვილად გვამასხარავებენო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ იგივე განმეორდა — იგივე მამაკაცი იტყობინებოდა, ნიანგები კვლავინდებურად ხეზე სხედან და თვალსაც კი არ ახელენო. სხვა გზა არ იყო, შემთხვევის ადგილს მიაშურეს. მართლაც, ხეზე ორი რეპტილია იჯდა, ორივე გონდაკარგული. ცხოველთა დამცველებმა ფრთხილად ჩამოიყვანეს ნიანგები და წყლიან კონტეინერში ჩასვეს. წყალმა ორივე გონზე მოიყვანა. დღემდე არკვევენ, ვინ შემოსვა საბრალო რეპტილიები შვიდი მეტრის სიმაღლის ხეზე...

***ოკნა №40***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გოეთეს იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც იგი ეკლესიის ისტორიას მოიხსენიებდა.**




**დ.** სამეცნიერო ხარისხი; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ი.** სუფთა გამარჯვება ძიუდოში; **ს.** მობილური ტელეფონების გერმანული ფირმა; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1933 წლებში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** გადამდნარი კარაქი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **პ.** პროტესტანტების მღვდელი; **ა.** სამხედრო ნადავლი; **ლ.** რა ერქვა ბეთჰოვენს; **ი.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან; **ტ.** შენობა ღვთისმსახურებისათვის; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ი.** მთის საზაფხულო საძოვარი; **ს.** შეჯიბრი თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული მარშრუტით; **ფ.** საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **რ.** რა ერქვა კაპიტან გრანტის ვაჟიშვილს; **თ.** მცენარე, რომლის მერქნისგანაც მზადდება ჩიჩილაკი; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **გ.** ძველებური ინგლისური ფული; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **მ.** ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **შ.** კურორტი რაჭაში; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დოქი; **ა.** ათაბაგი; **ი.** იალაღი; **ს.** სტიმული; **ვ.** ვუალი; **ე.** ერნესტო; **ნ.** ნიუტონი; **ე.** ეტნა; **თ.** თედო; **პ.** პრაიდი; **ა.** ანგარი; **ლ.** ლიახვი; **ი.** იტალია; **ტ.** ტილა; **რ.** რუმბი; **ი.** იკებანა; **ს.** სარკომა; **ფ.** ფოთი; **ე.** ეზოპე; **რ.** რვეული; **თ.** თუნგი; **ა.** არმაზი; **გ.** გრიზლი; **ა.** აკაკი; **მ.** მატისი; **ა.** ამონალი; **შ.** შივა; **ი.** იპონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ქალი ან უნდა გაალმერთო, ან მიატოვო.**

CMYK



ანა ლინდი

# „რაღაც დიდს გავაკეთებ და მსოფლიოს ავალაპარაკებ...“

**პოლიცია ნამდვილად დარწმუნებულია, რომ ამჯერად სწორედ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის მკვლელი დაიჭირა. იგი არის ფსიქიკურად გაუწონასწორებელი 24 წლის მამაკაცი, რომელსაც სტოკჰოლმში მოთარეშე არკანის მაფიასთან ჰქონია კავშირი.**

ანა ლინდის მკვლელობაში პირველი ეჭვმიტანილი პოლიციამ ორ დღეში გაათავისუფლა. ახლა კი საკანში მეორე ეჭვმიტანილი ზის — მიაილო მიაილოვიჩი, იუგოსლავიელი ემიგრანტის უმუშევარი ვაჟი.

მისი მშობლები იუგოსლავიიდან შვედეთში 32 წლის წინ გადმოსახლებულან და მარგარინის ფაბრიკაში მუშებად მუშაობდნენ. 6 წლისა იყო ბიჭი, როცა მშობლებმა ის ბებია-ბაბუასთან იუგოსლავიაში გაუშვეს. უკან 7 წლის მერე დაბრუნდა. 13 წლის ბიჭმა სწრაფად აღიდგინა თითქმის დავიწყებული შვედური ენა, გიმნაზიაში კარგად სწავლობდა, მისი საყვარელი საგანი მათემატიკა იყო. თუმცაღა მიკი, როგორც მას თანაკლასელები ეძახდნენ, კლასში თავს ეულად გრძნობდა, უცხოტომელი შვედ ბავშვებთან საერთოს ვერ პოულობდა, თანაც ოჯახშიც არ ულხინდა — ლოთი მამა ცოლ-შვილს შავ დღეს აყრიდა ხოლმე, ამიტომ ბიჭი საერთო საცხოვრებელში გადავიდა. მოგვიანებით იგი იქ გატარებულ დროს „ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებს“ უწოდებს.

მიაილომ მოულოდნელად სწავლას თავი მიანება და ბალკანეთის ომში წავიდა. უკან დაბრუნებულმა ერთ-ერთი ოჯახური აყალმაყალის დროს, მამა დანით დაჭრა და გაქრა — სტოკჰოლმის სერბულ Iugo-მაფიაში ბანდების ომების, ნარკოტიკების და სიგარეტის ქურდების, შავი ფულის გამთეთრებლების და ფულის გამომძალველების მკაცრ სამყაროში ჩაიძირა. ეს ბანდები 70-იანი წლების დასაწყისში ზელიკო რატნატოვიჩმა, მოგვიანებით არკანის სახელით ცნობილმა „ბალკანელმა მკვლელმა“, დააარსა. ბანდას შემდეგ სტოკჰოლმის კილერთა თავკაცი, არკანის მეგობარი განაგებდა, რომელიც შავ სამყაროში ტორპედო-მეფედ იყო ცნობილი. ის იყო მიაილოს კერპი.

თავად მიაილოვიჩი კი პატარა დამნაშავე გახლდათ, მოპარული რევოლვერით და ბასრი დანით შეიარაღებული ოცნებობდა, — რაღაც დიდს წლის მოსწავლე გოგონა შეუყვარდა. სატრფოს იმ მარკეტში მოპარული ოქროს ძეწკვიც აჩუქა, სადაც მერე ანა ლინდი მოკლა. მაგრამ გოგონამ ძეწკვი უკან დაუბრუნა. გაგულისებული მიაილო მას დაემუქრა — მოგიტაცებ, გაგაუპატიურებ და მერე მოგკლავო. ეს მუქარა გაგრძელდა ორ წელიწადს. მერე გამიჯნურებულ ყმაწვილს პოლიციამ გოგონასკენ გახედვაც კი აუკრძალა და ფსიქიატრთან სიარული აიძულა.

უშედეგო გამოდგა ფსიქიატრთან სეანსები, იგი უფრო და უფრო აგრესიული ხდებოდა. რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. ციხისთვის ავადმყოფი ვარ, ფსიქიატრიულისთვის კი ჯანმრთელიო, — ამბობდა. იდეფიქსი გაუჩნდა, — „ანა ლინდმა ბევრი შეცდომა დაუშვა და ამისთვის უნდა მოკვდეს“ ან კიდევ: „ჩემი მსხვერპლი ძლიერი ქალი უნდა იყოს“.

ანა ლინდი კი მართლაც ძლიერი ქალი იყო. პოლიტიკოსი, რომელიც ნაციონალისტმა სერბებმა დასასჯელთა სიის თავში ჩაწერეს, რადგან თავის დროზე მან მხარი დაუჭირა კოსოვოში ნატოს ჯარების შეყვანას და სერბთა დაბომბვას, იყო სერბული მაფიის დაუძინებელი მტერი. ანა ლინდი, როცა ომისშემდგომი პირველი დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი 2000 წელს, მარტში, სიცოცხლეს გამოასალმეს, ბელგრადში იმყოფებოდა, როგორც ევროდელეგაციის შეფი და შემთხვევის ადგილიდან 100 მეტრში იდგა.



მიაილო მიაილოვიჩი

მიაილო მიაილოვიჩი 5 სექტემბერს, ანუ მკვლელობამდე 5 დღით ადრე ფსიქიატრიულში იწვა. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, როდის გადაწყვიტა ანას მოკვლა. პოლიციის აზრით, ეს წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა არ ყოფილა: მკვლელობის იარაღი მან ნახევარი საათით ადრე უნივერმაღ „ჯონ უფილში“ მოიპარა — ეს დააფიქსირა მოთვალთვალე კამერამ. ისიც ცნობილია, როცა იგი მსხვერპლს მივარდა, იყვირა: „რაც დაიმსახურე, იმას მიიღებ“.

მიაილო მიაილოვიჩის გვარი პოლიციის ეჭვმიტანილთა სიაში ფიგურირებდა. ამას ტელევიზორში ნაჩვენები ფოტორობოტიც ადასტურებს. მკვლელობის მეორე დღეს მიაილომ მეგობარს თავი გადააპარსვინა და წარბები დაამოკლებინა. სწორედ ამ მეგობარმა შეამჩნია მსგავსება სავარაუდო მკვლელის ვიდეოსურათსა და მიაილოს შორის. მან პოლიციას დაურეკა. ადგილზე მისულმა პოლიციამ თმის ნიმუში ექსპერტიზაზე წაიღო.

მკვლელობის შემდეგ მიაილოვიჩმა ღამე დედის მეგობართან გაათია. მეორე დღეს კი ნაცნობ ცოლ-ქმარს მიადგა კარს. ის დაბნეული და აღელვებული ჩანდა. როცა ტელევიზიით მკვლელობაში პირველი ეჭვმიტანილის დაპატიმრების სცენა აჩვენეს, წამოხტა და თქვა: „დახმარება მჭირდება, ცუდად ვარ“. ცოლ-ქმარმა პოლიციას დაურეკა. პოლიციის მუშაკებმა მიაილო საავადმყოფოში წაიყვანეს.

მხოლოდ მაშინ გააქტიურდა პოლიცია, როცა თმის ანალიზის შედეგები მიიღო. სავარაუდო მკვლელი დედამისის ბინაში დააპატიმრეს. იგი პოლიციას წინააღმდეგობის გარეშე ჩაჰბარდა, მხოლოდ იმას ამბობდა, რომ მკვლელი არ არის. მაგრამ დნმის ანალიზის თანახმად, მიაილოს მეგობრის სახლიდან წაღებული თმა იმ ქუდზე აღმოჩენილი თმის იდენტურია, რომელიც მკვლელმა გაქცევისას დაკარგა. თანაც ქუდი მსხვერპლის სისხლითაც არის დასვრილი.



# თეთრი ვარდი — მწუხარების ემბლემა

## შეეძლო, სამი ცოლი შეერთო, მაგრამ ერთადერთი ინება

სადამ ჰუსეინის პირველ ცოლს და, როგორც მისი თანამებრძოლები ამტკიცებენ, ერთადერთს, ჰქვია საჯიდა ჰერალა თულფახი. ის 66 წლის არის. საჯიდა ჰუსეინს დედის მხრიდან ენათესავება კიდეც და, მიუხედავად ამისა, ქმარს ხუთი ჯანმრთელი შვილი გაუჩინა — სამი ქალიშვილი: რაგდუ (35 წლის), რანუ (33 წლის), ჰალუ (31 წლის) და ორი ვაჟი: უდეი (38 წლის) და კუსაი (36 წლის).

ტრაგიკულია ჰუსეინის შთამომავლების ბედი. მარტო ვაჟიშვილების კი არა, შვილიშვილისაც — 14 წლის მუსტაფა, კუსაის შვილი, ამერიკელებმა დახვრიტეს, უფროსი ქალიშვილების ქმრები — ძმები ქამელები — თავად ჰუსეინმა დახვრიტა. სადამის ჩამოგდების შემდეგ, მისი ოჯახის ქალებს ბუშის შიშით თავშესაფრის მიცემაზე ყველა ქვეყანამ, რომელსაც კი მიმართეს, უარი უთხრა.

მაშინ საჯიდამ თავად მიმართა ეგვიპტეს, კატარს და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს. მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა თანხმობა საემიროების შეიხმა ზაიდ ბენ სულთან ალნაჰაიანმა, მიეცა თავშესაფარი არა მარტო საჯიდასა და მისი ქალიშვილებისათვის, არამედ სადამისთვისაც. მოგვიანებით, თანხმობა განაცხადეს ბაჰრეინის, იორდანიის და საუდის არაბეთის მმართველებმაც. დღეს უფროსი ქალიშვილები თავიანთი 9 შვილით იორდანიაში ცხოვრობენ და მათ პირადად მეფე აბდალა II მფარველობს. ამ ფაქტით უკმაყოფილო ბუშს იორდანიის მეფემ აუხსნა, რომ ეს ნაბიჯი არაბულმა სტუმართმოყვარეობამ გადაადგმევინა.

მალე თავის დებთან უმცროსი, მამის საყვარელი ჰალაც ჩავა. ჯერჯერობით კი იგი დედასთან ერთად მამის მშობლიურ ქალაქ თიქრიტშია. ხოლო სადამი ცოცხალია თუ მკვდარი, არავინ იცის. საჯიდა დარწმუნებულია, რომ ცოცხალია და ქვეყნიდან ამიტომაც არ მიემგზავრება, ელოდება. სხვათა შორის, ამავე აზრისანი არიან ინგლისისა და ამერიკის საიდუმლო სამსახურებიც.

ერთმა ერაყელმა პოლკოვნიკმა თქვა, შეიძლება ჰუსეინი ბაღდადის რომელიმე ღარიბულ სახლში იმალება ან პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ახლა ტაქსისტად მუშაობსო. სხვები ამბობენ, რომ იგი ერაყის ჩრდილო-დასავლეთით გაიქცა და ახლა სირიასთან ახლოს, საზღვართან ცხოვრობსო. ერთი სიტყვით, სადამის ადგილსამყოფელის შესახებ ქვეყანაში ბევრი და თანაც, ურთიერთგამომრიცხავი ვერსია არსებობს.

ამიტომ, სანამ არ დადასტურდება, ჰუსეინი ცოცხალია თუ მკვდარი, ქვეყანაშია თუ ქვეყნის გარეთ, საჯიდა თიქრიტში რჩება. მისთვის ჰუსეინი, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური და საყვარელი ადამიანია, რომელსაც ცოლის თანადგომა დღეს ყველაზე მეტად სჭირდება. ისინი 44 წლის წინ, ეგვიპტეში შეუღლდნენ, სადაც ჰუსეინი 1959 წელს ერაყის პრემიერ-მინისტრზე შეუმდგარი თავდასხმის შემდეგ გაიქცა. 23 წლის სადამს, რომელსაც ბოროტი და მოხულიგნო მამინაცვალი ზრდიდა, მართლაც გულწრფელად უყვარდა ცოლი. მას შემდეგ, რაც ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა, მუსლიმანური ადათის თანახმად, — შეეძლო სამი ცოლი შეერთო, მაგრამ უნდოდა საჯიდა მისი ერთადერთი ცოლი ყოფილიყო და მისთვის ყველას პატივი ეცა. ერთ-ერთი სასახლის ეზოში მან თავისი ხელით დარგა დიდებული თეთრი ვარდის ბუჩქი, რომელსაც ცოლის სახელი უწოდა და რომელსაც საგანგებოდ უვლიდა. სხვა ტირანებივით, ჰუსეინიც სენტიმენტალური იყო და ცრემლსაც ხშირად ღვრიდა.

სადამი რამდენიმე თვისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. იგი უბრალო გლეხი იყო. თუმცაღა სადამის ოფიციალურ ბიოგრაფიაში წერია, რომ მისი პირველწინაპარი თავად მუჰამედის ბიძაშვილი, იმამ ალი იყო. არადა, ჰუსეინის ყველა ქმედება, მანერა, ჟესტი მის პლებეურ წარმომავლობაზე ღაღადებს, თუნდაც დამლა, რომელიც მარჯვენა მაჯაზე აქვს — ასე ხომ ერაყში სოფლის ბიჭებს დაღავდნენ იმის გასარკვევად, თუ რომელ გვარს თუ ტომს ეკუთვნოდნენ ისინი. თანაც ჰუსეინის კერპი ყოველთვის იყო სტალინი. მისი მიბაძვით, საკუთარი თავის დასაჯილდოებლად დააწესა „ხალხის მამის ორდენი“, რომელიც ოქროსია და ფირუზ-ბრილიანტებით მოჭედილი. ერაყის ნაციონალურ მუზეუმში ინახება, როგორც ამბობენ, ჰუსეინის სისხლით დაწერილი ყურანი. კითხვა ყოველთვის უჭირდა, ამიტომ წიგნებს კინოს ამჯობინებდა. მოსწონდა „ნათლია“. უყვარდა ხალხური მუსიკა და ცეკვა.

პრეზიდენტობამდე რთული გზა გაიარა. ეს იყო ღარიბ-ღატაკი, ფულსა და ხელისუფლებაზე მეოცნებე რევოლუციონერის გზა — სავსე ინტრიგებით, მკვლელობებით, დევნით. მასთან ერთად ეს გზა გაიარა ერთგულმა, მორჩილმა საჯიდამაც და თანაც ორ წელიწადში ერთხელ, ქმარს შვილს უჩენდა. სადამს ეს ყოველთვის ახსოვდა და მადლიერების ნიშნად, 2001 წელს თავის ცოლს „პირველი თანამებრძოლის“ წოდება მიანიჭა. ჰუსეინს რომ ორმოცი წელი გაუძლო, ის მართლა იმსახურებს ჯილდოს.

ჰუსეინის შესახებ იმდენ საშინელ ისტორიებს და ლეგენდებს ჰყვებიან, რომ ტყუილისა და მართლის გარჩევა შეუძლებელია. მაგრამ ერთი რამ კი ნამდვილად არის ცნობილი: სისხლისმსმელი „ხალხის მამა“ დევნის მანიით იყო შეპყრობილი და თავის მრავალრიცხოვან სასახლეებში ღამეს არასოდეს ათევდა, ბუნკერებს შორის დაძრწოდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ეს ბუნკერები მსოფლიოს საუკეთესო არქიტექტორების მიერ არის აშენებული და მხილველს აოცებს თავისი დიდებულებით, ფუფუნებით, კომფორტით.

მოდურად არ იცვამდა, მაგრამ ძვირფასი კოსტიუმების შეფასება შეეძლო. აი, ჭამა-სმაში კი კარგად ერკვეოდა, გურმანი იყო, უყვარდა ზღვის პროდუქტები და ვიდრე ისინი სადამის მაგიდაზე მოხვდებოდა, მას მისი დაცვა და ექიმების მთელი შტატი ამოწმებდა.

როგორც საჯიდა ამბობს, მის ქმარს დღე-ღამეში 4-5 საათი ეძინა. ადრე დგებოდა, ღამის 3 საათზე, მაგრამ დღის განმავლობაში რამდენჯერმე ნახევარი საათით წაუძინებდა. ჰუსეინს უყვარდა წყალი, მის ყველა სასახლესა თუ რეზიდენციაში არის შადრევნები, აუზები. წყლის პროცედურები მისთვის მხოლოდ სიამოვნება კი არა, სამკურნალო საშუალებაც იყო. რევოლუციურმა წარსულმა მას ხერხემლის გამრუდება და ფეხში ტყვია დაუტოვა. როცა ტკივილები ეწყებოდა, ცურვა შველოდა.

მის სამიჯნურო თავგადასავლებზე ლეგენდებს ჰყვებიან. თუმცაღა ოფიციალურად მას ერთი ცოლი ჰყავს, „პირველი თანამებრძოლი“ საჯიდა, მაგრამ ყველამ, მათ შორის, საჯიდამაც, კარგად იცის, რომ იყო სხვა, ასობით „თანამებრძოლი“, დაუჯილდოებელი და დაუნომრავი. ერთი მათგანია 35 წლის მანსია ჰაზერი, რომელიც ამტკიცებს, ჰუსეინის ცოლი ვარ უკვე 17 წელიაო, მეორე ქალი ამბობს, სადამისგან ვაჟიშვილი მყავდა და ამერიკელებმა მომიკლესო, მესამე ქალბატონი კი — ქალიშვილიო. მაგრამ ამ ქალებმაც შესანიშნავად იციან, რომ მათ გარდა, ჰუსეინს ბევრი ლამაზმანი ჰყავდა, რომლებიც მასთან ერთგულ მსახურებს მიჰყავდათ. ჰუსეინთან ყოფნა ხომ დიდი პატივი გახლდათ და თუ გოგონა ტირანთან ურთიერთობაზე უარს იტყოდა, მას აუპატიურებდნენ და კლავდნენ.

საჯიდა, ისევე როგორც ყველა ცოლი, მსგავს სატრფიალო ამბებს ყველაზე ბოლოს იგებდა, მაგრამ თავის ჯავრს, უფრო სწორად, ნახევარმთვარეს, ღირსეულად ატარებდა და ეჭვიანობის სცენებს არ მართავდა. ჰუსეინის კლანის 150 წევრი საჯიდას თაყვანს სცემს და თითოეულისთვის მისი სიტყვა კანონია.

როგორც ყველა მექალთანე, სადამი სიბერეს არ ეპუებოდა, თმას შავად იღებავდა, ცუდად ხედავდა, მაგრამ სათვალეს არ იკეთებდა, კოჭლობდა, მაგრამ უჯოხოდ დადიოდა. ფოტოგრაფებს ახლო მანძილიდან გადაღებას უკრძალავდა და არავის ენდობოდა. ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც იგი თავს დაცულად გრძნობდა, იყო საჯიდა, მასავით ხანში შესული და უბედური.

***გვერდი მოამზადა დოდო თოფურიამ***



# გზა მომავლისკენ... ანუ არის თუ არა რეალური მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შესვლაზე ფიქრი

საქართველოს რაგბისტთა ნაკრებმა ავსტრალიაში დაასრულა მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩები. ბოლო შეხვედრა ჩვენებმა ურუგვაის საშუალო დონის ნაკრებთან გამართეს, რომელსაც ჩვენსავით პირველ სამ მატჩში სამი წაგება ჰქონდა და ჯგუფში მეოთხე ადგილისთვის იბრძოდა.

ამ შეხვედრის სასტარტო შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა სამხრეთ აფრიკასთან ნათამაშევი მატჩის შემადგენლობიდან რვა კაცი დააყენა, დანარჩენი შვიდი ადგილი კი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრებს ანდო.

ჩვენმა მორაგბეებმა საკმაოდ სუსტად ითამაშეს. მართალია, პირველი ტაიმის შემდეგ ზუსტად გამოყენებული საჯარიმოების წყალობით მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ ამის მეტი ვეღარაფერი შეძლეს.

საქართველოს ნაკრებმა მორიგი მარცხი იწვნია — 24:12 და დაემშვიდობა ავსტრალიას.


საქართველო-ურუგვაი 12:24

**კლოდ სორელი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: — გუნდმა ცუდად ითამაშა. ეს იყო ყველაზე უარესი თამაში, რაც ავსტრალიაში ვაჩვენეთ. მეტოქემ ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა. შეცდომები იყო დაშვებული როგორც ჩვენგან — მწვრთნელებისაგან, ისე მორაგბეების მხრიდან, ამიტომაც ამ მარცხზე პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გავინაწილოთ. უარყოფითი გავლენა იქონია იმ ფაქტმაც, რომ ჩვენ ამ მატჩამდე მხოლოდ ოთხი დღე გვქონდა ძალების აღსადგენად, მაშინ, როცა ურუგვაის ნაკრებს 13 დღე ჰქონდა იმისთვის, რომ გადამწყვეტი მატჩისთვის მომზადებულიყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიაში თამაშით ჩვენმა მორაგბეებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს. ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოსვლის პრაქტიკა აქვს ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებსაც, რაც უცილობლად სასიკეთოდ წაადგება ქართული რაგბის მომავალს.


კლოდ სორელი

მიუხედავად ოთხივე მატჩში დამარცხებისა, ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ერთბაშად დიდი წარმატებები არ მოდის, მით უმეტეს, სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიც რაგბია. ...სპორტი ისეთი სფეროა, სადაც მალე უნდა დაივიწყო როგორც წარმატება, ასევე წარუმატებლობა. ახლა ევროპის ერთა თასის მატჩებია წინ და ვფიქრობთ, რომ ის გამოცდილება, რომელიც ბიჭებმა შეიძინეს ავსტრალიაში თამაშით, უდავოდ თავის სიტყვას იტყვის. ავსტრალიაში ახალი გეგმებიც დავსახეთ. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ. ჩვენ ოთხწლიანი გეგმა შევიმუშავეთ, რომლის მიხედვითაც საქართველოს ნაკრებმა უნდა მოიპოვოს მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზური, შემდეგ კი მსოფლიოს საუკეთესო ათეულში უნდა შევიდეთ. შეიძლება ეს ბევრს უტოპიად ეჩვენოს, მაგრამ ასევე უტოპიად ჩანდა ოთხი წლის წინ ჩვენი განცხადება იმის თაობაზე, რომ ბორჯღალოსნებს მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე უნდა ეთამაშათ. დასახული ამოცანის გადაჭრისთვის აქედანვე დავიწყეთ ზრუნვა. მიღწეულია შეთანხმება, რომ ჩვენი ნაკრების წევრები სტაჟირებას გაივლიან ავსტრალიის წამყვან კლუბებში. რა თქმა უნდა, ამგვარი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქართული რაგბის წინსვლას სანაკრებო დონეზე.

# საქართველო მესამეა


მუხრან ვახტანგაძე

ყაზახეთში დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, სადაც ჩვენმა ნაკრებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავა..

გარდა გუნდური ასპარეზობისა, გათამაშდა მსოფლიო თასი თითოეულ წონით კატეგორიაში. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაუმარცხებლად იასპარეზა რამაზ ნოზაძემ, რომელმაც ოქროს მედალი დაიმსახურა.

84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ანალოგიური შედეგი მოიპოვა მუხრან ვახტანგაძემ, რომელიც ბოლო ექვსი თვეა ტრავმირებული ასპარეზობს, ამიტომაც მეტად ფასეული იყო მისი ამგვარი წარმატება.

**მანუჩარ კვირკველია**, მსოფლიო ჩემპიონი: — ჩვენი ნაკრები აშკარად დაჩაგრეს მსაჯებმა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩემპიონები რუსები გამხდარიყვნენ. ამ შეჯიბრებამდე სულ რაღაც ოციოდე დღის წინ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ. ამას დაემატა ის, რომ წარმატებით იასპარეზეს იმ ქართველმა მოჭიდავეებმაც, რომლებიც სხვა ქვეყნის სახელს იცავდნენ. თუკი ეს მოჭიდავეები ცალკე გუნდად გამოვიდოდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენი ნაკრების შემდეგ ისინი მეორე ადგილს დაიკავებდნენ. ქართველი ფალავნების ამგვარი გამოსვლები, ბუნებრივია, ბევრს არ ეხატება გულზე, ამიტომაც ალმა-ათაში ჩვენი ნაკრების წარმატება ხელოვნურად შეაჩერეს. მას შემდეგ, რაც ჩვენმა გუნდმა მოიგო ზედიზედ სამი შეხვედრა აშშ-ის, ეგვიპტისა და თურქეთის ნაკრებებთან, მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი ნაკრები მომდევნო შეხვედრებში ყაზახეთისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან დამარცხებულიყო. ორივე მატჩი მინიმალური ანგარიშით, 3:4 წავაგეთ. არადა, რუსეთის ნაკრების წარმომადგენელთან აშკარა მოგება არ ჩამითვალეს. ასევე მოექცნენ ჭოჭუას და ჩაჩუას. მიუხედავად ასეთი ტენდენციურობისა, ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ, რომ ობიექტურად ჩვენი ნაკრები დღეისთვის უძლეველია.“

# უეფამ სანქციები მიიღო

ინგლისისა და თურქეთის ნაკრებთა მატჩისას მომხდარი ინციდენტის გამო უეფამ ორივე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დააჯარიმა. თურქები 19,4 ათასს, ხოლო ინგლისელები 6,5 ათას ევროს გადაიხდიან.

აღნიშნული სანქცია უეფას სადისციპლინო კომისიამ გამოიტანა ფაქტზე, რომელიც ამ ნაკრებების შეხვედრის შესვენებაზე მოხდა გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში. მაშინ განსაკუთრებით აქტიურობდა ალთაი ოზალანი, რომელმაც დევიდ ბექჰემს არცთუ ისე თავაზიანი პოლემიკა გაუმართა. ოზალანი „ბირმინგემში“ თამაშობდა და ბუნებრივია, ბრიტანელებმა, რომელთათვისაც ბექჰემი საკუთარი ქვეყნის ღირსებაზე არანაკლებ ძვირფასია, ამ ინციდენტის შემდეგ საკმაოდ მკაცრი სანქცია გამოიტანეს — საკუთარმა კლუბმა თურქ ლეგიონერს კონტრაქტი შეუწყვიტა. ბექჰემისა და ოზალანის გარდა ინციდენტში მონაწილეობდნენ სხვა ფეხბურთელებიც.

თურქეთის მხარე დააჯარიმეს არა მარტო ფეხბურთელთა უმსგავსო საქციელისთვის, არამედ ტრიბუნებიდან ნასროლი სხვადასხვა საგნების გამოც.

***გვერდი მოამზადა გიგა ხორსელმა***

# ქართული ტრიადა NBA-ში

დაიწყო ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონი.

პირველი მატჩები გამართეს ქართველი ლეგიონერების გუნდებმა.

ნიკა ცქიტიშვილის „დენვერი“ პირველ მატჩში NBA-ს გასული სეზონის ჩემპიონს „სან-ანტონიოს“ დაუპირისპირდა. თამაში მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ნიკამ და მისმა თანაგუნდელებმა მატჩი შესანიშნავად წარმართეს და დაამარცხეს მეტოქე 80:72.

ნიკა ცქიტიშვილმა ერთ-ერთი მოსამზადებელი შეხვედრისას თითი მოიტეხა და ამდენად, მოსალოდნელიც იყო, რომ თამაშს ძირითად შემადგენლობაში არ დაიწყებდა, თუმცა, მეორე პერიოდში შემოსულმა ჩვენებურმა ათი წუთი დაყო მოედანზე. ფორვარდის პოზიციაზე ცქიტიშვილი არცთუ ურიგოდ გაისარჯა. ათწუთიან მონაკვეთში ნიკას მონაგარი 6 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარებაა.

სოლტ-ლეიკ-სიტიში სტუმრად ჩასულმა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა“ იქაურ „იუტა ჯაზთან“ 92:99 დათმო შეხვედრა.

„პორტლენდის“ მწვრთნელმა ჩიკსმა აასრულა თავისი დანაპირები და ვოვა სტეფანია, რომელიც NBA-ში მეექვსე სეზონს ატარებს, მოედანზე პირველივე პერიოდისას გამოიყვანა. ვოვამ „პორტლენდის“ მთავარი მცველი დეილ დევიდსი შეცვალა, მაგრამ თამაში არ წაუვიდა და ისევ მას დაუთმო ადგილი. ჩვენებურის მონაგარი 16 წუთში 5 მოხსნა და 1 პასია. ამასთანავე სტეფანია სამჯერ დაჯარიმდა.

ზაზა ფაჩულია წელს „ორლანდო მეჯიქმა“ აიყვანა დრაფტიდან, „ულქერის“ ყოფილ კალათბურთელს ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში აშკარად ჩანს, „ორლანდოს“ მთავარი მწვრთნელის დოკ რივერსის კეთილგანწყობა ჩვენებურისადმი.

რაც შეეხება სასტარტო მატჩს, იგი „ორლანდომ“ „მედისონ სკვერ გარდენში“ გამართა ადგილობრივ „ნიუ-იორკ ნიქსთან“ და ოვერტაიმში შეძლო მეტოქის ძლევა — 85:83.


ნიკა ცქიტიშვილი

# იაშვილმა „შალკე“ გამოაგდო...

ფრაიბურგში გაიმართა გერმანიის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ტრადიციული მეტოქეები — „ფრაიბურგი“ და „შალკე“. ამ გუნდების დაპირისპირება იმითაც იწვევდა ინტერესს, რომ ეს გახლდათ ერთგვარი „ქართული დერბი“. „შალკეში“ ამ სეზონში გადასულ ლევან კობიაშვილს თავისი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ მოუწია გამოსვლა. ფრაიბურგელი ქართველებიდან ამ შეხვედრაში მხოლოდ ალექსანდრე იაშვილი თამაშობდა.

მატჩი მეტად დაძაბული აღმოჩნდა. ძირითადი დრო დასრულდა ანგარიშით 3:3, დამატებით დროში კი მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ ჰაინკესის შეგირდებისთვის შანსი არ დაეტოვებინათ. 7:3 — ასეთია საბოლოო შედეგი. აღსანიშნავია, რომ ორი გოლი „შალკეს“ კარში იაშვილის ანგარიშზეა.

**ალექსანდრე იაშვილი**, საქართველოს ნაკრებისა და „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი:

— სათასო მატჩისას, როგორც წესი, საკმაოდ დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი. ჩვენ თავიდანვე წარმატებულ თამაშზე ვფიქრობდით. მით უფრო, რომ „ფრაიბურგი“ ერთგვარად კერკეტი კაკალია „შალკესთვის“. ჩვენ არაერთხელ გაგვიმწარებია ეს გუნდი მაშინაც კი, როცა ის საუკეთესო ფორმაში იყო და სხვა გუნდებთან კარგ თამაშს აჩვენებდა.



პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა, თუმცა, შესვენების დაწყებას არაფერი აკლდა, რომ კარგი პასი მივიღე და შეუჩერებლად დავარტყი ბურთი. შესვენებაზე რომ წავედით, 2:1 იყო. ამის მერე, მეორე ტაიმში, ხუთწუთიან მონაკვეთში „შალკემ“ ორი გოლი გაგვიტანა და დაწინაურდა. თუმცა, მათ ვერ შეინარჩუნეს ანგარიში და თამაშის მიწურულს გატანილი გოლის შემდეგ გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო დაინიშნა.

დამატებით დროში „შალკეს“ ფეხბურთელმა ვარელამ უხეშად ითამაშა და მისმა გაძევებამ არია „შალკე“, ჩვენი მეტოქე ვეღარ გადაეწყო. ეს არეულობა კარგად გამოვიყენეთ, ზედიზედ ოთხი გოლი გავიტანეთ და ღირსეულად გავიმარჯვეთ.

„შალკეს“ რიგებში გამოირჩეოდა ლევან კობიაშვილი, რომელიც კარგად მიიღო ფრაიბურგის პუბლიკამ. ლევანს ბევრი აქვს გაკეთებული ჩვენი გუნდისთვის და ამას არავინ ივიწყებს. ლევანი ჰაინკესმა მეორე ტაიმში გამოცვალა, არადა, თამაშის ბოლოს კობიაშვილი აშკარად დააკლდა „შალკეს“.

ახლა მერვედფინალის კენჭისყრა იქნება. კარგია, თუკი ტიტულოვანი მეტოქე არ შეგვხვდება. ვფიქრობ, რომ თასის გათამაშებაზე რამდენიმე ეტაპის გავლა კიდევ შეგვიძლია.

PSP
ფსფ

ახალი აფთიაქი ძველ უბანში

## №43 (369) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 759 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 289 ქალმა და 465-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ პოლიტიკოსს აქვს იუმორის გრძნობა ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, პრეზიდენტ შევარდნაძის ნდობის რეიტინგი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია მისი იუმორის გრძნობის რეიტინგთან. რამდენიმე წლის წინანდელ გამოკითხვებში შევარდნაძე ლიდერობდა სანდო პოლიტიკოსებშიც და იუმორით დაჯილდოებულთა შორისაც. დღეს კი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ამ ნომინაციაში არ დაუთმო პირველობა არავის. **8,01** საშუალო ქულით ედუარდ შევარდნაძე პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 61%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური ქულა 2%-მა მიაკუთვნა. ისე, რაც მართალია, მართალია, იუმორის გრძნობა ერთ-ერთი დიდი ღირსებაა, რადგან, როგორც ამბობენ, ბოროტი ადამიანები და იუმორი ერთად ვერ ძლებენ.

შემდეგ ადგილზე ვახტანგ რჩეულიშვილია, საშუალო ქულაა 6,71. როგორც ვხედავთ, საშუალო ქულებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია.

მიუხედავად იმისა, რომ ნათელაშვილი რეიტინგში მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მეორეზეა (15%) და ამ ნიშნით სოციალისტთა ლიდერს (12%) გაასწრო.

მკითხველი ასევე არ უწუნებს იუმორს ზურაბ ჟვანიასაც. ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა კობა დავითაშვილს ხვდა წილად — მხოლოდ 1%-მა შეაფასა იგი 9 ქულით.

სულ ბოლო ადგილზე კი ზურაბ ტყემალაძეა, რაც აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსებთან შედარებით მისი ნაკლებად ცნობადობით შეიძლება აიხსნას.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 62 წლის **ომარ ნიკოლეიშვილია**. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ლევან გაჩეჩილაძის იუმორი ორის ნაცვლით — ერთი ქულით (მეცხრე ადგილი) შეაფასა, ხოლო — ზურაბ ტყემალაძეს ერთის ნაცვლად — ორი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის (ჯეკ-პოტის) — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა.**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX–VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII–VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII–VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI–V ადგილებს) და ა. შ. 8-9-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №44 (370) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას და **მკითხველის პრემიას.**

**№44 (370) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 5 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 6 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №44 (370) — „კმარა!“

**პირველ რიგში ვის ეკუთვნით „კმარა“?** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№44(370) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | „კმარას“ აქტივისტები | |
| 2 | მთავრობა, ჩინოვნიკები | |
| 3 | „ენერგომაფია“ | |
| 4 | ოპოზიციური პარტიები | |
| 5 | პოლიცია | |
| 6 | ჟურნალისტები | |
| 7 | პრეზიდენტი | |
| 8 | მსხვილი ბიზნესმენები | |

**დამატებითი კითხვა**

შეესწარით თუ არა დარღვევებს თქვენს საარჩევნო უბანზე?

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათსავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

## წინასაარჩევნო სკანდალები საქართველოში

1. „ნაციონალებისა“ და „აღორძინების“ წევრების დაპირისპირება — ინციდენტი აჭარაში — 75.3%
2. ბოლნისის ინციდენტი („ნაციონალები“ ქვემო ქართლში) — 10.8%
3. ქაოსი საარჩევნო სიებში — 6.7%
4. ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ბრალდება ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ — 3.0%
5. აქცია სამტრედიაში — ბლოკის „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“ წევრების მიერ რკინიგზის გადაკეტვა — 0.9%

რესპონდენტთა 0,5% თვლის, რომ წინასაარჩევნო სკანდალები არ ყოფილა; 1,3%-ს გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა. ორი მკითხველი კი აცხადებს, რომ სკანდალებს ახლა უნდა ველოდოთ.

*მკითხველის რეიტინგში 640 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## ფოტოანტიკვარი © · ფოტოპალიტრა ·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

**— ყველამ მიცანით ხომ? ვარსკვლავებს დღესაც ვეთამაშები...**

სააკაშვილი და ასათიანი „კვდებიან“ სიცილით კობა დავითაშვილის მეგობრულ შარჟზე (იხ. „კვირის პალიტრის“ წინა ნომერი).

*გ. ლომიძე, ხაშური*

**მ.ს.** — კაკო, გინდა 3-სიტყვიანი მაგარი ანეკდოტი გითხრა? — „დემოკრატიული არჩევნები აჭარაში“.

*გია ჯოხაძე, თბილისი*

**მ.ს.** — კაკო, რატომ არა ხარ ჩემ გვერდით, ნინოს კალთას რომ ამოეფარე...

**ა.ა.** — (კვდება სიცილით) კი ვიქნებოდი, ჩემო მიშა, მაგრამ მეშინია, მეც არ დამიჩეჩქვონ ცხვირ-პირი.

*სოსო ცირგაია, თბილისი*

**მ.ს.** — მივდივართ 30 „ნაციონალი“, შეგხვდა „აღორძინების“ 3 წევრი. ვურტყით, ვცემეთ, თავ-ყბა ვანგრიეთ და დავრჩით მე და ერთი „აღორძინებელი“. მირბის, მივდევ. მივიხედე უკან, მეწევა. მივუბრუნდი, ვგლიჯე სიფათში და გონს საავადმყოფოში მოვედი.

*ვანო ღვინაშვილი, ჯიმითი*

**მ.ს.** — ჩემო კაკო, ხალხს ჰგონია, რომ მართლა სცემეს დავითაშვილი. ეს, უბრალოდ სპექტაკლია, როგორც არჩევნები საქართველოში.

**ა.ა.** — მართალია, მიშა. ბაბუშ ხომ უკვე დაგვინაწილა ადგილები. მათი შეცვლა კი იმას გამოიწვევს, რომ ბაბუ ფერად ტელევიზორს ველარ მოიგებს.

*უცნობი, თბილისი*

„თავიანთი პრეზიდენტის მოღალატენი“

*გიორგი გაბუნია, თბილისი*



*მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ასათიანი*

**მ.ს.** — გაიგე, პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილს გაჰყოლია ცირკის გახსნაზე.

**ა.ა.** — უყურე შენ! რაც შენ ცირკები დაგიდგამს, ერთხელაც არ მოსულა.

*რეზო სვანიძე, თბილისი*

C

## ფოტო განწყობისთვის



— გმადლობთ! დღიდან პრეზიდენტობისთვის ვიბრძოლებ!

## ქაღლის მაგივრად, ჩიპსები ზელვეგერმა ჩაახრამუნა



ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა რენე ზელვეგერმა („ჩიკაგო“) სუპერმარკეტში შეიარა ბევერლი-ჰილზზე. მას თვალი მოსწყვიტა ლამაზად შეფუთულმა პაკეტმა, რომელზეც ჩიპსები ეხა-ტა. მსახიობი დასწვდა ერთს და გემრიელად ჩაახრამუნა. თითქმის ნახევარი პაკეტი ჰქონდა შეჭმული, როცა სალაროსთან მივიდა ფულის გადასახდელად. მოლარემ შეხედა 24-დოლარ-იან გახეულ პაკეტს და მორიდებით უთხრა, რომ მასში ძაღლის საჭმელი ჩიპსები ელაგა. თავიდან რენე გაშტერდა, შეიშმუშნა, მაგრამ შემდეგ გადაიხარხარა და მხიარულად აღნიშნა: — ჯანდაბას, დანარჩენს ჩემს ლაბრადორს, დილანს შევუნახავ...

9/XI
სავსე მთვარე
მაგნიტური დღეებია:
6/XI 16-დან 18 საათამდე
9/XI 8-დან 10 საათამდე

* * *

• ინდური ფილმის დასაწყისში კედელზე თუ თოფი ჰკიდია, მაშინ ფინალში ის აუცილებლად ამღერდება.

* * *



წარწერა კოსმეტიკური სალონის კარზე:
— შემობრძანდით... ნუ მორცხვობთ, ჩვენ არაფრის გვეშინია!

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. ავგაროზი; 4. წითელი ფრანგული ღვინო; 6. XX ს-ის ულამაზესი ქალბატონი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“; 7. ძველებური ესპანური ვერცხლის ფული; 8. ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვის პროცესი; 9. თვალის ფერადი გარსი; 10. ერთობლიობა ამა თუ იმ დამწერლობაში გამოყენებული ასოებისა, რომელიც განსაზღვრული თანამიმდევრობითაა დალაგებული; 13. იტალიურიდან გადმოქართულებული სიუჟეტის მქონე მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 16. ხელსაწყოს დანაყოფებიანი სახაზავი ან ციფერბლატი; 18. 29 ოქტომბერს მზიდან ისტორიაში უდიდესი გამოტყორცნის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტარული ნაწილაკი; 19. აღორძინების ეპოქის მხატვარი, რომლის ესკიზების მიხედვით დღემდეა შემოსილი პაპის შვეიცარიელთა გვარდია; 20. ჟანრი, რომელშიც უდიდეს წარმატებას მიაღწია ჯუზეპე ვერდიმ; 22. ფართო ქუჩის სახელწოდება საფრანგეთში; 23. ქალაქი აშშ-ში, რომლის კალათბურთელთა გუნდის ქომაგია სურათზე აღბეჭდილი; 25. პროფესიონალი მოჯირითე; 27. მექანიზმები — მბრუნავი ღერო, რომელიც მოძრაობას გადასცემს მექანიზმის სხვა ნაწილებს. 28. ჩეხური ავტომობილის მარკა; 29. სამაგიდო აღმოსავლური თამაში; 30. საზღვრის გარედან შემოტანილი საქონელი; 31. ელექტრონათურის „საჩრდილობელი“.

**შვეულად:** 1. ერთგულების გამოჩენა, თავგანწირვა; 2. მეომარი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 3. მატერიკი; 4. ჟორჟ სიმენონის მოთხრობების მთავარი გმირის, გამომძიებლის თანამდებობა; 5. მარადმწვანე სამკურნალო ხე; 11. ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი, რომლის სახელობის ქუჩა მდებარეობს ოპერის უკან; 12. ნაღარი სახეზე, რომლის გაუჩინარებისთვის მრავალი ქვეყნის სპეციალისტები შრომობენ; 14. მსუბუქი ნამცხვარი, რომლის ზედაპირზე უჯრედებია დაჭდევებული; 15. ძლიერი გრძნობა, უზომო გატაცება; 16. სუსტი ქარი; 17. დიდი უქოჩრო თუთიყუში; 21. მოძრავი კიბე; 22. პირი, რომელიც მასების შეგნებასა და განწყობილებაზე ახდენს ზეგავლენას, რათა დარაზმოს ისინი პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად; 24. ფოტოაპარატის მთავარი ნაწილი; 25. კულინარიაში გამოყენებული ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება, რომლის ხსნარი გაცივებისას ლაბად იქცევა; 26. ვინმეს ხმის მიბაძვა.

შეადგინა რამაზ ალანიამ




## ვის ჰგავს კიმ ბესინჯერის მეტოქე?



ჰოლივუდის ერთ-ერთ მზეთუნახავთან, კიმ ბესინჯერთან ოფიციალურად გაყრის შემდეგ მსახიობი ალეკ ბოლდუინი მელანქოლიამ მოიცვა. დროდადრო მის სახელს პრესა ჰოლივუდის ლამაზმანებს უკავშირებდა ხოლმე, მაგრამ სერიოზული რომანი არავისთან ჰქონია — უბრალოდ ფლირტი და ხანმოკლე კავშირები. შესაძლოა, ბოლდუინი იმიტომ იქცეოდა ასე, რომ ერიდებოდა თავისი სასიყვარულო ურთიერთობების გახმაურებას, ვინაიდან როგორც ამბობდნენ, კიმთან შერიგების იმედი ჰქონდა.

ამჟამად ბოლდუინს რომანი აქვს ინგლისელ ანა როტშილდთან — ინტერიერის დიზაინერთან, რომელიც რამდენიმე კვირის წინ გაიცნო. ალეკმა სთხოვა საყვარელს, საიდუმლოდ შეენახა მათი რომანი. მაგრამ აბა, როგორ გაუძლებდა ინგლისელ მანდილოსანს გული, ხომ უნდა ეტრაბახა მეგობრებთან, რომ მისი ამჟამინდელი მეგობარი მამაკაცი თავად ალეკ ბოლდუინი იყო, თვითონ ის კი ამერიკის სექს-სიმბოლოს (მერე რა, რომ ყოფილი) კიმ ბესინჯერის მეტოქე.

ვერაფრით ვერ დავტოვებთ იმ ფაქტს აღუნიშნავს, რომ ლონდონელი ანა როტშილდი ძალიან ჰგავს კიმ ბესინჯერს. ეტყობა, ბატონი ალეკი ყოფილი ცოლის მსგავს ქალებს ეძებს.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### 44 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№44 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 6 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი